

მეცხე

---

---

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
განყოფილება

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Отделение общественных  
наук

თბილისი-1972-თბილისი



МАЩНЕ

ВЕСТНИК



Серия  
языка и  
литературы

1.1972

# მეცნე



ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1972

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვახარია (რედაქტორი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.III.72; შეკვ. № 2970; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 15,53; უე 00932; ტირაჟი 1 500.  
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წერილები

თ. ღონიაშვილი, სერგი გორგაძე და ქართული ეერსიფიკაციის საკითხები	7
რ. ბარამიძე, ქალის უფლებებისა და მდგომარეობის საკითხები ძველ საქართველოში	16
მ. ქავთარია, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან	23
მ. შინჯიაშვილი, ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ ქართული თარგმანები და რედაქციები	37
მ. მამაცაშვილი, იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესათჳს დიაღონოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“ ერთი ადგილის გაგებისათვის	55
მ. კობაღაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ სტილის ზოგიერთი საკითხი	60
კ. ჯორჯანელი, ენობრივ აკრძალვათა გადმონაშთები	74
ნ. როსტიაშვილი, სიტყვაწარმოება ინგილოურში	88
ა. ლომთაძე, მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში	106
თ. აღლაძე, სიტყვათშეთანხმებაზე ზმნის მორფოლოგიური ფორმის გავლენის ზოგიერთი საკითხი	117
ლ. ღვაღაძე, არაბული ტექსტის „წამებაჲ წმიდისა გრიგოლისი, რიფსიმესი და გაიანესი“ ენობრივი დახასიათება	123
ი. კობეშვიძე, ზმნის მაწარმოებელ მორფემათა სისტემა ორბელიანისა და ენისეის წარწერების ენაში	129
ი. სულაბაძე, დაკვირვების ნაწარმოებთა ლექსიკის შედგენილობისათვის	137
ნ. შვანიძე, პირველ-მეორე და პირველ-მესამე იდენტურ თანხმოვნაანი ძირები გვეზში	144

### ბნობები და შენიშვნები

ბ. წერეთელი, ზოგიერთი ტოპონიმიკური ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ	146
ბ. მიქაძე, ფილოლოგიური ძიებანი, III	148
კ. პრაღაშვილი, ერთი ახალი მიმდინარეობის შესახებ ენათმეცნიერებაში	163

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. კობიძე, კვლავ ეისრამიანის საკითხები და სხვა	168
--	-----

### შენიშვნები

თ. მურდოვანიძე, ქსენია სიხარულიძე	188
ა. შრუშაძე, თ. გამყრალიძე, დ. გეგაძე, შოთა ძიძიგური	190

## ОГЛАВЛЕНИЕ

### СТАТЬИ

Т. ДОИАШВИЛИ, Серги Горгадзе и вопросы грузинской версификации	7
Р. БАРАМИДЗЕ, Общественное положение и права женщин в древней Грузии	16
М. КАВТАРИЯ, Из истории грузинской гимнографии XVII—XVIII вв.	23
М. ШИНДЖИАШВИЛИ, Грузинские переводы и редакции «Жития Антония» Афанасия Александрийского	37
М. МАМАЦАШВИЛИ, К толкованию одного места из сочинения Иоанна Петрици «Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадоха»	55
М. КОБАЛАДЗЕ, Некоторые вопросы стиля «Поучений» С.-С. Орбелиани	60
К. ДЖОРДЖАНЕЛИ, Пережитки языковых запретов	74
Н. РОСТИАШВИЛИ, Словообразование в ингилойском диалекте	88
А. ЛОМТАДЗЕ, К вопросу о морфеме дательного падежа в мегрельском диалекте те занского (колхского) языка	106
Т. АГЛАДЗЕ, Некоторые вопросы влияния морфологической формы глагола на его сочетаемость	117
Л. ГВАЛАДЗЕ, Характеристика языка арабского текста «Мученичество святых Григория, Рипсиме и Гаяне»	123
И. КОБЕШАВИДЗЕ, Система глаголообразующих морфем в языке орхоно-ени- сейских надписей	129
И. СУЛАКАДЗЕ, О составе лексики Дамики	137
И. ЖВЛИА, Корни с идентичными I—II и I—III согласными в языке геез	144

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ЦЕРЕТЕЛИ, По поводу этимологий некоторых топонимических терминов	146
Г. МИКАДЗЕ, Филологические разыскания, III	148
К. ЧРЕЛАШВИЛИ, Об одном новом направлении в лингвистике	163

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. КОБИДЗЕ, Еще раз о вопросах Висрамнани	168
---	-----

### ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ

Т. КУРДОВАНИДЗЕ, Ксения Силарулидзе	188
А. УРУШАДЗЕ, Т. ГАМКРЕЛИДЗЕ, Д. ГЕЦАДЗЕ, Шота Дзидзигури	190

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

### თეიმურაზ ლოიაშვილი

#### ს მ რ გ ი ბ ო რ გ ა ძ ე და ქ ა რ თ უ ლ ი ვ ე რ ს ი ფ ი კ ა ს ი ის ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

ს. გორგაძის პირველი ნაშრომი პოეტიკაში „ქართული წყობილსიტყვაობა“ 1912 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო კონსპექტური კურსი, რომელშიც მკვლევარმა თავი მოუყარა და მოკლედ განიხილა ქართული ლექსწყობის ძირითადი საკითხები. ახალი ქართული მეტრიკის ისტორიას ამ ნაშრომმა მისცა დასაბამი<sup>1</sup>.

განვლო თითქმის ორმა ათეულმა წელმა. 1930 წელს აკად. კ. კეკელიძის რედაქციით გამოვიდა ს. გორგაძის მონოგრაფია „ქართული ლექსი“. ამ დროს მისი ავტორი ცოცხალი აღარ იყო.

აღნიშნულ ნაშრომთა შორის გარკვეული მიმართება არსებობს. „ქართული ლექსის“ შესავალში მკვლევარმა მიუთითა: ეს გამოკვლევა „წყობილსიტყვაობის“ არსებითს გადამუშავებას წარმოადგენსო. შეიცვალა მახვილის, მუხლის, ტაეპის გაგება; გაღრმავდა შეხედულება რითმასა და ხანაზე; წამოიჭრა სრულიად ახალი საკითხი მეტრისა და რიტმის სხვადასხვაობის შესახებ; უცვლელი დარჩა მხოლოდ მთავარი დასკვნა ქართული ლექსის ტონურ-სილაბურ ბუნებაზე<sup>2</sup>.

ს. გორგაძის ეს მითითება უფლებას გვაძლევს ორივე ნაშრომი განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე კონცეფციის დასაბუთება კვლევის საწყის და საბოლოო ეტაპებზე.

ოდითგანვე ქართული პოეტიკური აზროვნების მთავარი საზრუნავი ეროვნული ლექსწყობის ბუნების გარკვევა იყო. ეს პრობლემა ქართული ლექსის რიტმული იმპულსების დადგენას გულისხმობდა. მკვლევართა ერთი ჯგუფი ჩვენს ლექსწყობას სილაბურად მიიჩნევდა, რადგან, მათი აზრით, ქართული ლექსის რიტმს ტაეპში მარცვალთა თანაბარი ჩაოდენობა განსაზღვრავდა. მეორენი რიტმის არსებით ელემენტად მახვილს თვლიდნენ და ქართულ ლექსწყობას ტონურ სისტემას აკუთვნებდნენ.

ს. გორგაძე ამტკიცებდა, ჩვენი ლექსწყობა ტონურ-სილაბურიაო. (ამ მხრივ მას პირდაპირი წინაპარი ჰყავდა კ. დოდაშვილის სახით, რომელმაც ქართველ მკვლევართა შორის სილაბურ-ტონურობის თეორია ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა). ის წერდა: „ქართულ წყობილ სიტყვაობას შუა ადგილი უჭირავს ტონურსა და სილაბურ სისტემათა შორის: იგი ლექსწყობის ნარევე ტიპს წარმოადგენს, სახელდობრ ტონურ-სილაბურიაო“<sup>3</sup>. მკვლევარის აზ-

<sup>1</sup> ა. ვ ა წ ე რ ე ლ ი ა, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 84.

<sup>2</sup> ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული ლექსი, თბ., 1930, გვ. 2.

<sup>3</sup> ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული წყობილსიტყვაობა, თბ., 1912, გვ. 59.

რით სილაბურ სისტემასთან სიახლოვე ტაეპში მარცვალთა თანაბარი რაოდენობით იყო განსაზღვრული, ხოლო ტონურ სისტემასთან სიახლოვე — მახვილის როლით. ს. გორგაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ამ უკანასკნელს და ამბობდა: ვისაც ქართული ლექსის ბუნების გარკვევა სურს, მან ყველაზე უწინ ნათელი წარმოდგენა უნდა იქონიოს ქართული ენის მახვილზეო<sup>4</sup>.

ს. გორგაძის დაკვირვებანი ლექსის მახვილზე წინარე მკვლევართა (ნ. ჩუბინაშვილი, კ. დოდაშვილი) მონაცემებს ეყრდნობა. იგი იზიარებს შეხედულებას ქართული აქცენტის დაქტილურ ბუნებაზე, ამავე დროს ითვალისწინებს ნ. მარის ზოგიერთ დაკვირვებასაც მახვილის საკითხში. ამ საფუძველზე დაყრდნობით მკვლევარი რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ოთხმარცვლიანი სიტყვების აქცენტზე და ე. წ. „სინტაქსურ ჯგუფებზე“.

ტრადიციული გაგებით ქართულში ოთხმარცვლიან სიტყვებს მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდით, ე. ი. დაქტილური მახვილი აქვთ. უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეც არის, მაგრამ ს. გორგაძემ სხვა მოვლენაც შეამჩნია: „თუ ოთხმარცვლოვანი სიტყვის ორ პირველ მარცვალში (თავიდან) ხმოვნები უშუალოდ მისდევენ ერთმანეთს, მაშინ მახვილი წინა ხმოვანზე (ე. ი. ბოლოდან მეოთხე მარცვალზე) გადადის და მთელი სიტყვა ასეთი სქემით გამოითქმის: — ს ს ს ს; აი, ნიმუშები: სწიდუმლო, სწუბარი, სწერობო, მწირბინა, მწიყვანა და სხვანი“<sup>5</sup>.

ამ დაკვირვების საფუძველზე ს. გორგაძემ პირველი პეონის არსებობა დაადგინა. ეს მოსაზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართულ ლექსში ზედაქტილური რითმის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ოთხმარცვლიანი კომპოზიტების აქცენტუაციაზე დაკვირვებამ მკვლევარს ასეთი შედეგები მისცა: „მოიპოება ისეთი აგებულების ოთხმარცვლოვანი სიტყვები, რომელთაც შეუძლიათ მახვილი ორნაირი წესით მიიღონ: ჩვეულებრივი წესით — ბოლოდან მესამე მარცვალზე (V—VV) და არაჩვეულებრივი წესით — ორი მახვილი: ბოლოდან მეორესა და მეოთხე მარცვლებზე (—V—V). ეს გახლავთ ოთხმარცვლოვანი კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ნაწილები ორ-ორმარცვლოვანი არიან, როგორც მაგალითად: ზევით-ზევით, ნელა-ნელა, მალლა-მალლა, ადგილ-ადგილ, უგზო-უკვლოდ და სხვანი“<sup>6</sup>. აქ ს. გორგაძემ დიქორეს არსებობაზე მიგვითითა.

ამრიგად, მკვლევარმა ოთხმარცვლიან სიტყვებში პირველად გამოყო ისეთი განსაკუთრებული შემთხვევები, როცა ტრადიციული მეორე პეონის გვერდით თავს იჩენს პირველი პეონი და დიქორე.

ორივე ეს მოსაზრება დღემდე ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას. პოეტმა და ლექსის მკვლევარმა კ. ჭიჭინაძემ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში დასაშვებად მიიჩნია დიქორეს არსებობა<sup>7</sup>, ხოლო პროფ. აკ. გაწერელიამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული კლასი-

4 ს. გორგაძე, ქართული წყობის სიტყვაობა, გვ. 10.

5 ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 4.

6 იქვე, გვ. 4.

7 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 306.

კური ლექსი“ გაიზიარა და განავითარა აღნიშნული დებულებანი<sup>8</sup>. საყურადღებოა ისიც, რომ პირველი პეონის რეალურობა ქართულში ექსპერიმენტულადაც დადასტურდა<sup>9</sup>. ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ ჩვენი ლექსმცოდნეობის დღევანდელ დონეზე ს. გორგაძის ზოგიერთ მოსაზრებას ქართული მახვილის ბუნების შესახებ თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ცალკე უნდა განვიხილოთ ს. გორგაძის მოძღვრება ე. წ. „სინტაქსურ ჯგუფებზე“, რომელთაც ნ. მარი „სამახვილო კომპლექსებს“ უწოდებდა. „სინტაქსური ჯგუფის“ ცნება მკვლევარმა 1909 წელს შეიმუშავა და ეს ტერმინი „წყობილსიტყვაობაში“ იხმარა<sup>10</sup>. შემდგომში, „ქართულ ლექსში“ მან იგივე ცნების გამოსახატავად მარისეული ტერმინი — „სამახვილო კომპლექსი“ გამოიყენა. ს. გორგაძე თვლიდა, რომ „სინტაქსური ჯგუფის“ და „სამახვილო კომპლექსის“ ცნებები შინაარსობლივად იგივეობრივი იყო, მაგრამ პროსოდიკაში ხმარების თვალსაზრისით უმჯობესად მარის ტერმინს მიიჩნევდა.

რა შინაარსია ჩადებული „სამახვილო კომპლექსის“ ცნებაში?

ს. გორგაძე წერდა: „ცოცხალ საუბარში, როცა სიტყვები ერთმანეთს სხვადასხვა სინტაქსური წესით უერთდება, მახვილი ერთგვარ შემაკავშირებელ ძალად... იქცევა: რამოდენსამე მეზობელ სიტყვას ერთ ჯგუფად უყრის თავს და მთელს ამ სინტაქსურს ჯგუფში თვითონ ბოლოდან მესამე მარცვალზე ბინადდება. ეს სინტაქსური ჯგუფი ამ შემთხვევაში თითქოს ერთს რთულს სიტყვას წარმოადგენს...“<sup>11</sup>. „დასახელებული საკომპლექსო წესი მახვილის დასმისა შეეხება... მხოლოდ ისეთ სინტაქსურ დაჯგუფებას, რომელშიაც შემადგენელ წევრებად შედიან ან მარტო ერთმარცვლოვანი სიტყვები, ან ორმარცვლოვანი, სამმარცვლოვანი და ოთხმარცვლოვანი სიტყვებთან ერთად ერთმარცვლოვანი სიტყვებიც; ასეთ კომპლექსებში მათი შემადგენელი წევრები ჰკარგავენ თავის პირვანდელ მახვილს და სამაგიეროდ მთელი კომპლექსი დებულობს ერთ ან ორ მახვილს იმის კვალობაზე, თუ რამდენმარცვლოვანია მთელი კომპლექსი“<sup>12</sup>.

მკვლევარის ეს ვრცელი მსჯელობა მოკლედ ასე შეიძლება ვაღმოვიცხადო: მახვილის შემაკავშირებელი ძალის გამო ერთმარცვლიანი სიტყვა სინტაქსურად დაკავშირებულ მეზობელ სიტყვასთან ერთად ქმნის პროკლიტიკას ან ენკლიტიკას. ერთმარცვლიანი სიტყვის მიერთება მეზობელ სიტყვასთან იწვევს აქცენტის გადანაცვლებას „სამახვილო კომპლექსში“ არსებული წესის საფუძველზე. მოძღვრება „სამახვილო კომპლექსებზე“, ენკლიტიკასა და პროკლიტიკაზე გვიხსნის ორი ან მეტი სიტყვის ერთ მთლიან ერთეულად ჩამოყალიბების არსს და მახვილის განაწილების პრინციპს მასში.

ს. გორგაძე მხოლოდ და მხოლოდ „სამახვილო კომპლექსის“ რაობის გარკვევით არ კმაყოფილდება. მას აინტერესებს, იქმნება თუ არა აღნიშნული

<sup>8</sup> ა. გ. აწერელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 119, 124.

<sup>9</sup> ა. ხ. ნიხთიბიძე, ლექსმცოდნეობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 87—101.

<sup>10</sup> „ქართული წყობილსიტყვაობა“ დაიწერა 1909 წელს, მაგრამ მისი გამოცემა 1912 წლამდე ვერ მოხერხდა გარკვეულ მიზეზთა გამო. იხ.: ქართული წყობილსიტყვაობა, ავტორის წინასიტყვაობა.

<sup>11</sup> ს. გორგაძე, ქართული წყობილსიტყვაობა, გვ. 13—14.

<sup>12</sup> ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 6.

კომპლექსები ყოველ ფორმალურად შესაძლებელ შემთხვევაში. ამ კითხვას მკვლევარი უშუალოდ უკავშირებს ლექსის მეტრისა და რიტმის საკითხებს.

ს. გორგაძის დაკვირვებით „სამახვილო კომპლექსებად ჯგუფდება ჩვეულებრივ ისეთი მეზობელი სიტყვები, რომელთ შორისაც მკვიდრო და უშუალო სინტაქსური კავშირია (თანდებული და ის სიტყვა, რომელსაც იგი ეკუთვნის, მსაზღვრელი და საზღვრული, ზმნისართი და ზმნა, რომელსაც იგი ეკუთვნის, საზოგადოდ ზმნა და მისი დამატებანი და გარემოებითი სიტყვები), ხოლო სინტაქსურად შორიშორს მდგომი სიტყვები, თუნდ ძალიან ახლოსაც ისხდნენ ერთმანეთთან, სამახვილო კომპლექსს არ ჰქმნიან და ერთმანეთის გვერდით თავთავისი ბუნებრივი აქცენტუაციით რჩებიან, ე. ი. ერთმარცვლოვანი სიტყვები — „უმახვილოდ“, ხოლო დანარჩენები იმ მახვილით, რომელსაც იგინი ცალკე ატარებენ“<sup>13</sup>.

რა შეუძლია მოგვეცეს ამ დაკვირვებამ ლექსის ანალიზის დროს? იგი თეორიულად გზას ხსნის ქართულში აღიარებული სამი ტერფის (ქორე, დაქტილი, მეორე პეონი) გვერდით სხვა ტერფების მისაკვლევად. დავიმოწმოთ ერთი მაგალითი, ვთქვათ, აკაკის სტრიქონი „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“ და ცალკე გამოვყოთ უკანასკნელი ორი სიტყვა — „მე ნელა“. ამ ორ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირი არაა, ამიტომ, ზემოთ გადმოცემული დებულების თანახმად, ისინი „სამახვილო კომპლექსს“ ვერ ქმნიან. დავუშვათ, რომ სიტყვებს შორის არსებობს სინტაქსური კავშირი, მაშინ სამახვილო კომპლექსის შექმნას წინ აღარაფერი დაუდგება. მივიღებთ ისეთ სამმარცვლიან ერთეულს, რომელშიც მახვილი, არსებული წესის საფუძველზე, ბოლოდან მესამე მარცვალს გააძლიერებს, ე. ი. წარმოიქმნება ტრადიციულად აღიარებული ტერფი დაქტილი. მაგრამ, როგორც მივუთითეთ, „მე“ და „ნელა“ სინტაქსურად არ არიან დაკავშირებულნი. ამის გამო ისინი „სამახვილო კომპლექსს“ ვერ ქმნიან. თითოეული სიტყვა რჩება თავისი ბუნებრივი აქცენტუაციით, ე. ი. „მე“ — უმახვილოდ, „ნელა“ — ქორეული მახვილით. მივიღეთ მარცვლების ასეთი თანამიმდევრობა: უმახვილო — მახვილიანი — უმახვილო. ეს ე. წ. ამფიბრაქია. ანალოგიური წესით ხდება ზოგი სხვა ტერფის მიკვლევა და აღნუსხვა.

ს. გორგაძე სინტაქსური კავშირის უქონლობას უმატებს კიდევ ერთ ელემენტს — ლოგიკურ მახვილს, რაც ქართულ ლექსში ანტიკური ლექსწყობისათვის დამახასიათებელი ტერფების უმრავლესობის მიკვლევის შესაძლებლობას იძლევა. დავიმოწმოთ ისევ მაგალითი და დავაკვირდეთ, რა შემთხვევაში მიიღება, ვთქვათ, იამბი (v-)? ს. გორგაძის განმარტებით „ამ სახის ტერფს იძლევა მხოლოდ ისეთი ერთმარცვლოვანი სიტყვების შეხვედრა, რომელნიც უშუალო სინტაქსურ კავშირში არ იმყოფებიან და რომელთაგან ლოდიკურად გაძლიერებულ მახვილს მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა ატარებს. აი, ამისი ნიმუშიც: და, ჰ, /მუზაე...“<sup>14</sup>

„და“ უმახვილოა, „ჰა“ — ლოგიკური მახვილის მქონე. ამგვარად, მიიღება იამბი. ტერფთა ძიების ზემოაღწერილი მეთოდი საბოლოოდ ასეთი სახით ფორმდება: როცა ერთმარცვლიანი სიტყვა სინტაქსური კავშირის უქონ-

<sup>13</sup> ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 8.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 11.

ლობის გამო მეზობელ სიტყვასთან „სამახვილო კომპლექსს“ ვერ ქმნის, ან როცა სინტაქსური კავშირის უქონლობას ემატება ლოგიკური მახვილიც საჭირო ადგილზე, შესაძლებელი ხდება ახალი ტერფის მიკვლევა.

ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული მეთოდით და დამოუკიდებლად ვცადოთ იმის დადგენა, თუ რა პირობებში შეიძლება მივაგნოთ, ვთქვათ, კრეტიკს ანუ ამფიმაკრს (-v-)? თეორიულად კრეტიკს მოგვცემს სინტაქსურად დაუკავშირებელი ერთ- და ორმარცვლიანი სიტყვების ასეთი თანმიმდევრობა: ორმარცვლიანი სიტყვა ქორეული მახვილით + ლოგიკური მახვილით გაძლიერებული ერთმარცვლიანი სიტყვა. ს. გორგაძე სწორედ ასეთ შემთხვევას აღნუსხავს: „ამგვარ ტერფს (კრეტიკს — თ. დ.) ქართულ მეტყველებაში იწვევს ორმარცვლოვანი სიტყვის შეხვედრა ისეთ ერთ მარცვლოვანთან, რომელიც მასთან უშუალო სინტაქსურ კავშირში არაა და თან საკუთარ ლოგიკურ მახვილს ატარებს. აი ორიოდ ნიმუში ქართული პოეზიიდან:

„მამგრამ, სუ!“  
„მრსწყდა ცას“<sup>15</sup>.

ამგვარი წესით უმკვიდრებს ადგილს მკვლევარი ჩვენს ლექსწყობაში სპონდეს (--), იამბს (v-), პირიქს (vv), ამფიბრაქს (v—v), მოლოსს (- - -), კრეტიკს ანუ ამფიმაკრს (-v-), ანტიბაქეს ანუ პილიმბაქეს (- - v), ტრიბრაქს (vvv), ქორიამბს (-vv-), ანტისპასტს (v- -v), ეპიტრიტებს — პირველს (v - - -) და მეოთხეს (- - - v), დაღმავალ იონიკს (- -vv).

რა შეიძლება ითქვას ტერფთა ძიების აღწერილ მეთოდზე?

დავიწყოთ სინტაქსური კავშირის უქონლობიდან. ს. გორგაძის აზრით, სინტაქსური კავშირის გარეშე ერთმარცვლიანი სიტყვა მეზობელ სიტყვასთან „სამახვილო კომპლექსს“ ვერ ქმნის. მაგრამ რას ნიშნავს თვითონ გამოთქმა „სინტაქსური კავშირის გარეშე“, „სინტაქსურად დაუკავშირებელი“? იგი გულისხმობს ორ მეზობელ სიტყვას, რომლებიც სინტაგმას ვერ ქმნიან, ე. ი. ვერ ქმნიან მთლიან ინტონაციურ-აზრობრივ ერთეულს. ამგვარად გაგებული ცნება „სინტაქსურად დაუკავშირებელი“ არ შეიძლება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს ჩვენი ლექსწყობისათვის, როგორადაც იგი ს. გორგაძეს მიაჩნია. ჩვენი აზრით, „ქართული ლექსის“ ავტორს აღნიშნულ ცნებაში ასეთი შინაარსი აქვს ჩადებული: თუ ერთმარცვლიან სიტყვასა და მეზობელ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირის არსებობის შემთხვევაში მახვილის ე. წ. „შემაკავშირებელი ძალა“ არავითარ დაბრკოლებას არ ხედება, სინტაქსური კავშირის უქონლობის დროს მახვილის შემაერთებელ მისწრაფებას წინ ეღობება სიტყვებს შორის ინტონაციურ-აზრობრივი ერთიანობის არქონა, რაც აბრკოლებს „სამახვილო კომპლექსის“ შექმნას. აღნიშნული წინააღმდეგობის გამო წარმოიშობა მცირე პაუზა, რომელიც ხელს უშლის სიტყვების გაერთიანებას მთლიან ერთეულად. ამრიგად, „სინტაქსურად დაუკავშირებელი“ სიტყვები, ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან მცირე პაუზით გამოყოფილ ერთმარცვლიან სიტყვასა და მის მეზობელ სიტყვას გულისხმობს.

პაუზის აუცილებლობა ს. გორგაძის მიერ შემუშავებული ტერფთა ძიების მეთოდის საფუძველია, რადგან ერთმარცვლიან სიტყვასა და მის მეზო-

<sup>15</sup> ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 39.

ს. გორგაძის აზრი რომ გავარკვიოთ ზედაქტილურ რითმაზე, საჭიროდ მიგვაჩნია დავადგინოთ, როგორ განსაზღვრავს მკლევარი რითმის რაობას და რა მნიშვნელობას აძლევს იგი სარიტმო კლაუზულას.

რითმის გორგაძისეული დეფინიცია ასეთია: „რითმა... ლექსის ენის ბგერითი ელემენტების მაქსიმალური მოწესრიგებულობის ერთ-ერთი სახეა... ფართოდ გაგებული, რითმა აკუსტიკურ ერთგვარობათა განმეორებაა“<sup>23</sup>. როგორც ვხედავთ, ს. გორგაძისათვის რითმის სპეციფიკური ნიშანი ბგერითი მხარე, აკუსტიკური ერთგვარობაა.

სარიტმო კლაუზულასთან დაკავშირებით მკვლევარი წერს: „როგორც ტაეპის შექადგენელი ელემენტი, გარეგანი რითმა ტაეპის იმ ნაწილთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, რომელიც უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნით იწყება და ტაეპთან ერთად თავდება: ამ ნაწილს „კლაუზულა“ ეწოდება... ქართულ ლექსში კლაუზულა შეიძლება მხოლოდ სამნაირი იყოს: 1. დაქტილური ანუ სამმარცვლოვანი (-VV), 2. ქალური ანუ ორმარცვლოვანი (-V) და 3. ვაეური ანუ ერთმარცვლოვანი (-)“<sup>24</sup>.

მოტანილი ამონაწერიდან სრულიად აშკარაა, რომ ს. გორგაძეს კლაუზულა რითმისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია, თანაც უგრძესად დაქტილურ კლაუზულას თვლის. ამავე აზრისა არიან კ. კიკინაძე და პროფ. აკ. გაწერელია.

საკითხის ამგვარი დასმა უკვე თავისთავად გულისხმობს, რომ ქართულ ლექსში ზედაქტილური რითმა არ უნდა არსებობდეს. მართლაც, კ. კიკინაძე, რომელიც ერთმანეთთან აიგივებს რითმასა და კლაუზულას, კატეგორიული ტონით აცხადებს: „ჰიპერდაქტილური, ესე იგი სამ მარცვალზე მეტის შემცველი რითმები ქართულში... შეუძლებელია“<sup>25</sup>. ს. გორგაძე და აკ. გაწერელია მაინც მსჯელობენ ზედაქტილურ რითმაზე.

ს. გორგაძე წერს: „ხშირია რითმები, რომელნიც კლაუზულის ფარგლებს სცილდებიან და მის წინ მდებარე ბგერებსა და მარცვლებსაც იპყრობენ. ასეთ რითმებს „ჰიპერდაქტილური“ ანუ „ზედაქტილური“ ეწოდება“<sup>26</sup>. მკვლევარი იმოწმებს რითმებს, რომლებიც მას, ოთხ- და ხუთმარცვლიანად მიაჩნია:

გ ა ე ვ ა ჰ ო რ ტ ბ ე ნ ო — გ ა ვ ა შ ო რ ი შ ო რ ტ ბ ე ნ ო ;

წყ ლ ი ს ა ჩ ქ ტ რ ა მ ა — ერთმანეთ ის ა ც ქ ტ რ ა მ ა .

ს. გორგაძე რითმებში ყველგან დაქტილურ კლაუზულას გამოყოფს, რითმები კი ზედაქტილურად მიაჩნია. რით აიხსნება ეს?

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რითმის განმსაზღვრელ ნიშნად მკვლევარი ბგერათა ერთგვარობას აღიარებს. ამავე დროს მას კლაუზულაც მნიშვნელოვნად მიაჩნია რითმისათვის. ითვალისწინებს რა ქართული მახვილის სისუსტეს, ს. გორგაძე ქართული ლექსის ბუნებისათვის უფრო მისაღებად თვლის, რომ ზედაქტილური რითმის საკითხში პრიორიტეტი მახვილთან შედარებით ბგერით მხარეს მიეცეს. თუ ოთხ და მეტმარცვლიან სიტყვებში რითმა კლაუზულის ფარგლებს სცილდება და კლაუზულის წინ მდებარე მარცვალს თუ მარცვლებს-

23 ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 90.

24 იქვე, გვ. 92.

25 ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1929, № 1, გვ. 152.

26 ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 93.

ითანხმებს, იმდენმარცვლიანი რითმა გვაქვს, რამდენმარცვლიანიც არის თვით შეთანხმებაო, — ასეთია მკვლევარის აზრი.

პროფ. აკ. გაწერელია, ს. გორგაძისგან განსხვავებით, ზედაქტილური რითმის არსებობის საკითხს კლაუზულას უთანხმებს — ზედაქტილური რითმის არსებობა პირველი პეონის რეალურობით არის გამართლებული. ამ გზით სვლა ს. გორგაძესაც შეეძლო. როგორც მახვილის საკითხის განხილვის დროს ვნახეთ, მან დაადგინა პირველი პეონის არსებობა, ოღონდ იგი რითმაზე არ გაუვრცელებია.

ს. გორგაძეს განხილული აქვს სტროფიკის საკითხები, ლექსის კომპოზიციის ზოგიერთი სახე. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი წერილი „ნიკოლოზ ბრათაშვილის ლექსის ფორმა“, მაგრამ ამ საკითხებზე აქ ველარ შევჩერდებით.

ს. გორგაძის დიდი დამსახურებაა, რომ მან ერთგვარად შეაჯამა ყოველივე ის, რაც ქართულ პოეტიკაში ორი საუკუნის მანძილზე გაკეთდა და „ქართული ლექსის“ სახით ჩვენი ეროვნული ვერსიფიკაციის პირველი სისტემატიკური კურსი შექმნა. მან თავისი წვლილი შეიტანა საზომთა აღწერასა და კლასიფიკაციაში. ამასთანავე, ს. გორგაძის ბევრი დაკვირვება დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

აკად. კ. კეკელიძე „ქართული ლექსის“ წინასიტყვაობაში წერდა: „შეიძლება ზოგი რამ მის (ს. გორგაძის — თ. დ.) დასკვნებში შემდეგი კვლევა-ძიებისთვის საცილობელი და საკამათო აღმოჩნდეს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ვერც ერთი მკვლევარი ქართული პოეტიკის დარგში უამწიფნოდ ფეხს წინ ვერ წადგამსო“.

დიდი მეცნიერის ეს სიტყვები საკმაოდ სამართლიანია. შემდგომი კვლევის შედეგები ქართული ლექსის სფეროში არ ეწინააღმდეგება ს. გორგაძის მთავარ დასკვნას. თუ წინარე მკვლევართაგან ვინმეს მიუძღვის წვლილი ჩვენი ეროვნული პოეტიკის დღევანდელი დონის შემზადებაში, მათ შორის ს. გორგაძე უპირველესია.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

რევაზ ბარამიძე

## ქალის უფლებისა და მდგომარეობის საკითხები ძველ საქართველოში

„ვეფხისტყაოსანში“ აღძრულ მრავალ რთულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი კარდინალურია ქალის უფლების პრობლემა.

რუსთაველმა მისთვის ჩვეული ნოვატორული გამბედაობით წამოჭრა ქალთა უფლების საკითხი. მან არა მარტო შექმნა ინოციატივიანი, მოაზროვნე და მოღვაწე ქალთა მომხიბვლელი სახეები, რომელთათვის ნიშანდობლივია მამაკაცური გამპრიახობა და ქმედითობა, პიროვნული შეუვალობა და დამოუკიდებლობა აზროვნებასა და მოქმედებაში, არამედ გარკვეულ სოციალურ ასპექტში დააყენა მამაკაცისა და ქალის ტოლუფლებიანობის საკითხი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ეს უალრესად პროგრესული დებულება, რომელიც მთელი სისრულით არის ხორცშესხმული ვეფხისტყაოსანში, სრული კანონზომიერი დაგვირგვინებაა რუსთაველის წინა ეპოქაში აღძრული საკითხისა.

ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში გამახვილდა ყურადღება ქალის უფლების საკითხზე, ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში უფიქრიათ ქართველ მწერლებს ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მის სვედრით წონაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მხრივ მდიდარ მასალას გვაწვდის იაკობ ცურტაველის შესანიშნავი მოთხრობა „შუშანიკის მარტვილობა“. მასში ერთნაირი დამარწმუნებლობითაა ნაჩვენები ქალის როგორც უუფლებო მდგომარეობა, ისე ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ბრძოლას ტენდენცია.

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ მეხუთე საუკუნეში ოჯახურ ურთიერთობაშიც კი იმდენად შეზღუდული იყო ქალის უფლებები, რომ მას ნება არ ჰქონდა ოჯახის წევრ მამაკაცებთან ერთად დამჯდარიყო პურის საკმელად. გარკვეული მიზეზის გამო, როდესაც ქართლის პიტიახშმა ვარსკენმა გასცა განკარგულება, რათა ვახშამზე მიეწვიათ მისი მეუღლე, ეს ფაქტი იმდენად უჩვეულო და მოულოდნელი იყო, რომ შუშანიკმა გაოცებით წარმოთქვა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური?!“ შუშანიკს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ის მამაკაცებთან ერთად იჯდეს სუფრასთან, ამის უფლება საერთოდ არ ჰქონდათ ქალებს.

ასევე წარმოუდგენელია, რომ ქალმა იფიქროს ამაღლებულ დიდ საქმეებზე, იმოღვაწეოს ფართო ასპარეზზე, ქალის სამოქმედო სფერო მხოლოდ ოჯახია, მისი ნიშანდობლივი საქმიანობა ხელსაქმეა, ეს უკანასკნელია ქალის მოღვაწეობის განმსაზღვრელი. დამახასიათებელია, როდესაც ავტორი გვეუბნება, რომ შუშანიკმა „ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა კელთა აღიხუნა დავითნიო“. ამით ის ხაზს უსვამს, რომ ქალმა მისთვის ჩვეული ყოველდღიური საქმიანობის — ქსოვის ნაცვლად სარწმუნოებრივ საკითხზე იზრუნაო. ძველ საქართველოში ხელსაქმე, ქსოვა ქალის საქმიანობის, მისი მოღვაწეობის შეზღუდულობის სიმბოლოდ

იყო მიჩნეული. ეს სახე შემდეგშიც იყო გააზრებული, ქალობის, ერთგვარი დამამცირებლობის აღმნიშვნელად, რაზედაც მიგვანიშნებს რუსთველური სტროფი: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“. ამ შემთხვევაშიც ქსოვა ქალის სისუსტისა და არასახელოვანი, ვიწრო მასშტაბის საქმიანობის აღმნიშვნელია. ასე რომ, ქალის მდგომარეობა, მისი უფლებები საკმაოდ შეზღუდული იყო. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს ვარსკენის შუშანიკისადმი დამოკიდებულებაში. ჯერ ერთი, ის მეუღლესთან შეუთანხმებლად პირდება სპარსთა მეფეს: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მივაქცინე შენსა შჯულსა“. თავის მამაკაცურ უფლებებში დარწმუნებული ვარსკენი ზედმეტად თელის მეუღლის დასტურს, მას ვერც კი წარმოუდგენია, მისი ნება არ შეასრულოს ისეთმა უუფლებო მდგომარეობაში მყოფმა, როგორცაა ცოლი, და სწორედ ეს ხდება ტრაგედიის ერთ-ერთი საფუძველი. აკი აღშფოთებით ამბობს ვარსკენი: „რაჲსა კელ-იწითა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ“. აშკარაა, ქალს არა აქვს ნება ქმრის დამოუკიდებლად მოიმოქმედოს რამე. ვარსკენის, ოჯახის უფროსის, მამაკაცური თავმოყვარეობა სწორედ იმით არის შელახული, რომ ქალმა გამოამელაენა საკუთარი დამოკიდებულება საკითხის გადაწყვეტაში, რომ მას გააჩნია პროტესტის გრძნობა. ეს მაშინ, როდესაც ქალის შესახებ გარკვეული საზოგადოებრივი აზრია გამოშვებული: „დედათა ბუნებაჲ იწრო არს“. ეს სიტყვები განსაკუთრებულად სრულად, რელიეფურად გამოხატავენ მოცემული ეპოქის შეხედულებებს ქალზე. ამ ერთ ფრაზაში ნათლად ჩანს ქალის ხვედრითი წონა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იმ დროს დამკვიდრებული აზრი ქალის, როგორც პიროვნების, შესახებ. რასაკვირველია, ეს შეხედულება შეიძლება საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილს ეკუთვნოდეს, რადგან თვით შუშანიკის სახეს შექმნით იაკობ ცურტაველმა სრულიად სხვა თვალსაზრისი განაეითარა.

ცურტაველმა დაგვიხატა მებრძოლი და ინდივიდუალობით აღსავსე ქალის სახე. ეს არის ინიციატივიანი, მაღალი იდეებითა და პრინციპებით გამსჭვალული ძლიერი პიროვნება. მასში იღვიძებს პირადი ღირსების, პიროვნული თავისუფლებისა და შეუვალობის გრძნობა. შუშანიკისათვის უცხოა პასიურობა და მამაკაცის ნებისადმი უსიტყვო დაქვემდებარება, მაღალი პრინციპებისა და პირადი ღირსების დაცვაში ის უკომპრომისოა. მეუღლის ერთგულებაში დაეკუთვებული შუშანიკი განრისხებული უთელის მას: „მოკითხეაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“. ვარსკენის ორგულობით თავმოყვარეობა შელახული შუშანიკი ისეთივე მძვინვარებით ხვდება ვარსკენს, როგორადაც შემდეგში ტარიელის ერთგულებაში დაეკუთვებული ნესტანი: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხვი პირგამეხებული“. თითქოს სხვადასხვა სიტყვიერი მასალაა, მაგრამ საერთოა არსებითი. ორივე შემთხვევაში მრისხანენი არიან ქალები, ორივე შემთხვევაში მათი მძვინვარება განპირობებულია მამაკაცთა ერთგულებაში დაეკუთვებით.

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის მწერალი ამჩნევს ქალში პიროვნების თავისუფლებისათვის, საკუთარი უფლებისა და შეუვალობისათვის ბრძოლის ტენდენციას.

შუშანიკის სახით ქალში იღვიძებს სურვილი მამაკაცთან თანასწორუფლებიანობისა. დედოფალი ოცნებობს იმ სოციალურ ურთიერთობაზე, „სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ“. მართალია, ეს მას იმქვეყნად მიაჩნია მისაღწევად, ამქვეყნად ამისთვის რეალურ საფუძველს ვერ პოულობს, მაგრამ საკითხის პრინციპულად დასმა თავისთავად დიდმნიშვნელოვანია. შუ-

შანიკის ოცნება ჯერჯერობით მხოლოდ სარწმუნოებრივ ასპექტშია წარმოდგენილი. ზოგ შემთხვევაში ბიბლიურ სენტენციებსაც იყენებს, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ წინარუსთველური ეპოქის მწერლობაში თანდათან უფრო და უფრო ამკვიდრებენ და ავითარებენ აზრს „არცა მამაკაცებაა და არცა დედაკაცებაა, არამედ თქვენ ყოელნი ერთი ხართ“ — ეს უკვე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია, მით უფრო, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მტკიცეა ფესვადგმული აზრი: „დედათა ბუნებაა იწრო არს“ და ამ თითქოს და საყოველთაო შეხედულების ფონზე მეტად მკვეთრად გამოიჩინება და გვხიბლავს თავისი პროგრესულობით შუშანიკის ოცნება და ძიება, ნატვრა (თუნდაც იმ ქვეყნად) — „სადა არა არს რჩევაა მამაკაცისა და დედაკაცისაა“. ქალთა უფლების აღიარებისა და გამოვლენის ეს ელემენტები განაერთარა და სრულყო რუსთაველმა: ცურტაველის მიერ დასმული მამაკაცთა და ქალთა „საიჭიოში“ სწორუფლებიანობის საკითხი, რუსთაველმა „სააქაოს“ ჩამოიტანა და თავის იდეალურ გმირთათვის რეალურ სინამდვილესთან დაკავშირებით გადაჭრა და შესანიშნავი ფორმულის სახით ჩამოაყალიბა — „ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

„ძუ ლომის“ სახე, როგორც ქალის ძლიერების, სწორუფლებიანობის გამოსატვის სიმბოლო ადრეულ მწერლობაშიც არის გამოყენებული.

ნინოს ღირსების, მისი ავტორიტეტის ამალღების მიზნით პაგიოვრათა ქართველთა მოციქულს ძუ ლომს ადარებს: „ვხედავ შვილო ჩემო, ძალსა შენსა. ვითარცა ძალსა ძუჲსა ლომისასა, რომელიც იზახებნ ყოველსა ზედა ოთხფერქსა“. „ძუ ლომის“ სახის მოშველიებით ავტორი ნათელყოფს, რომ სანიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული რთული დაბრკოლებების გადალახვა ნინომ იმიტომ შესძლო, რომ სულიერი და გონებრივი ძალების სიმტკიცით ის ისევე სრულფასოვანი იყო, როგორც მამაკაცი. ნინოს სახით ავტორმა ისეთივე ძლიერი და მოქმედი პიროვნება დაგვიხატა, როგორც შუშანიკია. ადრეული მწერლობის ეს შესანიშნავი სახეები ქალთა ღირსებისა და ამალღებულების დადასტურებაა. ქალები ისევე მაღალი მორალური თვისებებით და მოქმედების შესაძლებლობებით არიან აღჭურვილნი, როგორც მამაკაცები სასიათღებოა.

შუშანიკის ძლიერი და რთული სახე მრავალმხრივ იპყრობს თანამედროვე მკითხველის ყურადღებას. ამ უაღრესად მთლიან და მტკიცე ნებისყოფის პიროვნებისათვის მამაკაცურ სიმტკიცესა და მიზანსწრაფეასთან ერთად უცხო არ არის ქალური სინაზე, ის საოცრად უკომპრომისო და მრისხანეა პრინციპულ საკითხთა გადაწყვეტაში. თავის პიროვნული უფლებისა და ღირსების დაცვაში, მაგრამ ამავე დროს უაღრესად გულჩვილი და ფაქიზია შეილებთან ურთიერთობაში.

ქართულ ადრეულ პროზაში „შუშანიკის მარტვილობა“ ერთადერთი ძეგლია, რომელშიაც სრული დამაჯერებლობითა და მხატვრული მიმზიდველობით არის ასახული მოწამის ღრმა და ფაქიზი დედობრივი გრძნობა.

ერთი მხრივ, ღრმად მორწმუნე შუშანიკისათვის წარმოუდგენელია, რომ მისმა აღზრდილმა შეილებმა გამოიცვალონ სარწმუნოება, უღალატონ სამშობლოს და სპარსული ორიენტაციის გზას დაადგინენ. ამასთანავე მან იცის ვარსქენის დესპოტური ხასიათი და ეშინია, ვაითუ, მამამ შიშითა და მუქარით გადაიბიროს შეილები. დედა ერთ სიტყვასაც კი არ ეუბნება შეილებს, დაიცავით ქრისტიანობაო, რადგანაც იცის, რომ ეს გამოიწვევს ვარსქენის რისხვასა

და შვილების წამებას, ხოლო მისი დედობრივი გული ვერ აბედვინებს ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას. პირადი გამოცდილებით მან უკვე იცის, რას ნიშნავს ვარსკენთან დაპირისპირება, და ამიტომ არ უნდა შვილებიც თავის მდგომარეობაში ნახოს. მას შვილებთან აკავშირებს ფაქიზი დედობრივი გრძნობა, რის გამოც ვერ იმეტებს მათ იმ ხვედრისათვის, რაც მას ერგო წილად. მეორე მხრივ, სარწმუნოების გამოცვლა, ქვეყნის ღალატი, არა ნაკლებ მძიმე საშიშროებაა.

მასში მძლავრი ჭიდილია, ერთი მხრივ, წმიდა ადამიანურ დედობრივ გრძნობასა და, მეორე მხრივ, ქვეყნისა და სარწმუნოების წინაშე მოვალეობის გრძნობას შორის. შუშანიკი რომ ნხოლოდ ფანატიკურად მორწმუნე ყოფილიყო. ის ჭიუტად მოითხოვდა შვილისაგან სარწმუნოების დაცვას და მათ სიცოცხლის საშიშროებას ანგარიშს არ გაუწევდა, მაგრამ ეს ხომ ხელოვნური იქნებოდა. დედისაგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ბუნებრიობას მოკლებული და ნაკლებდამარწმუნებელი შეიქნებოდა, ისე, როგორც ამას ვხედავთ კოლაელ ცხრა ყრმათა მარტვილობაში, რომელშიაც მშობლები ყოველგვარი დანაშაულის, ყოყმანის ვარეშე ჩაპქოლავენ საკუთარ შვილებს. მოვლენათა და განცდათა ასახვის ასეთი არარეალისტური ტენდენცია საესეებით უცხოა იაკობ ცურტაველისათვის. პირიქით, ის დიდი მხატვრული სიმართლით წარმოგვიდგენს შუშანიკს როგორც დრმა განცდების მქონე დედას, რომელსაც გულწრფელად აფიქრებს შვილების ბედი. სრულიად გაუპარტლებელი იქნებოდა, რომ შუშანიკს გამოემყდვენებინა ვიწრო ბუნება, დედობრივი სიყვარულით დაბრძანებულს დაებარებინა შვილები და დაემოდღვრა: მოიქეცით ისე, როგორც თქვენთვის სასიამოვნო იქნებაო. ეს ხომ საშინლად გააღარიბებდა შუშანიკის სახეს. დიდი შინაგანი ჭიდილის დროსაც, შუშანიკი ამეღავნებს, ერთა მხრივ, მაღალ პრინციპულობას და, მეორე მხრივ, ნაზ დედობრივ ბუნებას. ამ შინაგან წინააღმდეგობასა და ჭიდილში ვლინდება შუშანიკის მთლიანი, თანმიმდევრული და მეტად რეალისტური ხასიათი. ამ რთულ ფსიქოლოგიურ სიტუაციაში იაკობ ცურტაველი საოცარი ტაქტით პოულობს გამოსავალს, კერძოდ, შუშანიკი ღმერთს ავედრებს შვილებს: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი“. პრობლემის ასეთი გადაწყვეტა სრულიად დამარწმუნებელსა და ბუნებრივს ხდის შუშანიკის მოქმედებას. ავტორი არ ღალატობს სინამდვილეს და დედა და მოწამე ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი: ერთნაირი დამაჯერებლობით, ერთნაირი ბუნებრიობითა და უშუალობით. ისე რომ, არც შუშანიკის მოწამეობრივ მოღვაწეობას ადგება ჩრდილი, არც დედობრივი გრძნობაა შელახული და გაყალბებული. შუშანიკის ხასიათში აღნიშნული თვისებების გამოკვეთის თვალსაზრისით, იაკობ ცურტაველის თხზულება პირველთაგანია, სადაც ასეთი მაღალი პრინციპულობითა და რეალისტურობით არის წამოყენებული და გადაჭრილი შემდგომი ჩვენს მწერლობაში არაერთგზის აღძრული კარდინალური საკითხი — ჭიდილი, ერთი მხრივ. მშობლიურ გრძნობასა და, მეორე მხრივ, ქვეყნის წინაშე მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობას შორის. ამ რთული საკითხის გადაწყვეტაში შუშანიკი ამეღავნებს მაღალ პრინციპულობას, გამჭრიახობასა და კოლოსალურ ნებისყოფას.

ამრიგად, თუმცა ადრეულ საუკუნეებში ქალი იმყოფებოდა შევიწროებულ და უუფლებო მდგომარეობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იაკობ ცურტაველმა შუშანიკის სახით დაგვისატა მტკიცე ნებისყოფისა და მიზანსწრაფვის

ძლიერი პიროვნება, რომელიც ავლენს მაღალ მორალურ თვისებებს და იღწვის ქალის უფლებისა და ღირსების დაცვისათვის. მასში ერთნაირი პასუხისმგებლობითაა განვითარებული ეროვნულ-მსოფლმხედველობრივი იდეებისათვის ბრძოლა და დედობრივი თავგანწირვა და ჩვენ წინ ცოცხლდება დიდბუნებოვანი სახე ქართლის დედისა.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ შუშანიკი და ნინო წარმოადგენენ ფართო მასშტაბის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და მსოფლმხედველობრივი პრობლემების გარკვევისა და მოგვარებისათვის მებრძოლ ძლიერ, თუ შეიძლება ითქვას, მამაკაცური მიზანსწრაფვისა და ნებისყოფის პიროვნებებს, სხვა შემთხვევაში ჩვენ წინაშე ცოცხლდებიან საშუალო საუკუნის მიჯნური ქალები, რომელთა მომხიბვლელობა წონასწორობას აკარგვენებს შეყვარებულ რაინდებს.

როგორც ვიცით, ცურტაველის ეპოქაში ქალს მამაკაცთან ერთად პურის ჭამის უფლებაც კი არ ჰქონდა, ხოლო შემდეგ საუკუნეებში — მერჩულეს ეპოქაში ქალი იმდენად დამოუკიდებელ და თავისთავად მდგომარეობას აღწევს, რომ ის პირადი გრძნობების გამომჟღავნების სრული ბატონპატრონი ხდება. იგი თავისუფლად ავლენს თავის ინტიმურ გრძნობებს და მამაკაცთან სატრფიალო ურთიერთობაში თავს ნაკლებად შეზღუდულად გრძნობს. როგორც ჩანს, ქალი, როგორც პიროვნება, გარკვეულ სოციალურ დამოუკიდებლობას აღწევს და გზა ეხსნება მის პირად, სატრფიალო განცდათა გამოვლენას და ეს იმდენად ხშირი მოვლენა იყო, რომ თვით ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ოთხმა სამიჯნურო ეპიზოდმა ჰპოვა ასახვა.

რომელია ეს სამიჯნურო ეპიზოდები? ერთია — საყოველთაოდ ცნობილი აშოტ კურაპალატისა და „სიძვის დიაცისა“, მეორეა — ზენონის დის და მავანი კაცის სამიჯნურო თავგადასავალი, მესამე — ადარნასე კურაპალატისა და კვლავ „სიძვის დიაცის“ ეპიზოდი, ხოლო მეოთხე ეპიზოდი გაკვრითაა ხსენებული, მაგრამ მისი სრული უგულებელყოფა არ შეიძლება.

ესაა შემდეგი ეპიზოდი: ადარნასე კურაპალატს მისმა სატრფომ, ვინმე „სიძვის დიაცმა“ შთააგონა, რომ შენს მეუღლეს ჰყავს თავისი გულის სწორი და შენ გლალატობსო, რის გამოც ადარნასემ გააძევა სასახლიდან მეუღლე. მერჩულეს თქმით, ეს სიძვის დიაცის მონაქორი ამბავი იყო, მაგრამ ამ ჭორს, რომ რაღაც საფუძველი ჰქონდა, ეს იქიდან ჩანს, რომ ადარნასემ სიკვდილით დასაჯა ვინმე ჰაბუკი — „სისხლი უბრალოდსა ჰაბუკისა დასთხია“. ასეა თუ ისე, ამ ფაქტის შესახებ გარკვეული საზოგადოებრივი აზრი შექმნილა, ან როგორც მერჩულე აღნიშნავს — „განთქუა სახელი მისი ვითარცა მეძავისი“, ე. ი. დედოფალს საზოგადოებრივი რეპუტაცია შეურყია ადარნასეს სატრფომ.

ასე რომ, ამ შემთხვევაში, მართალია, არაა დეტალურად გადმოცემული ადარნასეს მეუღლისა და ვინმე ჰაბუკის ურთიერთობა, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, როგორც სატრფიალო ურთიერთობის ერთ-ერთი გამოვლენისა.

ჰაგიოგრაფიულ ქანრში საერო ნაკადის ასეთი სიძლიერით შექრა, რასაკვირველია, არაა შემთხვევითი მოვლენა, ეს განპირობებულია იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებით, რომლებიც მერჩულეს ეპოქას მოჰყვა და რის შედეგადაც ცვლილებები დაეტყო საზოგადოებრივ ყოფას, ადამიანთა ურთიერთობებს და უფლებებს. ყოველივე ამის შედეგად გზა ეხსნება პიროვნების თავისუფლებას. მწერლობაშიც თანდათან პოულობს ასახვას პი-

როვნების ინდივიდუალური თვისებები და სუბიექტური განწყობილებანი, გემოვნება. თანდათან ვლინდება ადამიანის ინტიმური სამყარო და, რაც მთავარია, ადამიანთა ურთიერთობებს საფუძვლად ედება მათი პირადი განწყობილებები, პირადი სიმპათიები და ეს დიდი სიახლეა როგორც თვით ცხოვრებაში, ისე, შესაბამისად, ლიტერატურაშიც. ადამიანი მწერლობაში ასახვას პოულობს არა ეპრობრივი ტრაფარეტით, არა იმ რეცეპტებით, რომელსაც ეკლესია იძლევა, არამედ ისე, როგორცაა ის სინამდვილეში. ამიტომაც რომ თვით პაგიოგრაფიულ ძეგლში წმინდანთა სახეების გვერდით იკვეთება საშუალო საუკუნეების მიჯნურ რაინდთა ფიგურები, რომლებიც, მართალია, ჯერ კიდევ შეზღუდულნი არიან თავიანთი გრძობების გამოხატვასა და უფლებებში, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ქმნიან წინაპირობას საერო მწერლობაში დამკვიდრებული სახეების წარმოსაქმნელად.

ამ დიდ სიახლეში, პიროვნების ინდივიდუალობის გამოვლენაში, აშკარად შესამჩნევია ქალების ანგარიშგასაწევი ხვედრითი წონა. ზენონის დაი იქნება ეს, აშოტის „სიძვის დიაცო“ თუ ადარნასეს მეუღლე ან „სიძვის დიაცო“, ესენი ავტორს გარკვეულ მსოფლმხედველობითი პოზიციების გამო, მართალია, საკმაოდ მუქ ფერებში ჰყავს წარმოდგენილი, მაგრამ თავისთავად უაღრესად საინტერესო და ახალ ლიტერატურულ პერსონაჟებად გვევლინებიან. ესენი არიან ძლიერი ვნებათა დელეისა და განცდის პიროვნებები, რომელნიც საზოგადოებასთან კონფლიქტში აღმოჩნდებიან და მარცხდებიან, მაგრამ იმდენად მომხიბვლელნი, მდიდარი და საინტერესო შინაგანი სამყაროს მქონენი არიან, რომ თავდავიწყებამდე მიჰყავთ თავიანთი მოტრფიალე რაინდები, რომელთა გულწრფელი და ძლიერი გატაცების გამო მერჩულე ხაზგასმით აღნიშნავს: „რამეთუ არა ღონითა რაჟთმე კაცობრივთა მახეთაჟთა იყო ტრფიალ მისა მიმართ ქელმწიფე იგი“, რის გამოც «შეურეებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“».

რასაკვირველია, პაგიოგრაფიულ თხზულებაში შეუძლებელი იყო, „მიჯნურთა ტრფიალის“ დეტალური აღწერა, მაგრამ ავტორისეულ ზოგად შტრახებშიც იგრძნობა, რომ ის გვიხატავს არა ასკეტი ქალის სახეს, არამედ ქალის ახალ ტიპს, რომელშიც ძლიერად იგრძნობა ამქვეყნიური ცხოვრების მარცხე, რომელიც შეუნიღბავად და დიდი გამბედაობით ავლენს თავის შინაგან სამყაროს, თავის პირად განცდებსა და გატაცებებს.

ამიტომ ამ ნაწარმოების „სიძვის დიაცნი“ არ უნდა გავიაზროთ მხოლოდ ორთოდოქსალურ-სქოლასტიკური პოზიციებიდან, არამედ მათში ვლინდებიან ახალი ტიპის პერსონაჟები, რომელნიც წარმოადგენენ რეალურ ადამიანს. ადამიანური თავდავიწყებითა და სისუსტეებით. მათი დასასიათება მარტო ეპითეტით „უზნეონი“ არ შეიძლება, ისინი არიან ფატმანის თავისებური წინამორბედნი და ამასთანავე მოქალაქეობრივ უფლებასა და აღიარებას იმკვიდრებენ მწერლობაში.

ადამიანის ინტიმურ სამყაროს, მის სატრფიალო განცდებს, ქალს როგორც სიყვარულისა და შთაგონების წყაროს რომ თანდათან უფრო ეხსნება გზა ჩვენს მწერლობაში. — ეს სხვა პერიოდის პაგიოგრაფიული ძეგლებიდანაც ჩანს.

აშოტ კურაპალატის ზსგავსად თავდავიწყებულ მიჯნურად წარმოგვიდგება დეოკლეტისა და სომეხთა მეფე თრდატი „ნინოს ცხოვრებაში“. რიტსიმეზე გამიჯნურებული ჯერ დეოკლეტისა, ხოლო შემდეგ თრდატის თავ-

გადასავალი თითქმის ისეთივე რომანტიკულ ფერებშია გადმოცემული, როგორც გვიანი პერიოდის აღმოსავლურ სამიჯნურო პოემებში ვხვდებით.

საკმარისი იყო რიფსიმეს მომხიბვლელი სურათი ეხილა დეოკლეტიანეს, რომ გამიჯნურებოდა ამ ლამაზ ასულს, რაინდები გაეგზავნა სატრფოს მოსაყვანად.

სომხეთში გადახვეწით რიფსიმეს უნდა თავი დააღწიოს მღევრებს. დეოკლეტიანე სომეხთა მეფე თრდატს უთვლის, რომ ამ უკანასკნელმა მას წარმოუდგინოს რიფსიმე, ხოლო საკმარისი იყო თრდატს ეხილა რიფსიმეს მშვენიერება, რათა დაეიწყებოდა შიში დეოკლეტიანეს წინაშე და რაინდული ეთიკა და თვით გამიჯნურებოდა მის სამეფოში თავშეფარებულ თვალწარმტაც ასულს.

როგორც ვხედავთ, ამ გაკვრით, თითქოს სხვათა შორის გადმოცემულ სამიჯნურო ეპიზოდში აღწერილი ტრფიალი, საერო ხასიათის ნაწარმოების ფრაგმენტს უფრო ჰგავს, ვიდრე ჰაგიოგრაფიული ძეგლისას.

ასევე ერთი ნახვით გაუმიჯნურდება იაკობი მარიამს. გრძნობის უეცარ და დიდ აფეთქებას იწვევს ქალის მკვეთრად გამოხატული პიროვნული ღირსებები, მისი ფიზიკური მშვენიერება და სულიერი სიფაქიზე ჰარმონიულადაა ერთმანეთში შერწყმული, რის გამოც იაკობმა „იხილა რაჲ შუენიერებაჲ ხატისა ზისისაჲ და ნარნარი იგი და დაწყნარებული ქცევაჲ მისი და განკრძალული სახე“, თავიდანვე განსაკუთრებული გრძნობით განიმსჭვალა მიმზიდველ ქალწულისადმი.

როგორც ვხედავთ, რუსთაველის წინა ეპოქაში ქალთა საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი სახეებია შექმნილი. ქალთა თითქმის სრული უუფლებობის ეპოქაში შეიმჩნევა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის აშკარა ტენდენცია, რის გამოც ჩვენს ძეგლებში გაცოცხლებულია, ერთი მხრივ, ძლიერი ნებისყოფის, მოანროვნე ქალები (შუმანიკი, ნინო), რომელთაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური საკითხების გადაჭრაში, ხოლო, მეორე მხრივ, გზა ეხსნება ამქვეყნიური ცხოვრების მოტრფიალე ქალთა ბუნების გამოკვეთას; მერჩულესთან ჩანასახის სახით ვხვდებით „თავისუფალი სიყვარულის სიმბოლოს“, თითქოს დგება დრო „აბალი და საამო სტილისა“, იწყება „მსუბუქსრახეიანი სიყვარული, ვნებანი, ნდომანი“, იშლება „მიჯნურთა“ მთელი გაღერეა და ასეც, ფერმკრთალ წმინდანთა ლანდების გვერდით იკვეთებიან ჯანსაღ ხორცშესხმულ ქალთა სახეები, რომელთათვის უცხო არ არის ცხოვრებისეული ინტერესები და გატაცებები. სინამდვილე ისახება ერთგვარად რეალისტურ ფერებში, მისი მომხიბლავი და ნაკლავანი მსარეებით, — ესე. როგორიცაა თვით ცხოვრება.

(წარმოადგანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის  
ინსტიტუტმა)

ვიხეილ ქაშთარია

XVII—XVIII სს. ქართული კომუნოგრაფიის ისტორიიდან

1. გრიგოლ დოდორქელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVI საუკუნიდან მოყოლებული კვლავ არასახარბიელო იყო. ქვეყანა დაშალა ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად, რომლებიც ერთმანეთს განუწყვეტლივ ებრძვიან და ასუსტებენ. კახელების „აღმა-ხნულს“ ქართლები „დაღმა ფარცხავენ“. შინაური აშლილობა და ურთიერთ შუღლი ხელს აძლევდა გარეშე მტერს. აღმოსავლეთით სპარსეთი და დასავლეთით ოსმალეთი აფართოებენ და ავრცელებენ თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროს. შედეგები თავის დაღს ასვამდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას.

თანდათან იშლება ეროვნული სახელმწიფო აპარატი, ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა შორის შესამჩნევად გავრცელდა მაჰმადიანობა. სახელოვანი ისტორიკოსის ვახუშტის სიტყვით, „შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, ვანცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის-ყიდვა, მრუშება, ვიდრე სოდომიამდე. რამეთუ პატივისათვის და როქათვის იქმნებოდნენ მაჰმადიან და შიილებდნენ ყენისაგან როქიკსა“<sup>1</sup>.

პოლიტიკური ცხოვრების მესვეურებმა, საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ნაწილმა ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება, ძალთა დაქსაქსვა-გადაგვარება მიიჩნიეს ეროვნული თვითმყოფობის კატასტროფის მაზეზად და შესაბამისად არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევისათვის საჭირო გზების ძიებას შეუდგნენ. მართალია, საქართველოს დაშლის შემდეგ ბრძოლა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღსადგენად იმთავითვე დაიწყო და თითქმის არასოდეს არ შეწყვეტილა, მაგრამ საშინაო და საგარეო არახელსაყრელი მიზეზებისა და პირობების გამო ქვეყნის გაერთიანება ვერ მოხერხდა.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად მწერლობაც იქნა მიჩნეული. განსაკუთრებით ფრთა გაშალა ჰაგიოგრაფიამ, რომლის ძირითადი და წამყვანი ტენდენცია იყო პატრიოტიზმი. ეს გასაგებიცაა, რადგან ქართული ჰაგიოგრაფია არასოდეს არ იფარგლებოდა მხოლოდ პრაქტიკული — საეკლესიო მიზნებით. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის სასიკოცხო ინტერესებთან, ყოველთვის არეკლავდა ერის მამოძრავებელ ტენდენციებს, მისწრაფებებსა და სურვილებს. ამიტომ ქართული ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი სწორედ სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით დაინტერესება და ასახვა იყო<sup>2</sup>.

ქართულ ჰაგიოგრაფიას არ ჩამორჩებოდა არც ქართული ჰიმნოგრაფია, რომელიც შესამჩნევად დაწინაურდა და განვითარდა XVII—XVIII საუკუნეებში.

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება, 1469—1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. კიკინაძის აგან, თბილისი, 1913, გვ. 198—199.

<sup>2</sup> შ. შ. ვ. ლ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 415.

ქართულმა ჰიმნოგრაფიამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განელო. სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ IX—X სს. არის ქართული ჰიმნოგრაფიის აყვავების პერიოდი. მართლაც, ამ პერიოდის ნიმუშებზე თვალის ერთი გადავლება საკმარისია, რომ დაერწმუნდეთ არსებული დებულების ქეშმარიტებაში.

შემდეგი პერიოდი ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებისა უკავშირდება ცნობილ ათონის სალიტერატურო სკოლას. ამ მხრედაც განუზომლად დიდია გიორგი მთაწმიდლის დამსახურება. ამ დროიდან მოკიდებული ვიდრე XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართული ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის განვითარების ხაზი რამდენადმე წყდება და მხოლოდ XVII საუკუნეში ხერხდება მისი აღდგენა და, ამავე დროს, ახალ საფეხურზე აყვანა<sup>3</sup>.

XVII—XVIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია შედარებით წინა პერიოდთან ქართული მწერლობის ისტორიაში ახალ ეტაპს ქმნის, ახალი ელემენტებითაა დატვირთული. ჯერ ერთი, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის მთავარი ძარღვია ეროვნული მოტივი. თუ ძველი ჰიმნოგრაფები არ იზღუდებოდნენ მხოლოდ ქართულ წმინდანთა ჰიმნების შექმნით, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიისათვის ეს მომენტი განმსაზღვრელი და გეზის მიმცემია. ეს იყო ეპოქის პრინციპული მოთხოვნა.

ძველად ქართველ წმინდანთა მხოლოდ საერთაშორისო, უფრო სწორად, ბერძნული ეკლესიის მიერ აღიარება განსაზღვრავდა მათ მდგომარეობას ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. სწორედ ამის გამოა, რომ გიორგი მთაწმიდელმა არ შეიტანა აბოს და სხვათა საგალობლები თავის თვენში. XVII—XVIII სს. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული კონცეფცია ჩამოყალიბდა. ასეთი შეზღუდვა, საერთაშორისო საეკლესიო ნორმებით რეგლამენტირება, აღარ იყო საჭირო. ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის დაფასება, აღწერა და წარმოჩინება აუცილებლად და საჭიროდ იქნა მიჩნეული, რადგანაც, გრიგოლ დოდორქელის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქებით საგალობელსა და დღესასწაულსა შეუმზადებთ კეთილად მძლესა და ყოვლად სანატრელსა დედოფალსა, ეგევითარივე სასყიდელი მოვიდოთ მის მიერ, ვითარცა სხუათა მათ და უფრო მსადაცა იღუაწოს ჩვენთვის და ქუეყანათათვის თათვის, რამეთუ ვართ მკვდრნი სამეფოთა მისთანი და მსახურეულნი ძეთა მისთანი“.

მეორე, ყოველი განგება, უპირველეს ყოვლისა მაინც ლიტურგიკული ხასიათის ძეგლია, პრაქტიკული დანიშნულების მქონე ნაწარმოებია. ეს მნიშვნელობა მას ყოველთვის ჰქონდა. ამიტომ იგი ყოველთვის გარკვეული თარგით იყო აკრილი და გულისხმობდა 8—9 გალობისაგან შემდგარ პოეტურ საგალობელს, სვინაქსარს და საკითხავებს ბიბლიური წიგნებიდან. XVII—XVIII სს. განგება შედგენილობის მხრივაც იჩენს უკვე თავისებურებას. ეს განსხვავება კი განაპირობა ლიტურგიკული ხასიათის წიგნების, კერძოდ, სადღესასწაულოს შემდგომმა განვითარებამ და დახვეწამ. თუ ძველად განგების ელემენტები სხვადასხვა წიგნში იყო თავმოყრილი — საგალობლები „თვენში“, სვინაქსარები „სვინაქსარებში“ და საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან კიდევ სხვაგან. XVII—XVIII სს. განგება ამ ელემენტების ერთიანობას გულისხმობს.

ნათქვამს თუ იმასაც დაემატებთ, რომ XVIII საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაზე გარკვეული გავლენა მოახდინა რუსულმა, მაშინ კიდევ უფრო

<sup>3</sup> შტრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 568.

ნათელი გახდება XVII—XVIII სს. ჰიმნოგრაფიული კანონების განსხვავება კლასიკური პერიოდის საგალობლებისაგან, რომლებიც ძირითადად ბერძნულის ზეგავლენით იქმნებოდა და ვითარდებოდა.

XVIII ს. ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების გაჩენის უმაღლესი იწყება ქართველ წმინდანთა შესახებ ჰიმნოგრაფიული მასალის მოძიებაც, ასლის შეთხზვა და გამართვა. ამ საქმის ინიციატორიც ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ვახტანგ VI ძმა, დომენტი კათალიკოსი იყო, რომლის საქმიანობის კვალი დაცულია ხელნაწერ A—176-ში. ერთ-ერთი სამუშაოს დამთავრების შემდეგ (საქმე ეხება ილარიონ ქართველის საგალობლის მოძიებას), დომენტი წერს: „ღმერთშემოსილო მამაო ილარიონ, შემიწყალე მე ფრიად უღირსი კათალიკოზი — პატრიარქი ლევანის ძე დომენტი, რომელმან მრავლითა ძიებითა და სურვილით პოვნად ღირს ვიქმენ წმიდისა ამის იამბიკოსა შენსა“. ქართველ წმინდანთა საგალობლები შეიტანეს ჰაგიოგრაფიულ კრებულებში, დაურთეს ცხოვრება-წამებებს და ამრიგად ჰაგიოგრაფიულმა კრებულმა გააერთიანა როგორც ცხოვრება-წამებანი, ასევე ჰიმნებიც.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც შევიდა ჰაგიოგრაფიულ (დომენტის რედაქციის) კრებულში საკითხავ-საგალობლებით, არის ქეთევან დედოფალი.

კახეთის დედოფალი ქეთევანი 12 თუ 13 სექტემბერს აწამეს შაჰ-აბაზ პირველის ჯალათებმა<sup>4</sup>. ქეთევანის მოწამებრივმა სიკვდილმა უღადესი გამოხმაურება პოვა ქართულ მწერლობაში. ეს თემა რამდენიმე ქართველმა მწერალმა დაამუშავა. ანტონ პირველის ცნობით, „ამისნი (ქეთევანის) უკუშ ისტორიანი, ვკგონებ, ვითარმედ პირველად აღჰსწერა ვინმე თანამედროემან წმიდისამან, და თვთ კეთილმსახურმან ძემან მისმან მეფემან თეიმურაზ პირუტყლის შაირსიტყვაობით, და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიკსენა შაირსიტყუაობათა შინა თეიმურაზ პირუტყლისა საქმეთა ისტორიისათა: კულად გიორგი ხუცესმონაზონმან გარეჰსჯას ღირსისა დოდოს მონასტრისამან, ნეტარმან ბესარიონმან მამათ-მთავარმან ჩუტნმან, ვახუშტი ნათესავმან ჩემმან აღწერათა კახეთისათა“<sup>5</sup>. ამ სიას ძველ მწერალთაგან დავუმატებდით ჩვენ დიპტრი ბაგრატიონს, რომლის ქეთევანის წამებამ ყველაზე ადრე იხილა სტამბა და თეიმურაზ ბატონიშვილს, რომლის ქეთევანის წამება გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1872 წ.<sup>6</sup>

ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი არის გრიგოლ დოდორქელის თხზულება, რომლის სრული სათაურია „წამებაჲ ყოვლად-დიდებულისა მოწამისა დედოფლასა ქეთევანი-

<sup>4</sup> თეიმურაზ I თავის პოემაში წერს: „მათ აწამეს წმიდა ესე სეკდენბერსა ათორმეტსა“, სხვა წყაროებით კი წამების დღედ 13.IX ჩანს.

<sup>5</sup> მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 597.

<sup>6</sup> ქეთევანის წამება სამი სტროფით გადმოცემული აქვს დიდ მეიგავეს სულხან-საბა ორბელიანსაც. ამ უკანასკნელს თეიმურაზის პოემაში ჩაუმატებია სტროფები. იხ. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 389, სქ. № 1.

ანტონას ცნობა ბესარიონთან დაკავშირებით ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ბესარიონსაც დაუწერია სპეციალური თხზულება — ქეთევანის წამება. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი გაგებაც არსებობს. ჩვენი აზრით, ანტონი ამ შემთხვევაში გულისხმობს ბესარიონს შრომას — ლუარსაბის მარტილობიდან იმ ადგილებს, რომლებიც ქეთევანს შეეხება. ბესარიონს კი თავის მხრივ ქარბად გამოუყენებია გრიგოლ დოდორქელის თხზულებიდან ის ადგილები, რომლებიც შეეხება ერთი მხრივ ლუარსაბს და მეორე მხრივ ქეთევანს.

სა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰ-აბაზ უსჯულოჲსა მიერ ქალაქსა შირაზს“.

ძეგლს მიაკვლია და სათანადო გამოკვლევით გამოაქვეყნა ტრიფონ რუხაძემ. მანვე გაარკვია გრიგოლის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი საკითხებიც. გრიგოლი დაეით გარეჯის უდაბნოს დოდოს მონასტრის მკვიდრი იყო და მოღვაწეობდა XVII ს. გასულსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში<sup>7</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ გრიგოლი არ იყო მარტო ჰაგიოგრაფი, მას კალამი პოეზიაშიც უყვია. მაგრამ გრიგოლ დოდორქელის ჰიმნოგრაფიული შემკვიდრეობა არც არასოდეს გამოქვეყნებულა<sup>8</sup> მთლიანად და არც საფუძვლიანად შესწავლილა. ორიოდ ფრაზა მიუძღვნა ამ საკითხს ტრ. რუხაძემ ზემოდასახელებულ წერილში: „გრიგოლ ხუცესმონაზონის ლიტერატურული შემკვიდრეობა მარტო დასახელებული შრომით არ ამოიწურება. იგი იყო აგრეთვე ჩინებული ჰიმნოგრაფი, მას დაუწერია აკოლოთია ორ ნაწილად იმავე ქეთევანზე. აკოლოთია წამძღვარებული აქვს ქეთევან დედოფლის ცხოვრება-წამების მომთხრობ თითქმის ყველა ნუსხას. ავტორი დამოწმებულია სათაურშივე და აკროსტიხში“<sup>9</sup>. ტრ. რუხაძის ეს ზოგადი დებულება გადავიდა აკად. კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში<sup>10</sup>.

ქართული ეკლესია ქეთევანის ხსენებას 13 სექტემბერს დღესასწაულობს, მაგრამ საქმის ვითარება თავიდანვე მთლად ასე არ ყოფილა. ანტონ კათალიკოსი, რომელმაც მთელი რიგი ლიტურგიული რეფორმები ჩაატარა ქართული ეკლესიის კალენდარში, წერს: „ღუაწლი წმიდისა დედოფლისა ქეთევანისი იყო მარტსა 1 დღესა, ვითარმედ აკოლოთია სრული წმიდისა ქეთევანისი ერთ წიგნად ქმნილი მიხილავს მე წიგნის საცავსა შინა დედისა ჩემისასა, რომელიცა მეოთხე იყო ასული შთამომავლობიდან წმიდისა მის დედოფლისა, და წიგნსა მას შინა მარტისა თთვისა პირველსა წერილ-იყო ჰქსენება ღუაწლისა წმიდისა ქეთევანისა, არამედ მპყრობელობასა კახეთს დედის დედისა ჩემისა დედოფლისა ანნასსა, დაღუჭს ეპისკოპოსთა ვიეთმე და მღუდელთა ღუაწლი წმიდისა მის ჰქსენებად სექტემბერსა იზ(13), ვინადგან სიმრავლე არა მცირედა შეკრებების ალავერდს დღესასწაულსა ცხოველმყოფელისა ჟუარისასა სექტემბრისა თთვისა ილ(14), და ვინადგან ნაწილნი წმიდისანი ალავერდს ეკლესიასა შინა მთავარ-მოწამისა გიორგისსა მდებარე არიან, ამისთვის განაწესეს დღესა იზ(13) სექტემბრისასა ერისა ყოვლისა მუნ დასწრებასათჳს“<sup>11</sup>.

<sup>7</sup> ტრ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 229—267. მ. ქავთარია, დაეით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 64—65.

<sup>8</sup> თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ გრიგოლის საგალობლებიდან ზოგიერთ მუხლს, შეტანილს ანტონის მიერ საღვთსაწაულში და გამოქვეყნებულს ამ უკანასკნელთან ერთად.

<sup>9</sup> ტრ. რუხაძე, დასახ. წერილი, გვ. 236.

<sup>10</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1957, გვ. 323. წინა გამოცემებში პლ. იოსელიანის „წყობილსიტყვაობაზე“ დაყრდნობით იგივე ფაქტი ცოტა სხვაგვარად ქონდა გადმოცემული.

<sup>11</sup> კ. კეკელიძე, ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 175—186. ხელნაწერი S—1464, 6r.

ამ ციტატიდან ვგებულობთ: 1. ქეთევან დედოფლის ხსენება იყო 1 მარტს; 2. ქეთევანისადმი განკუთვნილი სრული აკოლუთია ერთ წიგნად ყოფილა შეკრული, რომელიც ანტონს თვით უნახავს. 3. კახეთის დედოფლის ანას დროს ქეთევანის ხსენების დღე 1 მარტი შეუცვლიათ 13 სექტემბრით.

დღემდე მოღწეული ყველა მასალა — ქეთევან დედოფლის წამება გრიგოლ დოდორქელისა, ქეთევანის წამების ორი სვინაქსარული რედაქცია და საგალობლები მთლიანად 13 სექტემბრის ქვეშაა თავმოყრილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ანტონის ცნობა არ შეიძლება იყოს მოგონილი და არა სანდო. ტრ. რუხაძეს მიაჩნია, რომ „გრიგოლ ხუცესმონაზონის აკოლუთიას უნდა გულისხმობდეს ანტონ პირველის ზემოთდასახელებულ ჩვენებაში წარმოდგენილი უცნობი ავტორის „აკოლუთია“<sup>12</sup>. ტრიფ. რუხაძის დებულებას ჩვენ ვერ ვაღიზიანებთ შემდეგი მოსაზრების გამო: 1. თვით ტრ. რუხაძემ გაარკვია და დაასაბუთა, რომ გრიგოლ დოდორქელს თავისი შრომა დაუწერია 1703 წლის შემდგომ, რადგანაც ანტონის ცნობაზე დამყარებით ქეთევანის ხსენების დღე შეცვალა ანა კახეთის დედოფალმა. გრიგოლ ხუცესმონაზონის თხზულებაშიც ქეთევანის ხსენება 13 სექტემბერს ივარაუდება. ქეთევანის ნეშტი გადასვენეს „დიდსა მას ეკლესიასა ალავერდს მთავარ-მოწამისა გიორგისასა, რომელ არს სამარსო ღმრთივცხებულთა მეფეთა კახეთისათა და დაასვენეს ზედა საკურთხეველსა და დღესასწაული შეუნიერი შეუმზადეს მას დღესა სატფურებისასა. რომელ ქმნა სოლომონ ტაძრისა მის მისგან აღშენებულისა, რომელი აღესრულების წინადლით ჟუართ-აპყრობისასა, რამეთუ დღესა მას აღსრულებულ იყო წმიდა იგი მოწამე ქრისტესი“. ჟუართ-აპყრობის დღესასწაულია 14 სექტემბერს, ხოლო წინა დღე კი გულისხმობს 13 სექტემბერს<sup>13</sup>.

2. ქეთევან დედოფლის წამების სვინაქსარული საკითხავის პირველი რედაქცია, რომელსაც გრიგოლს მიაწერენ, და მისივე აკროსტიქული საგალობელი, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება სპეციალური მსჯელობა, გავალისწინებელია 13 სექტემბრისათვის. მაშასადამე, არ შეიძლება ანტონის ცნობაში გრიგოლ დოდორქელის „აკოლუთია“ იგულისხმებოდეს, ისიც რატომღაც ორ ნაწილად შედგენილი.

მაშ, რას უნდა გულისხმობდეს ანტონის ცნობა? სანამ ამ კითხვას ეუბასუხებდეთ, საჭიროა გაირკვეს — თუ რას წარმოადგენს გრიგოლის საბელით მოღწეული საგალობლები.

ხელნაწერებში გრიგოლს მიეწერება ორი კანონი<sup>14</sup> და სტიქარონები, რომ-

<sup>12</sup> ტრ. რუხაძე, დასახ. წერილი, გვ. 235.

<sup>13</sup> სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ხდებოდა, რომ ქეთევანის ხსენება დაწესებულის წინადღეს ყოფილიყო. ანტონ I საღვთისმშობლისაში შენიშნავს: „უკეთუ დაემთხვოს ქსენება წმიდისა მოწამისა ქეთევანისა კვრიაკესა, იგალობების აკოლოტია მისი ყოველივე ამისე თვისა ათერთმეტსა დღესა მწუხრად და ცისკრად და ლიტურლიასა ზედა“. S—145f, 53r. ამასვე იმეორებს I!—973. „უკეთუ დაემთხვოს ქსენება წმიდისა მოწამისა ქეთევანისა კვრიაკესა, იგალობების აკოლოტია მისი ყოველივე ამისე თვისა ათერთმეტსა დღესა“ (64v). აღექსი მესხიშვილის ცნობით, ქეთევანის ნაწილთა გადმოსვენების დღედ შიჩნეული იყო 20 აგვისტო. იგი წერს: „ავგუსტოსა კ მოხუმა ნაწილთა წმიდის დიდებულისა მოწამისა ქართუელთა მნათობისა, დედისა ჩუშნისა, დედოფლისა ქეთონისა ქვეყნის სპარსეთით, ქალაქით შირაზით ქვეყნად კახეთად მოიხუნა ძემან მისმან მორწმუნემან მეფემან თეიმურაზ და დასხნა ალავერდს, ეკლესიასა დიდსა მთავარმოწამისა გიორგისასა, შინაგან წმიდისა საკურთხეველისა ქუეშე, საღმრთოსა ტრაპეზისა. აღესრულების დღესასწაული ამისი საცა მდებარე არს ნაწილი ამისი, გნა ეკლესია ამისი“. A—1093, 709v.

<sup>14</sup> ამის შესახებ მიუთითებს ტრ. რუხაძეც.

ლებიც ჩართულია კანონებში. ერთი კანონი აკროსტიქიანია და კიდურწერლობა იძლევა გრიგოლის სახელს.

გრიგოლ სუცესმონაზონის აკროსტიქიან საგალობელში ფაქტობრივი მონაცემები ქეთევანის წამების შესახებ მაინცდამაინც არ არის, მაგრამ ის, რაც არის, აჩვენებს, რომ საგალობელი დამოკიდებულია ქეთევანის ვრცელ „წამებაზე“ და იეარაუდება, რომ ვრცელი „წამების“ შემდეგაა დაწერილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლს ნებისთ თუ უნებლიეთ საგალობელში აქვს ისეთი ადგილები. რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ წამებიდან მომდინარე ჩანს. ჩვენ არც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ, რომ ავტორმა წამების ტექსტისაგან დამოუკიდებლად გაიმეორა საკუთარი თავი. მით უმეტეს, ავტორი თვით საგალობლის ფარგლებში არ ერიდება გამეორებას. ასეა თუ ისე, შემხვედრ ადგილებს ორივე ნაწარმოებში ვპოულობთ. ამ უკანასკნელთაგან ერთი ჭკუფი ისეთია, რომელიც ფრაზეოლოგიურ სიახლოვეს იჩენს ტექსტთან, ხოლო მეორე ჭკუფი კი მხოლოდ შორეულ სიახლოვეს გულისხმობს. მოგვაქვს ორივე რიგის მაგალითები:

### I. საგალობელი

### „წამება“

„ბრძოლა მძვინვარე აღედგინა მკლავრსა მას, რამცა არა დამარხეს გუამი შენი და ესრეთ უწყალოდ განაჩინეს და გარდაადგეს მფრინველთა შესაჰმელად და ზეგარდამო ნათლითა დაიფარა...“

სისხლსა მას შენსა ქრისტესთვს დათხეულსა, სარწმუნოებით იცხებდეს მორწმუნენი და ძრწოლით შეეხნეს გვამსა შენსა და ცრემლით წარმოიღეს და მოიხუნეს მათ და შენგან ქმნილსა ეკუდარსა მას დამარხნეს...“

„... ხოლო იხილა რამ კრებულმან მის ქალაქისამან... ტიროდეს მწარედ და იცემდეს მკერდსა თვსსა. და ვერ ეის ეძლო აღებად პატიოსნისა გუამისა მისისა შიშისათვს მეფისა. და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი... და მოვიდა ნათელი ბრწყინვალე და ვიდრე განთენებამდე მოფენილ იყო წმიდასა მას ზედა... მოვიდეს [კაცნი] და მოწლედ ჰამბორი უყვეს წმიდასა მას და იცხებდეს სისხლსა მას ქრისტესთვს დათხეულსა და დაფლეს მისგანვე აღშენებულსა მას ეკუდერსა...“

### II. საგალობელი

„იხილენ კაცნი მკეტთა უბოროტესნი მტარვალნი ბილწისა მის შაჰაბაზისნი, რომელნი მოგიტხრობდეს სიტყუათა მისთა და გაწვევდეს შენ ქრისტეს უარყოფად, არამედ არა თავს იღებდ, სანატრელო...“

ლმობიერებაჲ არა გაჩვენეს ბილწთა, ოდეს ცეცხლითა გწვიდეს და დასკრიდეს უწყალოდ კორცთა შენთა, ხოლო შენ სამთა მათ ყრმათაებრ ლაღადებდი და იტყოდი კმითა ბრწყინვალითა...“

ეს ადგილები უშუალო გამოძახილია „წამების“ ტექსტის სხვადასხვა ეპიზოდისა (განსაკუთრებით გვ. 263—265). „წამების“ წიგნში გაცილებით ვრცელადაა მოთხრობილი ქეთევანის პასუხი შაჰის ელჩებისადმი.

არ შეიძლება არ გაიხაზოს ერთი შტრიხი, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს როგორც „წამებას“, ისე საგალობელს.

„წამების“ შესავალში ავტორი გვიამბობს, რომ „მაიძულეს მე კაცთა ვიეთ-მე ღმრთის მოყუარეთა აღწერად საქმისა ამის“, რადგანაც როგორც „ყოველნი წმიდანი ღმრთისანი აღმოსაელისა და დასაელისანი თვსთვსთა ქუეყანათა და სოფელთა ილუაწონ და შემწე და მეოხ არიან მათთვის და ყოველთათვის წინაშე ღმრთისა, არამედ უმეტესად თვსთათვის შუამდგომელ არიან ღმრთისა მიმართ საქმეთა მათთა წარმართებისათვის, ხოლო ჩუენცა... ეგევითარივე სასყიდელი მოვიდოთ მის მიერ, ვითარცა სხუათა მათ, და უფრო დასადცა ილუაწონს ჩუენთვის და ქუეყანათა თვსთათვის...“ ე. ი. მამულის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ღმერთთან შუამდგომლობა იყო ერთ-ერთი წამყვანი მოტივი, რომელმაც ხელი შეუწყო ძეგლის შექმნას. ეგევე შუამდგომლობის იდეა ქარბად ჩანს საგალობელშიც. ავტორი ამისთვის გამეორებასაც კი არ ერიდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. „ითხოვე ჩუენთვის ბრალთა შენდობაჲ, მკნეო, რამეთუ ხარ შენ შუამდგომელი ჩუენი და სასოებაჲ ქსნისა ჩუენისა, რამეთუ გაქვს შენ კაღნიერებაჲ დიდი და მეოხებას ჩუენთვის ნუ დააცადებ...“

2. „გალობაჲ ესე ჩუენი შეიწირე აწ და გვთხოვე ჩუენ მოტეეებაჲ ცოდვითა შუამდგომელი, რამეთუ ხარ ჩუენი შემწე ქირთა მათ და განსაცდელთა მათგან, რომელნი გუბრძვანან უჩინო ჰყვენ იგინი“.

მაშასადამე, ამ ტენდენციითაც ახლო დგას საგალობელი „წამების“ ტექსტთან და ავტორის მსოფლმხედველობით მრწამსს გამოხატავს.

გრიგოლ დოდორქელის აკროსტიქიანი საგალობელი დაწერილია ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციების შესაბამისად. რა თქმა უნდა, ის ელვარება, რაც ქართულ კლასიკურ ჰიმნოგრაფიას აქვს, XVII—XVIII სს. ქართულ ჰიმნოგრაფიას საერთოდ აკლია, კერძოდ, აკლია გრიგოლ დოდორქელის ჰიმნებსაც.

გრიგოლ დოდორქელის აკროსტიქიანი საგალობლის თითოეული ოდა ოთხი ტროპარისაგან, სტროფისაგან შედგება, თითოეული სტროფი კი 60 მარცვლისაგან. მაშასადამე, მარცვალთა რაოდენობის მიხედვით სტროფი, ერთი შეხედვით, შეიძლება იამბიკოდ მიიჩნიო. მაგრამ იგი დაყოფილი არაა 12-მარცვლიან სტრიქონებად და შესაბამისად იამბიკოსათვის დამახასიათებელი და აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტი — სტრიქონება — სტროფს აკლია. არ ხერხდება ლექსის სტრიქონებად (12—12-მარცვლიან) ხელოვნური დატეხვაც, რადგანაც, ერთი მხრივ, ამის შესაძლებლობას არ იძლევა თვით ტექსტი და მეორეც, კიდურწერილობა.

საგალობელი მთლიანად დაწერილია სტროფული აკროსტიქით, ე. ი. ყოველი ახალი სტროფის პირველი ასო კიდურწერილობისაა და მას გარკვეულ მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ იგი ხელნაწერში ყოველთვის გამოყოფილია. მსგავსი ხასიათის აკროსტიქები ქართულ ჰიმნოგრაფიაში საკმაოდ ნეტია, XI საუკუნემდე ხომ ჩვეულებრივია ასეთი აკროსტიქები. ბერძნული ჰიმნოგრაფიის ეს ერთ-ერთი ნიშანიც საუკეთესოდ გადმოიღეს ჯერ კიდევ ძველმა ჰიმნოგრაფებმა და იგი ქართული ჰიმნოგრაფიის ორგანულ ნაწილად აქციეს. XVII—XVIII სს. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ ეს მომენტიც გააცოცხლა და რამ-

დენადმე თავისი კეთილი გავლენა ამ თვალსაზრისით აღორძინების ხანის საერო პოეზიაზეც გააერცვლა. აღორძინების ხანის პოეტებმა არა ერთი და ორი აკროსტიქიანი ლექსი შექმნეს.

მხატვრული თვალსაზრისით საგალობელი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, იგი საგომბობლად ჩამორჩება თვით გრიგოლისვე ჰაგიოგრაფიულ ნაშრომს.

არც ერთი ახალი მხატვრული სახე ან ფრთიანი გამოთქმა-შედარება არ არის საგალობელში; ავტორი იმეორებს ჰიმნოგრაფიაში არსებულ პოეტურ ხერხებსა და სახეებს, ამიტომ საგალობელს აკლია მიმზიდველობა და პოეტური ემსი. ავტორი არც თუ იშვიათად იმეორებს საკუთარ თავს და ამით უფრო აუფერულებს საგალობლის პოეტურ სამკაულს. მაგ.:

**მ<sup>1</sup>ხა, მე-8 ტროპარი**

**კ<sup>1</sup>ხა, I ტროპარი**

„გალობაჲ ესე ჩვენი შეიწირე აწ და გვთხოვე ჩუენ მოტევებაჲ ცოდვათა შუადგომელი...“

„გალობაჲ ეს ჩვენი შეიწირე აწ და გვთხოვე ქრისტესგან აურაცხელთა ბრალთა ჩუენთა შენდობაჲ“.

გრიგოლ ლუკესმონაზონს ჰაგიოგრაფიული კრებულები მიაწერს მეორე საგალობელს და სტიქარონებს. ეს საგალობლებიც ქეთევანის სახელზეა შექმნილი.

ტრ. რუხაძეს შიანია, რომ მეორე საგალობელიც არას გრიგოლ დოდორქელის ნაწარმოები და წარმოადგენს აკოლუთიის მეორე ნაწილს. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ აგებულებით, განწყობილებითა და ფაქტიური მასალით ეს ორი საგალობელი ერთი მეორის მსგავსი უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არაა. მეორე საგალობელი დამოუკიდებელი პოეტური ნაწარმოებია. აგებულების მიხედვითაც ეს ორი საგალობელი ერთიმეორისაგან განსხვავდება. აკროსტიქული საგალობელი შედგება ოთხ-ოთხი ტროპარისაგან, ხოლო მეორე კი სამ-სამი ტროპარისაგან. ამ ორ საგალობელს ისიც განასხვავებს ერთმანეთისაგან, რომ მეორე საგალობელში, როგორც საჭირო და აუცილებელი ნაწილი, ჩართულია ქეთევანის წამების სვინაქსარული საკითხავის პირველი რედაქციის ტექსტი, ხოლო პირველში კი სვინაქსარული ტექსტი არ ათის. ამას თუ იმასაც დაეუნატებთ, რომ საგრძობლად განსხვავდება საგალობლების არქიტექტონიკა და პოეტური ფაქტურა, ნათელი გახდება ჩვენი დებულების სიმართლე<sup>15</sup>. მოგვაქვს საილუსტრაციო მასალა:

**I საგალობელი, უ<sup>1</sup>გბა, სასწაულით**

**II საგალობელი, უ<sup>1</sup>გბა, ეტლთა მეფე**

ცხორებაჲ შენი ყოვლად ბატოსანი გზა გექმნა შენ ზეცისა სუფევასა და სისარულით მკვდრ ხარ სამარადისოდ ნათელსა მას უკუდავსა და ჰხედავ დმრთისა დიდებასა, ნეტარო დედოფალო.

შენ, სამებაო წმიდაო, რომელი მოსცემ ყოველთა უწესთაესა სიბრძნეს, შენ მომეც გონებაჲ მხილველი, რათა ღირსად შევამკობდე დედოფალსა წმიდასა და მოწამესა ქეთევანს, დიდებით დიდებულსა და დმერთსა გიგალობთ.

<sup>15</sup> გამოჩალიკის წარმოადგენს ალექსი მესხიშვილის სადღესასწაულო, A—1093, ამ ხელნაწერში მეორე საგალობელი სრულებით არ არის, არას ზოლოდ აკროსტიქიანი საგალობელი ავტორის მითითების გარეშე. მცირე ზომის საგალობლები, რაც ჩვეულებრივია მეორე საგალობელში, ალექსი მესხიშვილთან გადატანილია პირველში, ე. ი. აკროსტიქში.

ოხა შეწირე ჩუენთვს წინაშე ღმრთისა, რამეთუ გაქუს კაღნიერებაჲ მისსა მიმართ სატანჯველთათვს, რომელ მისთვს თავს ისხენ, ახოვანო ქეთევან, და ცეცხლი და მახვლი არად ზარ გცემდა, სანატრელო.

დაუთმენელნი სატანჯველნი თავს ისხენ სიყუარულითა ქრისტეს მეუფისათა დედათა შორის, სანატრელო წმიდაო ქეთევან, და მოიგე მოსაგებელად განხრწნადთა წილ უხრწნელი.

ვითარცა გაქუს, შენ კაღნიერებაჲ ღიღი, დედაო ქრისტეს მკსნელისა ჩუენისაო, მას ვედრე აწ, რათა სახიერ გვექნეს მადიდებელთა შენთა, რომელნი ესე მოგიგებთ შემწედ და სასოოდ და მფარველად“.

უზეშთაეს მოღვაწეთა მათ დედათა ღუაწლით შემოსილსა, უახოვნეს გამოსჩნდი, ყოვლად სანატრელო ქეთაონ, და დასთრგუნე ფერკითა შენითა მოქადულობაჲ მძლავრისა და უსიტყუშლ ჰყვენ სიბრძნისა სიტყუთა შენითა და ღმერთსა უგალობდე.

შენ ნათლისა მის მშობელო, და ქუეყნისა ზეცისათა შემაერთებელო ქალწულო ღმრთისმშობელო, რომელნი სურვილით გიგალობთ, და გვიცვენ მოსაენი შენნი აგარიანთა მათგან მძვინეარეთა, მეოხებითა მოწამისა შენისა, დედოფლოსა შენისა ქეთაონისითა“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ საგალობლები ერთმანეთზე დამოკიდებულნი არ არიან, არამედ ორივენი თავისთავადი, დამოუკიდებელი ჰიმნია, რომელთაგან ერთი განკუთვნილია „ღამისთევად“, ხოლო მეორე „შუალამისად“<sup>16</sup>.

სანამ ჩვენ ამ საგალობელზე მსჯელობას ვავაგრძელებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ქეთევანის განგების შედგენილობა, როგორც ის ჰაგიოგრაფიულ კრებულებშია წარმოდგენილი.

(მცირე ზომის საგალობლები)

1. ა. „ბრწყინვალედ შუშნი, რამეთუ არს ღღეს ქსენებაჲ...“  
ბ. „დედოფალსა მას ქეთევანს მკურვალედ შეურდეთ...“  
გ. „ქალაქსა მას ზეცისასა მკვდრობით იხარებს...“
2. ა. „ყოველი სასოებაჲ შენი დასდევ ცათა შინა საუნჯედ...“  
ბ. „ვითარცა რაჲ მთიები აღმოსაველით აღმოცდეს...“  
გ. „რომელმან დაითმინენ ქრისტეს სიყუარულით სატანჯველი...“
3. მ კ ნ ე ო ნ ი დ.  
ა. „სურვილითა მით საღმრთოთა მოიწყალე...“  
ბ. „იქვენ განთქმულ ყოველთა მათ უიდეთა...“  
გ. „გამოსჩნდი ყოველთა შორის, ვითარცა მზე...“
4. დ ბ ზ ა. გ ო ი, ს ი ბ რ ძ ნ ე  
ა. „ვითარცა ელვა ბრწყინვალე მოსიეს იგი...“
5. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ნ ი  
ა. „ღღეს ქსენებასა შენსა აღვასრულებთ...“  
ბ. „რავამს გხუტდეს, წმიდაო წმიდათა და უბიწოთა...“
6. დ ი დ ე ბ ა ზ, დ გ ო ი  
ა. „მოვედით ყოველნი მორწმუნენი და მოსწრაფედ შემოვკრბეთ...“
7. ო ხ ი თ ა კ ო ზ დ გ ო ი  
ა. „მოწყულმან სურვილითა საღმრთოთა...“

8. წარდგომაჲ დ  
 ა. „სიჩოთგანვე განმსდიდრდი სათნოებითა...“  
 ბ. „იქჳენ შენ, ვითარცა ოქრო ბრძმედისა მიერ...“
9. სხუაჲ ა  
 ა. „იხილა რაჲ სამსჯავრო საშიხელი...“  
 ბ. „ძირისაგან სამეუფოსა აღმოკედ, ყოელად ნეტარო...“
10. აკროსტიქიანი I საგალობელი, ზოდისაგან შემდგარი
11. მეორე საგალობელი, რომელშიც ღჳა შემდეგ არის იბაკოჲ გ  
 ა. ითვსებს თვსსა და შეიტკობს მისთვის  
 ბ. სხუაჲ იბაკოჲ გ  
 „რიტორებ-სპარსთა მიმართ განწყობილი...“  
 გ. იკოსი  
 „მალლით მიმღებელი ნიქთა და ნიშთა...“  
 (შემდეგ მოდის კანონის შემდეგი ნაწილები: კჳა, აჳა, აჳა, შემდეგ კი)
12. გამოავლინე  
 ა. „რომელმან შეამკევ სოფელი...“  
 (შემდეგ აჳა)
13. დიდებაჲ ბ  
 ა. „დღესა დედოფალი წმიდაჲ...“

ასეთია ქეთევანის საგალობელთა თანმიმდევრობა ძირითადად ჰაგიოგრაფიული კრებულების მიხედვით. მაგრამ ყოველთვის ე. წ. ტრადიციული რედაქციის სადღესასწაულოებიც კი არ იზიარებენ ამ თანმიმდევრობას. ასევე არაა ხელნაწერებში განსაზღვრული სტიქარონთა ადგილი და თანმიმდევრობა.

XVII—XVIII სს. ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპი კრებულებისა, რომლებიც სადღესასწაულოს სახელითაა ჩვენში ცნობილი. თუმცაღა ამ წიგნის ისტორია თავისთავად უფრო ადრე იწყება. სადღესასწაულო ეს არის ყოველდღიურ ლიტურგიკულ განგებათა კრებულა, ამიტომ მასში ჰიმნოგრაფიული მასალა როგორც აუცილებელი ელემენტი მთელი სისრულით არის ხოლმე წარმოდგენილი.

XVII—XVIII სს. ქართული სადღესასწაულოების რამდენიმე რედაქცია გამოიყოფა<sup>17</sup> (ძველზე ამჯერად არაფერს ვამბობთ), რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტონ კათალიკოსისა. ანტონის სახელს ორი რედაქცია უკავშირდება: პირველი, რომელიც ასახავს ანტონის მუშაობას ე. წ. ტრადიციულ რედაქციებზე. (ხელნაწერი A—151) და მეორე. რომელიც რუსეთში მოღვაწეობის დროს დაამუშავა მან (ხელნაწერი S—1464), A—151 ხელნაწერის მასალა S—1464-ის მასალებისაგან საგრძნობლად განსხვავდება, რაც გამოწვეულია მათი შედგენის პრინციპების განსხვავებულობით. A—151-თვის აღებულია ძველად სხვათა მიერ თარგმნილი თუ შეთხზული საგალობლები და დალაგებულია გარკვეული გეგმით, ხოლო S—1464-ის მასალის დიდი ნაწილი კი თარგმნილია ანტონის მიერ; ქართველ მოღვაწეთა განგებანიც შედგენილია ანტონის მიერ, სადაც, ცხადია, ძველი მასალაც არის გამოყენებული.

ქეთევან დედოფლის განგება ყველა ტიპის სადღესასწაულოშია შეტანილი, მაგრამ არც სტიქარონების თანმიმდევრობაში და არც მეორე საგალობლიან

17 შლრ. მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 100—109.

შედგენილობაში (მეორე საგალობელში ჩართულია სტიქარონები) ერთგვარობა არ არსებობს. ერთნაირი სურათი არც ერთი რედაქციის სადღესასწაულოთა ნუსხებშიც არაა დაცული.

შემდგენელ-რედაქტორთა ასეთი თავისუფალი დამოკიდებულება მცირე ზომის საგალობელთა და მეორე საგალობლის მიმართ შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ყველა ამ საგალობელს როგორც მცირეს, ისე კანონებს ხელნაწერები მიაწერენ გრიგოლ ხუცესმონაზონს. მაგრამ მასალის სათანადო შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ხელნაწერების ტრადიცია, დაბეჭდვითი მინიშნება გრიგოლ ხუცესმონაზონზე როგორც მთელი განგების ავტორზე, არ დადასტურდა. მეორე საგალობელში, როგორც ძირითადი ნაწილი, არის იბაკო, მოგვაქვს ტექსტი მთლიანად:

„ითვსებს თვსს და შეიტკობს მისთვს მოწყლულსა,  
ზეცათა დედოფალი ქუჭყნიერსა დედოფალსა. ასული  
დავითისი, ყოვლად უხრწნელი მარიამ, სანატრელსა  
ქეთევანს, დავითის ტომით აღმოსრულსა, რომელმან  
საქმით აჩუჭნა თვსობაჲ მისი და აწ გვრგვნითა  
შემკული წინაშე მისსა იღუაწის ჩუენ ყოველთათვს“.

ხელნაწერები ამ იბაკოს გრიგოლს მიაწერს, მაგრამ გამოირკვა, რომ იბაკოს ავტორია ცნობილი მეივავესა და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ძმა ნიკოლოზ თბილელი. ამ უკანასკნელის ავტორობას ადასტურებს ანტონ პირველი<sup>18</sup>. ალექსი მესხიშვილი<sup>19</sup>, მოსკოვში 1866 წ. დაბეჭდილი სადღესასწაულო და სხვ. ანტონი და სხვები პირდაპირ წერენ: „ნიკოლოზ ტფილელისა“, რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს ეს, ფაქტი ფაქტად რჩება. მაშასადამე, მხოლოდ ეს მაგალითიც საკმარისია ვთქვათ, რომ პავლიო-გრაფიული კრებულების მითითება მხოლოდ გრიგოლას ავტორობაზე არ არის მთლად სანდო და სარწმუნო. ამის შემდეგ, ჩეენი აზრით, არ ჩავიღუნთ დიდ მკრეხელობას, თუ ექვის თვალით შევხედავთ ხელნაწერთა ტრადიციას. ექვისათვის კი საფუძველი არსებობს.

განსაკუთრებით საინტერესოა ანტონ პირველის ცნობების გათვალისწინება. როგორც ცნობილია, ანტონ პირველმა ხელახლა შეადგინა ქეთევან დედოფლის განგება და იგი შეიტანა თავის სადღესასწაულოში, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ბეჭდურ გამოცემებს. ზოგიერთი რამ ანტონმა იველი ავტორებისაც აიღო და გამოიყენა, მაგრამ ყველგან მიუთითა ავტორი. ეს ანტონის მუშაობის ღამახასიათებელი თვისებაა. იგი სხვაგანაც, სხვა ხასიათის სამუშაოებშიც. ყოველთვის აკურატულად უთითებს წინა თაობის ავტორებზე თუ წყაროებზე. ამ მხრივ იგი ძველ ავტორთა შორის სანიმუშოა. სწორედ ანტონის ამ მეთოდის წყალობით მოხერხდა ბესარიონ ორბელიშვილისა და სხვათა ლიტერატურული მემკვიდრეობის აღდგენა და შესწავლა<sup>20</sup>. ამიტომ ანტონის ცნობა ყოველთვის ყურადსაღები და ანგარიშგასაწევეია.

ანტონი თავის სადღესასწაულოში იმომშებს გრიგოლ დოდორქელსაც. ან-

<sup>18</sup> ხელნაწერი S—1464.

<sup>19</sup> ხელნაწერი II—983.

<sup>20</sup> მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაპზე, ტ. I, 1959, გვ. 75—113.

ტოხის ცნობით, გრიგოლს ეკუთვნის შემდეგი სტიქარონები<sup>21</sup>: 1. „ბრწყინვალედ შეუნიერ...“ (ჩვენი ნუმერაციით 1 ა, ბ, გ), 2. „მალღობ მომღებელი ნიქთა და ნიშთა...“ (მეორე საგალობელში ჩართული იკოსი, ჩვენი ნუმერაციით 11), 3. „მოველით ყოველნი მორწმუნენი...“ (ჩვენი ნუმერაციით 6 ა).

ანტონს დამოწმებული აქვს კიდევ ორი სტიქარონი იმ მასალიდან, რომელიც გრიგოლს მიეწერება. ესენია: 1. „მოწყულს სურვილითა საღმრთოთა...“ (ჩვენი ნუმერაციით 7 ა) და 2. „იქმენ შენ ვითარცა ოქრო...“ (ჩვენი ნუმერაციით 8 ბ, ე. ი. წარდგომანის მე-2 სტროფი). მაგრამ ანტონი მათი ავტორის შესახებ არაფერს ამბობს. ორივე გალობა საკუთარ კანონში აქვს ჩართული, მაგრამ გამოყოფილად.

ანტონი რომ დარწმუნებული ყოფილიყო ამ გალობების გრიგოლ ხუცესმონაზონის კუთვნილებაში, იგი ისევე აღნიშნავდა მის ავტორს, როგორც წინა შემთხვევაში. მაშასადამე, ეს გალობები, ანტონის აზრით, არ ეკუთვნის გრიგოლ დოდორქელს და ამიტომ ჩართო სწორედ ავტორის მიუთითებლად თავის საგალობელში. თუ ანტონის პოზიციებიდან ამოვალთ, ანტონს კი აუცილებლად ჰქონდა ჩვენზე მეტი ცნობები, სტიქარონების გარკვეული ნაწილი გრიგოლ ხუცესმონაზონის საკუთრებად აღარ გამოცხადდება.

მივადექით საკითხს, ეკუთვნის თუ არა მეორე საგალობელი გრიგოლ დოდორქელს? ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ამას გვიკარნახებს მეორე საგალობლის ზოგი მონაცემი.

საგალობლის მეორე ოდაში, განძლიერდითსაში, ვკითხულობთ:

„გამოსჩნდი, ყოვლად ქებულო, ახალ მოწამედ

და განაშუქნე ქართველთა ერი და ძე შენი,  
მეფე მხიარულ ჰყავ, რამეთუ სარწმუნოებით  
მოელის იგი შენ მიერ დაცვასა სამეუფოსა  
თვისისასა,

ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ ღმრთისა მიმართ“.

ამ სტიქარონების დაწერის დროს ქეთევანის ძე — მეფე თეიმურაზი ცოცხლად ივარაუდება და იგი, ე. ი. თეიმურაზი, დედის, უკვე წმინდანის, მეშვეობით მოელის „დაცვასა სამეუფოსა თვისისასა“ „აგარიანთა მათგან მძვნეარეთა“, როგორც სხვა ადგილას წერს.

არც ერთი ხელნაწერი ამ ადგილის არსებითი ხასიათის ვარიანტს არ იძლევა (მხოლოდ ორთოგრაფიაშია ვარიანტები). სტიქარონებიდან გამომდინარე კი თეიმურაზი ცოცხლად და აქტიურ მეფედ ჩანს. თეიმურაზ I გარდაიცვალა შორეულ ასტრახადს, 1563 წელს. მაშასადამე, ციტირებული სტიქარონები სულ დიდი XVII ს. 60-იან წლებამდეა დაწერილი. გრიგოლ დოდორქელი კი მოღვაწეობდა XVII ს. გასულსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში<sup>22</sup>. და რაღა თქმა უნდა. იგი ვერ დაწერდა სტიქარონებს თეიმურაზ მეფის სურვილების შესახებ, მის დროს თეიმურაზი 40—50 წლის გარდაცვლილი იყო.

ანალოგიური სიტუაციები არის გრიგოლ დოდორქელის „წამებაშიც“ და აკროსტიქიან საგალობელშიც, მაგრამ იგი ისეა გაკეთებული, როგორც გრიგოლ დოდორქელის დროს შეიძლება. გრიგოლი წერს ისე, როგორც შეეძ-

<sup>21</sup> ანტონი არაფერს ამბობს გრიგოლის აკროსტიქელ საგალობელზე. რაღვანაც მის გეგმაში არ შედიოდა სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა. იგი ავტორებს უთითებს მხოლოდ იმ საგალობლებზე, რომელთაც იყენებს თავის საღმრთოწაულოში.

<sup>22</sup> ტრ. რუხაძე, დასას. წერილი, გვ. 235.

ლოთ დაეწერათ მას და მის თანამედროვეთ. მოგვაქვს სათანადო მაგალითები:

1. ქეთევანი წამების წინ ლოცულობს. ავტორი ამბობს: „ევედრებოდა ქალაქისა თვისსათვს, რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა მიჰმადლოს განთავისუფლება“<sup>23</sup>.

2. აკროსტიქულ საგალობელშიც რამდენჯერმეა ნათქვამი, რომ იყავ შემწე და მეოხე ჩენი, მაგრამ თეიმურაზ I არც ნახსენებია და, მით უმეტეს, არც ცოცხლადაა გამოყვანილი.

„ოდეს ძე ღმრთისა ჰყოფდეს საშინელსა მას განსჯასა ჩუენსა, მაშინ შემწე მეყავნ ჩუენ, რამეთუ გაქვს შენ კადნიერებაჲ დიდი და შემძლებელ ხარ, რათა ოდენიცა გენებოს დაქსნი შემსხმელთა შენთა, ბოროტთაგან...“

„აღვიარებ შენ ყოველთა უპირატეს მოწამეთა შორის, მკნეო დედოფალო, რამეთუ ხარ შენ სასოებაჲ ყოველთა ქართველთა და კახთა სრულიად ერისა და შენდა მომართ დიდებასა შესწირავენ.“

მხურვალე შემწე გვექმენ ჩუენ ჰირთა შინა, რათა განვერნეთ ბრძოლათა მტერისათა, რომელთა ესე ნებაჲს წარწყმედა ჩუენი სრულიად და სცენ და უჩინო ჰყვენ იგინი და შემწე გვექმენ შენთა მადიდებელთა...“

ციტირებულ და მსგავს სტრიქონებში ანაქრონიზმი არაა, თუმცადა მასში ჰარბად ჩქეფს პატრიოტული განწყობა.

მეორე საგალობლის ფრაზა „ძე შენი მეფე მხიარულ ჰყავ, რამეთუ სარწმუნოებით მოელის იგი შენ მიერ დაცვასა სამეუფოსა თვისსასა“ გრიგოლ დოდორქელისათვის ანაქრონიზმია.

მსგავსი გამონათქვამი, რომელშიც ქეთევანის ძე თეიმურაზი ცოცხლად ჩანს. არის სტიქარონში. „დღესა კსენებასა შენსა აღვასრულებთ შემოკრებილნი, მოწამეო და ღმერთსა ვადიდებთ, რომელმან მოგანიჰა შენ ძლევა უძლეველი და მოგვცა მოთმინებაჲ ძლიერი და სიტყვა ბრძენთა მეტყველებისა. ამისათვს შენისა ოვაწლის სიმკნესა ვადიდებთ, დედოფალო, და იცეჲ ძე შენი და მეფე ჩუენი ყოველთა მტრისა საბრქეთაგან“.

ადამიანი, მეფე, რომელსაც მტრისაგან დაცვა ჰქირდება, რა თქმა უნდა, ცოცხალი უნდა იყოს, თეიმურაზი კი ცოცხალი 1663 წლამდეა. მაშასადამე, ვერც ამ სტრიქონებს დაწერდა გრიგოლ დოდორქელი, რადგანაც, ვიმეორებთ, მის დროს თეიმურაზი სულ ცოტა 40—50 წლის გარდაცვლილი იყო.

მეორე, ამავე საგალობელში ქეთევანის წამებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „და შეიღება სისხლითა შენითა ქალაქი იგი იეზდი, რომელთა იკადრეს წმიდათა კორცთა შენთა ურიდად დამქარვა“.

გრიგოლ დოდორქელის ვრცელ თხზულებაში არაერთგზისაა ნათქვამი, რომ ქეთევანი აწამეს ქალაქ შირაზში. ეს ფაქტი დადასტურებულია თვით ძეგლის სათაურშიც კი. შირაზი როგორც ქეთევანის წამების ადგილი დადასტურებულია ქეთევანის წამების სეინაქსარულ საკითხაეში, კერძოდ მეორე რედაქციაში (პირველ რედაქციაში საერთოდ არაა ამის შესახებ ლაპარაკი). შირაზს უჭერს მხარს თეიმურაზ I, არჩილი და თვით გრიგოლ დოდორქელის გაუღენით ვახუშტი და ანტონი. აკროსტიქულ საგალობელში წამების ადგილი მითითებული არაა. მეორე საგალობელი კი წამების ადგილად, როგორც ვნახეთ, ასახელებს ქ. იეზდს. რა თქმა უნდა, შესაძლებელი და დასაშვებია ერთი ავტორის მიერ შედგენილ ორ ნაწარმოებს შორის ზოგიერთი ფაქტის სხვადასხვანაირად წარმოდგენა, განსხვავებულ სიტუაციებში დახატვა,

<sup>23</sup> იქვე, გვ. 265.

მაგრამ სავსებით წარპოუდგენელია და გაუგებარი თითქმის ერთდროულად შექმნილ თხზულებებში ავტორმა ერთიმეორის საწინააღმდეგო და ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობები შეიტანოს. ამიტომ, მეორე საგალობლის ცნობა არ შეიძლება გრიგოლს ეკუთვნოდეს; ეს ფაქტი გრიგოლ დოდორქელის ავტორობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

როგორც ვხედავთ, მეორე საგალობელი, მასში ჩართული მცირე გალობებით, და აკროსტიქიანი საგალობლის წინ მდებარე რამდენიმე, აგრეთვე, მცირე ზომის გალობა გრიგოლ დოდორქელის კალამს ვერ მიეწერება, არამედ სხვა ავტორთა შემოქმედების ნაყოფია. როგორც ჩანს, როდესაც მარტი შეცვალეს სექტემბრით, როგორც ქეთევანის ხსენების დღედ, გრიგოლმა შეადგინა ქეთევანის აკოლუთია, დაწერა საკუთარი აკროსტიქიანი ჰიმნოგრაფიული კანონი, რამდენიმე მცირე ზომის საგალობელი და ამავე დროს აკოლუთიის ძირითად ნაწილად გამოიყენა ძველი საგალობლები (ასე მოიქცა ანტონ პირველი თავისი სადღესასწაულოს შედგენისას). ამ შემდგენელ-რედაქტორული საქმიანობისათვის მიაწერა ხელნაწერებმა, ჰაგიოგრაფიულმა კრებულებმა, გრიგოლს ქეთევანის ყველა საგალობელი.

ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს საგალობლები, რომლებიც, როგორც გაირკვა, გრიგოლის საკუთრება აღარ გამოდგა?

ანტონი თავის „მარტირიკაში“, როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ, წერს, რომ ქეთევანის წამება „ვკგონებ ვითარმედ პირველად აღწერა ვინმე თანამედროემან წმიდისამან“.

ვინ იყო ეს თანამედროვე ან რა ფორმით აღწერა ქეთევანის წამება, არსაიდან არ ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილული მეორე საგალობელი არის სწორედ ის შრომა, რომელსაც ანტონი გულისხმობს თავის ცნობაში. ჩვენი ვარაუდისათვის ჩვენ ამოვდივართ გრიგოლ დოდორქელის თხზულების შემდეგი ადგილიდან: „ხოლო ჩუენცა, რომელნი ესე წლითი-წლად შესხმით და ქებით საგალობელსა და დღესასწაულსა შუენიერსა შეუმზადებთ კეთილად მძლესა და ყოვლად სანატრელსა დედოფალსა...“<sup>24</sup>

გრიგოლი პირდაპირ აცხადებს, რომ წლების განმავლობაში ქეთევან დედოფლის მშვენიერ დღესასწაულს შესხმით, ქებით და საგალობელით გადავიხდითო. თუ კი დავუშევრებთ, რომ გრიგოლ ხუცესმონაზონამდე არ არსებობდა ქეთევანის საგალობელი, მაშინ როგორღა გავიგოთ იმავე გრიგოლის სიტყვები? მაშასადამე, ციტირებული სტრიქონებიდან ივარაუდება, რომ გრიგოლ ხუცესმონაზონის საგალობელამდე არსებობდა ქეთევანის საგალობელი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ქეთევან დედოფლის თანამედროვეს ეკუთვნის.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია გრიგოლის სახელით მოღწეული საგალობლებიდან გამოვყოთ გრიგოლის კუთვნილი ჰიმნები. ესენია: 1. აკროსტიქიანი საგალობელი; 2. მცირე ზომის საგალობლები: ა. „ბრწყინვალედ შუჭნი...“ (სამივე სტროფი), ბ. „მოვლით ყოველნი მორწმუნენი...“ (დ<sup>ბ</sup>მ დ გ<sup>ი</sup>). გ. იკოსი — „მალლით მომღებელი ნიქთა...“ ეს საგალობელი ჩართულია მეორე — ძველ საგალობელში.

<sup>24</sup> ანტონის მეორე ცნობიდანაც უნდა ვიფიქროთ, რომ უნდა იგულისხმებოდეს ჰიმნოგრაფიული ძეგლი. აკოლოტია. იგი წერს: „ვითარმედ აკოლოტია სრული წმიდისა ქეთევანისა დედოფლისა ერთ წიგნად მიხილავს მე...“. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 183.

## მერი შინჯიაშვილი

ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ ქართული  
თარგმანები და რედაქციები

ათანასი ალექსანდრიელის შრომა „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა: მამისა ჩუენისა და წინამძღურისა უდაბნოესა მყოფთაჲსა დიდისა ანტონისი“ ქართულად დაუცავს რვა ხელნაწერს<sup>1</sup>. ესენია: A19,—79,—129,—689<sup>2</sup>,—1109<sup>3</sup>, ქუთ. N147, გელათ. 13<sup>4</sup> და Add 11281 (2764)<sup>5</sup>. ამ ნუსხების ერთმანეთთან და ბერძნულ დედანთან შედარებამ გამოავლინა რედაქციათა სამი ჯგუფი: **ტ** რედაქცია წარმოდგენილია ერთი A ნუსხით (Rt. XVI<sub>1</sub>), **ჟ** კი B შედარებით ვრცელი (A1109) და C მოკლე (A19) ნუსხებით. **ღ** რედაქცია წარმოდგენილია D (A79), E (გელათ. 13), F (ქუთ. N147) სრული და G (A129) და H (A689) ნაკლები ხელნაწერებით.

ამ სამი რედაქციიდან ორი — **ტ** და **ღ** ვრცელია და სრული. ტექსტობრივ-შინაარსობრივად ისინი თავიდან ბოლომდე მიჰყვებიან ერთიმეორესაც და ბერძნულ დედანსაც. **ჟ** რედაქცია კი მათთან შედარებით მოკლეა: B ნუსხაში დედნისა და შესაბამისად **ტ** და **ღ** რედაქციების მხოლოდ პირველი და მესამე ნაწილებია წარმოდგენილი. C-ში კი — მხოლოდ პირველი.

**ტ**, **ჟ** და **ღ** რედაქციათა მიმართებისათვის ბერძნულ დედანთან. „ანტონის ცხოვრების“ ქართული თარგმანების სამივე რედაქცია შეეუდარეთ აბატ მინის მიერ 1857 წელს პარიზში გამოცემულ ცხოვრების ბერძნულ ტექსტს<sup>6</sup>. აღმოჩნდა, რომ ცხოვრების ქართული **ტ** და **ღ** რედაქციები თავიდან ბოლომდე იმეორებენ ბერძნული დედნის შინაარსს, ე. ი. დედანსა და ქართულ **ტ** და **ღ** რედაქციების ტექსტებს შორის ტექსტობრივ-შინაარსობრივად სრული შესაბამისობაა.

<sup>1</sup> ამთგან პირველი ხუთი დატულია თბილისში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, მომდევნო ორი — ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, უკანასკნელი ხელნაწერი კი დატულია ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმის ო. უორდროპისეულ ქართულ ხელნაწერთა ფონდში Addit. 11281 (2764) ნომრით. მისი როტოპირი ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შიფრით: Rt. XVI<sub>1</sub>.

<sup>2</sup> Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, Тифлис, 1903, გვ. 12—20, 76—79, 137—139, 164—168.

<sup>3</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბილისი, 1954, გვ. 93—101.

<sup>4</sup> ე. ნიკოლაძე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბილისი, 1953, გვ. 66—68, 301.

<sup>5</sup> ა. ხახანაშვილი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები: მოამბე, VIII, ტფილისი 1905, გვ. 1—20; A Catalogue of Georgian manuscripts in the British Museum by J. Oliver Wardrop, M. A., London, 1913, გვ. 397—405; კ. კეკელიძე, ეტრულები... ტ. VII, თბ., 1961, გვ. 108—109.

<sup>6</sup> Patologiae ursus completus. ed. J.—P. Migne, Series graeca, t. XXVI, Paris, 1857, გვ. 823—976.

სხვაგვარი მიმართებაა დედანსა და **ჲ** რედაქციის ტექსტს შორის: ძალიან ხშირად **ჲ** რედაქცია განსხვავდება დედნისაგან და, შესაბამისად, **ჯ** და **ღ** რედაქციებისაგან შინაარსითაც და ტექსტის შპრივაც. **ჲ** რედაქციის ამ თავისებურებათა ახსნას იძლევა „ანტონის ცხოვრების“ ვრცელი **ჯ** რედაქცია, ამიტომ, ერთი მხრივ, **ჲ** რედაქციისა და ბერძნული დედნის და, მეორე მხრივ, **ჯ** და **ჲ** რედაქციათა ურთიერთმიმართებებს ერთდროულად დაეადგენთ მომდევნო თავში.

**ჯ**, **ჲ** და **ღ** რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის. „ანტონის ცხოვრების“ ქართული თარგმანების ერთიმეორის პარალელურად წარმოდგენილი სამივე რედაქციის ტექსტის ერთი გადაკითხვისთანავე ცხადი ხდება, რომ მათ შორის სხვადასხვაგვარი მიმართებაა.

ორთოგრაფიულ-ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-მასალობრივი თავისებურებების მიხედვით ცალკე დგას **ღ** რედაქცია: მისი ყოველი თავის. მონაკვეთის, წინადადებისა თუ ფრაზის შედარებაც კი **ჯ**-სთან ან **ჲ**-სთან ააშკარავებს, რომ საქმე გვაქვს „ანტონის ცხოვრების“ **ჯ** და **ჲ** რედაქციათაგან განსხვავებულ თარგმანთან. ეს რედაქცია „ანტონის ცხოვრების“ მეტაფრასადაა მიჩნეული და ექვთიმე ათონელისეულ თარგმანად<sup>7</sup> ითვლება. ენობრივი თავისებურებებით, სინტაქსურ-სტილისტიკური წყობით ის წმიდა ელინოფილური სკოლიდან გამოსული თარგმანის ნიმუშს წარმოადგენს.

**ჯ** და **ჲ** ნუსხათა ჯგუფებს შორისაც რედაქციული მიმართებაა, მაგრამ არა იმ სახისა, როგორც **ჯ** და **ღ**, ან **ჲ** და **ღ** რედაქციებს შორის. A და B ხელნაწერების შედარება ცხადყოფს, რომ მათ შორის რთული რედაქციული დამოკიდებულებაა: ერთი მხრივ, აშკარაა მათი მსგავსება და, მეორე მხრივ, თვალში საიმიამათ შორის სხვაობაც. კერძოდ, **ჯ** და **ჲ** რედაქციების, ან A და B ხელნაწერების<sup>8</sup> ტექსტების უმეტესი ნაწილი ერთგვარაა როგორც შინაარსობრივად, იაე გრაძატიკულ-სტილისტიკურად და ფრაზეოლოგიურ-ლექსიკურად, მაგრამ მათ შორის ტექსტობრივ-შინაარსობრივი თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათის სხვაობებიცაა.

თანაფარდობა ამ ერთგვარ და განსხვავებულ კონტექსტთა შორის ასეთია: **ჯ** და **ჲ** რედაქციათა, ან A და B ნუსხათა ტექსტებს შორის სხვაობა მაქსიმალურია ცხოვრების დასაწყისში, ბოლოსკენ თანდათან მცირდება და მინიმუმამდე დადის ტექსტების დასასრულს.

როგორც მივეუთითეთ, **ჯ** და **ღ** რედაქციებსა და დედანს შორის არაა შინაარსობრივ ტექსტუალური სხვაობა, **ჲ** კი, პირიქით, ძალიან ხშირად შორდება დედნისა და, შესაბამისად, **ჯ** და **ღ** რედაქციათა შინაარსს. აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: შინაარსით **ჲ** ყოველთვის ახლოს დგას **ჯ**-სთან და, შესაბამისად, დედანთან მაშინ, როცა იგივეობრივია **ჯ**-სა და **ჲ**-ს ტექსტები

<sup>7</sup> გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესა“, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა აკ. შანიძემ, თბილისი, 1946, გვ. 30; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 208; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 15; ცხოვრება ეფთჳმი მთაწმიდელისაჲ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები, თბილისი, 1968, გვ. 343.

<sup>8</sup> რადგან **ჯ** და **ჲ** რედაქციები თითო სრული ხელნაწერითაა წარმოდგენილი, ამიტომ **ჯ** და **ჲ** რედაქციებსა და A და B ხელნაწერებს თანაბარი მნიშვნელობით ვხმარობთ.

ფრაზეოლოგიურად და გრამატიკულ-სტილისტიკურად, ე. ი. როცა **Σ**-სა და **Ϛ**-ს შორის სხვაობა ასე თუ ისე თავსდება ვარიანტულ სხვაობათა ფარგლებში. **Σ** და **Ϛ**-ს შორის სხვაობა საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა უმრავლეს შემთხვევაში მაშინ, როცა **Σ** და **Ϛ**-ს ტექსტები განსხვავებულია ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურადაც. არის შემთხვევები, როდესაც **Σ** და **Ϛ**-ს ტექსტები ლექსიკურ-მასალობრივად აბსოლუტურად ერთგვარია, მაგრამ წინადადებათა გრამატიკულ-სტილისტიკური სხვაობები გვაძლევს შინაარსობრივად განსხვავებულ ჩვენებებს. ყველა იმ შემთხვევაში, როცა **Σ** და **Ϛ** რედაქციებს შორის ტექსტობრივ-შინაარსობრივი სხვაობაა, **Σ** რედაქცია შინაარსის მიხედვით გვერდში უდგას დედანსა და **Ϛ** რედაქციას, დედნისაგან განსხვავებულ ჩვენებას კი ყოველთვის **Ϛ** იძლევა<sup>9</sup>.

**Σ** და **Ϛ** რედაქციათა ტექსტების უმეტესი ნაწილის (თითქმის სამ მეოთხედზე მეტის) იგივეობრიობა იმთავითვე შეუძლებელს ხდის, რომ **Σ** და **Ϛ** რედაქციები სხვადასხვა თარგმანად ჩავთვალოთ. ასევე, რაკილა **Ϛ**-ს დედნისაგან ტექსტობრივ-შინაარსობრივი სხვაობების ახსნას თვით დედანი ვერ იძლევა და, ამასთან, ძალიან ხშირად **Σ** და **Ϛ**-ს მასალობრივ-ლექსიკურად აბსოლუტურად მსგავსი კონტექსტების გრამატიკულ-სტილისტიკური სხვაობები გვაძლევს შინაარსობრივად საწინააღმდეგო ჩვენებებს, ამიტომ რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ **Σ** და **Ϛ** რედაქციათაგან ერთ-ერთი ქართულ ნიჟარაგზე დაშუშავებულ სახეობად მივიჩნიოთ.

საჭიროა გაირკვეს, **Σ** და **Ϛ** რედაქციათაგან რომელი უფრო ახლოს დგას იმ პირველ თარგმანთან, რომლისგანაც მომდინარეობენ ისინი და რა მიმართებაა **Σ** და **Ϛ** რედაქციათა შორის, ხომ არ შეიძლება დადგინდეს რომელიმე მათგანის პირველადობა?

ის ფაქტი, რომ **Σ** და **Ϛ** რედაქციათა მასალობრივად აბსოლუტურად მსგავსი კონტექსტების შინაარსობრივად განსხვავებული ჩვენებისას (სხვაობა ფორმათა გრამატიკულ-სტილისტიკურ მონაცვლეობებს ემყარება) დედნისგან გადასრას **Ϛ** რედაქცია გვიჩვენებს, ხოლო **Σ** იმეორებს დედნის შინაარსს, ასევე **Ϛ** რედაქციის ტექსტი **Σ**-სი და დედნის თითქმის ნახევარზე ნაკლებია, იმთავითვე სვამს **Σ**-ს პირველადობისა და **Ϛ**-ს მისგან მომდინარეობის საკითხს. მართალია, **Ϛ** რედაქცია მხოლოდ ერთი სრული ხელნაწერთაა წარმოდგენილი. მაგრამ ტექსტის სიმოკლე მექანიკური დაზიანებით ვერ აიხსნება, რადგან B-ში (A1109) ის ადგილი, საიდანაც ორმოცდაცხრა თავია<sup>10</sup> ამოღებული, ხელნაწერის შუა ფურცელზე მოდის. დედნის და, შესაბამისად, **Σ** და **Ϛ** რედაქციათა მეთექვსმეტე-სამოცდამეოთხე თავების დიდ ნაწილში ანტონის ზოგადი ხასიათის მსჯელობაა მონაზონის ქცევის წესების, ეშმაკთან ბრძოლის ხერხების შესახებ და ა. შ. ამდენად, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ B-ს გადამწერმა გამოტოვებული მონაკვეთის ზოგადი ხასიათის გამო არ ჩათვალა საჭიროდ ეს ნაწილი შეეტანა „ცხოვრების“ ტექსტში. მაგრამ გამოტოვებულ თავებში ანტონის თავგადასავლის ძალიან საყურადღებო დეტალებზედაცაა საუბარი. ამდე-

<sup>9</sup> მკარე გამოჩვენების გარდა: აქა-იქ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დედნის ტექსტთან ახლოს **Ϛ** რედაქცია დგას, ხოლო მისგან განსხვავდება **Σ** რედაქცია.

<sup>10</sup> ბერძნულში „ანტონის ცხოვრება“ სულ ოთხმოცდათოთხმეტ თავადაა დაყოფილი, **Ϛ** რედაქციის B ნუსხაში ბერძნულს პირველი-მეთხუთმეტე და სამოცდამეხუთე-ოთხმოცდამეთოთხმეტე თავებია წარმოდგენილი, მეთექვსმეტე-სამოცდამეოთხე თავები კი გამოტოვებულია, C-ში კი დედნის პირველი მექვსმეტე თავია მხოლოდ.

ნად,  $\Psi$  რედაქციის ცხოვრების ტექსტის ამგვარად შემოკლების მიზეზი თვით ტექსტის შინაარსი არ უნდა იყოს.  $\Psi$  რედაქციის C ნუსხაში ხომ სულ არაა წარმოდგენილი B ხელნაწერის მეორე მონაკვეთიც, რომელშიაც ანტონის სი-  
ცოცხლის უკანასკნელ წლებსა და მის გარდაცვალება-დაკრძალვაზეა საუბარი. უდავოა,  $\Psi$  რედაქციის B და C ხელნაწერები გადამწერთა სურვილისამებრ კი არაა მექანიკურად შემოკლებული და შეწყვეტილი, არამედ ის რედაქტორის გარკვეული თვალსაზრისის ნაყოფი ჩანს. საფიქრებელია, დედნის ან  $\Sigma$ -ს შუა (და ბოლო) მონაკვეთი  $\Psi$  რედაქციაში ტექსტის შემოკლების მიზნითაა ამოღებული რედაქტორ-შემკეთებლის მიერ.

$\Psi$  რედაქციის ორივე ნუსხა საკითხავთა კრებულშია წარმოდგენილი. B ნუსხის დასაწყისი ასეთია: „თა იანვარსა ი<sup>12</sup>ზ, კსენებაჲ წმიდისა ანტონისი და ესე საკითხავნი ამსახურნე“. ამ სათაურშივეა განსაზღვრული „ანტონის ცხოვრების“ მოცემული ტექსტის დანიშნულება: B-ცა და C-ც ანტონის მოსახსენებელი დღის — 17 იანვრის — დღესასწაულის საკითხავად ყოფილა განკუთვნილი. ბუნებრივია, მრევლისათვის საკითხავად ვრცელი ტექსტი არ გამოდგებოდა. B და C ნუსხები ან  $\Psi$  რედაქცია საკითხავის (სვინაქსარული) ტიპის ცხოვრებაა<sup>11</sup>, ამ მიზნით შემოკლებული და შესწორებული რედაქტორის მიერ.

ცხოვრების უანრის ნაწარმოებებში ცნობილია წმიდანთა ცხოვრების ვრცელი და მოკლე რედაქციები, რომელთაგან მოკლე რედაქცია წარმოდგენს ვრცელის გამოკრებილ და გასწორებულ სახეობას და დანიშნულია მრევლისათვის საკითხავად.  $\Psi$  რედაქციაც ამგვარი წარმომავლობისა ჩანს.  $\Sigma$  რედაქციის შემოკლების, შესწორების, გადასხვაფერების, ლექსიკური ჩანაცვლების გზით რედაქტორ-შემკეთებელს შეუქმნია „ანტონის ცხოვრების“ ახალი, სვინაქსარული ტიპის მოკლე რედაქცია.  $\Psi$  რედაქციის ტექსტის შინაარსობრივი, გრამატიკულ-სტილისტიკური ანალიზი, მისი შედარება  $\Sigma$ -სთან აელენს რედაქტორ-შემკეთებლის მუშაობის კვალს.

საკითხის ნათელსაყოფად შევუდაროთ ერთიმეორეს  $\Sigma$  და  $\Psi$  რედაქციების ორივე — საერთო და განსხვავებული — ფენა.

$\Sigma$  და  $\Psi$  რედაქციების საერთო ფენების დახასიათება. როდესაც ვმსჯელობთ საერთო (იგივეობრივ, იდენტურ) ფენებზე, მხედველობაში გვაქვს  $\Sigma$  და  $\Psi$  რედაქციათა ისეთი კონტექსტები, რომელთა შორის სხვაობა ნუსხათა შორის სხვაობების ფარგლებში ასე თუ ისე თავსდება. მსგავსი კონტექსტები ძალიან ბევრია „ცხოვრების“ თავშიცა და ბოლოშიც. მაგალითად:

„ვითარ ამას განიზრახვიდა, შევიდა<sup>12</sup> ეკლესიად და მოემთხვა მას წმიდისა სახარებისა საკითხავი და ესმა უფლისაგან, ვითარ-იგი ეტყვის<sup>13</sup> მდიდარსა მას: უკუეთუ გნებავს<sup>14</sup>, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე ყოველი მონაგები შენი და განუყავ გლახაკთა და მოვედ და შემომიდეგ მე და მოიპოო<sup>15</sup> საფას<sup>16</sup> ცათა შინა. ხოლო<sup>16</sup> ანტონის ვითარცა ღმრთით აქუნდა წმიდათა<sup>17</sup> კსენებაჲ და, რეცათუ მისთვის იყო საკითხავი იგი, გამოუიდა მეყსეულად<sup>18</sup> ეკლესიით<sup>19</sup>...“ (4A, 20rB, 436C).

„და პირსაცა მისა მადლი აქუნდა დიდი. და უფროეს ყოველთა აქუნდა ესე მადლი მაცხოვრისაგან: დაღათუ შორის<sup>20</sup> მრავალთა მონაზონთა არნ და უნებნ ეისმე ამისა<sup>21</sup> ხილვამ, რომელთა-იგი წინამსწარ არა იციედ და, ვითარ მოვიდის, მეყს სხუათა<sup>22</sup> მათ გარე-წარსკდარს და

<sup>11</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, თბ., 1968, გვ. 26, 30—31, 33—34...

<sup>12</sup> შევიდა|+იგი C. <sup>13</sup> ეტყოდა B. <sup>14</sup> გინებს B. <sup>15</sup> მოიპოო| მოილო BC. <sup>16</sup> ხოლო|—BC. <sup>17</sup> წმიდათა| წიგნთა C. <sup>18</sup> მეყს C, —B. <sup>19</sup> ეკლესიათ B. <sup>20</sup> შორს A. <sup>21</sup> მისი B. <sup>22</sup> მეყს სოხუათა B.

მისა მირბინ, რამეთუ პირი მისი მიიზიდაენ მას. არათუ სიმალითა ქასაკისაჲთა, არცა სივრცითა გუამისაჲთა უშუენიერჲს იყო სხუათა, არამედ ჩუეულებითა დაწყნარებითა<sup>23</sup> და სულითა სიწმიდითა<sup>24</sup>, რამეთუ შეუშფოთებელ იყო სულითა და შეუძრწუნებელად ქონდეს გარეშენიცა ცნობანი. და სიხარულითა მით სულისაჲთა მხიარულ არნ<sup>25</sup> პირი მისი. და კორცთაგან ძრვითა საცნაურ იყო და გულისხმის საყოფელ სულისა დაწყნარებაჲ<sup>26</sup>, ვითარცა წერილ არს: „გულისა მხიარულესაჲ<sup>27</sup> პირიცა შუენიერ<sup>28</sup>...“ 84A (27v—28rB).

ზემთ წარმოდგენილი მაგალითების მსგავსად შეიძლება „ცხოვრების“ A და B ხელნაწერების ტექსტების მთელი მონაკვეთები, ხოლო მეორე ნახევარის მთელი თავებიც კი, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ვარიანტული სახით ჩაგვეწერა. ამგვარ შემთხვევებში სხვაობა A და B-ს იდენტურ ტექსტებს შორის ისეთივეა, როგორც ლ რედაქციის B და C ან ლ რედაქციის DEFGH ნუსხებს შორის. კერძოდ, ხშირად A და B ხელნაწერების კონტექსტებს განასხვავებს მხოლოდ:

ა. სიტყვათა რიგი:

ანტონი იცოდეს 11A] იცოდეს ანტონი 36rB. იყო ოქროჲ 21A] ოქროჲ იყო 24vB. ილოცაენ იგი მარადის 6A] ილოცაენ მარადის იგი 20vB.

ბ. სიტყვათა ორთოგრაფიული და ფონეტიკური სახესხვაობანი:

მწუ 10A] მწე 22rB. ზღაპრობთ 90A] ჰზღაპრობთ 30rB. იქმნეს 99A] იქმნეს 32vB. ჩანს 78A] ჩას 26vB. ესმა... კოსტანტინოს 97A] ესმა... კოსტანტინოს 32rB. თავსა თვსა 5A] თავსა თვსა 20rB, 435c. პონ 22A] პონ 26vB.

გ. სიტყვათა მორფოლოგიური სახესხვაობანი — სახელის შეკუმშული და შეუკუმშავი, სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმები:

მონასტრები 24A] მონასტრები 26rB. სარეცლად 12A] სარეცელად 22vB, 439c. ... კარსა 22A] ... კართა 25rB. ხილვად კაცსა მას 86—7A] ხილვად კაცისა მის 28vB. კუალი კაცთაჲ 20A] ... კაცისაჲ 24vB.

ზმნის პირი, რიცხვი, მწკრივი, ზმნისწინიანი და უზმნისწინო, ერთ- და ორპირიანი, ორ- და სამპირიანი, ვნებითის ი და ე პრეფიქსებიანი და ნ და ლ სუფიქსებიანი ფორმები, ორგანული და აღწერითი ფორმები და სხვ.:

მოაწიოთ 15—16A] მოაწიო 23vB. იყო შენ 19A] გყო შენ 24rB. დაგუაეწყდეს 102A] დავიეწყოთ 33vB. შეერაცხა 97A] შექარაცხდა 32rB. ეტყვს 4A] ეტყოდა 20rB. გამოვიდის 8A] გამოვიდა 21rB. უხაროდა 101A] უხარინ 33vB. ძრეაჲ 105A] შეძრკაჲ 34vB. წართქუა 24vB] თქუა 20A. განელო 80—81A] განილო 27rB. იტყოდა 9A] ეტყოდა 21vB. შეეშინა 10A] შეშინდა 22rB. წოდებულ იყო 96A] ეწოდა 31vB. ცხოვნდებოდეთ 106A] ცხოველ ხართ 35rB. მოუძღურდი 10A] უძღურ ვიქმენ 22rB.

დ. სინონიმური ლექსიკა:

მეარისა 3A] უმრწამსისა 19vB. უღებ იყო 3A] მეცნარ იყო 19vB. იმარხაენ 5A] ილოცაენ 20rB. გამოშორებაჲ 8A] გამოხეთქაჲ 21rB. გარეუკმოიხილა 21A] გარეუკმოისტუნა 24vB.

ე. ხშირად A და B ხელნაწერთა ტექსტებს შორის განსხვავებას ქმნის ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებათაგან არა ერთ-ერთი, არამედ რამდენიმე ან ყველა ერთად: სიტყვათა ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სტილისტიკური სახესხვაობანი. ასე მაგალითად:

<sup>23</sup> დაწყნარებითა] განგებულებისაჲთა B. <sup>24</sup> სულითა სიწმიდისაჲთა B. <sup>25</sup> არნ] იყო B. <sup>26</sup> დაწყნარებითა B. <sup>27</sup> მხიარულისა B. <sup>28</sup> შუენინ B.

რამეთუ ითხოეთ ჩემგანცა ცხორებისათვის ნეტარისა ანტონისა და სწავლის გინებს, ვითარ-იგი იწყო მონაზონებად და რაჲ-იგი იყო უწინარტს მისა და რაბამი აქუნდა აღსასრული ცხორებისაჲ და უკუეთუ ქეშმარიტად თქუნულნი იგი მისთვის არიან, რაჲთა თქუნცა მისა მობაძეად თავნი თვისნი მოიყვანნეთ...“ 1A.

„ესე მიწერად ღმრთის მოშიშებისა თქუენისა ვისწრაფე, ყოელით კერძოვე ქეშმარიტებისათვის ეიზრუნე, რაჲთა არა უმეტესი ვისმე ესმეს და ურწმუნო იქმნეს, ანუ თუ უნაკულტს ქეროვნისა მის ისწაოს და შეურაცხ-ყოს კაცი იგი...“ 2A.

რამეთუ გამოიკითხათ ჩემგან ცხორებისათვის ნეტრეულისა ანტონისა, სწავლის გინებს, ვითარ-იგი იწყო მარხვად, ანუ ვითარ იყო ამისა წინა, ანუ რომელი აქუნდა ცხორებისათვის აღსასრული და თუ ქეშმარიტ არს მის[თ]ვის თქუმული ესე, რაჲთა მისსა მას ცხორებასა მობაძე იყვენეთ...“ 19rB.

„მაწერად სიწმიდისა თქუენისა ვიწრაფე, ყოვლადვე ქეშმარიტებისათვის ვილუაწე, რაჲთა არა-ეინ გარდარეულად შეკრაცხოს და ურწმუნო იქმნეს და მერმე რაჲთა არა ნაკლულევიანად გამოიკითხოს და შეურაცხ-ყოს კაცი იგი...“ 19rB.

ამგვარად გადასხვაფერებული წინადადებების ან ვრცელი მონაკვეთების ერთი გადაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სრულიად განსხვავებულ კონტექსტებთან გვექონდეს საქმე. სინამდვილეში კი A და B ნუსხათა ზემოთ წარმოდგენილ ტექსტებს განასხვავებს მხოლოდ სინონიმური ლექსიკა, სახელის ბრუნვისა და რიცხვის ფორმები და ა. შ., მაგრამ ეს ნუსხური სხვაობებიერთად აღებული უკვე იმდენად ბევრია, რომ ძნელი ხდება A და B ხელნაწერთა კონტექსტების ვარიანტებად წარმოდგენა.

მართალია. ნუსხური სხვაობების საფუძველზე საერთოდ ჭირს რედაქციათა სიძველე-სიახლეზე მსჯელობა, რადგან ვარიანტული მონაცვლეობები ნუსხებში, ჩვეულებრივ, გადამწერთა შენატანად ითვლება და, ამდენად, ამგვარი სხვადასხვაობების ანალიზმა შეიძლება იმაზე მიგვიითოს, თუ მოცემულ ხელნაწერთაგან რომელია უფრო გვიან გადაწერილი, მაგრამ C და D რედაქციათა იმ საერთო ფენების შედარება, რომელთა შორისაც ვარიანტული სხვაობაა, ზოგჯერ საშუალებას იძლევა, რომ D-ს ჩვენებანი შეორეულად მივიჩნიოთ.

ასე მაგალითად, ზოგჯერ A-სა და B-ს იდენტურ კონტექსტებს ასხვავებს ზმნის ჭირის. რიცხვის ან დრო-კილოს ფორმები, სახელის ბრუნვა, სინონიმური ლექსიკა და ა. შ. და A-ს და B-ს კონტექსტთა შედარება ერთურთთან და დედანთან. მათი შინაარსობრივ-სტილისტიკური ანალიზი ავლენს B-ს ჩვენებათა მეორეულობას:

...იაკობჲსან... ჰრქუა ცოლთა თჳსთა: „არა არს პირი მამისა თქუენისაჲ...“ 84rA.      ...იაკობჲსან... ჰრქუა ცოლსა თჳსსა: „არა არს პირი მამისა თქუენისაჲ...“ 23rB.

...რუბჲ = ბჲ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ 67; 940, 18.

დედანი და თვით B-ს მეორე წინადადების ნაცვალსახელი (თქუენისაჲ) ცხადყოფს, რომ B-ში წინაც „ცოლთა თჳსთა“ უნდა ყოფილიყო, როგორც A-შია.

... სიმართლჲ შჳჯულისაჲ აღესრულოს ჩუენ შორის, რომელნი... ვალთ... 11A.      ... სიმართლჲ შჳჯულისაჲ აღესრულოს ჩუენ შორის, რომელნი... ელენან... 22rB.

„ჩუენ შორის“ ფორმას A-სეული „ვალთ“ შეესაბამება და არა „ელენან“ B-სი.

... რაჲსა ესოდენ მოშუერიოთ... კაცისა ამის ცოფისა?      ... რად ესრტთ მოხუედიოთ... კაცისა ერთისა სულელისა?

... არა ცოფისა, არამედ ბრძენისა 88A.      ... არათუ ცოფ არს იგი, არამედ ბრძენ ფრიად 29rB.

A-ში, როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვასა და პასუხში ერთა სიტყუეა, B-ში კი კითხვა-შია „სულელისა“, პასუხში კი „ცოფ“. B ტექსტის პასუხი ამოსავლად A ტექსტის კითხვას ვარაუდობს და B-სავე კითხვის მეორეულობას ააშკარავებს.

ზოგჯერ B ნუსხაში სიტყვას იმგვარად აქვს ფორმა შეცვლილი, რომ ქართლისათვის არაბუნებრივ ან შეუღებელ სინტაგმას ვიღებთ. B-ს ამგვარ შეუსაბამობათა ახსნას A-ნუსხა იძლევა:

... განთქმულ იყო და საკრველ ყოველთაგან 111A.

... მსგავსად ჩუენულებისა მოხელვა ყო... 105A.

... ფერად-ფერადსა საზრდელსა და აბანოსა და სამოხელსა... იქმევედეს 110—111A.

უფროდსლა უხარინ მის ზედა ყოველთა... 69A.

მათ თვთ მისგანვე პირსა აქუხ მხალეზაჲ 92A.

... განთქმულ იყო და დაკრვებულ ყოველთაგან(?) 36rB.

მსგავსი ჩუენულებისა(?) მისისა მოხელვა ყო... 34rB.

... ფერად-ფერადითა საზრდელითა და აბანოთა და სამოხლითა... იქმევედეს(?) 36rB.

უფროდსლა უხარინ მათთვის ყოველნი(?) 29vD.

ამათ პირითა აქუხ(?) მხილეზაჲ... 30vB.

ხშირად Q-ს რედაქტორს სურს ცვლილება შეიტანოს ტექსტში: დაუმატოს, შეცეალოს, გადაადგილოს სიტყვა, მაგრამ კონტექსტს კი ვეღარ უწევს ანგარიშს: წინადადებას უმატებს ისეთ სიტყვას ან სიტყვას ცვლის ისეთით, რომელიც უკვე იყო მასში. ანდა გადაადგილებს სიტყვას, მაგრამ გადაწერისას ავიწყდება, რა ოპერაცია ჩაატარა და გადაადგილებულ სიტყვას ძველ ადგილზედაც ისევ წერს. ამ გზით ერთი სიტყვა ორჯერ ჩნდება B-ში<sup>29</sup>:

დაკრვებულ არნ რომელთათვისმე სიმშვიდისათვის და რომელთათვისმე სულგრძელებისათვის დაკრვებულ არნ 20vB. ვითარცა ესმა ესე სპაჲპეტსა მას ესე... 23vB. და არს ესე ფრიად და არს ესე სიმტკიცე... 31vB. და რომელთაგანმე კაცთმოყუარებასა განიცდინ, რომელთაგანმე ღამის თევასა ვანიცდინ... 20vB.

გარდამოვიდეს... ცნობათაგან ეშმაკისათა და გარდამოვიდეს... ზაკუვათაგან ეშმაკისათა მსახურთა მისთაჲ 105A. და ეშმაკთა მისთაგან 31vB.

Ⲥ და Q რედაქციების განსხვავებული ფენების დახასიათება. Ⲥ და Q რედაქციათა ან A და B ნუსხათა შორის სხვაობა მათი მაქსიმალურად განსხვავებული ფენების მიხედვით სხვადასხვაგვარია: მათ შორის სხვაობა ძირითადად ტექსტუალური ან შინაარსობრივი ხასიათისაა. Ⲥ და Q რედაქციათა ტექსტების სხვაობის საფუძველია ვრცელი კონტექსტების, წინადადებების ან სიტყვების ა) კლება, ბ) მატება, გ) სხვადასხვა ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვა, ფრაზა ან მთელი წინადადება.

უნდა გაეხსნათ, რომ ჩამატებულ, დაკლებულ ან ლექსიკური შინაარსით განსხვავებულ სიტყვა-ფრაზათა და წინადადებათა გარდა Ⲥ და Q რედაქციათა ტექსტები ყოველთვის იგივეობრივია ე. ი. Ⲥ-ს Q-საგან მაქსიმალურად განსხვავებული სიტყვა-ფრაზები თუ კონტექსტები ყოველთვის ამ რედაქციათა იდენტურ ყალიბში ზის. ამასთან Ⲥ და Q რედაქციებში არ დაიკლებება არამცთუ ისეთი მონაკვეთები, არამედ ისეთი წინადადებებიც კი, რომლებიც ერთიმეორისაგან ისე განსხვავდებოდნენ, როგორც Ⲥ-ს ან Q-ს ყოველი მონაკვეთი ან წინადადება განსხვავდება Q რედაქციის მონაკვეთებისა თუ წინადადებებისაგან.

დ) მთელ რიგ შემთხვევებში Ⲥ და Q-ს კონტექსტები ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად (მასალობრივად) იგივეობრივია, ხოლო კონტექსტის შინაარსობრივი სხვადასხვაობის საფუძველია წინადადებების გრამატიკულ-სტილისტიკური სხვადასხვაობები. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

<sup>29</sup> A ხელნაწერის წინადადებები B-საგან მხოლოდ ხაზგასმული სიტყვებით განსხვავდება, ამიტომ ისინი აღარ წარმოადგინეთ ადგილის მოვების მიზნით.



რამეთუ ეამი არს ამიერიითგან ჩემისა გან- რამეთუ ეამი არს განსლვისა ჩემისაჲ  
სლვისაჲ 106A. 34vB.

Καιρός ἐστὶ καὶ λ.ο.π.ὸ ν ἀναλῆσαι 89; 968, 9—10.

ლომებითა და დათუებითა, ვეფხითა, კურო- ლომებითა და დათუებითა, კუროებითა...  
გბითა... 15—16, 17—18A. 23vB.

λαόντων, ἀρχων, λ.ε.ο.π.ἀρ.δ.ων, τὰ ὑρῶν... 9; 857, 7.

... მოიღრიენა მუკლნი და ყოენა მრავალ ეამ მუკლნი მოიღრიენა მრავალ ეამ 32vB.  
98A.

...διέμενεν ἐπὶ π.ο.λ.ს 82; 957, 21—22.

ენაჲ სპანიას და გალიას, ანუ ეითარ მრომეს და აფრიკეთს მთასა ზედა დაფარული მქლო-  
მარშ განითქუა 111A (36rB).

Πόθεν γὰρ εἰς τὰς Σπανίας... π.ο.δ. εἰς τ.ῆ.ν 'Ρ' ὠ.μ.η.ν...  
ἐν ὑρῶν καὶ χ.ε.χ.ρ.σ.μ.μ.ε.ν.ο.ς, καὶ καμῖρμενος ἰχθῶσῶν... 93; 973, 29—32.

მაშინ ღამშ უცნებით რასმე ბგერასა ჰყოფ- მაშინღა უცნებასა რასმე ესეეთარსა ჰყოფ-  
დეს, ესრე სახედ საგონებელ იყო, რეცათუ დეს,  
ყოველი ადგილი იძრვოდა 15—16A. რეცათუ ყოველსა მას ადგილსა შესძრვიდეს  
23rB.

Τότε δὲ οὖν ἐν τῇ νυκτὶ κατὰ π.ο.ν μὲν τοιοῦτον τοιοῦτον, ὡς ἂν ἔχῃ  
πάντα τὸν τὸ π.ο.ν ἐχθῶν ὁ εἰς αἰῶναι 9; 857, 2—3.

ესრმთ უკუშ ოცი წელი აღასრულა თვისისაგან ოცი წელი აღასრულა ესრმთ 25vB.  
შრომათა და მარხვათა შინა 23A.

Εἶχον τοῖς υἱοῦ ἐγγύς ἐν τῇ δ.ε.ε.λ.ε.α.ε.ν, καὶ ἡ εἰς τὸν ἀσ.χ.ο.ს.μ.ε.ν.ο.ς,  
οἷν τ.ε. π.ο.ι.ῶ.ν... 14; 864, 24—25.

და ევედრებოდეს სმენად მისგან და ფრიად და ევედრებოდეს მას  
აურევბდეს და ეითარ აიძულეს სიტყუად... ეიდრემდის აიძულეს სიტყუად 34vB.  
98A.

...ἰξίον μ.α.μ.ε.ἰ.ν. π.α.ρ' α.ν.τ.ο.σ' π.ο.λ.ს. δ.ι.ὠ.χ.λ.η.σ.α.ν. εἰς β.ε.α.μ.ε.ἰ.ς  
εἰ.π.η 89; 957, 24.

ხოლო იგი უფროასლა ამათ ერჩდა ვიდრე ხოლო ანტონი უფროასლა ამათი ისმინა და  
მათსა და ზრუნვიდა და მოვიდა 22A. მოვიდა 25rB.

ვერ დააბრკოლო გულსმოდგინებაჲ ჩემი, ეშმაკო! ეგე შენთანავე იყავნ წარსაწყებდელად  
შენდა და ესე ეითარ ანტონი თქუა... 20A (24vB).

საფიქრებელია, რომ როგორც დამხმარე სიტყუათა და ნაწილაკთა კლება,  
ასევე სიტყუათა, ფრაზათა ან წინადადებათა გამოკრებაჲ **Ϛ**-ში რედაქტორის  
შეგნებული მუშაობის ნაყოფია და ტექსტის შემოკლების მიზნითაა გაკეთე-  
ბული. ამავე მიზნით ჩანს ამოღებული **Ϛ** რედაქციის **B** ხელნაწერიდან შუა  
ვრცელი, ხოლო **C** ხელნაწერიდან შუა და ბოლო მონაკვეთები.

მართლაც, ხშირად **Ϛ**-ს ამ ტიპის გამოკრებილ მაგალითებში თავს იჩენს  
იმგვარი შეუსაბამობანი, რომელნიც **Ϛ**-ს რედაქტორის მუშაობის კვალს გამო-  
აჩენენ და რომელთა ახსნასაც **Ϛ** რედაქციის ტექსტი იძლევა.

ა) ხშირად **B** ხელნაწერში **A**-სთან შედარებით გამოტოვებულია ისეთი  
დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები, რომელთა გარეშე დამახინჯებული ან გა-

დასხვაფერებულია A-ს და დედნის აზრი, ზოგჯერ კი სიტყვათა შეკავშირების ძველი ქართულისათვის არაბუნებრივ შემთხვევებთან გვაქვს საქმე:

მაშინ შეასმენდეს და ვერაჲ ამხილეს, მიერით-  
გან თავისუფალ იქმნა 78A.

და ესთენ ფიცხელ იყო იგი, ვითარმედ ქალ-  
წულთაჲ სცემდა... 103A.

ისწრაფდით დამარხვად გულსმოდგინებასა...  
რამეთუ იცნით ძვრის ზრახვანი იგი ეშმაკთან  
108A.

და თვისისაგან თითოეულისა მის სწრაფასა და  
წარმატებასა და მარხვასა განიცდინ 6A.

ამისთვის სიმრავლითა ოდენ გამომცდით, ვი-  
თარმცა შემაშინეთ მე 17—18A.

დალაყათუ ღლითი-ღღედ მოსწყდებით, იგრო  
ცხოვნდებოდეთ 108A.

მაშინ შეასმენდეს და ვერას ამხილებდეს(?),  
თავისუფალ იქმნა... 26vB.

და ესოდენ ფიცხელი იყო იგი, (?) ქალ-  
წულთა... ჰგუენ 34vB.

იწრაფდით დამარხვად გულს-მოდგინება-  
სა... (?) იცით მტერობაჲ ეშმაკთაჲ... 35rB.

თითოეულთაგან მოთმინებასა, წრაფასა, (?)  
მარხვასა ისწავენ 20rB.

ამისთვის მრავლითა გამომცდით მე, (?) მაში-  
ნებთ 24rB.

და რეყათუ ღლითი-ღღედ მოსწყდებით და  
სცხოვნდებით(?) 35vB.

ბ) სიტყვების, ფრაზების ან წინადადებების გამოკრების დროსაც უ-ს რედაქტორი ყოველთვის ვერ იცავს თანამიმდევრობას, ხშირად B-ს წინადადებებში ისეთი სიტყვა-ფრაზები დაჩნდება, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ამ კონტექსტში უნდა ყოფილიყო სხვა სიტყვაც, ფრაზაც ან წინადადებაც. ასე მაგალითად:

მერმე ამისა შემდგომად აიძულებდეს მას ვარ-  
ღამოსლვად, რომელთა-იგი უქმდა. და სპაჲე-  
ტიცა ვინმე მრავალთაგან ევედრებოდა მას  
გარდამოსლვად. ვითარ მოვიდა იგი და ზრახ-  
ვდა მას მტირედ ცხორებისათვის სარგებელად  
და მეედრებულთა მათთვის, ისწრაფდა. ხოლო,  
რომელი იგი იყო ღუქსი, აიძულებდა მას და-  
რე-ყოვნებად 102A.

მერმე ამისა შემდგომად აიძულებდეს მას  
გარღამოსლვად

ვითარ მოვიდა იგი და ზრახვიდა ცხორები-  
სათვის და სარგებელსა და მეედრებულ-  
თათვის სქენად. ხოლო, რომელსა იგი ეწოდა  
ღუქს, აიძულებდეს მას დადგრომად 33vB.

B-ში აზრობრივი შეუსაბამობაა: ღუქსი აიძულებდა „დადგრომად“, რატომ „აიძულებდა“, B-ს მიხედვით ანტონი ხომ ისედაც იდგა. მაგრამ ეს წინადადება წარმოადგენს A-სეულ „ისწრაფდა“ სიტყვის შინაარსობრივ პასუხს.

აჲა ესერა, ვითარცა წერილ არს, ვზასა მამათა-  
სა წარვალ, რამეთუ ესედაჲ მე თავსა ჩემსა  
წოდებულსა უფლისა მიერ 106A.

აჲა ესერა, ვითარცა წერილ არს, რამეთუ  
ესედაჲ მე თავსა ჩემსა წოდებულსა უფლი-  
სა მიერ 35vB.

დედნისა და A-ს მოშველიების გარეშეც გასაგებია, რომ „ვითარცა წერილ არს“ ამას უნდა მოსდევდეს ციტირება ბიბლიური წიგნებიდან და არა „ესედაჲ მე...“

საკმარ რაჲმე იყო განსლვად მისი არსენო-  
ტისა მდინარესა, რამეთუ კმდა ხილვად მამათა  
24A.

საკმარცა რაჲმე იყო განსლვად მისი არსე-  
ნოტით კერძო მდინარისა ხილვად 26rB.

ხილვად ვისი? პასუხი დედანსა და A-შია.

2. მ ა ტ ე ბ ა. არის შემთხვევები, როცა Ⴀ და Ⴁ რედაქციითაგან ერთ-ერთში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც დედნისაგან არ მომდინარეობენ.

2. 1. იშვიათად A-ში არის ერთი-ორი სიტყვა, რომელიც დედნისგან არ მომდინარეობს და, შესაბამისად, B-შიც არ დასტურდება:

A-ში ხაზვანძული სიტყვები არაა დედანსა და B-ში.  
და განსაქდებოდა გულისწურომითა და ეტყო-  
და 15—16A.

და მრახხანებოთ ეტყოდა 23vB.

Καὶ ἐσπρήγυσται, ἔφη 9; 856, 33.

განგუეშორე ჩუენგან ადგილით 22A.

განგუეშორე ჩუენგან! 25rB.

Ἄπειτα τὸν ἤμετέρων 13; 861, 34.

ხოლო მან არა ინება ჰასაქისა მისთვის სიჭაბუ-  
კისა მისისა და რამეთუ არღარა იყო ესევეითარი  
ჩუეულებაჲ ეგვბტეს 20A.

ხოლო მან... არა ინება სიბერისაგან და რა-  
მეთუ არღარა იყო ესევეითარი ჩუეულებაჲ  
24vB.

Τὸν δὲ παρατεταμένους ἐν τῇ ἡλικίᾳ, καὶ ἐν τῷ μῆνίᾳ εἶναι τοιαύτης  
συστήσεως...11; 860, 23.

2. 2. გაცილებით ხშირია შემთხვევები, როდესაც B-ში გვხვდება სიტყვე-  
ბი, რომლებიც დედნისგან არ მომდინარეობენ და, შესაბამისად, არც A-შია.  
მაგალითები:

ხაზგასმული სიტყვები არაა დედანსა და A-ში.

და გამოვიდა ნეტარი ანტონი 25vB.

და გამოვიდა ანტონი 23A.

Ἰπρήξιμην ὁ Ἀντώνιος 14; 864, 29.

ანტონისი ესე ხოლო არს წმიდაჲ ლოცუაჲ...  
33vB.

ანტონისი ლოცუაჲ ხოლო იყო 101A.

და კმაჲ იყო მისა და თქუა 24rB.

და კმაჲ იყო მისა 19A.

Καὶ φωνή γέγινε πρὸς αὐτὸν 10; 860, 12.

წარიღო იგი... მუნვე ხამარედ 23rB.

წარიღო იგი... მუნვე 14A.

და ყოველთაჲ დაუკრდა ესე და იტყოდეს  
ურთიერთას... რომელი-იგი თქუა წმიდამან ან-  
ტონი... 34rB.

და იტყოდეს... რომელი-იგი თქუა ანტო-  
ნი... 103—104A.

ისმენდა მასსა მას სიტყუახა და ჰხედვიდა ...ისმენდა მისა და ხედვიდა მას... 104A.  
მას... 34rB.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, A-ს ან B-ს წინადადებებში ძირითადად  
ჩართულია ან ისეთი სიტყვები, რომლებიც დედნის შინაარსითაც ივარაუდება,  
ანდა ისეთები, რომლებიც დედნის შინაარსს ვერ ცვლიან. სავარაუდოა, ისინი  
პირველი თარგმანიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ უმეტესად გადამწერთა  
წყალობით გაჩნდა ამ რედაქციებში. ხოლო რადგან B-ში, გაცილებით აღრინ-  
დელ ხელნაწერში, ბევრით მეტია ამგვარი სიტყვები, ვიდრე A-ში, უნდა ვივა-  
რაუდოთ, რომ დიდი წილი ამ სიტყვებისა რედაქტორ-შემკეთებლის შენატანია  
მასში.

3. ყველაზე უფრო ხშირად **Σ** და **Ϛ** რედაქციებს შორის შინაარსობრივი  
სხვაობაა. ამგვარ შემთხვევებში, როგორც მიუთითებდით, **Σ** რედაქცია ზუს-  
ტად გადმოსცემს დედნის შინაარსს<sup>31</sup>, **Ϛ** კი ორივესგან განსხვავდება. სხვაობის  
საფუძველი სხვადასხვანაირია:

3. 1. უმრავლეს შემთხვევაში **Σ** და **Ϛ** რედაქციების შინაარსობრივი სხვაობის  
საფუძველია ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად განსხვავებული სიტყვები, ფრაზე-  
ბი ან წინადადებები. ამ რედაქციებში არის უამრავი წყვილი ისეთი წინადადე-

<sup>31</sup> ამიტომ ხშირად, ადგილის მოგების მიზნით, ბერძნულ ტექსტს აღარ წარმოვადგენთ,  
ყველგან ივარაუდება, რომ ის **Σ**-ს შინაარსის ადეკვატურია.



... ჩუენ ესე გვხვავიებს... 79A.

ჩუენ ესე გუესმა... 27rB.

...αὐτὸς μὰ τὸν ἁγίον... 65; 936, 24.

ხშირად აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევებშიც, **Τ** და **Ϛ** რედაქციების ამ ტიპის წინადადებების ერთმანეთთან და დედანთან შედარება ან მათი ანალიზი ცხადყოფს **Ϛ**-ს **Τ**-ზე დამოკიდებულებას, **Τ**-ს ჩვენებათა პირველადობას. მაგალითები:

... არა შეეშინოს გულსა ჩემსა, — მონაზონ- არა შეეშინოს გულსა ჩემსა, — ... მშარხენ-  
ნ- იგი ესრტთ ზრახვიდა და იტყოდა ამას ლი იგი იქმნ და იტყვნ ამას 23vB.  
15—16A.

...ὁ ἀρχιεπίσκοπος ἐφ' ὅτι ἔλεγε τὸ αὐτὸ 9; 856, 30.

პირველი მონაკვეთი მოგვითხრობს, რას თქვა ანტონი, შემდეგ მოსდევს მას ავტორის დასკვნა, „მონაზონი... ესრტთ ზრახვიდაო“. ცხადია, აზრთა ამკვარ თანამდევრობაში უადგილოდაა ჩასმული **B**-ში „იქმნ“ „ზრახვიდას“ ნაცულად.

შეიმოსნა კორცნი კაცთანი, რაჲთა ქმნულება- შეიმოსნა კორცნი კაცთანი, რაჲთა გონება-  
სა კაცთასა ეზიაროს... 90A. სა კაცთასა ეზიაროს... 30rB.

...ὅτι τὸ αὐτὸ πᾶσι ἡ γυνή ἐστι καὶ ἡ ψυχή 74; 945, 33.

ცხადია, ქრისტე „ქმნულებას კაცთასა ეზიარა“ და არა გონებას.

არცა სიცილისაგან, გინა მწუხარებისაგან შე- არცაღა ღიმილისაგან, გინა მღვძარებისაგან  
პყრობილ 23A. შეპყრობილ... 25vB.

...ὁ πᾶς ἡλίως ἢ ἡ γῆ ἐστὶν ἕνα 14; 865, 4

ყერ ერთი, **B**-ს სინტაგმა „მღვძარებისაგან შეპყრობილ“ ქართულისათვის არაა ბუნებრივი. მეორეც, ამ წინადადებაში ანტონინური წყვილებია დაპირისპირებული: ანტონი არც გასუქებული იყო, არც გამხდარი, „არცა სიცილისაგან“, ან „ღიმილისაგან შეპყრობილს“ კი, ცხადია, „მწუხარებისაგან“ უნდა მოსდევდეს და არა „მღვძარებისაგან“.

ერთარცა წერილ არს და ერთარცა განკრებულ- ერთარცა წერილ არს და ერთარცა განძე-  
ლი, რაბამცა არს გონებითა 9A. ბულმან, რომელ არს გონებაჲ... 21vB.

καὶ ὁ ἀπὸ τοῦ ἁγίου 6; 849, 11.

„განძებული“ გონება?

ხოლო იგი ადვილად შრომათა მათ თავს- ხოლო იგი ძნიად შრომათა თავს იღებდა  
იღებდა 11A. 22vB.

αὐτὸς ἐν ἑαυτῷ ἑστὶν ἕνα 7; 852, 25.

ამ კონტექსტში ავტორი ამბობს, ანტონი სხვებს ეხმარებოდა ხოლმე, **Π** ან მაგაერ შრომას ადვილად იღებდა თავსო. **Ϛ**-ს რედაქტორს მთელი კონტექსტისათვის არ გაუწევია ანგარიში, ამ ერთი წინადადების მიხედვით კი მოსჩვენებია, რომ დიდ მამას ადვილი შრომის თავს-დება არ შეეფერებაო და „ადვილად“ შეუცვლია „ძნიად“ სიტყვით. ამ გზით გაინდა **B**-ს წინა და ამ წინადადებებს შორის აზრობრივი წინააღმდეგობა, რაც აშკარად მეორეული ჩანს.

3.2. **Τ** და **Ϛ** რედაქციების ტექსტების შედარებამ ოცდაათამდე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად და, შესაბამისად, შინაარსითაც განსხვავებული წინადადება და რვამდე განსხვავებული კონტექსტი გამოავლინა. ამგვარ შემთხვევებში **Τ** და **Ϛ** რედაქციებს შორის ყველაზე რთული მიმართებაა: **Ϛ**-ს ტექსტი **Τ**-საგან განსხვავდება ლექსიკური ერთეულებით, სიტყვათა კლება-მატებით, გრამატიკულ-სტილისტიკური ფორმატეალებით და ა. შ. ამიტომ, ბუნებრივია,

უმრავლეს შემთხვევაში კირს ბოლომდე ზუსტად დადგენა, რა გზით მივიღეთ ამგვარი სახესხვაობები **Ⲛ**-სა და **ⲛ**-ს შორის. მაგრამ პირველთარგმანთან ახლოს მდგომი რედაქციის გამოსავლინებლად აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, ისევე **A**-სა და **B**-ს დედნის ტექსტის შინაარსთან მიმართება და **Ⲛ** რედაქციის ტექსტის შინაარსობრივი თუ ვრამატიკულ-სტილისტიკური უზუსტობა-შეუსაბამობანი გვაძლევს მყარ საბუთს „ანტონის ცხოვრების“ **Ⲛ** რედაქციის ტექსტის მეორეულად მიჩნევისათვის. სახელდობრ:

ა) **A** და **B** ხელნაწერების მაქსიმალურად განსხვავებულ წინადადებათა და კონტექსტთაგან შინაარსობრივად დედნის შესაბამისია ყოველთვის **A**-ს ტექსტი, სხვაობას კი **B** იძლევა. მაგალითები:

უწინნიდეს შემართ ესრჳთ, ვითარცა-იგი არს .. და მეწინარნი შემართ ესრჳთ, დაუცხრო-  
 ჳწესოთა ხლდომამ პირუტყუთამ და წინამა მელ იყო სიმღერამ იგი პირუტყუთამ მათ  
 59A. და წინამა 32vB.

...ὡς δὲ ν ἀν ἀνδραδ σακ:ρ τὸν ταν αηγ:ν ὡν ῥένο:το λ:αχ:ν:αμ:α:α 82; 957,  
 32—960, 1.

და ესოდენ თავი თვის მისცა და საყუარელ და ესოდენ თავით თვისთ მარხვასა ჰყუა-  
 რყო ყოველთაგან ანტონი 6A. რობდა უფრომს ყოველთა ანტონი 20vB.

Ὁντα μὲν ἔνυ ἐαυτὸν ἀγαν, ἡγ:α:π:ἔ:ο: παρἂ π:ἔ:ν:αν ὁ Ἄντῶ-  
 νιο: 4; 845, 8.

ვითარცა იხილა მტერმან... უფრომსლა თავი ვითარცა იხილა მტერმან უფრომსლა ბრძო-  
 თვის მოუძღურებული მისისაგან სიმტკიცისა, ლად მისისაგან სიმტკიცისა, ვარეშიაქცევნ...  
 გარე-წარიქცევინ 8A. 21rB.

...καὶ μῆλλον ἐαυτὸν ἀναπαλα: ἰμ:ε:ν:ο:ν ἢ ἄλλῃσ: σελ:ῖ:ρ:α:υ:τ:ι:α:ς  
 καὶ ἀνατ:ρ:ε:π:ἰ:μ:ε:ν:ο:ν... 5; 848, 12.

ვითარცა განრისხნა უფალი, ეგრძთვე კუალად ვითარცა განრისხნა უფალი ცოდვათა ჩუ-  
 განკურნოს, და მერმე კუალად ადრე მოიღოს ენთათვ, ეგრეცა კუალად გვლხინოს და შე-  
 ცლესიამან სამკაული თვის და ეგრძთვე ჩუეუ- იწუნაროს კუალად მსთუად ხოფელი თვის  
 ლად ბრწყინვიდენ 100A. და ეგრძთვე ჩუეულად ბრწყინვიდენ ცლე-  
 სიანი 33rB.

ὡσαυτ ῥἄρ ὠρῖσ:μ:η ὁ Ἰ:σ:ρ:ι:α:ς, ὡντα π:ἄ:λ:ι:ν ἰ:δ:σ:ε:τ:α:ι. Καὶ π:ἄ:λ:ι:ν τ:α:γ:ῆ:σ:α:ς  
 ἀ:π:ο:λ:ῆ:ψ:ε:τ:α: ἑ:τὸν ἐαυτ:ῆ:ς ἀ:δ:σ:μ:ο:ν ἢ Ἰ:κ:α:λ:η:σ:ἰ:α, καὶ σ:α:ν:ῆ:μ:α:ς ἀ:ν:α:λ:ἰ-  
 μ:ῆ:ς: 82; 960, 15—17.

ბ) **Ⲛ** და **Ⲛ** რედაქციების რადიკალურად განსხვავებული წინადადებების ერთიმეორესთან და დედანთან შედარება და მათი შინაარსობრივი ანალიზიც ხშირად ააშკარავებს, რომ **Ⲛ**-ს რედაქტორი არ იცნობს ცხოვრების ბერძნულ ტექსტს, მას ხელთ **Ⲛ** რედაქციის ტექსტი აქვს, რომელსაც ცვლის, ასხვაფერებს, მის ლექსიკურ ერთეულებს უფარდებს ახალს, უმატებს, აკლებს და ა. შ. ამ გადასხვაფერებისას, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შენაცვლებისას ვერ იცავს ბოლომდე თანმიმდევრობას, მარჯვედ ვერ მართავს ტექსტს და ამრიგად **Ⲛ**-ს ნათელ, გასაგებ კონტექსტებს, დედნის სრულ შესაბამისს, აბუნდოვანებს, ასხვაფერებს და გაუგებარს ხდის. ამ გაუგებრობების ახსნა შეიძლება **Ⲛ** რედაქციის ტექსტზე დაყრდნობით. მაგალითები:

და არა ხოლო თუ იგი არა მოიკიცხებოდა მათგან, არამედ შეურევებულთაცა გულის სიტყუათა მათ მიერ იგი ახწავენ, რამათა შეუძლონ მათთა ძვრის ზრახვათა ვარე-მიქცევად 105A.

და არა ხოლო თუ იგი მათგან ისმენ, არამედ პირველთაცა გულის სიტყუათა მათთა იგი აუწყებ, რამათა შემძლებელ იყოს ვინმე მათთა მათ მტერობათა ვარე-მიქცევად 34vB.

Καὶ οὐ μόνον αὐτὸς οὐκ ἐπαίχεται παρ' αὐτῶν, ἀλλὰ καὶ τοὺς ἐνοχλοῦ-  
μῆνουσ ἐν λογιανοῖς παρταχλῶν ἐβίβιαταξ, πῶς ἂν ἰσχυαίντο τὰς ἐχεῖνας  
ἐπιβύσας ἀνατρίπειν 88; 965, 24—27.

დედნის შინაარსი ზუსტად, მარტივად არის გადმოცემული A-ში: ანტონი არამც თუ მოიკიცხებოდა ეშმაკთაგან, არამედ მათგან შეწუხებულებსაც კი ასწავლიდა, როგორ დაეღწიათ თავი მათი ავი განზრახვისაგან. B-ში კი აზრი ბუნდოვანია, გაუგებარი, დედნისგან და A-სგან მთლიანად განსხვავებული: ანტონი კი არ ისმენდა(?), არამედ მათს(?) „გულის სიტყვას“ აუწყებდა (ვის?), რომ შესძლებოდა ვინმეს (ვის?) მათი მტერობის(?) „ვარე-მიქცევა“. B-ს ამგვარი უაზრობა A-ს გადაკეთების შედეგი ჩანს: B-ს რედაქტორი A-ს სიტყვას ნებისმიერად ცვლის (მოიკიცხებოდა — ისმენ, ასწავებ — აუწყებ), უმატებს მას სიტყვას (ვინმე) და ამგვარი ოპერაციით მთლიანად ცვლის A-ს მარტივ, ნათელ აზრს.

ესენი სიტყუასა მოკლიდეს მათ: ნუშცა უყუე ... ესენი სიტყუასა მოკლიდეს მან და ეტყოდეს: არა წეს-არს მაგისი თქუნ თანა 78A. ... 26vB.

ἀπήτους ἐχέιν οἱ λήγειν, εἰ μή ὑπέσμενος αὐτοῖς εἰη 65; 936, 2—3.

დედნისა და A-ს ამ აბზაცში საუბარია სულის „თანა-წარსაველზე“: ერთ მხარეს ავი სულები დგანან, მეორე მხარეს კი ანგელოზები და ზეცად აღმეველ სულებს ასამართლებენ. ამის შემდეგ მოდის A და B-ს ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტი: ანგელოზები ეკითხებიან ეშმაკებს: ხომ არაა ესა და ეს თქვენი მოვალეო? A-ს ამ ორ წინადადებაში აზრი ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული, B-ში კი სრული გაუგებრობაა: „სიტყუასა მოკლიდეს“ (=ეკითხებოდნენ) და „ეტყოდეს“ (=ეუბნებოდნენ) ეს ზმნები აზრობრივად გამორიცხავენ ერთმეორეს, ან ერთი უნდა ყოფილიყო ამ კონტექსტში ან მეორე. ცხადია, „ეტყოდეს“ უადგილოდაა ჩასმული B-ში. არც „არა წეს-არს მაგისი თქუნ თანა“ შეესაბამება აზრობრივად B-სავე წინა მსჯელობებს, გაურკვეველია, ვისზე ან ვისთან ყოფნაზეა მსჯელობა ამ წინადადებაში.

რომელმანმცა იხილა იგი, ცნა ყოფილი იგი ურთიერთასი ბრძოლა: რამეთუ იგი მოაკსენებნ გულის სიტყუათა მწინყულეანთა,ხოლო ესე ლოცვითა მართლჟუნ აქციენ მათ; ესე აზრენ, ხოლო მას ხირცხულ უჩნ ესე და სარწმუნობითა... მოიზღუდაენ გუამხა 8A.

... რომელმან იხილის, ცნის ყოფილი იგი ორთავე ბრძოლა: ოდესმე მოაკსენებნ გულის სიტყუათა მწინყულეანთა, ოდესმე ლოცვასა აბრკოლებნ და ოდესმე უვრგენნ, ოდესმე შიშსა ჰკონებნ, ხოლო იგი სარწმუნობითა... მოიზღუდაენ თავსა თვსხა 21rB.

ὧς καὶ τοὺς ὀρίωντας αἰσθίεσθαι: τῆς γυνομένης ἀμφοτέρων πάλην. Ὁ μὲν γὰρ ὑπέβαλλε λογιανούς ῥουπαριούς, ὁ δὲ ταῖς εὐχαῖς ἀνέτρεπε τοὺτους· καὶ ὁ μὲν ἐχαργάλλεεν, ὁ δὲ, ὧς ἐρυστριῶν βουῶν, τῆ πίστει καὶ ταῖς εὐχαῖς καὶ νεστεῖαις ἐτείχετο τὸ σῶμα 5; 848, 20—25.

დედნის, A-სა და B-ს პირველი წინადადება მიგვანიშნებს, რომ მომდევნო კონტექსტში ანტონისა და ეშმაკის ორთაბრძოლაზე უნდა იყოს საუბარი. ასეცაა დედანსა და, შესაბამისად, A-შიც: აქ დაპირისპირებაა — ეშმაკი ცუდ განზრახვას უნერგავს ანტონის, ეს კი ლოცვით უკუაქციებს, ის „აზრენს“, ეს სარწმუნობით მოიზღუდავს თავს... B-ში კი A-სეული (და დედნისეული) ეს დაპირისპირება მოხსნილია, შესაბამისადვე გადასხვაფერებულია წინადადებათა შინაარსიც. B-ს პირველი წინადადება კი მიგვანიშნებს, რომ აქაც ისეთავე დაპირისპირება იყო, როგორც A-შია.

აქუნდა ესეცა მადლი: კუალად ვითარ ზინ იგი ... აქუნდა კუალად ესეცა მადლი: ვითარ ზინ მარტო მთასა გარე და თუ რასმე თავით იგი მარტო მთასა, უკუეთუ ვინმე თავისასა თუხით იგი ეძიებნ და განიზრახენ, ესე მას ეძიებნ და განიზრახენ, ესეცა მას ღმრთისა ღმრთისა მიერ ლოცვასა შინა გამოეცხადის მიერ ლოცვასა შინა გამოეცხადებოდა 27rB. 79, 80—81A.

„ესე მას“ ფორმის აღდგენა B-ში აზრს მაინც ვერ მართავს: ანტონი როცა მარტო იქდა მთაზე, თუ ვინმე(?) რაიმეს ეძიებდა, ეს მას ლოცვაში გამოეცხადებოდაო. ღედანსა და A-ში კი ნათქვამია, თუ რაიმეს ვერ გაარკვევდა ანტონი, მაშინ ღმერთი ლოცვაში აუწყებდაო მას. B-ს ჩვენების მეორეულობას მისივე (და A-სა და დედნის) მომდევნო აბზაცი ცხადყოფს. აქ ნათქვამია: ასე მაგალითად, ერთხელ მოვიდნენ ანტონისთან და კითხეს სულის საყოფელზე, ანტონიმ არ იცოდა, რა ეპასუხა, იმავე ღამეს კი ღმერთმა აჩვენა სულის საყოფელიო.

არცა დაშურებოდა ღუაწლსა მას, რამეთუ შე-  
ძინებდა იგი, რომელ იყოფოდეს მისა მიმართ  
ხილვათანი და მტერთა უძლურებდა, მრავალ-  
თაგან შრომათა განსუენებას სცემდა მას და  
უფროას გულს-მოადგინებასა განმშნადებდა  
22A.

არცა დაშურებონ ღუწოლასა, რამეთუ შე-  
ძინებდა იგი, რომელ იყოფოდა მისი ფრიად  
მხედვარად და მტერთა გარემიშქცევილ იყო-  
ფოდა და უფროასდა გულსმოადგინედ გა-  
ნემზადებინ 25r-vB.

ἀλλ' ἔσθ' ἔχαμνευ ἄγαν: ἄρμαυος· ἢ γὰρ παρὰ ἡμῶν γυνομένην ἀπὸ  
ἡμῶν ἄνω θεωροῦμαι τῶν, καὶ ἢ ἡμῶν ἐχθρῶν ἀσθενεία, πικρήν  
αὐτῶν ἡμῶν πόνων ἀναπαύλας παρ᾽ ἐμοῦ, εἰ; πλείονα περισυλάω  
παρ᾽ αὐτῶν 18; 864, 10—15.

B-ს ამ მონაკვეთის შედარება დედანთან და A-სთან გეარწმუნებს, რომ Q-ს რედაქტორი არ იცნობს დედანს, არამედ T-ს ტექსტი აქვს ხელთ, მის შინაარსს ვერ სწვდება, „შეძინებდა...“, რომელ იყოფოდეს მისა მიმართ ხილვათანი...“ ამ ფრაზის აზრს ვერ იგებს, ლექსიკას არ ცვლის, მაგრამ A-ს შინაარსს რადიკალურად ასხეაფერებს.

3.3. განსაკუთრებით საყურადღებოა Q რედაქციის ის წინადადებები ან კონტექსტები, რომლებიც ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად და სტილისტიკურად თავიდან ბოლომდე T რედაქციის შესაბამის წინადადებათა იდენტურია და მისგან მხოლოდ ერთი სიტყვის კლება-მატებით ან სიტყვის ბრუნვათა ცვლებით განსხვავდება. Q-ს ტექსტის ეს მინიმალური სხვაობა T-საგან რადიკალურად საპირისპირო შინაარსობრივ ჩვენებას იძლევა. ამგვარ შემთხვევებში ყველაზე აშკარად ჩანს Q რედაქციის T-ზე დამოკიდებულება და მისგან მომდინარეობა: Q-ს რედაქტორი სიჩქარისა თუ გაუაზრებლობის გამო არ უკვირდება T-ს შინაარსს, მის ბრუნვის ფორმებს ასხეაფერებს, თანდებულებს ან თითო სრულმნიშვნელოვან სიტყვას უნაცვლებს სხვას, აკლებს ან უმეტებს თითო სიტყვას, მაგრამ T-ს ამ მინიმალური ცვლით რადიკალურად იცვლება Q რედაქციის ტექსტის შინაარსი. მაგალითები:

...ყოველთა ეტყვნ: ნურარას ამის სოფლისასა  
უფროას შეპრაცხთ სიყუარულისა წინაშე უფ-  
ლისასა 24A.

ყოველთა ეტყვნ: ნურარას ამის სოფლისა-  
სა უფროას შეპრაცხთ სიყუარულისათეს  
უფლისა 26rB.

Q-ს რედაქტორმა T-სეული „სიყუარულისა წინაშე“ შეცვალა სიტყვით „სიყვარულისათეს“ და ამ გზით მივიღეთ მკრეხელური წინადადება: ქრისტეს სიყვარულსათვის ნურათერს ჩათელითო დიდად(?).

და თუ რაამე გჳირდეს ჩემთვის, მომიქსენეთ  
მე, ვითარცა მამა და ნუ ვის უტეებთ გუამ-  
სა ჩემსა... 109A.

და ნუ რაამთმე სწუხდეთ ჩემთვის, მომიქსე-  
ნეთ მე, ვითარცა მამა და ნუ ვის უტეებთ  
გუამსა ჩემსა წარღებად ეგვბტელ... 35vB.

ღ-ს რედაქტორი „თუ“-ს ცელის „ნუ“-თი. ამ გზით აკრძალვითი ნაწილაკი ზმნის კავშირებითის ფორმასთან აღმოჩნდა, ასევე დაარღვია აზრობრივი თანათარღობა პირველ და მომდევნო ზმნებს შორის: ნუ სწუხხართ ჩემთვისო, ამბობს ანტონი, და იქვე ბევრ რამეს ავალებს: მომიხსენეთ როგორც მამა, ჩემს გეამს ნუ დაანებებთ ეგვიპტელებს, წარგრაგნეთ, დაფალოთ და ა. შ.

არცაღა ანტონი შეერღობასა მას ეშმაკისასა არცაღა ანტონი შეერღობასა მას ეშმაკისასა უღებ იქმნა და მიერითგან შეურაცხ-ყო თავი უღებ იქმნა, არცაღა შეურაცხ-ყო იგი, არ-თხსი, არცაღა მტერი... დასცხრა 11A. ცაღა მტერი.. დასცხრა 22rB.

თითო სიტყვის ჩანაცვლებამ (მიერითგან — არცაღა, თავი თხსი — იგი) რადიკალურად შეცვალა დედნისა და A-ს აზრი, B-ს მიხედვით ვაძოდის, თათქოს ანტონიმ ეშმაკიც აღარ შეურაცხყო.

ხოლო მან არა თავს იღვა და მრავლისათხს, ხოლო მან არა თავს იღვა და მრავალთა მი-ვითარცა-იგი რეცა ღუმლით გამოუცხადებდა, მართ მან ღუმლით გამოუცხადა, უფროეს-უფროესლა ამისთხს, რამეთუ მეგვტელთა აღ-ლა ამისთხს... 35rB. სრულებულთა... კუყარობნ 106A.

ეს კონტექსტიც იმის დამადასტურებელია, რომ ღ-ს რედაქტორს არ ესმის ო-ს პირველი წინადადების „და“-ს მნიშვნელობა (აქ ის = ც, ცა, ბერძნული „και“-ს მეორე ფუნქცია), ის ჩვეულებრივ „და“ კავშირად მიიჩნია და წინადადებაც შესაფერისად გამართა: „მრავალთა მიმართ... გამოუცხადა(?)“.

ხოლო ანტონი მრავალგზის ამისთხს ეპისკო-ხოლო ანტონი მრავალგზის ამისთხს ეპის-პოსთა ევედრებოდა, რამთა ამცნონ ერსა და კოპოსთა ევედრებინ და ამცნებნ ერსა და ერის კაცთა... 107A. ერისა კაცთა... 35rB.

Ὁ δὲ Ἀντωνιος πολλὰ καὶ παρὰ τὸν καὶ ἐπιμαχόμενος ἡμίονο παραγγέλλει νασὶν λαοῖν... 90: 969, 3—5.

A-ს „რამთას“ B-ში ენაცვლება „და“, ეს მარტივი ოპერაცია ცელის დედნისა და A-ს შინაარსს — ანტონი კი არ ამცნებდა ერისკაცებს, არამედ ეპისკოპოსებს ევედრებოდა, ამცნეთო.

მთასა გარე არნ, იხილავნ და უთხრის სერა-მთასა გარე ჰხედავენ და უთხრის სერაპიონ ეპისკოპოსისხა... 98A. ეპისკოპოსისათხს 32vB.

...ὅτι τὸ ἄξιον ἄσχητον... 82; 957, 14—16. ბეჩუჩაჯაი Σαραπίωνι τὰ ἐπι-ξ ἄσπ... 82; 957, 14—16.

A-ს უთანდებლო მიცემითის თანდებლიანი ნათესაობითით შეცვლამ B-ში რადიკალურად შეცვალა დედნისა და A-ს შინაარსი.

ამისა შემდგომად მრავალთა ევენებოდა, უნდა ამისა შემდგომად მრავალთა ევენებოდა და ბაძეა მონაზონებისა მისისა 23A. მრავალთა უნდა მიბაძეა მარხებისა მისისა 25vB.

Μετὰ δὲ ταῦτα, πολλῶν πομπησῶν καὶ μελῶν αὐτὸν ἄψυχον ἄσχητον ἔηλθον 17; 864, 26.

ო-ში დედნის აზრი უკავშირო რთული დაქვემდებარებული წინადადებათაა გადმოცემული, ღ-ს რედაქტორმა ის რთულ შეკავშირებულ წინადადებად აღიქვა, ამიტომ მთავარი წინადადების სუბიექტი დამოკიდებულშიც გადაიტანა და, ამრიგად, მთლიანად შეცვალა დედნისა და ო-ს აზრი.

მაშასადამე, ო და ღ რედაქციების ერთმანეთთან და ბერძნულ დედანთან შედარებამ ცხადყო, რომ ისინი წარმოადგენენ ერთი თარგმანის ორ რედაქციას.

ო რედაქციის ჩვენს ხელთ არსებული A ნუსხა ტექსტუალურ-შინაარსობრივად ზუსტი შესატყვისია დედნისა, ამასთან შინაარსობრივ-სტილისტიკურად

ის უაღრესად დახვეწილია, თანმიმდევრული. მასში არასოდეს არ იჩენს თავს აზრობრივი შეუსაბამობანი, რაც იმის მაუწყებელია, რომ **ტ** რედაქცია ძალიან ახლოს დგას პირველ თარგმანთან. ის მცირეოდენი შეუსაბამობანი, რომლებიც ზოგჯერ იჩენს თავს **ტ**-ში დედანთან შედარებით, გადამწერთა შენატანად უნდა ჩაითვალოს.

**შ** რედაქცია კი წარმოადგენს **ტ**-ს ქართულ ნიადაგზე გადამუშავებულ სახეობას: გამოკრების, ჩამატებების, გრამატიკულ-სტილისტიკური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ჩანაცვლებების გზით რედაქტორ-შემკეთებელს **ტ** პირველთარგმანი რედაქციის საფუძველზე შეუქმნია ახალი **შ** რედაქცია. ფორმათა გრამატიკულ-სტილისტიკური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თუ ტექსტობრივ-შინაარსობრივი შენაცვლებებისა და შემკვიდროების დროს რედაქტორი ვერ იცავს თანამიმდევრობას; იგი, ერთი მხრივ, დედა **ტ**-ტექსტსა და, მეორე მხრივ, ახლად ჩანაცვლებულ სიტყვა-ფრაზებს, მორფოლოგიურ-სინტაქსურ ფორმებს ხშირად ვერ უხამებს ერთიმეორეს, ზოგჯერ კარგად არ ესმის დედატექსტას შინაარსი. ამიტომ ფორმათა მცირე ნიუანსური ცვლილების ან ერთი-ორი სიტყვის მომატება-გამოკლებისა და ჩანაცვლების გზით მთლიანად ასხეაფერებს, რადიკალურად ცვლის ან აბუნდოვანებს აზრს; ამ გზით **შ** რედაქციის ტექსტში თავს იჩენს შინაარსობრივ-აზრობრივი, გრამატიკულ-სტილისტიკური შეუსაბამობანი, გაუგებრობანი ან წინააღმდეგობანი, რომელთა ახსნა ხერხდება მხოლოდ **ტ** რედაქციის ტექსტით.

„ანტონის ცხოვრების“ **ტ** რედაქციის A ნუსხა XI საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერთაა წარმოდგენილი (კ. კეკელიძის გამოანგარიშებით Add. 11281 გადაწერილია 1034—1042 წლებში)<sup>32</sup>, **შ** რედაქციის B ნუსხა შედის IX საუკუნის ცნობილ „უდაბნოს მრავალთავში“<sup>33</sup>, ხოლო C ნუსხა კი X საუკუნის „სევანურ მრავალთავში“<sup>34</sup>. რადგან **შ** რედაქციის **ტ**-ზე დამოკიდებულება ექვს არ იწვევს, აქედან შეიძლება ძალიან საყურადღებო დასკვნების გაკეთება: ჯერ ერთი, **შ** რედაქციის ძველი B ნუსხა გრაფიკულ და კალმისმიერი ლაფსუსების მიხედვით აშკარად გადმოწერილი ჩანს სხვა ხელნაწერიდან, ამდენად „ანტონის ცხოვრების“ **შ** რედაქცია IX საუკუნის პირველ ნახევარში მაინც უნდა დამუშავებულიყო, თუ უფრო ადრე არა, ე. ი. **შ** რედაქციის სახით ჩვენს ხელთაა საკმაოდ ძველი სეინაქსარული ტიპის ცხოვრება. მეორე, ათანასი ალექსანდრიელის „ანტონის ცხოვრების“ პირველი, ვრცელი თარგმანი ქართულად არსებულა IX საუკუნის პირველ ნახევარამდე (**შ** რედაქციის შექმნამდე), VIII საუკუნის ბოლოსათვის მაინც.

32 იხ. ო. უორდროპისა და ალ. ხახანაშვილის დასახელებული შრომები; კ. კეკელიძე, ეტიუდები..., ტ. VII, გვ. 107—108.

33 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 93.

34 თ. უორდანიძე, დასახ. ნაშრომი.

### მ ა ი ა მ ა მ ა ტ ა შ ვ ი ლ ი

## იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“ ერთი აღგილის გაგებისათვის

კლავდიუს პტოლემეიოსის მოძღვრება ცათა სფეროების შესახებ საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული ასტრონომიული სისტემა იყო საშუალო საუკუნეებში როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში. არ არსებობს ამ დროის ასტრონომიული, პოეტური, თეოლოგიური თუ ფილოსოფიური ხასიათის თხზულება, რომ იქ მნათობთა პტოლემეიოსის რიგი არ იყოს დატული (თუ, რაღა თქმა უნდა, მათში საერთოდ დადასტურებულია მნათობთა რიგი). ცხადია, ამ მხრივ არც ქართული ქრისტიანული მწერლობა წარმოადგენდა გამონაკლისს.

იველ ქართულ სამთვარიოებსა და საეტლოებში უხვად ვხვდებით ბიზანტიური და აღმოსავლური წარმომავლობის ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის ტრაქტატებს, სადაც მნათობები განლაგებულია ტრადიციული რიგით. მნათობთა ტრადიციული რიგი დადასტურებულია აგრეთვე ქართულ სიტყვაკაზმული, საისტორიო, თეოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის ძეგლებში, როგორც თარგმნითში, ასევე ორიგინალურში.

სქოლასტიკის უდიდესი წარმომადგენელი იოანე დამასკელი, რომლის დოკმატიკა „განერწყუაჲს და განიშორებს“ ასტროლოგიას, როგორც მოძღვრებას, იღებს პტოლემეიოსის სისტემით წარმოდგენილ სამყაროს და თავის „გარდამოცემაში“ მნათობებს ამ სისტემის შესაბამისი რიგით იმოწმებს: კრონოს, დია, არეა, მზე, აფროდიტი, ერმი და მთვარე მსრბოლ არიან სრბასა დაუცადებელსა, რომელი დამბადებელმან განუწყესა“ („გარდამოცემა“, S—1463,65v).

მნათობთა ეგვეე რიგია დამოწმებული იოანე პეტრიწის ორიგინალურ თხზულებაში „განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“; „... ნაწილ ამის ყოველობისა არიან, ვითარ ქუეყანაჲ, წყალი, აირი, ცეცხლი, სფეროჲ, მოქცევაჲ მთოვარისი, აფროდიტისი, ერმისი, მზისაჲ, არიასი, დიოჲსი, კრონოჲსი და გარემომრთხმელ ყოველთა თვთ უცთომელი სფეროჲ. აწ ესე ყოველნი ნაწილნი არიან ცისანი“<sup>1</sup>.

პროკლეს „კავშირნის“<sup>2</sup> მე-2 თავში „ნაწილთა მიერ შედგმულისა ერთისათჳს“ არც 4 ელემენტია ნახსენები და არც მნათობთა ეს რიგია დამოწმებული. ამას თვით პეტრიწი იძლევა კომენტარში იმ აზრის საილუსტრაციოდ,

<sup>1</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, ტფილისი, 1937, 20, 10—14.

<sup>2</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, ტფილისი, 1940, § 2, 3.

რომ „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“<sup>3</sup>. საამისოდ პეტრიწს მოაქვს ცის მაგალითი, როგორც გვარისა, რომელიც ნაწილთა სახით შეიცავს 4 ელემენტს და 7 სფეროს ცისას. ეს კი ნაწილებია რომელსაც მოიცავს ერთი. ცა არის ერთი, „გინა თუ ხატის ხატერთისა“, რომელიც შეიცავს ცათა ნაწილებს, როგორც სიმრავლეს. ე. ი. ის ერთ და იმავე დროს ერთიც არის და არც არის ერთი (მეტია ერთზე). ცას კი იგი, ბუნებრივია, პტოლემეაიოსის სისტემის შესაბამისად წარმოგვიდგენს.

უფრო ქვემოთ „კავშირის“ 36-ე თავში პროკლე ეხება „მიზეზისა და მიზეზოანისათვის“ საკითხს და წერს, რომ „ყოველთა წარმოობით განმრავლებულთა პირველნი უსრულეს შემდგომთა და შემდგომნი უშემდგომესთათვის“<sup>4</sup>. ამ აზრს ავრცელებს პროკლე წყებათა (სირათა) მთელ სისტემაზე: „ესე სახედ ყოველთა ზედაო“. გამოდის, რომ დასაბამთან უფრო ახლო მყოფი და მონათესავე სირა (გონება, სული, ბუნება თუ სხეული) უფრო სრულია, ხოლო შორს მყოფი — არასრულყოფილი და „უმსგავსორე მიზეზთათვის“.

პეტრიწი ჩვეულებისამებრ აქაც განსამარტ აზრს გამოჰყოფს — „ყოველთა წარმოობით გამრავლებულთა პირველნი უსრულეს შემდგომთა და შემდგომნი უშემდგომესთათვის“ — და იძლევა მის გაფართოებულ კომენტარს. მოგვამცხვს ეს კომენტარი: „ესე გულისკმისყოფაჲ ზემოთაცა შორის გარდამოგვცემია, ვითარმედ პირველნი და მოახლენი თვისთა დასაბამთაჲსა უსრულე არიან თვისთა უშემდგომესთა, რამეთუ მოიღე და სახეთაცა ზედა გასაცნაურდეს. რამეთუ თვთოსა სირასა შორის მყოფთასა უმახლობელესი დასაბამისაჲ უპატიოსნეს და უფრო ღმრთივ, ვითარ ოდეს რაჲ იყოს სირაჲ გონებათაჲ უმახლობელესი ნამდვლ მყოფისაჲ უფრო ღმრთივ... და კუალად ესთავე სხეულთა ზედა, რამეთუ მოახლე უმცთომსა სფეროსა (ხაზგასმა ჩვენია. — მ. შ.) უფრო ღმრთივ, ვიდრე შემდგომთა სფეროთასა. რამეთუ სფეროსა დიდისა კრონოქსასა და მთუაროსასა რაჲზომი განყოფილებაჲ მოაქუს თვის შორის, და კუალად ქმნისა და ხრწნისა მიზეზთაცა ზედა ესთავე. რამეთუ სფეროჲ ეთრიოქსა ცეცხლისაჲ უფრო ღმრთივ სხუათა ასოთასა რამეთუ საუკუნესა თანგანზომილად თან ჰყეების და სამარადისოდ მიდრკების, ვითარცა სხუანი უკუდავისა ხუედრისა ნაწილნი...“<sup>5</sup>.

პროკლეს აზრს პეტრიწი ავრცობს და აკონკრეტებს. მეტი თვალსაჩინოებისათვის და სიცხადისათვის იგი ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ სირას და საგანგებოდ გახაზავს, რომ ის სირა, რომელიც უფრო ახლოა თავის მიზეზთან ანუ დასაბამთან, არის უფრო სრულქმნილი და ღმრთივი, ვიდრე მისი მომდევნო; თავის მხრივ შემდგომი სირა უფრო ღმრთივია, ვიდრე მასზე დაბლა მდგომი, ე. ი. ის წყება, რომელიც მასზე დაბალ საფეხურზე დგას სირათა ამ იერარქიაში.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სხეულთა (ციურ სხეულთა ანუ მნათობთა) სირამ. ცხადია, აქაც იგივე კანონი მოქმედებს. ის სფერო, რომელიც ახლოა „უმცთომსა სფეროსა“ ან „უმცთომელსა სფერო-

3 იქვე.

4 იქვე, 36-ე თავი.

5 იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, ტფილისი, 1937. გვ 89; 36, 15—32.

სა“, უფრო ღმრთივია, ვიდრე მომდევნო სფეროები. მაგრამ ჯერ გავარკვიოთ, რა უნდა იყოს „უმცთომი“ ანუ „უცთომელი“ სფერო. ზემოთ, სადაც 4 ელემენტი და 1 მნათობი აქვს ჩამოთვლილი, პეტრაწი ასახელებს „უცთომელ სფეროს“: „... მოქცევი მთოვარისაჲ, აფროდატისი, ერმისი, მზისაჲ, არიასი, დიოჲსი, კრონოჲსი და გარემომრთხმელ ყოველთა თვთ უცთომელი სფეროჲ“<sup>6</sup>. „უცთომელის“ გარკვევაში გვეხმარება სიტყვა „ცთომილი“. საბასთვის „ცთომილი“ და პლანეტა ერთი და იგივეა. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ცთომილი — შემცდარი, *звнлудшнй*. ს. პლანეტი, რომელიც ძველად ცნობილნი იყვნენ მხოლოდ შვიდნი; *планета*. „ცთომილი“ ეწოდების პლანეტთა განსარჩევად უძრავთაგან ვარსკულათა, რომელნიცა ნიადგ ჰგიან ადგილთა თვსთა შეუცვალეებლად, გარნა პლანეტნი ჰცვლიან ადგილთა მიმოქცეულნი გზასა ანუ წრესა მათსა“<sup>7</sup>. ილ. აბულაძის ქართულ-სომხურ დოკუმენტურ ლექსიკონში<sup>8</sup> „ვარსკულავნი ცთომილნი“-ს სომხურ შესატყვისად მოტანილია „ასტელქ მოლარქ“. „*աստիղք մուլարք*“, რაც იგივე „მოხეტიალე“, მოძრავი პლანეტაა. იოანე დამასკელის ზემოთ დასახელებულ „გარდამოცემის“ 22-ე თავში, სადაც ლაპარაკია „ნათელისათჳს და ცეცხლისა და მნათობთა: მზისათჳს და მთვარესა და ვარსკულათათჳს“, იკითხება: „ამათ მნათობთაგან შუდთა ცთომილად იტყვან და განაჩინებენ წინააღმდგომად ცისა ძრვისა მოძრავობასა მათსა, რომლისთვისცა ცთომილად სახელსდებენ მათ, რამეთუ ცისასა უკუე იტყვან აღმოსავალით დასავალად ძრეასა, ხოლო ცთომილთასა დასავალით აღმოსავალად. ხოლო ძრვისა თვისისა თანაიტანიებს ცაჲ, ვითარცა უმკვრცხლესი შუდთა მათ ცთომილთა... ხოლო არს თითოსა სარტყელსა შინა ცისასა ერთი შუდთა ცთომილთაგან. პირველსა ვიდრე შინა, ესე იგი არს, უზემოესსა კრონოს...“ და ა. შ. (65r). ე. ი. ცთომილი არის მოძრავი ვარსკვლავი ანუ პლანეტა, რომელიც ცის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. „უცთომელი“ კი უნდა იყოს უძრავი. მართლაც, ამგვარი მნიშვნელობით ჩანს დადასტურებული ეს სიტყვა მიტროფანე სმირნელის „თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ“-ში: „დალათუ სიტყუაჲ ჰემმარიტებისაჲ ჰუეშე კერძო ჰუეყანისა კერძო სფერსა შინა მსრბოლად და კუალად აღმოსავლისა მიმართ კუალად-გებულად გამოაჩენს სხუათა მნათობთა, უცთომელთა და ცთომილთაჲ, უვანეხადებულესრე მოძრაობისა და დამყარებისა დასამტკიცებლად მხუმეველი“<sup>9</sup> და კიდევ: „რადცა რაჲ ვინ [ცა]თა შინა იხილოს დიდებული და საკუირველი: დიდთა მნათობთა აღმოსვლევასა და მოკლებასა შინა. ანუ სხუათა ვარსკულათა უცთომელთა და ცთომილთასა“<sup>10</sup>. ე. ი. ცთომილი არის მოძრავი ვარსკვლავი. უცთომელი კი უძრავი. „უმცთომი სფერო“ ან იგივე „უცთომელი სფერო“ სხვა არაფერია, თუ არა უძრავ ვარს-

6 იქვე, 20, 11—12.

7 ქართული ღრამმატიკა, ს.-პეტერბურგი, 1887, გვ. 159a.

8 ლექსიკონი ხელნაწერი სახითაა დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტის პრეტ. ილ. აბულაძის პირად საარქივო ფონდში.

9 კ. კ ე ე ლ ი ძ ე, თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფილისი, 1920, გვ. 13.

10 იქვე, გვ. 18.

კვლავთა სფერო ანუ მერვე ცა, რომელიც სწორედ უძრავ ვარსკვლავთა ცადაა წოდებული და მოთავსებულია მე-7 ცის, სატურნის ცის ზევით. ამიტომ ამბობს პეტრიწი, რომ „გარემომრთხმელ ყოველთა თვთ „უცთომელი სფეროა“ არისო. დაუბრუნდეთ კონტექსტს: პეტრიწი გვიხსნის, რომ ის სირა სხეულთა ანუ მნათობთა, რომელიც ახლოა უძრავ ვარსკვლავთა სფეროსთან (მე-8 ცასთან) არის უფრო ღმრთივი. ესაა სატურნის, კრონოსის სფერო ანუ მე-7 ცა. თავის მხრივ, სატურნი უფრო ღმრთივია, ვიდრე დია-იუპიტერი ანუ მე-6 ცა და ა. შ. მთვარემდე, რომელიც სირათა ამ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას, რადგან მას ეკუთვნის უმდაბლესი ცა — პირველი ცა. ასე რომ, პეტრიწი ამ კომენტარში ცის ზედა და ქვედა ზღვარს გამოპყობს, უმაღლეს და უმდაბლეს ცას (კრონოსსა და მთვარეს) უპირისპირებს ერთმანეთს და ამბობს, რომ მათ „თვს შორის მოაქუს რააზომი განყოფილება“, ე. ი. ამ ორ მნათობს შორის ბევრი განყოფილება (დანაყოფი, ნაწილი) არის მოთავსებული და, მართლაც, პტოლემეაიოსის სისტემის თანახმად (რომელსაც თავად პეტრიწი იმოწმებს მე-2 თავში, როცა ცის ნაწილებს ჩამოთვლის) იგულისხმება 5 სფერო, 5 მნათობი: დიო, არია, მზე, ერპი, და აფროდიტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ პეტრიწი წარმართულ ღვთაებებს კრონოსსა და მთვარეს უნდა ჰგულისხმობდეს. აი, რას წერს ამის თაობაზე პროფ. შ. ნუცუბიძე: „ქართულ კულტურასთან კავშირის გამოვლენაა იქაც, სადაც პეტრიწი მთვარის მნიშვნელობას მალლა სწევს და მას კრონოსის გვერდით ათავსებს. სისტემად გაშლილ ქვეყანაში, სადა „მოახლენი თვსთა დასაბამითაჲსა უსრულ არიან თვსთა უშემდგომესთა“, მალალ საფეხურზე მთვარესა ვხედავთ, რაც ბერძნული აზროვნებისათვის არ იყო დაზახასიათებელი. მთვარის ეგოდენ მალლა დაყენება, განაგრძობს შ. ნუცუბიძე, — ქართული წარმართობის და მის ნიადაგზე შექმნილი ქართული ხალხური წარმოდგენების შედეგია. ყველაფერი განლაგებულია ისე, რომ, „მოახლე უმცთომსა სფეროსა უფრო ღმრთივ, ვიდრე შემდგომთა სფეროთასა: რამეთუ სფეროსა დიდისა კრონოსისსა და მთვარისასა...“ (ხაზგასმა ჩვენია. — მ. შ.) (აქ პროფ. შ. ნუცუბიძე წყვეტს კონტექსტს. გამოდის, რომ სფეროსა დიდისა ერთნაირად ეხება კრონოსს და მთვარეს და ამიტომ არიან ისინი ერთმანეთის გვერდით მოხსენიებულნი) მის შემდეგ, რაც ასე გაიზრებს კონტექსტს, მკვლევარი განაგრძობს: „ეს ადვილი მეტად საგულისხმოა. იგი განსხვავდება ბერძნულისაგან მთვარის შეფასებაში. პლატონისათვის მთვარე არაა არც მამრობითი, არც მდედრობითი სქესის. არამედ საშუალოსი. ამ შეხედულებიდან აშკარად განსხვავდება ქართული შეხედულება, რომლის თანახმად მთვარე მამრობითი სქესისა იყო. მთვარე, ამის გამო პეტრიწისათვის „უდიდეს“ ღმერთის, კრონოსის მახლობლად, გვერდით დგას, რაც სავსებით ეთანხმება ქართულ წარმართობას. აქედან კი კეთდება ძალზე შორსმომავალი დასკვნა: „საგულისხმოა, რომ პეტრიწი ანტიკური წარმართული ფილოსოფიის ნიადაგზე ანტიკურ წარმართობას კი არ დაუბრუნდა, არამედ ქართულ წარმართობას, ხოლო მასში ის ცვლილება მოახდინა, რომელაც მის მიერ აღიარებულ ფილოსოფიურ სოფლგაგებას ესაჭიროებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ქართულ წარმართულ სისტემაში „კრონოსისა“ და „მთვარის“ შუა მოთავსებული

„მზე“ ამოიღო და „პირველად“ და „ერთად“, ყოვლის დასაბამად დასახა; ამ გზით მოხვდნენ ერთი მეორის გვერდით „კრონოსი“ და „მთვარე“ პეტრიწის სისტემაში<sup>11</sup>.

როგორ „მოხვდნენ“ ერთმანეთის გვერდით კრონოსი და მთვარე, ჩვენ ზევით უკვე დავინახეთ. პეტრიწის ამ კომენტარში არა წარმართული დეტალებებია (კრონოსი და მთვარე) დამოწმებული, არამედ მნათობი კრონოსი და მნათობი მთვარე. ასე რომ, ამ ადგილის დამოწმებით თავისთავად იხსნება პეტრიწის წარმართობის დამამტკიცებელი შ. ნუცუბიძისეული არგუმენტაცია<sup>12</sup>.

<sup>11</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, ტფილისი, 1937. წინასიტყვაობა, გვ. LXXIII—LXXIV.

<sup>12</sup> იოანე პეტრიწის წარმართობის დასამტკიცებლად პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ მოხმობილ სხვა არგუმენტებს თავის დროზე შეეხო პროფ. მოსე გოგიბერიძე. იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ., 1940, და „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბ., 1961.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## მელიტა კობალაძე

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ სტილის  
ზოგიერთი საკითხი

სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი თხზულებები, „სწავლანი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და „ევროპაში მოგზაურობა“, სხვადასხვა ენარს განეკუთვნება: „სწავლანი“ პოემლიტიკის ნიმუშია. იგი IV პერიოდის ქართული სასულიერო მწერლობის შესანიშნავი ძეგლია; „სიბრძნე სიცრუისა“ საერო ხასიათის თხზულებაა იგავარაკული ენარისა. მასში გენიალური სისადავით არის წარმოდგენილი ალეგორიული სურათი მე-17 საუკუნის საქართველოს დემოკრატიზაციისა; საერო ხასიათისაა „მოგზაურობაც“, რომელიც საბას ევროპულ შთაბეჭდილებებს გვაცნობს.

სულხან-საბა ორბელიანის ამ სამი თხზულების ენის გრამატიკული ანალიზი ნათელყოფს საბას ენის არაერთგვაროვნებას: „სწავლანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენას მოგვაგონებს, ხოლო „სიბრძნე სიცრუისა“ და „ევროპაში მოგზაურობა“ ამჟღავნებენ სიახლოვეს საერთო-სახალხო ენასთან, resp. იმდროინდელი სასაუბრო მეტყველების ხასიათთან.

ასეთი დაპირისპირება საერო და სასულიერო თხზულებების ენისა შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ ქართული სასულიერო მწერლობა კარგა ხანს ცდილობდა შეენარჩუნებინა ენის გრამატიკული სისტემისა და გამომსახველობით საშუალებათა კანონიკური ხასიათი, საერო ლიტერატურა კი იმთავითვე ფართოდ უღებდა კარს სასაუბრო მეტყველების ელემენტებს მორფოლოგიასა და სინტაქსში, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში.

ჩვენს შემთხვევაში ეს გარემოება უწინარეს ყოვლისა სტილისტიკურ ასპექტშია საყურადღებო. როგორც ჩანს, საბა ითვალისწინებდა თხზულებათა ენარულ თავისებურებებს და სათანადო მასალას სათანადო ენობრივ ყალიბში აქცევდა: ტრადიციისამებრ საჭიროდ ცნობდა „სწავლანის“ ენის არქაიზაციას და ამით სასულიერო მწერლობის სტილისათვის მიმსგავსებას. „სიბრძნე სიცრუისას“ და „მოგზაურობის“ ენარი კი იძლეოდა მათი ენის სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების საშუალებას, რის გამოც ამ თხზულებებში ნათლად გამოჩნდა საბას პოზიცია სალიტერატურო ენის, საკითხში. თუმცა ეს ორი საერო ხასიათის თხზულებაც არ ძეგს ერთ სიბრტყეზე ენობრივი თვალსაზრისით<sup>1</sup>.

ამა თუ იმ ენარის ენობრივ, უფრო ზუსტად სტილებრივ, სპეციფიკას და მწერლის სტილის ინდივიდუალობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი როლი სინტაქსს ენიჭება. ხშირად გადაწყვეტი

<sup>1</sup> მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის საერო თხზულებათა ენის ერთი საკითხი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, № 1, გვ. 17—20.

სწორედ ის არის, თუ რა სახის წინადადებებს ხმარობს უფრო ხშირად ავტორი. „სიტყვიერი ქსოვილის მთელი არქიტექტონიკა, კონსტრუქციების შერჩევა, მათი ორგანიზება, განლაგება და შეერთება რთულ ერთეულებად, ერთი სიტყვით, მოცემული თხზულების მთელი სიტყვიერი კომპოზიცია უშუალოდ არის დამოკიდებული ყოველი პროზაიკოსისა და პოეტის ინდივიდუალური სინტაქსის თავისებურებაზე“<sup>2</sup>.

მკვეთრად არის დაპირისპირებული ამ მხრივ სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებიც. მათ შორის არსებული სტილებრივი სხვაობა, რაც გრამატიკული ანალიზით დასტურდება, კიდევ უფრო ნათელი ხდება თხრობის მანერის შესწავლისას. საბა არა მარტო გრამატიკულ საშუალებებს არჩევდა თხზულების ენარისა და ხასიათის შესაბამისად, იგი საჭიროდ ცნობდა წინადადებათა ტიპების სათანადოდ შერჩევასა და განლაგების აუცილებლობასაც, რისთვისაც მიმართავდა ენაში არსებულ სინონიმურ სინტაქსურ კონსტრუქციებს. „სწავლანი“, ერთი მხრივ, და „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა“, მეორე მხრივ, უწინარეს ყოვლისა თხრობის მანერით უპირისპირდებიან ერთმანეთს, მათს გრამატიკულ სტრუქტურას კი შეხების წერტილები საკმაოდ ეძებნება.

ამჯერად ყურადღებას „სწავლანის“ ძირითად სტილურ ნიშნებზე ვამახვილებთ.

როგორც აღვნიშნეთ, „სწავლანი“ ქადაგებათა კრებულია. იგი სასულიერო ხასიათის თხზულებაა და მისი სტილის თავისებურებაც ამ გარემოებით არის განპირობებული. ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის სტილს არის მისადაგებული ამ ქმნილების ენის არა მარტო მორფოლოგიურ-სინტაქსური წყობა, ძველ ქართულს ბაძავს საბა სინტაქსურ კონსტრუქციათა შერჩევის დროსაც.

I. ცნობილია, რომ „მიდრეკილება დიდი ზეფრაზული ერთეულების შექმნისაკენ, ისევე როგორც, პირიქით, მოკლე წინადადებების გამოყენებისაკენ ავტორებისა და მხატვრული მიმართულებების სტილისტიკური მანერის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია“<sup>3</sup>. თუ ამ მხრივ დავაკვირდებით „სწავლანს“, დავინახავთ, რომ მისი სინტაქსური ქსოვილი რთულია. ჰარბობს დიდი მოცულობის რთული ქვეწყობილი კონსტრუქციები. ამ შემთხვევაშიც „სწავლანი“ აგრძელებს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ტრადიციას, რამდენადაც სწორედ ჰიპოტაქსი განსაზღვრავს ძველი ქართული სალიტერატურო ენის სტილს. როგორც შენიშნულია, საბამ „სწავლანში“ „სწორედ ამ გზით მოახერხა მოეცა ძველ ქართულ სალიტერატურო ენას მიმსგავსებული სტილი“<sup>4</sup>.

ჰიპოტაქსი რთული წინადადების შემადგენელ ელემენტებს, წინადადებებს შორის რთულ აზრობრივსა და გრამატიკულ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აზრობრივი და გრამატიკული სტრუქტურა კიდევ უფრო რთულდება და აზრი კიდევ უფრო დიფერენცირებულად გამოიხატება, თუ მთავარ წინადადებასთან ქვეწყობით დაკავში-

<sup>2</sup> А. И. Ефимов, *Стилистика художественной речи*, М., 1961, стр. 415.

<sup>3</sup> Л. А. Булаховский, *Курс русского литературного языка*, т. I, М., 1952, стр. 394.

<sup>4</sup> ი. გიგინეიშვილი, *სულხან-საბა ორბელიანის ენათმეცნიერება*, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 49.

რებულია არა ერთი, არამედ რამდენიმე დამოკიდებული წინადადება. „სწავლანში“ დაქვემდებარების სწორედ ასეთ სახეობას ანიჭებს უპირატესობას ავტორი. მართალია, გვხვდება ერთდამოკიდებულებიანი ქვეწყობის შემთხვევები, მაგალითად:

უკეთუ ესულო აღდგეს მკედრეთით, სულიერი კაცი არა აღდგეს? სწ. 73, 35<sup>ბ</sup>. ღღეს იოანე იშეების ბერწისაგან, რათა ბერწი სული ჩვენი შეიღიეროს სინანულითა: სწ. 181,36.

მაგრამ დამახასიათებელი უფრო რთული პიპოტაქსური სტრუქტურებია. ვრცელ მსჯელობასა და მტკიცება-უარყოფას, რომლითაც საბა თავისი სამწყსოს შეგონებას ცდილობს, სწორედ ასეთი კონსტრუქციები შეესაბამება. „სწავლანში“ ქვეწყობის გავრცელებული ხერხებია:

1. რამდენიმე დამოკიდებულის დაქვემდებარება ერთ მთავართან. შეიძლება დაქვემდებარდეს როგორც ა) ერთგვარი, ისე ბ) არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები. მაგალითად:

- ა) ეყლისია სახლად ღმრთისად აღშენებულ არს, სადა დამკვიდრებულ არს იესუ ღმრთაებითა, სადა დაიკლვის ქრისტე კაცებითა, სადა განეყოფების ნიჭი სამებისა ყოველთა ერთა მუნ შეკრებულთა: სწ. 32,18.
- ბ) განვიფრთხოთ ძილისაგან მძიმისა, ვითარცა მოწაფეთა, რომელთა გვამძლავრებს უღებება ჩვენი, რათა ეიხილოთ ღმრთაება ჩვენთვის განკაცებულისა ქრისტესი... სწ. 182,3.

2. რამდენიმე დამოკიდებულის თანამიმდევრული დაქვემდებარება ერთ მთავართან:

ნოე დაშვრების კიდობანთა კრვისათვის, რათა მოასწაოს ბაგა პირუტყვთა, რომელსა შინა მწოლარემან ქრისტემან გვიქსნა სოფლისა ამის დელვათაგან... სწ. 48,1.

3. შერეული სახის რთული წინადადებები. დაქვემდებარებულ წინადადებაებს შეიძლება შეიცავდეს ასეთი რთული წინადადების ა) მხოლოდ პირველი, ბ) მხოლოდ მეორე, გ) ორივე (ან მეტი) კომპონენტი ერთად. „სწავლანის“ სტილისათვის ნიშანდობლივი ეს უკანასკნელი შემთხვევაა. მაგალითად:

დგდაკანო სთენ თითისტარითა ძოწეულსა ზეზისასა, რათა მათითა განიმრავლონ სარგებელი, და კაცი ქსოვენ საქსოველთა... რათა მოიგონ მოსაგებელი რამე. ხოლო იუდა იჭირვის და ქსოვს ბაღესა კერაგობისასა, რათა ზაკვით შეიპყრას უფალი: სწ. 145,52.

4. დამახასიათებელია „სწავლანისათვის“ ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადებებიც, სადაც მთავარიცა და დამოკიდებულიც შეიცავს დაქვემდებარებას ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებას სახით. მაგალითად:

უკეთუ ივი განაახლებს ეამითი-უამად ტანჯვასა ძისა თვისისასა და ჭვარცმასა და მოიქსენებს მწუბარებასა თვისსა, რათა ქოჭოხეთით განგარინნეს თქვენ, თქვენცა არა გმართებსთა მოიქსენებდეთ ღღესა მას საშინელსა ჭვარცმისასა, რა იგი ყო თქვენთვის ქრისტემან ღმერთმან, და გამოიხსევდეთ გულთა შინა თქვენთა საგვემლებსა მას. რომლითა იგვემა თქვენთვის ქრისტე, შობილი მარცამისა? სწ. 195,31.

5. ხშირად მიმართაეს საბა რთული წინადადების კომპონენტთა, როგორც მთავარის, ისე დაშოკიდებულის, გაკვეთას დაქვემდებარებული წინადადებით, რომელსაც თავის მხრივ შეიძლება კიდევ ახლდეს დამოკიდებული წინადადება ან განკერძოებული გამოთქმა. ამ ცნობილი ხერხით საბა გზადაგზა განმარტებებით ავსებს, ავრცობს და აფართოებს გამოთქმულ აზრსა თუ დებულებას, რითაც კიდევ უფრო ართულებს კონსტრუქციას. მაგრამ გრამატიკულა და ანრობრივი კავშირი, ჩვეულებრივ, დაცულია და აზრი ნათელი რჩება.

ტიპიურია „სწავლანის“ სინტაქსური ქსოვილისათვის დამოკიდებული წინადადებებით დატვირთული ასეთი კონსტრუქცია:

ესრეთ იწყო უფალმან წინასწარ მოსწავება, რაეამს ეგულებოდა გამოცხადება საიდუმლომსა მის დაფარულისა ძისა თვისისა განკორციელებისათვის, რომელნი მისცნა მას ათორმეტნი მოციქულნი, რომელნი გამოირჩიენა ქრისტემან სოფლისა ამისგან და საშეოცდა ათნი მოწაფენი მას თანა მყოფნი; და წარვლინა ყოველთა სოფელთა ქადაგებად და თესვად თესლასა მის კეთილსა საყანურთა გულისა ჩვენისთა, რომელთაგან ნატყორცნი იფქლნი მთავარდნილ არს ჩვენ ყოველთა საცნობელთა შინა: სწ. 185,19.

II. ქართულ სალიტერატურო ენას იმთავითვე დაჰყვა კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების განვითარებული სისტემა. მაქვემდებარებელი კავშირები და წევრ-კავშირები, რომლებიც ძირითადი პირობაა აზრის დიფერენცირებულად და მაქსიმალური სიზუსტით გამოხატვისა, ფართოდ არის წარმოდგენილი ძველი ქართული სასულიერო და ფილოსოფიური მწერლობის ენაში<sup>6</sup>, რომელიც, ცხადია, სრულიადაც არ ასახავდა სასაუბრო ენაში არსებულ ვითარებას.

კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების განვითარებული სისტემა არის წარმოდგენილი „სწავლანშიც“. აქ ასინდეტური შეერთების ხვედრითი წონა უმნიშვნელოა. საბა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში შემუშავებული მანერის შესაბამისად უპირატესობას ანიჭებს წინადადებათა კავშირიან შეერთებას. ამასთან, რთული წინადადებები აგრეთვე კავშირებითაა მიერთებული, რაც ერთმანეთით განპირობებულ რთულ კონსტრუქციათა გრძელ ჯაჭვს ქმნის. მაგალითად:

არამედ ვინამთგან მარიამ დაუცხრომელად თქვენთვის ესრეთ მეოხ არს, თქვენცა განემზადენით აღსლუად მის თანა, გსუროდესთ ხილვად წმიდაა პარისა მისისა, ვული გითქმიდესთ წინაშე მისა დგომასა და ილენაიდეთ, რათა არაეინ დაგაბრკოლნეს მსახურებად მისთა, რამეთუ დიდ არს, ვისა მეგობარ იყოს დედა მეუფის დიდისა.

ვინამთგან იგი დღე და ღამე დაუცხრომელად თქვენთვის ილენის მეოხებად ძისა თვისისა თანა, რათა აცხოვნეს სულნი თქვენნი, არა თანა-გაცთა თქვენცა ყოველი ნების-ყოფა მარიამისი, რათა სცხონდეთ თქვენ? სწ. 195,21.

III. „სწავლანის“ სტილს ახასიათებს მრავალსიტყვაობა. ხშირად სტრუქტურით მარტივი წინადადებაც „რთულია“, რადგან გადატვირთულია არამთავარი წევრებით, განსაზღვრებებითა და ვარემოებებით. მრავალსიტყვაობას „სწავლანში“ უწინარეს ყოვლისა აპირობებს:

1. ერთგვარი წევრები, რომელთა რაოდენობა დაუსრულებლად შეიძლება ვაიზარდოს და

6 შ.ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 12.

2. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სიმრავლე, განსაკუთრებით ვრცელი მიმართვები.

შერწყმული წინადადება სულხან-საბა ორბელიანის თხრობის მანერის ერთ-ერთი დამახასიათებელი კომპონენტია. იგი გვხვდება თხრობის დამოუკიდებელ საშუალებად და რთული კონსტრუქციის (როგორც თანწყობილი, ისე ქვეწყობილი წინადადების) შემადგენელ ელემენტებშიც. გავრცელებულია ყველა სახის შერწყმული წინადადებები, მაგრამ როგორც ემოციური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა ერთგვარშემასმენლობიანი წინადადება. საბა მკითხველის გაოცებას იწვევს ზმნების აქტიური მარაგის სიუხვით და მრავალფეროვნებით. მაგალითად:

მრისხანე კაცი უფალთა თვისთა აწყინებს, უპატიოსნესთა თვისთა აწყუხებს, მოყვარეთა აყვედრებს, მეუღლეთა აგინებს, შვილთა სწყყევლის, მოყვასთა რისხაენ, მეზობელთა ჰკვედნის, მონათა და მკველთა სტანჯაენ, თათა თვისთა ზედასა-ზედა შეიჩე[ე]ნებნ, პირუტყეთა კვერთხითა ჰგეემნ, ჰურქელთა შემუსრაენ, რომელთამე განქეთქნ, ღმრთისათვის დრტეინაენ, ჰაერთა სწუნობნ, სიციხეთა სძაგებნ, სიცივეთათვის ბოროტს-მზრახველობს, წვიმათათვის წუხს, გვალვათათვის ვაებნ... სწ. 118,10.

ამ ტიპის წინადადებები თხრობის დინამიკურობას აძლიერებენ, ზედმიწევნით სრულად ახასიათებენ ფაქტსა და მოვლენას. მოცემულ შემთხვევაში კი შესაძლებელი ხდება „მრისხანე კაცის“ წარმოდგენა არაჩვეულებრივი სიზუსტით.

სტრუქტურული და ემოციური თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ისეთი შერწყმული წინადადებები, სადაც ერთგვარ წვერებად საწყისია გამოყენებული სხვადასხვა ფუნქციით. მაგალითად:

ვისა გინდა პოენა სიმდაბლისა, მიუედით და იხილენით იერუსალიმად ზეცისა იერუსალიმისა აღმაშენებელისა სიმდაბლით დგომა მსაჯელისა წინაშე, ყვრიმლისა მცემელისა მეორისა კერძისაჲ მიპყრობა, გინება, გმობა, ბასრობა, კიცხევა. ნერწყვა და შიშვლიე მოელა ქალაქსა და ყოველთაჲე სიმდაბლით თავს-დება: სწ. 54,38.

ასეთი წინადადებები, ზემოთქმულთან ერთად, საკითხავად ცოცხალი და ეკონომიურია.

„სწავლანში“ ყურადღებას იპყრობს ერთგვარ წვერთა შეერთების საშუალებანი. ნეიტრალურ, მიუდგომელ თხრობას შეესაბამება ერთგვარ წვერთა შეერთების ტრადიციული წესი: კავშირი უკანასკნელ წვერთან:

მან წმიდამან კაცმან სენა ყოველიჲე საქმე მისი, საკანონოდ დასდუა ესე და უთხრა: სწ. 59,8: ამპარტაენებისაგან დაიბადების მოუსმინარობა, თავლაქერებულება და ცუდ დიდებობა... სწ. 153,5.

ხოლო როდესაც საბას სურს გადმოსაცემი აზრის საგანგებოდ გასაზვა, მიმართავს უკავშირო შეერთებას, ერთგვარ წვერთა დაწყვილებას, ყოველი ერთგვარი წვერის წინამაჲელ წვერთან კავშირით მიერთებას.

ერთგვარი წვერების უკავშირო შეერთება „სწავლანში“ საკმაოდ გავრცელებულია. ამ ცნობილი ხერხით საბა დინამიკურობას ანიჭებს თხრობას. ასეთი წინადადებები მოქნილობის ეფექტს ქმნიან მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარ წვერთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, არცთუ მცირეა. მაგალითად:

დაიმკვიდრონ მშვიდთა ქვეყანა წარუვალ, ქვეყანა მართალთა, თემი წმიდათა, საეანე მოციქულთა, სახლი წინასწარმეტყველთა, სადგური მოწამეთა, განსასვენებელი მღვდელთ-მოძღვართა, ყოფნა მამათ-მთავართა! სწ. 130,21.

საკმაოდ ხშირად ხდება „სწავლანში“ ერთგვარ წევრთა დაწყვილებაც. ამ ხერხით კი საბა ერთგვარად ანელებს თხრობის ტემპს, რითაც მკვეთრად გახაზავს თქმულის მნიშვნელობას და ამახვილებს მსმენელის (resp. მკითხველის) ყურადღებას. ამასთან, ასეთი პერიოდები რიტმულობითაც ხასიათდება, რაც უეჭველად აძლიერებს ქადაგებისათვის სასურველ ეფექტურობას. მაგალითად:

... განაქიქა და შეარცხვინა, მოაქცია და დაამტკიცა მართალი სარწმუნოება — ძმისწული ეკლესიისა: სწ. 23,4 მაშინ იყო მშვიდობა შორის კაცთა და გველთა, ძაღლთა შორის და ყურღველთა, ციკათა და თაგეთა: სწ. 30,36.

დამახასიათებელია „სწავლანის“ სტილისათვის ყოველი ერთგვარი წევრის წინამავალ წევრთან და კავშირით მიერთება. ასეთი აგება შერწყმული წინადადებისა სიახლე არ არის. იგი ცნობილია ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილისათვის. მაგრამ საბა ამ გავრცელებულ ხერხს საინტერესო ნიუანსით ხმარობს: ერთგვარ წევრთა ასეთი შეერთება ამაღლებულს ხდის მსჯელობას და საზეიმო განწყობილებას ქმნის, რაც აგრეთვე აუცილებელია ქადაგების სათანადოდ აღქმისათვის. მაგალითად:

ჰოე, დოდ არს სიყვარული და ყოელისა სათნოებისა უაღრესი და ყოველთა მადლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებულ! სწ. 92,31; და უბრწყინვალესად მზისა ნათიბენ სიმრავლეთა თანა ზეცისა ძაღლთა, და ხედვენ მარადის პირსა მამისა ზეცათასა, და თანა მოდასე არიან მშვიდთა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა და მოძღვართა თანა: სწ. 149,26.

ასეთი წინადადებები უეჭველად განსაზღვრავენ „სწავლანის“ ინდივიდუალობას და მკვეთრად უპირისპირებენ საბას ამ თხზულებას მის სხვა ნაწარმოებებს. სადაც ავტორი საგანგებოდ არ ზრუნავს სტილის მაღალფარდოვნებაზე, მის ეფექტურობაზე.

2. „სწავლანის“ სტილისათვის დამახასიათებელ მრავალსიტყვაობას ხელს უწყობს განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სიუხვე. განსაკუთრებით მრავალსიტყვიანია მიმართვა, რომელიც, ჩვეულებრივ, უხვად არის დატვირთული განსაზღვრებებით. მაგალითად:

საყვარელნო ჩემნო, ტაძარნო დმართისანო და სადგურნო სულისა წმიდისანო... სწ. 24,10: ჰოი კაცო, გულქეაე და გონება მიუღრეკელო, რასა მალლო? სწ. 222,36.

ასეთი გაფართოებული მიმართვები ემოციურია. განსაკუთრებით დიდი იქნებოდა მათი ზემოქმედების ძალა ქადაგების უშუალო პროცესის დროს.

სპეციალურ ლიტერატურაში საზგასმულია განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სტილისტიკური ღირებულება. ა. ნ. გვოზდევნი აღნიშნავს: „განკერძოებული წევრების საერთო ნიშანი განუკერძოებელი წევრებისაგან განსხვავებით ის არის, რომ მათ მეტი სემანტიკური წონა აქვთ, გამოყოფენ,

ხაზს უსვამენ დეტალს, რომელსაც აღნიშნავენ<sup>7</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებული „სწავლანში“ დანართია<sup>8</sup>. იგი ემოციურობის თვალსაზრისით ხელსაყრელად გამოყოფს წინადადების საჭირო წევრს და მსმენელის (მკითხველის) ცნობიერებისათვის შთამბეჭდავს ხდის ხშირად საკვებით სადა კონტექსტს. დანართი შეიძლება უშუალოდ მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას:

არა მოიკსენებ სიმკნეთა ქალწულთასა, წარმატებულსა გმირთასა... სწ. 30,16; ... რათა განმზადებული შეეუმთხვიენთ პტერსა ჩენსა — სიკედოლისა: სწ. 82,23.

მაგრამ, ჩვენი შეხედულებით, ემოციურობის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, სადაც ასახსნელსა და ამხსნელ სიტყვას, ე. ი. დანართს, შორის სხვა სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფია მოქცეული. ასეთ შემთხვევაში დანართი კიდევ უფრო მკვეთრად გამოიყოფა კონტექსტიდან, რაც თვალსაჩინოდ აძლიერებს მისი ზემოქმედების ძალას. მაგალითად:

ახალი ისრაელი, რომლისა ამბავსა სმენად იხარებდა წინასწარმეტყველი, თქვენთვის იშვა დღეს, წინამძღვარი იგი ცხორებისა... სწ. 51,31; ... და შენცა მიხვალ უცხოება მის ქრისტეს კართა თანა, უცხო და უცნობელი... სწ. 100,28.

„სწავლანის“ სტილისათვის დამახასიათებელი და მკითხველზე ზემოქმედების თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავია დანართი, რომელიც ახლავს პირის ნაცუალსახელით გამოხატულ წევრს. მაგალითად:

რათა აღვიყვანოს ჩვენ, მიწიერნი, ზეცისა სასუფეველსა: სწ. 169,36; ... და შე შეიწრებულნი, მწუხარე დედა, გიქირებდი... სწ. 192,30.

მაგრამ დანართის სტილისტურ ღირებულებაზე ლაპარაკი ყოველთვის არ შეიძლება. მას ზოგჯერ მხოლოდ აზრის სიცნადისათვის ხმარობენ. ასეთი დანართი „სწავლანშიც“ გვხვდება.

IV. სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ მკვერმეტყველური ენაწყლიანობის შესანიშნავი ნიმუშია. საბა თავის პოძილიებში სრულად და ფართოდ აცნობს მსმენელს ქრისტიანული რელიგიის დოგმებს, ვრცლად ასაბუთებს მათს ქეშმარიტებას, რისთვისაც სტრუქტურული თვალსაზრისით სრულ კონსტრუქციებს იყენებს. მაგრამ ზოგ შემთხვევაში შეიმჩნევა მისწრაფება მეტყველების ეკონომიურობისადმი, რის გამოც გვხვდება ელიპსური წინადადებები. ჩვეულებრივ, ასეთ წინადადებებში გამოტოვებულია ზმნა, რომელიც ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამის მიხედვით. მაგალითად:

ქრისტემან, კაცთა სათნობისათვის განაკებულმან, დაითმინა სიმალისაგან სიმდაბლედ ყოფა, დაითმინა იწროთა ადგილთა გარეშემოუწერელმან დატენა, ცათა უმაღლესმან — ქებასა შობა, საყდართა მჭდომარემან — ბაგასა მიწენა, სერობინთა უფალმან — ბურღოთა ზედა გორვა, ქერობინთა შემოქმედმან — პირუტყვთა მიერ ლომნა: სწ. 49,17.

V. ამავე კონტექსტში საყურადღებოა მიმღეობურ კონსტრუქციათა გამოყენება. განსაკუთრებით ხშირია მიმღეობური კონსტრუქციის განკერძოების შემთხვევები. ჩვეულებრივ, ასეთი კონსტრუქცია საობიექტო მიმ-

<sup>7</sup> А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка, 1965, М., გვ. 275.

<sup>8</sup> დანართი ძველ ქართულში საგანგებოდ აქვს შესწავლილი ა. კიზირიას. იხ. ივე, XIV, 1964, გვ. 177—186.

ღეობას შეიცავს, მაგრამ გეხვდება სასუბიექტო მიმღეობის განკერძოების შემთხვევებიც. მაგალითად:

**საობიექტო მიმღეობის შემცველი განკერძოება**

... და უგალობდეთ ძესა მას, ბეთლემს შობილსა, სულით წმიდათურთ... სწ. 51,22; ხანძარი, ეელთა აღტყინებულთ, ნედლისა ბალახითა და ნოტიოთაგან დაეცადების... სწ. 119,18; არცა მოიქსენებს სკულსა, დაწერილსა მოსეს მიერ... სწ. 131,11.

**სასუბიექტო მიმღეობის შემცველი განკერძოება**

როსკიჰმან უპატიურმან, მპოენელმან პატიოსნებისამან, ქრისტეს თანა განადიდა განმართლება და მოციქულმან პატიოსანმან, მკამელმან საღმრთო-მსახურაჲსამან, განადიდა შეტყული: სწ. 154,5; იგი თავადი უსართულო იყოფებოდა, არსადა თავისა მიღრეკისა ქონებისა მპოენელი: სწ. 180,28.

ასეთი განკერძოებული გამოთქმები დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ეწვევიან. მათ ევალებათ განტვირთონ რთული კონსტრუქციები დაქვემდებარებულ წინადადებათაგან. მაგრამ მიმღეობური კონსტრუქციების გამოყენება კიდევ უფრო ამძიმებს კონტექსტს. ეს განსაკუთრებით სასუბიექტო მიმღეობის განკერძოების შემთხვევებს შეეხება, რადგან ხშირად ქართული ენისათვის არაბუნებრივ ფრაზებს ვიღებთ. მიუხედავად ამისა, დამოკიდებული წინადადების შენაცვლება განკერძოებული გამოთქმით, კერძოდ მიმღეობური კონსტრუქციით, ისევე როგორც სრული და ელიპსური სტრუქტურების მონაცვლეობა, მეტად მნიშვნელოვანია თხრობის სტილის მონაცვლეობის თვალსაზრისით. ხდება ერთგვარი გადასალისება, რაც აიოლებს აღქმას.

იგივე უნდა ითქვას ისეთ წინადადებებზე, რომლებიც საობიექტო და სასუბიექტო მიმღეობას შეიცავენ განუკერძოებლად. ამ შემთხვევაშიც რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად:

**საობიექტო მიმღეობის შემცველი წინადადებები**

რამეთუ კაცსა კაცი გთხოვს მოცემულსა ღმრთისასა: სწ. 96,20; სიკედლისა მოახლებულსა ნუთუ მთელი ცნობამცა მიგელოს: სწ. 57,36; არამედ არა სადა აღმოგვიკითხაჲს და არცა გვასმიეს შემთრვალე შეწყალებულთ, ... ანუ ცოდვისა მიტეეებულთ სწ. 219,14.

**სასუბიექტო მიმღეობის შემცველი წინადადებები**

უცხოჲსა ბუნებისა მქონებელმან უცხოჲსა ქალისა თანა დაივანა... სწ. 98,25; შეიკრებენ გინებათა ბილწთა და წარწყმედელთა სულასათა და განმშორებელთა კაცთა ღიღებისაგან ღმრთისათა და შემაწუხებელთა მოყვასთა და მოყვარეთა თვისთათა... სწ. 121,3; ესე ჩემი ნამუშავევი არა არს და მე შემმუშაკებელისა ჩემისა ვითარ კელ-ეჟო განსყიდად? სწ. 146,23.

მიმღეობა „სწავლანის“ ენაში კიდევ ერთ შემთხვევაში გამოიყენება. ეს არის ერთი ტიპის პასიური კონსტრუქცია: შემასმენლად მეშველზმნიანი მიმღეობა, როდესაც ზმნას ორგანული წარმოების უნარი გააჩნია. ასეთ კონსტრუქციათა ხვედრითი წონა „სწავლანში“ ხელშესახებია. ხშირად მეშველზმნიანი მიმღეობებით მთელი პასაჟებია გამართული. მაგალითად:

სიკვდილი ვითარება არაა არს და განმარტებელი ჩვენი არს; სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსებისა უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უქორცო არს და ქორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვდილსა ძარღენი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამქსნელი არს; სიკვდილსა ძვალნი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განმამოშველებელი არს; სიკვდილი უქმო და უსიტყო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადრუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს: სწ. 80,10.

VI. ქართული ენა წინადადების ორგვარ კონსტრუქციას იცნობს: მოქმედებითსა და ვნებითს<sup>9</sup>. „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა“<sup>10</sup> და, ბუნებრივია, რომ გაბატონებულია აზრის მოქმედებითი გვარის ზმნებით გადმოცემის ტრადიცია. იგივე უნდა ითქვას „სწავლანის“ შესახებ. საბა თხრობისას უპირატესობას აქტიურ ფორმებს ანიჭებს. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ტიპიური კონტექსტი:

ვარცხნისა ნაცვლად ლერწმითა სცემდენ და თმათა და წვერთა ფხვირდენ, ნელსაცხებლისა ცხებისა ნაცვლად პირთა ნერწყვიდენ და ყვირმალსა უქეთქდენ, ქულისა ნაცვლად ეკალთა დაადგმიდენ, ბიალონისა ნაცვლად ქვარსა გააკრვიდენ, ბალიშისა ნაცვლად ბრალის ფიციართა დაუდებდენ... სწ. 99,19.

გაცილებით იშვიათია „სწავლანში“ პასიური კონსტრუქცია. მაგრამ თხრობის გადასახალისებლად სულხან-საბა ორბელიანი ვნებითი გვარის ფორმებსაც მიმართავს, ჩვეულებრივ, ინიან ვნებითებს. ამ შემთხვევაში მოქმედების ჩამდენი პირი შესაძლოა სულ არ იყოს ნაჩვენები, ან წარმოდგენილი იყოს მიერ თანდებულიანი მოქმედებითით და, უფრო ხშირად, -გან თანდებულიანი ნათესაობითით. მაგალითად:

ქრისტე ივინა ჩვენთვის, ინერწყვა და განიბასრა, რათა გეასწაოს ჩვენ მოთმინება... სწ. 137,34; რამეთუ განიძო ექსორიობად და მოიკლა გზათა ზედა და არა სათნო იჩინა ქერიისა ერთისა ვენახისა წარხმა: სწ. 211,25. მაშინ პილატე და პეროდეს მიერ განიკითხებოდა და მერვე ყოველნი მსაჯულნი ამის მიერ განისაჯებიან. მაშინ პურიათაგან ივინებოდა, მერვე ზეცისა ძალთაგან იდიდების. მაშინ ავაზაკთა მიერ იყვედრებოდა, მერვე მთავრობათაგან იქების: სწ. 69,9.

სოლო აღწერილობითს ანუ პერიფრასტულ ვნებითს საბა იშვიათად ხმარობს. მაგალითად:

ისაკის ნაცვლად დაკლულისა ცხოვარისა მიერ ჯოჯოხეთსა შთაყრილ იქმნენ ვეშანი... სწ. 182,25; ცათა და ქვეყანათა მტეირთველი უცნოდ დედაკაცისა მიერ ტვირთულ იქმნებოდა: სწ. 99,1.

წინადადების ასეთი აგება „სწავლანის“ სტილისათვის დამახასიათებელი არ არის.

VII. ხშირად ვხვდებით „სწავლანში“ ე. წ. მასდარულ კონსტრუქციას. საბას ქადაგებათა სტილისათვის დამახასიათებელია ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის გამოყენება ე. წ. ინტინიტივის ფუნქციით. უკვე ეს გარემოება ატარებს მკვეთრ ზღვარს საბას სასულიერო და საერო თხზულებათა

<sup>9</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგერთი საკითხი, 1965, გვ. 105.

<sup>10</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 291.

შორის<sup>11</sup>, განსაკუთრებით „სწავლანსა“ და „ევროპაში მოგზაურობას“ შორის. როგორც ჩანს, საწყისის ძველქართული ფუნქცია საბას გარკვეული სტილისტიკური ნიუანსით გამოუყენებია. მასდარული კონსტრუქცია ამაღლებულსა და საზეიმოს ხდის თხრობას, რაც საესეებით შეესაბამება საბას საანალიზო თხზულების ფორმასა და შინაარსს, მის დანიშნულებას.

ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი გარკვეულ ტიპის ზმნებთან დამატების ფუნქციას ასრულებდა<sup>12</sup>. ასეთი საწყისი ძალზე ხშირია „სწავლანის“ ენაშიც. მაგალითად:

შემდგომად შეიდეულისა ერთისა აღსარებად იწყო თვისთა ცოდვათა: სწ. 61,20; ... სწრაფით იწყოს გლოვად: სწ. 84,4; ... და არღარა ძალ-უცზე აღდგომად: სწ. 86,18; ... და სხვათათვისე გნებავს დატევებად? სწ. 108,30.

რამდენსამე შემთხვევაში ასეთი საწყისი, ძველი ქართულის მსგავსად, პირმიმართ დამატებასაც იგუებს. მაგალითად:

ვისა გენებოს ხილვად სიმდაბლე, მიედათ და იხილეთ... სწ. 54,33; განიღვიძებს და დაიწყებს მუშაკობად საზრდელსა სულთა თვისთასა: სწ. 25,13; იგი საქმე დაუტეოს და სხვათა რომელსამე საუბარსა იწყოს თქმად: სწ. 27,27; ახალი ისრაელი, რომლისა ამბავსა სმენად იხარებდა წინასწარმეტყველი, თქვენთის იშეაღღეს... სწ. 51,31.

მაგრამ, ჩვეულებრივ, ასეთ პირმიმართ დამატებას უბრალო დამატება ცვლის, რომლის ადგილი არ არის ფიქსირებული: იგი შეიძლება მოსდევდეს საწყისს და უსწრებდეს კიდევ მას. მაგალითად:

ოდეს მოუდეს გლახაკი თხოვად პურისა... სწ. 94,29; ქერაი არა შეწეხებული იყო წარგებად საზრდოასა: სწ. 105,26; ... რათა არა უტეოთ დათხრად სახლისა ჩვენისა, არა თუ ამა სახლისა დათხრად, მას წარუვალისა სახლისა დათხრად, — ეიღვიძებდეთ, რათა არა უტეოთ საუწყისა ჩვენისა წარქარვად: სწ. 82,10.

„სწავლანში“, ისევე როგორც ძველ ქართულში, ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს სახელობითი და მიცემითი ბრუნვები ენაცვლება. მაგალითად:

უპოვარ ვარ მე, არა ძალ-მიც მასპინძლობა... სწ. 106,7; ... და პირითა უფლისათა უბრძანა ქამა პურისა: სწ. 113,31; არცა ერთსა უბრძანეს მსახურება... სწ. 103,7; ხელაეთა, მოციქული ვისა შიბაძვასა გეიპრძანებს? სწ. 89,3.

მაგრამ „სწავლანის“ სტილის თავისებურებას ამ ფაქტიურად სინონიმურ კონსტრუქციათაგან აუცილებლად ძველქართული ფორმები განსაზღვრავს.

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ძველ ქართულში მიზნის გარემოებას გადმოსცემდა<sup>13</sup>. ჩვეულებრივია ამ ფუნქციით იგი „სწავლანის“ ენაშიც. მაგალითად:

მაშინ ჰერიანი მისთვის წარწყმედად შეათქმოდენ და მერმე მიგებად მათდა მომავალ არს: სწ. 69,7; მოსრულ არს შენადეე ნათესაეი თხოვად... სწ. 97,12;

<sup>11</sup> Д. Чхубианишвили, Имплицитив в древнегрузинском языке, Автореферат, Тбилиси, 1966, გვ. 24.

<sup>12</sup> ა. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ქართულში, ივე, VII, 1955, გვ. 46.

<sup>13</sup> ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

აღიქვა მქართა თვისთა კბო და მოიყვანა დაკლვად... სწ. 103,4; ოდეს მოვიდეს... განსჯად ცოცხალთა და მკედართა... სწ. 112,27.

ამავე ფუნქციით, ე. ი. მიზნის გარემოებად, ძველ ქართულშივე, თუმცა შედარებით იწვიათად, გამოიყენება ვითარებით ბრუნვაში დასმული მოძვეალი დროის მიმღეობა და -თვის თანდებულიანი საწყისი. ასეთი ფორმები გვხვდება „სწავლანშიც“. მაგალითად:

მოძვეალი დროის მიმღეობა მიზნის გარემოებად

...მოაქვს ჩვენდა საჩვენებელად: სწ. 69,34; დაგვაგო წმიდა კორცი მისი საკმელად ჩვენ, მომყმართა,... და გვასვა წმიდა მისი სისხლი მოსატევებელად ცოდვათა... სწ. 104,31; უთმინოება არს აღმაგზნებელი ცეცხლთა გენიისათა დასაწვავეად თავისა თვისისა და დასასჯელად სულთა თვისთა სწ. 110,31.

-თვის თანდებულიანი საწყისი მიზნის გარემოებად

ხედავთ, საყვარელნო, დამბადებელი ჩენი და ღმერთი ჩენი ჩენისა განმდიდრებისათვის, და ამალღებისათვის და ზეუად აღყვანებისათვის ერთ დაგლახანა... სწ. 94, 12; რასა ზრუნავ მკირედისა ჰერისა და გეებისათვის? სწ. 101,20.

ასეთი მიზნის გარემოების შემცველი მარტივი წინადადება სათანადო დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ეწევა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებასთან გვაქვს საქმე მაშინაც როდესაც განკერძობულია სასუბიექტო ან საობიექტო მიმღეობა, ანდა წინადადება ამ მიმღეობებს შეიცავს გახუკერობლად. მაშასადამე, იქ, სადაც სინის გარემოება გადმოცემულია ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისით, ვითარებით ბრუნვაში დასმული მოძვეალი დროის მიმღეობით, -თვის თანდებულიანი საწყისით, ან გვაქვს საობიექტო და სასუბიექტო მიმღეობის ხმარების გარკვეული შემთხვევები, მოსალოდნელი იყო დამოკიდებული წინადადებები, რაც საგრანობლად გაართულებდა „სწავლანის“ ისედაც რთულ სტილს. სწორედ ამიტომ ასეთი კონსტრუქციები ღირებულია არა მხოლოდ როგორც სტილებრივი საშუალება, რომელიც ამალღებულსა და საზეიმოს ღღის თსრობას (ეს განსაკუთრებით მასდარულ კონსტრუქციას შეეხება), არამედ როგორც დამოკიდებულ წინადადებათაგან სეტყველების განმტვირთველი ხერხი.

მაგალითად. იხ. შემთხვევები, სადაც მიმღეობური და მასდარული კონსტრუქციები საგრანობლად ამარტივებენ რთულ სინტაქსურ ერთეულებს:

მოგზაურნი წარღენ შორთა გზათა და ზღვათა შინა ვლენან, რათა განციდონ სავაქრო თვისი სარგებელად, და, ოდეს ქარნი აღღვებან დანთქმისათვის, ეედრებაან ღმერთსა; ხოლო იუდა უსჯულო ქართა შემრისსეელი სა და ღელათა დამაყენებელისა განსყიდად მიზბის: სწ. 146,27.

ეს წინადადება თავისი სტრუქტურით რთულია. მაგრამ იგი კიდევ უფრო რთული იქნებოდა, რომ მასში მიზნის გარემოებებად არ ყოფილიყო გამოყენებული დანთქმისათვის და განსყიდად; ეს ორი მასდარული კონსტრუქცია, რომელთაგან თითოეული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იქვს და სხვადასხვა სტილისტიკური ხორმის გამომხატველია, მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას ეხაცვლება. იგივე უნდა ითქვას სასუბიექტო მიმღეობების, შემრისხველისა და დამაყენებელის,

მიმართ. აქაც დამოკიდებული წინადადების მიმღობური კონსტრუქციით შენაცვლებასთან გვაქვს საქმე. საგულისხმოა ეს კონტექსტიც:

როსკიჰმან უპატიურმან, მპოენელმან პატიოსნებისამან, ქრისტეს თანა განდიდა განმართლება და მოციქულმან პატიოსანმან, მქამელმან საღმრთო-მსატრაპეზისამან, განდიდა შეტყუილი. მეძაი სახლოა სამეძაოთა, რომელი მარადის ისმენდა სიტყვათა საძაგელთა და ჰყოფდა სიმღერათა და სილოდათა, ვითარ აღდგა და იუდა უბადრუკი, მოწაფე ქრისტესი, რომელსა მარადის ესმოდა სწავლა საღმრთო, იხილეთ, ვითარ დაეცა საწყალობელად! სწ. 154,5.

აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი კონსტრუქცია: მიმღობური (მპოენელმან პატიოსნებისამან და მქამელმან საღმრთო მსატრაპეზისამან), რომელიც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების მაგიერობას ეწევა, და საკუთრივ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები (რომელი მარადის ისმენდა სიტყვათა საძაგელთა და ჰყოფდა სიმღერათა და სილოდათა; რომელსა მარადის ესმოდა სწავლა საღმრთო). აღსანიშნავია, რომ საბა მსჯელობას კვლავ მიმღობური კონსტრუქციების გამოყენებით აგრძელებს:

უწმინდური დედაკაცი და სხვათა სიწმიდისა განმძარცველი დიდი წმიდა იქმნა და მოწაფე სხვათა განმწმედელი და თავისა თვისისა წარმწყმედელი და უფლისაგან წმიდად რჩეული, სრულიად უწმიდურ იქმნა. მარიაჲ უცხო, უცნობი ქრისტესი, მეძაობისა დამტევებელი, ქრისტეს მეცნაერ იქმნა... სწ. 154,11.

როგორც ვხედავთ, კონსტრუქცია განტვირთულია დაქვემდებარებულ წინადადებათაგან, მაგრამ მძიმე და მოუქნელია. სამაგიეროდ ეკონოპიური და ამავე დროს ეფექტურიცაა. ქადაგებათა ენარისათვის კი ეს აუცილებელია.

ამრიგად, მიმღობური და მასდარული კონსტრუქციები, რომლებიც „სწავლანში“ დასტურდება, დამოკიდებულ წინადადებათა შესაძლო რაოდენობას საგრძნობლად ამცირებენ. მაგრამ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ იძლევა საბაბს ვილაპარაკოთ „სწავლანის“ სტილის სიმარტივეზე. მის შეკუმშულობაზე. მათი გამოყენებით ხდება თხრობის სტილის გადანაცვლება. რაც აიოლებს ქადაგების აღქმას. იგივე ითქმის სრული და ელიპსური სტრუქტურების მონაცვლეობის შესახებ.

VIII. სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა სინტაქსურ ქსოვილზე თავისებურ ზეგავლენას ახდენს ემოციური სიტყვათა რიგი, თავისებური ინვერსიები და სიტყვათა დაჯგუფებანი, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება შემდეგი:

ქადაგებათა სტილისათვის დამახასიათებელია შედგენილი შემასმენლის ერთ-ერთი სახელადი ნაწილის (ასეთ შემთხვევაში სახელადი ნაწილი ორი ან სამია) გადაადგილება შემასმენლის, მისი მიმყოლი წევრებისა და მაკავშირებელი სიტყვის შემდგომ. მაგალითად:

ელესიისა გარეგან ტყვე არს სული და დაბმულ... სწ. 25,8; ხოლო ქოჯოხეთსა შინა შესრულისა ტანჯვათა რიცხვი უთვალავ არს და მოუღვეველ: სწ. 58,6; და თქვენცა, დედაკაცნო, რომელნიცა ამპარტაევან ხართ და ურწმუნო... სწ. 60,10; ეკლესიისა გარეგან მძინარე არს კაეი სულიერისა საქმიანათვის და უქმ... სწ. 25,12.

ერთგვარ წვერთა ინვერსიას, მათს გადაადგილებას შემასმენლის შემდგომ საბა სხვა შემთხვევებშიც მიმართავს. მაგალითად, საკმაროდ გავრცელებულია ერთგვარ გარემოებათა გათიშვა:

ქათოსნად ვიწყო და მღუმრიად... სწ. 28,29; დუმილით დეგ შენ და თაემოდრეკით... სწ. 35,10; ცუდად ცრემლოის და ურგებად... სწ. 86,20; ეცხლი იგი არაოდეს დაშრტებს, უკუნითი უკუნისამდე ულხენელად იქმნების, უამებელად და განუსვენებლად... სწ. 66,26.

წინადადებაში სიტყვათა ჩვეული რიგის ასეთი შეცვლა არღვევს მეტყველების რიტმს და სიახლის შეგრძნებას იწვევს. ამასთან, გადაადგილებული სიტყვა, გამოიყოფა რა კონტექსტიდან, იძენს ემოციურ მახვილს, რაც მოხდენილობას სძენს ფრაზას და ემოციურობასაც ჰმატებს.

ინვერსიული წყობის მოხდენილობა ნათელი გახდება, თუ შევეუპირისპირებთ სიტყვათა ორდინარული რიგის შემთხვევებს:

... ურგებელ და ცუდ არს სულსათვის ცოდვათი სანანული... სწ. 33,28; ღმერთი მოწყალე და სულგრძელ არს: სწ. 86,1; ხოლო ჩვენ იგი შეუცაცხად და საკიცხელად მიგვაჩნს... სწ. 137,35.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა სტილისტიკური თავისებურებები ეანრის თავისებურებით არის განპირობებული. „სწავლანი“ სასულიერო მწერლობის ნიმუშია. ამიტომ საეკლესიო მწერლობის ენას არის მისადაგებული მისი ენის გრამატიკული თავისებურებანი. ძველ ქართულს ბაძავს საბა სინტაქსურ კონსტრუქციათა შერჩევის დროსაც. აქედან გამომდინარე, „სწავლანის“ სტილისათვის დამახასიათებელია:

1. რთული, კერძოდ ჰიპოტაქსური, კონსტრუქციების სიხშირე, მათი სტრუქტურული მრავალფეროვნება და დიდი მოცულობა.

2. კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების განვითარებული სისტემა. „სწავლანში“ ასინდეტური შეერთების ხვედრითი წონა უმნაშენელოა. ამასთან, რთული წინადადებები აგრეთვე კავშირებითაა მიერთებული ერთმანეთთან, რაც ერთმანეთით განპირობებულ რთულ კონსტრუქციათა გრძელ ჯაჭვს ქმნის.

3. მრავალსიტყვაობა. „სწავლანში“ ხშირად მარტივი წინადადებაც „რთულია“ დიდი მოცულობის გამო. მრავალსიტყვაობას. საბა აღწევს ერთგვარი წვერებით, რომელთა რაოდენობა შეიძლება დაუსრულებლად გაიზარდოს. და განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით.

4. მიმღეობური კონსტრუქციები, რომელთა დანიშნულებაა რთულ კონსტრუქციათა განტვირთვა დაქვემდებარებულ წინადადებათაგან.

5. ამავე მიზანს ისახავს მასდარული კონსტრუქციები, რომელთა გამოყენებას გარკვეული სტილისტიკური ნიუანსიუ ახლავს: ისინი ამაღლებულსა და საზეიმოს ხდიან მეტყველებას; რაც სავსებით შეეფერება ქადაგებათა ფორმასა და შინაარსს, მათს დანიშნულებას.

6. სტილისტიკური თვალსაზრისით მეტად ეფექტურია მოქმედებითი და ვნებითი, სრული და გლიჰსური კონსტრუქციების მონაცვლეობა.

7. ქადაგებათა სიტყვიერ ქსოვილზე ზეგავლენას ახდენს თავისებური ინვერსიები, კერძოდ შედგენილი შემასმენლის ერთ-ერთი სახელადი წევრის გადაადგილება შემასმენლისის, მისი მიმყოლი წევრებისა და მაკავშირებელი სიტყვის შემდგომ, აგრეთვე ერთგვარ გარემოებათა გათიშვა შემასმენლითა და კავშირით.

М. И. КОБАЛАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СТИЛЯ „ПОУЧЕНИЙ“  
С.-С. ОРБЕЛИАНИ

Р е з ю м е

Индивидуальность стиля писателя определяют разные факторы, но, по общепризнанному мнению, часто решающим является индивидуальный синтаксис автора, т. е. изблбленные им синтаксические конструкции и обороты, чаще повторяющиеся в том или ином произведении.

Интересный материал в этом отношении предлагает язык произведений Сулхана-Саба Орбелиани. Грамматическая структура языка его „Поучений“, „Мудрости вымысла“ и „Путешествия в Европу“ во многом соприкасается. Противопоставляются они именно отбором синтаксических конструкций.

В статье всеобразие стилистических особенностей „Поучений“ определяется спецификой жанра. „Поучения“ относятся к грузинской церковно-ораторской литературе XVIII века и, по традиции, стилистические приемы, в частности, синтаксические конструкции, автор выбирает опираясь на особенности стиля древнегрузинской церковной литературы.

В статье дается анализ синтаксических конструкций и оборотов, которые резко отличают манеру повествования Сулхана-Саба Орбелиани в „Поучениях“ от сугубо индивидуального синтаксиса „Мудрости вымысла“ и „Путешествия в Европу“.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წერ-კორექსორდენტმა შ. ძიძიგურმა)

### პარლო ჯორჯანელი

## ენობრივ აკრძალვათა გადმონათობი

სიტყვა განსაკუთრებული და ერთ-ერთი ყველაზე უქლიერესი გამალიზიანებელია, რომელიც კი მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე. სიტყვის ქმედით ძალას ადამიანები უხსოვარი დროიდან გრძნობდნენ. იყენებდნენ რა საერთოერთო საშუალებად, მათ — განვითარების რა დაბალ დონეზედაც არ უნდა მდგარიყვნენ — არ შეეძლოთ არ დაენახათ, როგორ მძაფრ რეაქციას იწვევდა სიტყვა. ამგვარი ძალოვანი ზემოქმედების წყალობით სიტყვა პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენაში უტოლდებოდა მისთვის ასევე გამოუცნობი ძალით დაჯილდოებულ გარე სამყაროს დიად მოვლენებს, როგორცაა: მზე, ქარი, ღრუბლები, დარი, ავდარი, წელიწადის დროთა მსვლელობა, მცენარეთა ზრდა, ინფექციური ავადმყოფობანი და ა. შ. და მათთან ერთად მაგიურ სამოსელში ეხვეოდა. ამრიგად, თავის საფუძველში პრინციპულად მართებული წარმოდგენა სიტყვის ძალის შესახებ ადამიანში იწვევდა სრულიად მცდარ ცრურწმენას სიტყვის მაგიურ ძალაზე. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი, იგი კანონზომიერად გამომდინარეობს პირველყოფილი ადამიანის მსოფლმხედველობიდან. პირველყოფილმა ადამიანმა ცხოვრების პრაქტიკიდან იცის, რომ სამყაროში მოქმედებენ გარკვეული ურყევი კანონები, რომელთა ცოდნა ადამიანს შესაძლებლობას ალევს დაიმორჩილოს, სასურველი მიმართულებით წარმართოს ბუნებაში მოქმედი ძალები. მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ძალუძს ჩასწვდეს სამყაროში მიმდინარე პროცესებს, დაადგინოს ამ პროცესების მამოძრავებელი კანონზომიერებანი და სწორი პასუხი გასცეს ამასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კითხვებს. ზოლო ვინაიდან ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემას ყოველდღიური ცხოვრება დაეინებით ზოითხოვს, პირველყოფილი ადამიანი იძლევა ისეთ პასუხს, როგორის მოცემაც შეუძლია, ე. ი. ხშირ შემთხვევაში მცდარს. იგი სამყაროში მიმდინარე პროცესებს მიიჩნევს რაღაც მაგიური, ზებუნებრივი შინაარსის გამოვლენად და ცდილობს გარკვეული რიტუალების შესრულებით ზეგავლენა მოახდინოს მათზე.

სამყაროში მოქმედი კანონების მცდარ გაგებაზეა დაფუძნებულა აკრძალვათა უმრავლესობა, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებაში. ეს აკრძალვანი დღეს მეცნიერებაში ცნობილია „ტაბუს“ სახელწოდებით. სიტყვა „ტაბუ“ აღებულია პოლინეზიურიდან და ერთი განმარტებით<sup>1</sup> ნიშნავს (ზმნის როლში) „აკრძალვას“. (ზედსართავი სახელის როლში) „აკრძალულს“, „წმინდას“, „სახიფათოს“, „უწმინდურს“: ზოლო მეორე განმარტების მიხედვით<sup>2</sup> — „განსაკუთრებით აღნიშნულს“. „მთლიანად გამოყოფილს“ (ა — აღნიშვნა + რ — განსაკუთრებით, საგანგებოდ, ძალიან), რაც აზრის მიხედვით უტოლდება „წმინდას“ ან „უწ-

<sup>1</sup> The Encyclopaedia Britannica, thirteenth edition, volume 26, London, 1926, გვ. 337.

<sup>2</sup> Л. А. Булаховский, Введение в яз козпание, т. II, М., 1953, გვ. 50; აღ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1951, შესავალი, გვ. XLIII; The Encyclopaedia Britannica, fourteenth edition, volume 21, London, 1929, გვ. 732.

მინდურს“, რადგან განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის ცნობიერებაში „სიწმინდისა და უწმინდურობის კონცეფციები ჯერ კიდევ არ არის დიფერენცირებული“<sup>3</sup>. პოლინეზიურში სიტყვა „ტაბუს“ სხვა დიალექტური ფორმებიც („ტაპუ“, „კაპუ“, „ტამბუ“) გვხვდება, მაგრამ ევროპელები (სახელდობრ, გამოჩენილი ზღვაოსანი ჯეიმზ კუკი 1771 წელს ტონგას კუნძულებზე) ამ სიტყვას ასეთი დიალექტური ფორმით გაეცნენ და მეცნიერებაშიც იგი ამ ფორმით დამკვიდრდა<sup>4</sup>. ტაბუს ეკვივალენტია მეგრული „ვაშინერს“. «„ვაშინერსი“ ნიშნავს აკრძალულს, რისი ხსენება და გაკეთება თუ შესრულება არ შეიძლება. ეს სიტყვა ნაწარმოებია „შინუადან“, რაც ნიშნავს ხსენებას, აქედან „ვაშინერსი“ — არსახსენებელი ან უხსენებელი. ამ „ვაშინერსის“ ქვეშ მოქცეულია ყველა ის აკრძალული მოქმედება და საგანი, რომელთა ხსენებას შეუ ლია ადამიანსა და მის ოჯახს უბედურება მიაყენოსა»<sup>5</sup>.

დღეს ტერმინით „ტაბუ“ აღნიშნავენ რელიგიურ-მაგიური ცრურწმენების ნიადაგზე წარმოქმნილ აკრძალვებს. ეს აკრძალვანი „მოვლენათა შორის რეალურ მიზეზობრივ კავშირის ცოდნაზე კი არ არიან დამყარებულნი, არამედ მაგიურ. ე. ი. ყალბ მიზეზობრიობის წარმოდგენაზე. როდესაც ჩვენ ვამბობთ: „ხელი არ შეაო ცეცხლს“. ეს აკრძალვა ემყარება... რეალურ გამოცდილებას, ხოლო როდესაც მადაგასკარელი მეომარი ზღარბის ზორცს არ ჰკამს იმიტომ, რომ მხდალი არ გახდეს, ეს არის... მაგიის კანონებზე დამყარებული ტაბუ“<sup>6</sup>.

მაგიის კანონებზე დამყარებულ აკრძალვას წარმოადგენს სატყვის ტაბუც მას საფუძვლად უდევს მაგიური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ცრურწმენა, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სიტყვის ტაბუს არსს ჩავსწვდეთ.

ადამიანმა განვითარების ჯერ კიდევ ძალიან დაბალ საფეხურზე ისწავლა ისეთი მოვლენებისა და საგნების დაკავშირება აზროვნებაში, რომლებიც მას გარე სამყაროში დაკავშირებული ხვდებოდა. შემდგომ მან ამის საფუძველზე მეცდომით დაასკენა, რომ „ასოციაცია აზროვნებაში უნდა გულისხმობდეს ასეთსავე კავშირს სინამდვილეში“<sup>7</sup>. სიტყვა და ის ობიექტური მონაცემი, რომელსაც იგი აღნიშნავს. ჩვევის წყალობით ისე მკვიდროდ არიან დაკავშირებულნი ჩვენს გონებაში, რომ არც ისე გასაკვირია. როდესაც განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანი გულუბრყვილოდ ასკვნის, რომ ეს კავშირი მხოლოდ აზროვნების სფეროში კი არ არსებობს, არამედ — ობიექტურადაც. გარე სამყაროში და მატერიალურ ხასიათს ატარებს. სიტყვა მისთვის ნებისმიერი და პირობითი ნიშანი კი არ არის, არამედ იმ ობიექტური მონაცემის განუყრელი ნაწილი, რომელსაც აღნიშნავს. ამის გამოა, რომ მას არ ძალუქს ერთმანეთისაგან გამიჯნოს ობიექტური მონაცემი და მისი სახელწოდება და სახელსაც მიაწერს იმ მაგიურ. საიდუმლოებრივ ძალას, რომლითაც, მისი აზრით. დამუხტულია ობიექტური სამყაროს ესა თუ ის საგანი ან მოვლენა. დაახლოლო საგანი, ეს მისთვის ნიშნავს: შეხებაში მოხვიდე ამ ძალასთან. საყურადღებოა. რომ ასეთი ადამიანის წარმოდგენით მხოლოდ მშობლიური ენის სიტყვებია

<sup>3</sup> James Frazer, The golden Bough, part II, London, 1922, chapter V, გვ. 224.

<sup>4</sup> The Encyclopaedia Britannica, fourteenth ed., volume 21, London, 1929, გვ. 732.

<sup>5</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1942. გვ. 335.

<sup>6</sup> Джеймс Фрэзер, Золотая ветвь, выпуск II, М., 1928, кратк. содер. I выпуск, гв. 4.

<sup>7</sup> Эдуард Тэйлор, Первобытная культура, М., 1939, гв. 67.

(და ისიც მხოლოდ პირდაპირი სახელწოდებები) მაგიური ძალით დაჯილდოებული, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ისინია ობიექტური მონაცემის ნამდვილი სახელები. ამ სახელების წარმოთქმა გარკვეულ შემთხვევებში სახიფათოა, მათ ვნების მოტანა შეუძლიათ ამ სიტყვით აღნიშნული საგნისა თუ არსებისათვის ან მთქმელისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციო მასალას ავსტრალიის, აფრიკის, ანტიპოდის კონტინენტებსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები თვით მე-19 საუკუნეშიაც უხვად იძლეოდნენ. მაგალითად, „ინდიელი თავის სახელს უყურებს არა როგორც უბრალო იარლიყს, არამედ როგორც მისი პიროვნების ცალკე ნაწილს, როგორც თავისი თვალების ან კბილების მსგავს რაღაცას. მას სჯერა, რომ მისი სახელის ბოროტგანზრახული გამოყენებით ის ისევე ნამდვილად დაიტანჯება, როგორც ქრილობისაგან, რომელიც მისი სხეულის რომელიმე ნაწილს მიაყენეს. ეს რწმენა გვხვდება სხვადასხვა ტომში ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე<sup>8</sup>. ასეთი რწმენის გამო ტაბუს უქვემდებარდება საკუთარი სახელები — როგორც რიგით პიროვნებათა სახელები, ისევე ღვთაებათა და დემონური ძალების, მეფეების, მთავრების, ქურუმების, მიცვალებულების სახელები; აგრეთვე ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სახელები, ცხოველების, ბუნების სტიქიონების, გამაგრებული ქალაქების სახელები და ა. შ. განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში გაურბის ამ ტაბუირებულ სახელთა ხმარებას: ან სრულიად არ ასახელებს მათ ანდა, თუ ეს აუცილებელია, მათ ადგილზე ხმარობს ევფემისტურ სახელებს, ევფემისტურ გამოთქმებს, რომლებსაც საგანთა, არსებათა თუ მოვლენათა არანამდვილ და, ამდენად, არასახიფათო სახელწოდებებად მიიჩნევს.

სიტყვის ტაბუს მხოლოდ მაგიური ფუნქცია არ ჰქონია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პირველყოფილ საზოგადოებაში სოციალური ჩაგვრის წარპოქმნა-დამკვიდრებაში, კერძოდ, მან განამტკიცა წარჩინებულ პირთა (მეფეთა, მთავართა, ქურუმთა და სხვ.) მიმართ ცრუმორწმუნოებრივი თაყვანისცემა.

შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიაც სიტყვის ტაბუ გადმონაშთის სახით მაინც არ იყოს შემონახული. მაგრამ თუ ადამიანის განვითარების დაბალ საფეხურზე სიტყვის ტაბუ სისტემურ ხასიათს ატარებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ცხოვრებაში, თანამედროვე ენებში მხოლოდ მისი ცალკეული ნიმუშები გვხვდება და ისიც მიყრუებულ რაიონებში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, თან მას ძველი ძალა საგრძნობლად დაუკარგავს და მთლიანად აღებული რომელიმე ენობრივი კოლექტივის სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში რაიმდენადმე არსებით როლს ვეღარ ასრულებს. სიტყვის ტაბუს შემთხვევათაგან ბევრი დღეს სრულიადაც გამქრალა და ჩვენ მხოლოდ წერილობითი ძეგლებიდან ვიცით ან საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ისინი უახლოეს წარსულში არსებობდნენ. ეს გარემოებებიც კმარა იმისათვის, რომ მათ გადმონაშთები ვუწოდოთ.

1 პიროვნებათა საკუთარი სახელების ტაბუს გადმონაშთება პიროვნებათა საკუთარი სახელის აკრძალვის შემთხვევებს ზოგჯერ დღესაც ვხვდებით სა-

<sup>8</sup> Л е в и Б р ю л с, Первоначное мышление, М., 1931, гл. 33.

ქართველოს სხვადასხვა რაიონში, განსაკუთრებით კი აფხაზეთსა, სამეგრელოსა და ხევსურეთში. ზოგი აფხაზი ქალი არათუ არ წარმოთქვამს თავის ქმრისა და ქმრის ნათესაეების სახელებს, არამედ ისეთ სიტყვებსაც კი გაუბრუნებს, რომლებიც თუნდაც ერთი მარცვლით გვანან ამ სახელებს. პროფ. მ. ანდრონიკაშვილის ცნობით, ერთი აფხაზი ქალი ვერ ამბობდა სიტყვას „აკაკან“ (კაკალი), რადგან ამ სიტყვაში შედიოდა მარცვალი „კან“, რომელიც მისი მამამთილის სახელი იყო; ასევე სამეგრელოშიაც; მაგალითად, ერთი მეგრელი ქალი გალის რაიონიდან „გიტარას“ მაგივრად ხმარობდა „ტარას“, რადგან მის მამამთილს გიგო ერქვა.

ხოლო უახლოეს წარსულში პიროვნებათა საკუთარ სახელზე ტაბუს დადება ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში: აქ ამ მოვლენის საგანგებო სასელწოდებაც კია შემონახული: „სახელიში ფულუა“ (სახელის დამალვა)<sup>9</sup>. „ცოლ-ქმარი წინათ სამეგრელოში თავის სიცოცხლეში ერთმანეთს არ ეტყოდნენ ნამდვილ სახელს და ამას უწოდებდნენ „სახელიში ფულუას“... სამაგიეროდ არქმევდნენ პირობით სახელს. მაგალითად, ქმარი ცოლს ეძახოდა: მუთარე, თოლი, ვოსი, სამხანაგი და სხვა. ცოლი ქმარს: ბოში, ჩქიმთურ-კოჩი, საკო, შური, თოლიგე და სხვა.

პატარძალი დედამთილისა და მამამთილის სახელსაც ვერ იტყოდა, „დედას“ და „მამას“ უწოდებდა. მაზლს და მულსაც შეცვლილი სახელით იხსენიებდა. მაგალითად, თუ მაზლს ერქვა ნესტორი, რძალი მას არქმევდა თამუჯის, ხარიტონს — ქიქიკოს და სხვა. უფროს რძალს თუ მართა ერქვა, უწოდებდა ბედიშს, თამარს — მელანიას და სხვა. საზოგადოდ უფროს მაზლს პატარძალი იხსენიებდა „ბატონად“, საშუალოს — „ბატად“ და პატარას კი „ქიქე ბოშად“<sup>10</sup>.

თუ რაოდენ მკაცრად იცავდნენ ამგვარ აკრძალვებს, ნათლად ჩანს პროფ. ს. მაკალათიას სიტყვებიდან. მაგალითად, როდესაც პატარძალი რაიმე საქმიან გამოიძულებული იყო ეთქვა მაზლის ნამდვილი სახელი და გვარი, მივიდოდა მეზობლის სახლში, იქიდან წამოიყვანდა ვინმეს და მას ათქმევინებდა თავისი მაზლის სახელსა და გვარს.

ამავე მკვლევარის ცნობით, თუში ცოლ-ქმარიც არ უძახის ერთმანეთს სახელს: „ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო, ქმარი — ცოლს: დიაცო, სახლობავ, ბებერო. პატარძალი სახელის ნაცვლად მაზლს ეტყვის: ბიჭო, მულს კი ქალო, მარწყო, თეთრო, ქოჩორა და სხვა“<sup>11</sup>.

პიროვნებათა სახელის ტაბუ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, კერძოდ, ამის შესახებ მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ქართლში და თბილისშიაც არ იყო მიღებული ქალს თავისი ქმრის სახელი საჯაროდ ეხსენებინა. „ჯერ კიდევ პავშობიდანვე მახსოვს, — წერს ალ. ნეიმანი, — რომ თბილისშიაც და სოფლადაც ქართლში ძველ ქართულ ოჯახებში არ იყო მიღებული, რომ უცხო პირებთან ლაპარაკის დროს დიასახლისს არამც თუ ეხსენებინა თავისი ქმრის სახელი, არამედ ეთქვა „ჩემი ქმარი“ (მაგ., „ჩემი ქმარი შინ არ არის“). ასეთ შემთხვევაში ჩვეულებ-

<sup>9</sup> როგორც პროფ. ნ. ქადაგიძემ მიგვითითა, ანალოგიური ტერმინი არსებობს წოგა-თუშურშიაც (ბაცბურშიაც): „წე ლეკყმარ“ (სახელის მალვა).

<sup>10</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 270.

<sup>11</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, თბილისი, 1933, გვ. 160.

რევი ფორმულა იყო „ოჯახის უფროსი“, „ბავშვების მამა“. ხოლო გლექსთა ოჯახში განიგონია აგრეთვე „ჩემი კაცი“<sup>12</sup>.

2. ღმერთის, ეშმაკისა და სხვადასხვა სულთა სახელების ტაბუს ვადმონაშთები. მორწმუნე ადამიანები ღვთაების სახელს წმიდად მიიჩნევენ და მის ხშირად ხსენებას გაუბრბიან. მათი წარმოდგენით, ასეთი ხსენება მკრეხელობას უდრის, შეურაცხყოფს და განარისხებს ღვთაებას. მაგრამ ვინაიდან ამავე დროს მორწმუნე ადამიანი ხშირად მიმართავს თავის ღვთაებას, როგორც „უზენაეს მსაჯულს“, „ყოვლისშემძლეს“ და „ყოვლისმცოდნეს“ და ითხოვს მისგან შევლას, პატიებას, მოწინააღმდეგის გასამართლებას, დასჯას, შეჩვენებას და ა. შ., იგი ი-ულელებულია პარდაპირ კი არ მოიხსენიოს ღვთაება. არამედ ევფემისტურად, ისე, რომ ერთდროულად არც ღვთაება გაანაწყენოს და შეურაცხყოს და თავისი სურვილიც მიაწვდინოს მას. მაგ., მორწმუნე ებრაელი დღესაც არაფრის გულსთვის არ მოიხსენიებს თავის ღმერთს პარდაპირი სახელით. თვით რელიგიური ტექსტების კიბხვის დროს, როდესაც ტექსტში ეს სიტყვა ზვდება, უთუოდ ევფემიზმით ცვლის: „ადონაი“, რაც ქართულად „ბატონს“ ნიშნავს<sup>13</sup>. ეს ჩვეულება იმდენად შორეული წარსულიდან მომდინარეობს, რომ დღეს ზუსტად არცაა ცნობილი. როგორ ჟღერდა „ადონაით“ შეცვლილი სიტყვა. ფიქრობენ, რომ ეს იყო „იაჰვე“<sup>14</sup>. ადამიანები ღვთაებას ხშირად ადამიანურ თვისებებს მიაწერდნენ და, რადგან მაგიური მსოფლმხედველობით საკუთარი სასულის ხსენება საჭიფათო იყო ადამიანისათვის, აქედან ასკვნიდნენ, რომ ღვთაებასაც არ უნდა სიამოვნებოდა მისი სახელის ხსენება, ტაბუს უქვემდებარებდნენ მის სახელს. ჯერ კიდევ მოსეს მეორე მცნება აფრთხილებდა ებრაელებს: „არა მოიღო სახელი ღმერთისა შენისა ამოსა ზედა, რამეთუ არა ვანწმიდოს იგი უფალმან, რომელმან მოიღოს სახელი უფლისა ამოსა ზედა“<sup>15</sup>. ამის შედეგად ებრაელები იქამდე მივიდნენ, რომ სრულიად აღარ წარმოთქვამდნენ ღვთაების სახელს<sup>16</sup>.

იმ ერებში, რომელთა შორის ძირითადად ქრისტიანული სარწმუნოება იყო გავრცელებული, ღვთაების სახელის ხსენება ასე მკაცრად არ ყოფილა აღკვეთილი. მაგრამ აქაც ღმერთის სახელი წმიდად ითვლებოდა და მისი უთავბოლო ხსენება მკრეხელობად. ამის გამო აქაც ხშირად მიმართავდნენ ღმერთის სახელის ევფემიზაციას. ამას მოწმობს მდიდარი სინონიმური მწკრივი სიტყვებისა. რომლებიც ქრისტიანული ღმერთის სახელის სუბსტიტუტებად გვევლინებიან. მაგ.: „უფალი“, „მამაზეციერი“, „შემოქმედი“ და ა. შ.

ქრისტიანულ ერებში შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ეშმაკის სახელის ევფემიზაცია. ცრუმორწმუნე ადამიანების აზრით, ამ „დემონურ არსებას“

<sup>12</sup> ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1951, შესავალი წერილი, გვ. XLV.

<sup>13</sup> იხ.: Джемс Фрезер, Золотая ветвь, вып. IV, Москва, 1928; Несколько примечаний от редакции „Атенста“, гв. 245.

<sup>14</sup> K. Schefler, Der verhüllende oder euphemistische Zug in unserer Sprache, Wissenschaftliche Beihefte zur Zeitschr. des allgemeinen deutsch. Sprachvereins, Heft 14/15, Berlin, 1898, გვ. 115.

<sup>15</sup> ძველი აღთქმის წიგნები 978 წლის ხელნაწერების მიხედვით, ტ. 1, ნაკვეთი 1, დაბადებისაი, გამოსლეთაი, გამოსლა ა. შანიძემ, თბილისი, 1947, გამოსლეთაი, თ. 20,7, გვ. 92.

<sup>16</sup> ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ.: K. Schefler, Der verhüllende oder euphemistische Zug in unserer Sprache. Wissenschaftliche Beihefte zur Zeitschr. des allgemeinen deutsch. Sprachvereins, Heft 14/15, Berlin, 1898, გვ. 115.

შეუძლია ხსენებაზე გამოცხადდეს და ვნება მიაყენოს მისი სახელის წარმომ-  
თქმელს ან დამსწრეებს. „Бес легко на помине“ — ამბობს რუსული ანდაზა.  
ამის გამო ცრუმორწმუნე ადამიანები გაუბიან ეშმაკის პირდაპირი სახელით  
მოხსენიებას და, თუ მათ ეს სახელი შემთხვევით წამოსცდათ ან სხვისაგან გაი-  
გონეს, საფრთხის გამაუფხებელ ფორმულებს წარმოთქვამენ, პირჯვარს იწერენ,  
აფურთხებენ და სხვ., რათა გაანეიტრალონ ეშმაკის სახელის წარმოთქმით გა-  
მოწვეული საშიშროება. ასე, მაგალითად: ცრუმორწმუნე ქართველები პირ-  
ჯვარს ისახავენ და ამბობენ: „ჯვარი აქაურობასა!“ რუსები პირჯვრის გამო-  
სახვასთან ერთად განზე აფურთხებენ სამჯერ და თან დააყოლებენ საფრთხის  
გამაუფხებელ რომელიმე ფორმულას ამგვარი ტიპისა: „Чур мшня от него!“,  
„Наше место свято!“ და სხვ.: გერმანელები ღმერთს მოუხმობენ: Gott sei  
bei uns! (ღმერთო, იყავი ჩვენთან!) და ა. შ.

როდესაც აღუცილებელია ეშმაკის შესახებ ლაპარაკი, ხშირად მიმართავენ  
ევფემიზმებს: „ბოროტი“, „მაცდური“, „კუდიანი“, „ბოროტი სული“, „ავი სუ-  
ლი“, „ჯოჯობეთის მოციქული“, „წყეული“<sup>17</sup>, რუს. „он“, „тот“, „этот“,  
„черный“, „нечистый“, „враг“, „неприятель“, „окаянный“<sup>18</sup>, „прокля-  
тник“, „поганик“, нечистая сила“ „нездешняя сила“, „негодная сила“,  
„лукавый“, „луканька“, „шиш“, „искуситель“, გერმ. „Teucler“, „Teixel“,  
„Deiker“, „Deutsclier“ (დამახინჯ. Teufel), „der Böse“ (ბოროტი) „der Versuch-  
er“ (მაცდური), „der Schwarze“ (შავი), „dieser und jener“ (სიტყუასიტყვით:  
ესა და ის; იხმარება გამოთქმაში: „Hol dich dieser und jener!“ სიტყუასიტყ-  
ვით: წაგიღოს ამან და იმან!), „der Kuckuck“ (სიტყუასიტყვით: გუგული. იხ-  
მარება გამოთქმაში: „Geh zum Kuckuck!“ სიტყუასიტყვით: წადი გუგულთან!),  
„der Henker“ (მწვალებელი). „der Höllenfürst“ (ჯოჯობეთის თავადი), „Her-  
rscher der Finsternis“ (ბნელეთის მეფე), „der Gehörnte“ (რქოსანი), „der  
Geist, der stets verneint“ (მარად უარყოფელი სული), „Vater aller Hinder-  
nisse“ (ყველა დაბრკოლებათა მამა) და ა. შ.

როგორც ზემოთ მოტანილი ევფემიზმების ნიმუშებიდანაც ჩანს, ეშმაკის  
სახელის ევფემიზაცია ქართულში უფრო სუსტად არის წარმოდგენილი, ვიდრე  
რუსულსა და გერმანულში.

ღმერთისა და ეშმაკის აღმნიშვნელი სიტყვების ანალოგიურად სხვა ბორო-  
ტი თუ კეთილი სულების სახელებიც განიცდიდნენ ევფემიზაციას. ევფემიზა-  
ციის გამომწვევი მიზეზი აქაც ცრუმორწმუნეობრივი შაში იყო. ცრუმორწმუნე  
ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ეშმაკის დარად სხვა ბოროტ სულებსაც ესმით ჩე-  
ნი ლაპარაკი თავიანთი ზებუნებრივი ძალის შემწეობით და ხსენებაზე შეუძ-  
ლიათ აქ გაჩნდნენ და ზიანი მოგვაყენონ. მათი აზრით, კეთილ სულებსაც არ  
უნდა სიამოვნებდეთ მათი სახელის უთავბოლო ხსენება. ამან ისინი შეიძლება  
განარისხოს და მაშინ ეს სულები ნაკლებ საშიშნი როდი არიან, ვიდრე მათი  
ბოროტი „კოლეგები“.

<sup>17</sup> კახეთში. მაგალითად. იხ.: მ. ხ. ჩიქოვანი, მიჯაჭველი ამირანი, თბილისი, 1947, გვ. 208.

<sup>18</sup> ამ ევფემიზმს ხპარობს გოგოლის ცნობილი პერსონაჟი კობოტკა: „Чорта помещица испугалась необыкновенно. „Ох, не припомниай его, бог с ним!—воскликнула она вся побледнев.—Еще третьего дня всю ночь мне снился, окаянный!“ Н. В. Гоголь, Мертвые души, собр. соч. в шести томах, т. 5, М., 1952, გვ. 68.

იმავე ნაწარმოებში გვხვდება მეორე ევფემიზმაც ეშმაკის სახელზე: „Лукавый что-ли миром ворочает...“; იქვე, გვ. 405.

მოგვაქვს სხვადასხვა სულთა სახელებზე დადებული ტაბუს რამდენიმე გადმონაშთი.

ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში მეგრელები მავნეს „უსახელოს“ უწოდებდნენ, რადგან ეზინოდათ „ხსენებას სული გამოეწვია“<sup>19</sup>.

ხშირად ბოროტი სულის აღმნიშვნელ სახელს იხეთ სიტყვას (ან გამოცემას) უნაცვლებენ, რომელიც, ცრუმორწმუნე ადამიანის აზრით, საპატიო ეპითეტია ამ სულისათვის, გულს უგებს, ასიამოვნებს მას ანდა ზემოქმედებას ახდენს მის ბუნებაზე, როგორც მაგიური ძალის მატარებელი ელემენტი, კეთილს ხდის და ბოროტებას აღარ ჩაადენინებს. მაგ., ცრუმორწმუნე გერმანელები ბოროტ სულებს: „die Unholden“ (ბოროტად განწყობილნი) „die Holoen“-ს (კეთილად განწყობილნი) უწოდებდნენ სწორედ იმ იმედით, რომ ისინი, ასე წოდებულნი, ბოროტებას აღარ მოუვლენდნენ ადამიანებს. ასევე ბერძნები შერისმაძიებელ ღმერთქალებს — ერიჩიებს ევმენიდებს (კეთილად განწყობილებს) უწოდებდნენ<sup>20</sup>; რომაელები ბედისწერის უღმობელ ქალღმერთებს — „ღმობიერებს“, „შემბრალებლებს“ (Parcae)<sup>21</sup> და სხვ.

ცრუმორწმუნეობის საფუძველზე წინათ გარდაცვლილთა სახელებსაც ადებდნენ ტაბუს. ცრუმორწმუნე ადამიანების აზრით, საკვდილის დროს ადამიანის სხეულს ტოვებს სული: სხეული კვდება, იხრწნება, სული კი განაგრძობს დამოუკიდებელ არსებობას და შეუძლია კოცხალი ადამიანების ყოფაცხოვრებაში ჩაერიოს.

ის მისტიკური ძალა, რომელიც მიცვალებულის სულს მიეწერება, გადაიტანება მის სახელზეც: ცრუმორწმუნე ადამიანის წარმოდგენით, მიცვალებულის სახელის წარმოთქმის დროს კონტაქტი მყარდება ამ მიცვალებულის სულთან. ასეთ კონტაქტს კი სახიფათო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამის გამო იგი მიცვალებულის სახელს ან არ წარმოთქვამს ანდა მისი წარმოთქმის დროს საფრთხის გამაუფნებელ ფორმულებს მიმართავს. კერძოდ, ამას მოწმობს ასეთი გადმონაშთი: ჩვენში თუ მიცვალებულის შესახებ ლაპარაკის დროს ვინმეს (განსაკუთრებით ბავშვს) დააცემინებს, მას მხარზე ხელს დაჰკრავენ სამჯერ და იტყვიან: „იშის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს!“ დღეს ამას იშვიათად თუ მიმართავს ვინმე და ისიც უფრო მიბაძვითა და ჩვეულების თანახმად იქმნ ამას, ვიდრე რწმენით. წინათ კი მის მაგიურ ძალაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი.

სამეგრელოში დღემდე აკრძალული (ვაშინერსი) იყო ავადმყოფის თანდასწრებით მიცვალებულის სახელის წარმოთქმა<sup>22</sup>. ეს, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ავადმყოფი სიკვდილის უშუალო საფრთხეში იმყოფება და ამდენად მასთან გარდაცვლილის სახელის წარმოთქმა უფრო სახიფათოდ მიაჩნდათ: ხსენებაზე „მოვლენილმა“ მიცვალებულის სულმა შეიძლება ავადმყოფი „თავისთან წაიყვანოს“, ე. ი. მოაკვდინოს.

3. ავადმყოფობათა და სიკვდილის აღმნიშვნელ სიტყვა-თქმათა ტაბუს გადმონაშთები. ავადმყოფობათა სახელების აკრძალვანი ძალიან გევანან სხვადასხვა სულთა სახელებზე დადებულ ტაბუს. ეს იმის გამო, რომ ასეთ აკრძალვათა უმრავლეს შემთხვევაში ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია

<sup>19</sup> კ. ვამსახურიძე, ტაბუ, თბილისი, 1920, გვ. 46.

<sup>20</sup> იხ.: Kristoffer Nyrop, Das Leben der Wörter, autorisierte Übersetzung aus dem Dänischen von R. Vogt, Leipzig, გვ. 16.

<sup>21</sup> Л. А. Булаховский, Введение в языкознание, часть II, Москва, 1953, გვ. 51.

<sup>22</sup> იხ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 335.

ესა თუ ის ინდივიდუალური სული ან სულთა მთელი დასი, რომლის ხსენებასაც გაურბიან ან იმ მიზნით, რომ არ გამოიწვიონ ეს სული, ანდა, თუ იგი უკვე „სოვლენილია“, ე. ი. თუ უკვე ავად არის ოჯახის რომელიმე წევრი, არ განარისხონ და, პირიქით, გულიც კი მოულობონ ავადმყოფობის გამომწვევ სულს და ამით ავადმყოფს მდგომარეობა შეუმსუბუქონ.

აკრძალვას ექვემდებარება ჩვეულებრივ ისეთი ავადმყოფობების სახელები, რომელთა გამომწვევი მიზეზები თვალსაჩინო არ არის. თუ, მაგალითად, ტრავმის, კრილობის და ა. შ. გამომწვევი გარემოებები ყველასათვის ცხადია, შინაგან სნეულებათა და ინფექციურ დაავადებათა წარმომშობი მიზეზები უახლოეს წარსულამდე სიბნელით იყო მოცული და საკვებს აძლევდა ცრუმორწმუნე ადამიანების ფანტაზიას. ისინი ამ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზად სახავენ „სულებს“ — მისტიკურ არსებებს, რომელთა შესახებ ფიქრობდნენ, რომ მათ წინაშე ადამიანი უძლურია და მხოლოდ პატივისცემითა და მოკრძალებით თუ შეძლებს მათ „დამწყალობებას“ — მათი გულის მონადირებას.

წინათ საქართველოში თითქმის ყოველ კუთხეში ინფექციურ დაავადებათა (ყვავილის, წითელას, ყივანახველის, ქუნთრუშის და სხვ.) გამომწვევ მიზეზად სახავენ უხილავ მისტიკურ არსებებს. ამ ავადმყოფობათა პირდაპირი სახელების წარმოთქმა აკრძალული იყო და ევფემიზმით („ბატონები“, უფრო იშვიათად — „ანგელოზები“) იხსენიებდნენ. გარდა ზევით დასახელებული ავადმყოფობებისა, ევფემიზმებს ხმარობდნენ აგრეთვე სხვა ავადმყოფობათა აღმნიშვნელ სახელებზეც, მაგ.: დიზენტერიას „მუცელ-ბატონებს“ ან „მუცელკეთილს“ უწოდებდნენ<sup>23</sup>; ციმბირის წყლულს — „ბედნიერს“ (მაგალითად ფშავეში)<sup>24</sup>, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამ ევფემიზმს საერთოდ მუწუჯის მინარტაც ხმარობდნენ ზოგჯერ.

ავადმყოფობათა სახელების წარმოთქმაზე დადებული აკრძალვანი ჩვეულებრივ განცალკევებულად არ გვხვდებიან: ისინი ჩვეულებრივ ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენენ ამა თუ იმ ავადმყოფობასთან დაკავშირებული თქმულებების, რიტუალების და შელოცვების ერთ მთლიან ჯაკვში. ამასთან სიტყვის ტაბუ აქ სწორად ავადმყოფობათა საკუთარი სახელებით არ ამოიწურება, არამედ ვრცელდება ზოგიერთ სხვა სიტყვებსა და გამოთქმებზე. როდესაც ეს უკანასკნელნი ამა თუ იმ ავადმყოფობასთან დაკავშირებული შინაარსის კონტექსტში რხმარებიან. ამ მხრივ საყურადღებოა ფშავეში გავრცელებული ბედნიერის ლოცვა: „სახელმშვენიერო, შენ თქვი შენის პირითა, რა არის შენი წამალი — წითელი ბალაი, წითელი ფურის რაე, ქუმლის ფათა, გოგრის ყოილი, მალბა, ბოსტანთი ბალაი, თეთრი აბაზი, შაქარი. ის არის ჩემი დამთაფლავი, ჩემი დამშაქრავი. მოვიდოდა ქრისტეს ღედა მარიამი, გაშლიდა თმასა გიშრისასა. შიბრჩენდა ყავარჩენსა. შეკრავდა წამალს ყველაფრისასა შენს დასათაფლავად. შენს დასაშაქრავად. მითაფლდი, მიშაქრდი“<sup>25</sup>. გარდა იმისა, რომ ამ ლოცვაში თვითონ ავადმყოფობა ევფემიზმით („სახელმშვენიერო“) არის მოხსენიებული. აქ გვხვდება სხვა ევფემიზმებიც: „ჩემი დამთაფლავი, ჩემი დამშაქრავი“: „შენს დასათაფლავად, შენს დასაშაქრავად. მითაფლდი, მიშაქრდი“. ეს გამოთქმები პირდაპირ კი არ ამბობენ სათქმელს, არამედ ევფემისტურად: „ჩემი დამთაფ-

<sup>23</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912, გვ. 51.

<sup>24</sup> გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავე-ხევისურეთში, წიგნი მეორე, თბილისი, 1933, გვ. 89.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 89.

ლავი, ჩემი დამშაქრავი“ აქ ნიშნავს: „ჩემი მომრჩენი“; „შენს დასათაფლავად. შენს დასაშაქრავად“ — „შენს მოსარჩენად“; „მითაფლდი. მიშაქრდი“ — „მორჩი“. ცხადია. ასეთ ევფემიზმებს ერთი დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს: სასიამოვნო შინაარსის სიტყვების ხმარებით ზეგავლენა მოახდინონ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზზე, გული მოუგონ მას და განკურნონ ავადმყოფი.

ინფექციურ სნეულებებთან დაკავშირებულ ევფემიზმებს ლოცვების გარეშეც ხშირად ხმარობდნენ. ზოგ ასეთ ევფემიზმს ჩვენამდეც მოუღწევია, მაგ., როდესაც მთიულეთში ვინმეს „ბატონები“ შეხვდება, ამბობენ: „ბატონები მობრძანდნენო“<sup>26</sup>; საქართველოს ბევრ კუთხეში „ბატონებით“ სიკვდილს „გაკეთებას“ უწოდებენ<sup>27</sup>. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია მოთხრობაში — „ბატონებმა არ დაიწუნეს“, რომელშიაც, საერთოდ, „ბატონებთან“ დაკავშირებული ცრურწმენანი ზუსტად არის გადმოცემული, ევფემიზმებიც გვხვდება: თვითონ მოთხრობის სახელწოდებაც არჩეულია ხალხში გავრცელებული ევფემიზმი — „ბატონებმა არ დაიწუნეს“, რაც ნიშნავს: „ბატონებმა იმსხვერპლეს, ბატონებმა მოაკვდინეს“. ეგვევ ევფემიზმი მოთხრობის ტექსტშიც გვხვდება რამდენჯერმე. მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი — მელანა თავისი გერის შესახებ, რომელიც „პატარა ბატონებითა“ (ე. ი. წითელათი) ავად, ასე მიმართავს ქმარს: „... მისახედავი რა აქვს? შენა გგონია, ბატონები არ დაიწუნებენ? მაგას არა მოერევა რა, ნუ გეშინიან!.. ნახე ხვალ როგორ იყვეს!“<sup>28</sup> აქვე გვხვდება სხვა ევფემიზმებიც. მაგ., მოხუცებული მათა შემდეგი სიტყვებით არიგებს შედარებით უფრო ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, როდესაც ეს უკანასკნელნი ხმამაღლა მოთქვამენ შეილის გარდაცვალების გამო: „... რას ჩადით, ქა? სამ-სამი შეილი ბატონებით ავადმყოფები გიწევთ და განა თქვენ კიდევ ლექსაობთ?! ჩუთ! ჩუთ! არ გაარისხოთ, მოუბოდიშეთ. ეენაცვალე მაგათ ბატონობასა. ალბათ მოეწონათ და მიირთვეს... უიავნანოთ არ გაიტანოთ, სიმღერა ძალიან უყვართ დალოცვილებსა, თან გაკყევიბიან“...<sup>29</sup> აქ თითქმის ყოველი მესამე სიტყვა ევფემიზმს წარმოადგენს.

სიკვდილის და მასთან დაკავშირებული საგნების (მაგ., კუბო, სასაფლაო, ნკვდარი სხეული და ა. შ.) პირდაპირი სახელწოდებებით აღნიშვნაც ცუდის მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა, ამას „სიკვდილის გამოწვევა შეეძლო“. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიკვდილის „მოვლენის“ რეალური საფრთხე არსებობდა: ვთქვათ, როდესაც ავად იყო ვინმე ან როდესაც რაიმე განსაკუთრებულ განსაცდელში იმყოფებოდნენ.

სიტყვა „მოკვდას“ წარმოთქმის წინაშე მისტიკური შიში გამოსჰვივის შემდეგ ევფემისტურ გამოთქმებში: ქართ. „რამე რომ დაემართოს“ („რომ მოკვდეს“ ნაცვლად), გერმ. Wenn mir was menschliches begegnet“ (სიტყვასიტყვით: თუ მე რაიმე ადამიანური დამემართება; იხმარება „Wenn ich sterbe“-ს ნაცვლად. რაც ქართულად ნიშნავს — მე თუ მოკვდები). ამ გამოთქმებში განსაკუთრებით ნაოლად იგრძნობა ხალხში გავრცელებული ცრურწმენა, რომ სიკვდილის შესახებ პირდაპირ ლაპარაკს შეუძლია სიკვდილი გამოიწვიოს. ასეთი საშიშროების თავიდან ასაცილებლად აქ განუსაზოვრელა ნაცვალსახელებია მოშველიებული. ასევე რუსული გამოთქმაც: „приказан долго жить“ („უმერ“-ის ნაცვლად) — გენეზისურად აკრძალული სიტყვის

26 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბილისი, 1930, გვ. 143.

27 შ ი ხ. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, თბილისი, 1947, გვ. 203.

28 ან. ერისთავ-ხოშტარია, მოთხრობები, თბილისი, 1934, გვ. 6.

29 იქვე, გვ. 34.

სუბსტიტუტად უნდა მივიჩნიოთ. ამ გამოთქმის აშკარად ტაბუისტურ ხასიათზე ლაპარაკობს მისი პირდაპირი მნიშვნელობა: დიდხანს სიცოცხლე გვიბრძანაო (მიცეალებულმა) — კაცი მოკვდა. ამის შესახებ ლაპარაკობენ, მაგრამ ისეთი სიტყვებით („приказал долго жить“), რომლებიც მნიშვნელობის შემწეობით სიტყვა „умер“-ის საპირისპირო მაგიური ძალის მატარებელი არიან და ამდენად განსაკუთრებით კარგად აზღვევენ ადამიანებს სიკვდილის ფაქტის აღნიშვნით წარმოქმნილი საფრთხისაგან.

რელიგიურ და სხვა მოტივებთან ერთად მეტ-ნაკლებად ტაბუისტურიც ასრულებდა როლს აგრეთვე შემდეგი გამოთქმების გენეზისში: ქართული — „განსვენებული“, „სულმნათი“, „ცხონებული“, „ნეტარსენებული“; რუსული — „покойный“, „царство ему небесное“, „почивший“.

წინათ საქართველოში „კუბოს“ მნიშვნელობით ნაირგვარი გამოთქმები იხმარებოდა. ამათგან აქა-იქ დღესაც გვხვდება „ქურკელი“<sup>30</sup> და „სასახლე“.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე შემდეგი ევფემიზმები სასაფლაოს და საფლავის აღნიშვნელ სიტყვებზე: „божья нива“, „бсжсницка“, „святая земля“, „родительская земля“, „упокойща“<sup>31</sup>; გერმ. „Gottesacker“ (სიტყვა-სიტყვით: ღმერთის ყანობირი); თვითონ რუსული ლიტერატურული „кладбище“-ც აკრძალული სიტყვის ნაცვლად დაქვიდრებული ევფემისტური გამოთქმის შთაბეჭდილებას ბადებს.

რუსული სიტყვის „могила“ ევფემიზმებიც მოიპოვება (მაგ., „ямка“ — ფიქსირებულია კალუგის ოლქში მცხოვრებთა შორის)<sup>32</sup> და ცნობებიც არსებობს, რომ მისი წარმოთქმა აკრძალული უნდა ყოფილიყო. ასე, მაგალითად: დ. კ. ზელენინის ცნობით<sup>33</sup>, რუსები „идти домой“-ს ნაცვლად ამბობდნენ ხოლმე „идти ко двору“, რადგან, მათი აზრით, „домой“ იგივეა, რაც „в могилу“ და ცუდს მოასწავებს, ე. ი. სიტყვა „могила“ არათუ აკრძალული ყოფილა, არამედ აკრძალვისათვის დაუქვემდებარებია მასთან ასოცირებული სიტყვის („домой“) განსაკუთრებულ კონტექსტში ხმარებაც.

4. ცხოველთა სახელების ტაბუს გადმონაშთები. ცხოველების სახელებზე დადებული ტაბუ სხვადასხვა მოტივებით შეიძლება იყოს შეპირობებული. ასე მაგალითად, გველის სახელის წარმოთქმის აკრძალვა, რომელიც ჩვეულებად ჰქონდათ საქართველოს ყველა კუთხეში და რომელიც სპორადულად დღესაც გვხვდება. გამოწვეულია მისტიკური შიშით ამ სახელის მატარებელი ქვეწარმავლისადმი. ჩვენამდე მოუღწევია საინტერესო ევფემიზმებს, რომლებიც სიტყვა „გველის“ სუბსტიტუტებად გვევლინებიან. ესენია: „უხსენებელი“, „მცურავი“, „უსახელო“, „ურწმუნო“, „წყევლი“, მეგრ. „უჩაღართამი“ (შაგროხიანი). ამათგან ყველაზე გავრცელებულია „უხსენებელი“ და „მცურავი“; „უსახელო“ გვხვდება, მაგალითად, ზემოიმერულ კილოკავში<sup>34</sup>; „წყევლი“ უფრო ზშირად ფოლკლორში იხმარება. მაგ., ზღაპარში „ტარიელი“ ეკითხულობთ:

<sup>30</sup> შ. ი. ხ. ჩ. ი. კ. ე. ა. ნ. ი, მიქაძეული ამარანი, თბილისი, 1947, გვ. 203.

<sup>31</sup> ევფემიზმები ამოღებულია რ. შორის წიგნიდან: „Язык и общество“, Москва, 1926, გვ. 66.

<sup>32</sup> Д. К. Зеленин, Табу слов у народов Вост. Европы и Сев. Азии, ч. II, Сборн. Музея антропологии и этнографии, т. IX, Ленинград, 1930, გვ. 149.

<sup>33</sup> Д. К. Зеленин, Табу слов у народов Вост. Европы и Сев. Азии, ч. I, Сборн. Музея антропологии и этнографии, т. VIII, გვ. 69.

<sup>34</sup> ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, ტ. 1, თბილისი, 1938, გვ. 123.

კოდბანს მოეპედინებ...  
 შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,  
 ზღვას მიეცემ, წავალბინებ.  
 შიგ ჩავუსვამ სამ წყეულსა:  
 წითელ-ყვითელსა, ჩჩეულსა...<sup>35</sup>

ეს ევფემიზმი და, როგორც ჩანს, „ურწმუნოც“ ასახავს ხალხში გავრცელებულ ბიბლიურ თქმულებას იმის შესახებ, რომ ღმერთმა დასწყევლა გველი, რომლის სახეც მიიღო ეშმაკმა ევას შეცდენის დროს<sup>36</sup>.

გურული მეაბრეშუმეები, როდესაც მათ აბრეშუმის ქიები ეხოცებოდათ, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვათ: ჩემი ქიები იხოცებიანო, ამბობდნენ: „ჩემი ქიები იძინებენ“<sup>37</sup>. როგორც ვხედავთ, აქაც სიტყვის „მაგიური ძალა“ მოშველიებული ცოცხალ არსებაზე სასურველი ზეგავლენის მოსახდენად.

გურულ და მეგრულ მეაბრეშუმეებს შორის სხვა სიტყვების ტაბუც ყოფილა გავრცელებული და მათი ევფემიზმები დღემდეა შემონახული. მაგ., ჭიანჭველა აბრეშუმის ქიის საშინელი მტერია და მეაბრეშუმეები არ წარმოთქვამდნენ მის სახელს, როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ სახელის ხსენება ამ სახელის მატარებელს გამოიწვევდა. გურიაში, ვისაც აბრეშუმის ქია ჰყავდა. სიტყვა „ჭიანჭველას“ წარმოთქმას გაუბობდა და მას ევფემისტურად „შაფფეხას“ უწოდებდა<sup>38</sup>. მეგრულად ჭიანჭველას „ქვიჭკიტია“ ეწოდება, მაგრამ, როდესაც სახლში აბრეშუმის ქია ჰყავდათ, ეს სიტყვა აკრძალულად ითვლებოდა და მის ნაცვლად ამბობდნენ: „პუხუამი“ (სიტყვასიტყვით: „კუზიანი“) ან „პუხ ტანირი“ (სიტყვასიტყვით: „ზურგგატეხილი“); დღეს „პუხუამი“ ლამის „ქვიჭკიტის“ სინონიმად მოგვევლინოს<sup>39</sup>.

მეაბრეშუმეებს შორის საქართველოს სხვა კუთხეებშიაც აკრძალული იყო სიტყვა „ჭიანჭველას“ ხსენება. მაგ., იმერეთში და რაჭაში მას ევფემიზმით — „უსულო“ — იხსენიებდნენ. ამის შესახებ ვ. ბერიძე თავის „სიტყვის-კონაში“ წერს: „ჭიანჭველა აბრეშუმის ქიას ემტერება, ამით მეაბრეშუმეები ისე არიან დაშინებული, რომ ნამდვილ სახელს არ ახსენებენ და უსულოს უწოდებენ“<sup>40</sup>.

5. „თვალის ცემის“ საწინააღმდეგოდ დადებული სიტყვის ტაბუს გადმონაშთება. ჩვენს სინამდვილეშიაც კი ადამიანებს ხშირად სჯერათ, რომ ზოგიერთი პიროვნება დამუხტულია რაღაც „მაგიური ძალით“. ამ პიროვნებებს „ავი თვალი“ აქვთ და „თვალს სცემენ“ ადამიანს, მის ნამოკმედარს, საერთოდ ყველაფერს, რასაც შეხედავენ ან რის შესახებაც აზრს გამოთქვამენ. „თვალის ცემა“ შეიძლება ხდებოდეს „ავი თვალის“ მქონე პიროვნების ნები-

<sup>35</sup> ქართული ხალხური ეპოსი, ფილა კვიწინასის ნაამბობი, ჩაწერა ალ. ლლონტმა, სტალინობი, 1952, გვ. 25—26.

<sup>36</sup> Т. М а м а л а д з е, Народные об чны и поверья туркицев, Сборн. материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 17, отдел II, Тифлис, 1893, гв. 121.

<sup>37</sup> Ш и р о в И., Поверья и предания, относящиеся к шелководству и некот. местностях Закавказья. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в. II, отдел II, Тифлис, 1891, гв. 149.

<sup>38</sup> გ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, ტ. 1, თბილისი, 1938, გვ. 10.

<sup>39</sup> ან. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945, გვ. 174.

<sup>40</sup> ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვა-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912, გვ. 39.

თა თუ უნებურად. გარკვეულ შემთხვევებში კაცმა შეიძლება თვითონაც „სცეს თვალი“ საკუთარ თავს ან ნამოქმედარს, განზრახულ საქმეს და ა. შ., თუკი ის არ დაიცავს (როგორც სიტყვიერს, ისე სხვა სახის) აკრძალვებს.

„თვალის ცემის“ თავიდან ასაცდენად ყველაზე უფრო ხშირად მიმართავენ საფრთხის გამაუვნებელ ფორმულებს შემდეგი ტიპისა: „ჯვარი გწერაა ჩემი თვალებისაგან“, „თვალი არ გეცეს და...“, „УТОМ НЕ СГЛАЗИТЬ“ და ა. შ.

ზოგჯერ საფრთხის გამაუვნებელი ფორმულების ხმარებაც არ მიაჩნიათ საკმარისად და მაშინ მთლიანად კრძალავენ ამა თუ იმ გამოთქმის ხმარებას. ამ გამოთქმის ადგილს იჭერს ევფემიზმები. სოფ ქვემო ხვითის მკვიდრთა შორის დღემდე შემონახულა ასეთი ტიპის ტაბუ. მასწავლებელ თამარ თაქთაქიშვილის ცნობით, აქ ადგილობრივი მცხოვრებნი (განსაკუთრებით ძველი თაობის წარმომადგენლები), როდესაც კიდობანს ახლიან და შიგ პური აღარ დახედებათ, „ცარიელია“ ან „ცარიელი ყოფილას“ ნაცვლად იტყვიან: „სავსეთ ყოფილა“ ან „უი, რა სავსეთ არის“. ეს ჩვეულება წინათ მთელ ქართლ-კახეთში ყოფილა გავრცელებული. აი რას წერს ამის შესახებ თედო სახოკია: „წინათ ქართლ-კახეთის სოფლებში, როცა პური შემოაკლდებოდათ და ამ დროს მეზობელი ითხოვდა, ვისაცა სთხოვდნენ, თავის დღეში არ ეტყოდა: პური არა მაქვსო, არამედ: სავსეთ გახლავთო (კიდობანიო)“<sup>41</sup>.

ანტიფრაზული ევფემიზმი აქ იმიტომ იხმარება, რომ სჯერათ პირდაპირი თქმით („ცარიელია“, „ცარიელი ყოფილა“) „თვალი ეცემა“ ოჯახს, ბარაქა გაუწყდება, გაღარიბდება.

ზევით განხილული მასალა მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რაოდენ ნაირგვარი ობიექტური მონაცემების აღმნიშვნელი სიტყვები შეიძლება უქვეპდებარდებოდეს ტაბუს. პოტენციურად არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ რავინდარა სიტყვის ხმარება აიკრძალოს. მაგალითად, წინათ საქართველოში, როდესაც ვინმეს ხელში ან ფეხში ხიჭვი შეერჭობოდა და შიგ დარჩებოდა. დაზარალებულს ეტყოდნენ: „ქორწილს იქმს და მორჩებიო“<sup>42</sup>. ეს ჩვეულება ქიზიყში დღესაც დასტურდება. ს. მენთეშაშვილი „ქიზიყურ ლექსიკონში“ სიტყვებს „ქორწილი, დაქორწილება ეკლისა“ ასე განმარტავს: „ადამიანს ეკალი რომ შეერჭობა და დრო გაივლის. ეკალი რომ შეერჭობათ, თუ მაშინვე ვერ გამოიღეს ტკივილის გამო, დატოვებენ, ღამე რომ გაივლის, ეკალი დაქორწილდება და მეორე დღეს ადვილად გამოვიღებთო. ეკლის გარშემო ჩირქდება და ადვილი ამოსაღები ხდება“<sup>43</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შორეულ წარსულში ტაბუსტური მოტივებით შექმნილ ევფემიზმთან გვაქვს საქმე, რადგან: 1. სიტყვა „დაქორწილდებას“ ამ ახალი მნიშვნელობით ხმარება მხოლოდ ევფემისტური მოტივებით შეიძლება აიხსნას; 2. მას აკრძალული სიტყვის სუბსტიტუტის ყველა ნიშან-თვისება ახასიათებს. იგი, როგორც სადღესასწაულო, კარგი შინაარსის და, მაშასადამე, სასიამოვნო ემოციური იერის მატარებელი სიტყვა, ადვილად შეიძლებოდა გამოეყენებინათ ისეთი უსიამოვნო ემოციური იერის მქონე სიტყვის ევფემიზმად, როგორცაა. ვთქვათ, „დაჩირქება“, რადგან, როგორც ეს ზევით მრავალგზის

41 თ. სახოკია, ქართული ხატოვანა სიტყვა-თქმანი, ტ. II, თბილისი, 1954, გვ. 130.

42 იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 371.

43 ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943, გვ. 196.

იყო აღნიშნული, სწამდათ, რომ ასეთი სიტყვა თავისი „მაგიური ძალის“ შემწეობით დასარალებულს მდგომარეობას შეუმსუბუქებდა.

გარკვეულ შემთხვევებში აკრძალვას შეიძლება დაექვემდებაროს არა მხოლოდ სიტყვები, არამედ რომელიმე გრამატიკული ფორმაც. ხევსურეთში, მაგალითად. მშობიარე ქალი სულ უახლოეს წარსულში უწმინდურად ითვლებოდა. ამის გამო იგი იძულებული იყო ამისათვის საგანგებოდ აგებულ შენობაში ემშობიარა განმარტოებით. მნახველები მასთან შიგ ვერ შევიდოდნენ და გარედ ნ უნდა დალაპარაკებოდნენ და ისიც არაპირდაპირ, მესამე პირში, თითქოს სხვაზე ყოფილიყოს ლაპარაკი. მშობიარე ქალაც ასევე მესამე პირში პასუხობდა. ასეთი დიალოგის ნიმუში გვხვდება გ. დემიდოვის წიგნის — „ხევსურეთი“ — ქართული თარგმანისათვის დართულ შენიშვნებში<sup>44</sup>:

— პურ ხო არ უნდ? — მინდავ! — ვაჟა როგორ ხყავავ? — კარგა ასავ...

წესიერად კი, პირად მიმართვაზე, ასე უნდა აწარმოონ ლაპარაკი: — პური ხომ არ გინდ? — მინდ. — ვაჟა როგორ ვყავ? — კარგა ას.

გრამატიკული ფორმის ტაბუირება გაცილებით უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე სიტყვის ტაბუ.

სიტყვის ტაბუ ხშირად სემანტიკურ ცვლილებებს აძლევს დასაბამს. მის დროს ხომ ერთი სიტყვა (ან გამოთქმა) იცვლება მეორეთი, ანუ ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) მნიშვნელობა გადაიტანება მეორეზე. ამიტომ, თუ მოცემული ენობრივი კოლექტივის წევრთა საგრძნობი რაოდენობა იცავს ამ ტაბუს, მაშინ, ერთი მხრივ, აველი, აწ აკრძალულ სიტყვა (ან გამოთქმა) შეილება ხმარებიდან გამოვიდეს და, თუ მოცემულ ენობრივ კოლექტივს დამწერლობა არ გააჩნია, სულაც დაიკარგოს. ასე, მაგალითად: ჩვენ არ ვიცით, რას უწოდებდნენ წინარეისტორიული სლავები დათეს. ამ ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა სრულიად განდევნა მის ადგილზე ჩანაცვლებულმა აღწერითმა გამოთქმამ, რომელიც დღეამდე შემოგვინახა რუსულმა ენამ: „медведь“ თავდაპირველად „თაფლისმჭამელს“ ნიშნავდა და ხმარებულ იქნა დათვის აღმნიშვნელი რომელიც სიტყვის სუბსტიტუტად.

მეორე მხრივ, ტაბუირებული სიტყვის (ან გამოთქმის) ნაცვლად გამოყენებული სიტყვაც შეიძლება ისე „გაიყლინოს“ ამ ახალი, გადატანითი მნიშვნელობით, რომ მთლიანად დაკარგოს აველი მნიშვნელობა. ასეთი რადიკალური ცვლილებები ერთობ ხშირი იყო, როდესაც ადამიანები ველურ ან ნახევრად ველურ ტომებად ცხოვრობდნენ. მაშინ ენობრივი კოლექტივი შედარებით მრავალრიცხოვანი არ იყო, სიტყვის ტაბუსაც ყველა იცავდა და თანაც არაჩვეულებრივი სიმკაცრით. ისტორიულ ხანაში კი, როდესაც არსებობენ საერთო-საქალაქო და ლიტერატურული ენები, ხოლო სიტყვის ტაბუს ნაკლები სიმტკიცით იცავენ და ისიც უპირატესად მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რელიგიას მისდევს, ან მიყრუებულ რაიონებში ცხოვრობს, ანდა სპეციფიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ვთქვათ, მონადირეობასთან, მეთევზეობასთან და ა. შ., ამგვარი ცვლილებები გაცილებით იშვიათია.

ისტორიულ ხანაში ბევრად უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც აკრძალული სიტყვაც ცოცხლობს ენაში მისი ევფემიზმის პარალელურად. ხოლო ეს უკანასკნელი ტაბუირებული სიტყვის სინონიმურ გამოთქმათა მწკრივ-

<sup>44</sup> გ. დემიდოვი, ხევსურეთი, თარგმანი მარიჭანისა, თბილისი, 1933, თარგმნელის შენიშვნები, გვ. 45—47.

ში დგება და, თავის მხრივ, ახალ მნიშვნელობასთან ერთად ძველსაც ინარჩუნებს ნაწილობრივ მაინც. მართალია, გველის ნაცვლად ხშირად ამბობდნენ და ახლაც ამბობენ „მცურავს“, „უხსენებელს“, „უსახელოს“, „ურწმუნოს“, „ბოროტს“, ხოლო „ეშმაკის“ ნაცვლად „აე სულს“, „ბოროტ სულს“, „მატლურს“, მაგრამ ამას არ განუდევნია სიტყვები „გველი“ და „ეშმაკი“ ხმარებიდან.

სიტყვის ტაბუთი გამოწვეული სემანტიკური ცვლილების კლასიკურ ნიმუშს იძლევა რუსული ენა. გამოთქმა „ни пуха, ни пера“, თუ სიტყვასიტყვით ვთარგმნით, ნიშნავს: „არც ბუმბული, არც ფრთა“, მაგრამ თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ ენაში იგი „გადატანითი მნიშვნელობითაც“ იხმარება. იდიომად არის ქცეული, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას — მთლიანად ალებულს — აქვს მეორე ტრადიციული მნიშვნელობაც. როდესაც ეს გამოთქმა ამ მნიშვნელობით იხმარება (და ეს უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება), იმასვე ნიშნავს, რასაც „желаю удачи“.

მეორე ტრადიციული მნიშვნელობა ამ გამოთქმას ტაბუისტური მოტივებით ხმარების შედეგად აქვს შექენილი. „Ни пуха, ни пера“ — ამ სიტყვებით თავდაპირველად სანადიროდ მიმავალს უსურვებდნენ ხოლმე წარმატებას. პირდაპირ თქმა — „желаю удачи“ — არ შეიძლებოდა, რადგან ხალხში (განსაკუთრებით მონადირეებს შორის) გავრცელებული ცრურწმენის მიხედვით, წარმატების სურვილის პირდაპირი გამოთქმით მონადირეს „თვალი ეცემა“, დაინავსება და ნადირობაში ხელი მოეცარება. ამის გამო მონადირეებს კეთილ სურვილებს უარყოფითი ფორმით ეუბნებოდნენ: „ни пуха, ни пера“, ე. ი. სინამდვილეში იმის საპირისპიროს, რისი თქმაც სურდათ. თუ რატომ სწორედ სიტყვა „перо“ იხმარებოდა ამ გამოთქმაში და არა სხვა რომელიმე სიტყვა, ამის მიზეზი ცხადი იქნება, თუ ვვეცოდინება, რომ რუსი მონადირეების პროფესიულ დიალექტზე „перо“ ნიშნავდა ფრინველს (ფრინველს საერთოდ ანუ ფრინველებს — „птицы“)<sup>45</sup>, ე. ი. „ни пуха, ни пера“ რუს მონადირეთა ენაზე სიტყვასიტყვით ნიშნავს: „არავითარი ფრინველი“, მაგრამ რახან იგი „желаю удачи“-ს ადგილზე იხმარებოდა, დროთა ვითარებაში მთლიანად „გაიყვინთა“ ამ მნიშვნელობით. ამავე დროს გაფართოვდა მისი ხმარების სფეროც, მონადირეთა ენიდან ლიტერატურულ ენაშიც დამკვიდრდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტაბუისტური მოტივები ენას ამდარებს სინონიმური გამოთქმებით. ამ სინონიმებს განსხვავებული ემოციური იერი აქვთ და სხვადასხვა სტილისტიკური ფუნქცია შეუძლიათ შეასრულონ. ამიტომაც, რომ ხშირად მათ აიტაცებენ ხოლმე მწერლები და ცდილობენ მათი დახმარებით უფრო კოლორიტულად დაახასიათონ რომელიმე პერსონაჟი ან ის კუთხე, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, ანდა კიდევ წმინდა ლიტერატურულ-სტილისტიკურ ეფექტს მიაღწიონ: არ სურთ ერთ გვერდზე რამდენჯერმე ერთი და იგივე სიტყვა გაიმეორონ და ტექსტის შინაგანი მუსიკითა და ექსპრესიულობით მითხველს აჯადოებენ.

<sup>45</sup> Толковый словарь русск. языка, под ред. проф. Ушакова, т. III, стр. 233, статья „Перо“.

## ნათელა როსტიაშვილი

### სიტყვაწარმოება ინგილოურში

ინგილოური საინგილოს მკვიდრთა მეტყველებაა. ამ დიალექტზე მეტყველებენ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კასის, საქათლისა და ბელაქნის რაიონებში.

ინგილოურთან ყველაზე ახლოს დგას ფერეიდნული, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის განაყარია<sup>1</sup>. ინგილოური ისტორიულად მოექცა რა აზერბაიჯანული ენის გარემოცვაში, თავისებურად განვითარდა და საკმარისად დაშორდა იმ დიალექტს, რომელსაც ის გამოეყო.

ინგილოური მეტად საინტერესო დიალექტია ქართული ენისა. მასში შეინიშნება როგორც არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ისე უცხო ენის გავლენის შედეგად მიღებული ლექსიკურ-გრამატიკული მოვლენები. ცვლილებები ამ დიალექტში ისე სწრაფი ტემპით ხდება, რომ ერთი თაობის მეტყველება ზოგჯერ მომდევნოსათვის გაუგებარი ხდება.

ინგილოურს, სალიტერატურო ქართულისა და მისი სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ახასიათებს მნიშვნელოვანი ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი. ქვემოთ წარმოვადგენთ სიტყვაწარმოების ანალიზს ამ დიალექტში.

ინგილოურ კილოში გამოყენებულია სიტყვაწარმოების ცნობილი საშუალებები, როგორცაა პრეპოზიციური, პოსტპოზიციური აფიქსაცია და კომპოზიცია.

1. წარმოქმნა აფიქსაციით. ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოსაქმნელად ინგილოურიც მიმართავს ქართულ ენაში ცნობილ აფიქსებს, ოღონდ ზოგ მათგანს განუცდია ფონეტიკური ცვლილება, ზოგს კი შეუცვლია ფუნქცია ან არქაული ფუნქციით შემონახულია. ამასთან ერთად დასტურდება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული წარმოებაც, ან, თუ წარმოება იგივეა. ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობა თავისებურია.

ყველაზე მეტად გავრცელებულია პრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. სუფიქსური წარმოების შედარებით ნაკლებ პროდუქტიულობია მიზეზი უნდა იყოს ინგილოურის სუსტი კავშირი სალიტერატურო ქართულთან და მის დიალექტებთან.

1. განსაკუთრებით ფეხმოკიდებულია ნა- პრეფიქსით წარმოება. ეს პრეფიქსი, როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ჩვეულებრივ ნამყო დროის მიმღობას აწარმოებს. ინგილოურში კი ამასთან

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თბუ მოამბე, VII, 1927, გვ. 221.

ერთად იგი აწმყოსა და მყოფადის მიმღობა<sup>2</sup>ც გამოხატავს<sup>2</sup>; მაგ.: გა-ნა-შალ<sup>3</sup> ნიშნავს — მშლელი, გაშლილი, გასაშლელი, ე. ი. ვინც შლის, ვინც გაშალა და ვინც გაშლის, რაც იშლება; და-ნა-ხატ — მხატვარი, დახატული, დასასატავი, ე. ი. ვინც ხატავს, ვინც დახატა და ვინც დახატავს, რაც იხატება; ა-ნა-შენევ — მშენებელი, აშენებელი, ასაშენებელი, საშენი, ე. ი. ვინც აშენებს, ვინც ააშენა, ვინც ააშენებს, რაც შენდება, რაც აშენდება.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ნა- პრეფიქსიან მიმღობაში ფორმის მიხედვით არაა გარჩეული დრო, გვარი და ასპექტი. მათი გაგება ხერხდება კონტექსტის საშუალებით<sup>4</sup>. მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქციაში პირველ ადგილზე ხმარებულ ნა- პრეფიქსიანი ფორმა ხშირად ენებითა გვარის მიმღობის ფუნქციისაა (მანაკალ დათ 'მოკლული დათვი'), მეორე ადგილზე ხმარებული კი მოქმედებითი გვარისაა (დათ მანაკალ 'დათვის მკვლელი').

აქ შესაძარებლად შეიძლება გავიხსენოთ სვანურა ენის მონაცემები, სადაც ნა- პრეფიქსი გვაქვს ნამყოს მიმღობაშიც (ნა-ზობ 'ნაჭამი', ნა-თორ 'ნასწავლი'...) და მყოფადის მიმღობის, მასალის სახელწოდების საწარმოებელიცაა (ლშხ. ნა-გმ-უნ — ასაშენებელი მასალა, ზსვ. ნა-ღფ-უნ 'საღებავი'...)<sup>5</sup>.

ინგილოურში მიმღობის ასეთ წარმოებას სვანურთან ერთად გარკვეულა მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის.

წარმოშობით ნა- პრეფიქსიანი ნამყო დროის, მიმღობებია: ნა-წევ (წეკ-ავ-ს) — ბრინჯის წვრილი ნამტვრევი; ნა-პერ — რძის, მაწვნის, ღვანის ზედაპირზე მოყენებული მასა<sup>6</sup>. გვხვდება ნე- პრეფიქსითაც; ნა-მეტ (ალ.) — წინდის ნაწილი, სადაც თვლებს „უმეტებენ“. ეს სიტყვა კაკურში პრეფიქს-სუფიქსურა წარმოებით იხმარება — ნა-მატ-ურ; ნა-ზირ (ი-ნა-ზირ-ევ-ს) — აბრეშუმის ქიის რიგში ძირს მოქცეული ნაგავი და თუთის ტოტები.

ნა- პრეფიქსიანი მიმღობისგანაა წარმოქმნილი ზმნა ჩა-მ-ნა-ზირ-ა 'ფსკერზე მოიქცია'.

ორმაგადაა წარმოდგენილი ნა- პრეფიქსი მიმღობაში ჩა-ნა-ნა-ზირ — რაც იძირავს, რაც იძირება, რამაც ჩასძირა, რაც ჩაიძირა, რაც ჩაიძირება, რაც ჩაძირავს. ერთმაგი წარმოება იშვიათია: ჩა-ნა-ზირ — ჩაძირული, ჩამძარველი.

სალიტერატურო ქართულის მ- — -არე აფიქსებით წარმოქმნილი მიმღობებიც ინგილოურში ნა- პრეფიქსით იწარმოება: ნა-ქუხ (ქუხ-ი-ს)<sup>7</sup> — მქუხარე, მტირალი; ნა-წუხ (წუხ-ი-ს) — რომელიც წუხს, მწუხარე; ნა-სხამ (ესხმევ-ი-ს) — მსხმოიარე, ე. ი. რაც ასხია, რასაც ასხია, რაც ესხა, რასაც ესხა...

<sup>2</sup> ინგილოურში მიმღობათა ზოგი თავისებური წარმოების შესახებ იხ. რ. ლამბაშიძე, ინგილოური ენის, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 203—210.

<sup>3</sup> მაგალითები კაკურია.

<sup>4</sup> რ. ლამბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 203—210.

<sup>5</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 215.

<sup>6</sup> „ნებრეე კერის“ — ბევრს ქაქანებს, პირიდან დორბლები სცვივა (ზღრ. ძველი ქართული პეროეინ: ... და პეროეინ და იღრქენნ კბილთა, მრ. 9.18).

<sup>7</sup> არნ. ჩიქობავას ეარაული წუხ-ს, ღულ-ს, ქუხ-ს ზმნებში -ი-ს არსებობის შესახებ ინგალურის ფაქტით დასტურდება: „ქუხის ღვას“ — ქალიან ტირის; „სხურ-პარ ჩემოქუხის“ — მოღუშული სახე აქვს.

ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობები საინტერესო მსგავსებას ავლენს ქართული ენის დასაელურ კილოებში გავრცელებულ ნაყვარება და მის მსგავს ფორმებსა და მეგრულის IV თურმეობითის წარმოებასთან<sup>8</sup>.

ინგილოურში ნა- პრეფიქსიანი მიმღეობის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მისი ხმარებით მოსალოდნელი რთული ქვეწყობილი წინადადება იცვლება მარტივით: წ ა ნ ა ს უ ლ კ ა ც ს უ თ ხ რ ა ' მ ი მ ა ვ ა ლ კ ა ც ს უ თ ხ რ ა . კ ა ც ს , რომელიც მიდის, უთხრა'.

2. ოდენ ნა- პრეფიქსიანი წარმოების პარალელურად დასტურდება მ- — -ელ პრეფიქსური წარმოების მიმღეობებიც<sup>9</sup>. შ ა -ნ ა -ნ ა ხ || შ ა -მ -ნ ა ხ -ელ 'შემნახაეი'; გ ა მ -ნ ა -წ ე რ || გ ა ნ -მ ა -წ ე რ || გ მ ა -მ -წ ე რ -ელ 'გამომწერი'; გ ა -ნ ა -გ ე ვ || გ ა -მ -გ ე ვ -ელ 'გამგები'; მ ა -ნ ა -კ ა ლ || მ ა -მ -კ ლ ო -ლ 'მკვლელი'...

3. ნ ა -მ -ა რ (დისკომლაციით: მ- — -აღ): გ ა -ნ ა -თ ბ ო ვ || გ ა -მ -თ ბ -ა რ 'გამთბარი'; შ ა -ნ ა -ს ტ ო მ<sup>10</sup> || შ ა -მ -ს ტ -ა რ 'შემტდარი'; შ ა -ნ ა -ფ ხ ტ ო მ<sup>11</sup> || შ ა -მ -ფ ხ ტ -ა რ 'შემფრთხალი'; გ ა მ -ნ ა -ღ უ ზ ე ვ || ლ უ ზ -ა რ<sup>12</sup> || ლ უ ზ ა ჯ — 'მღვიძარე'...

4. ნა- პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს აგრეთვე მყოფადის მიმღეობის სა- — -ელ აფიქსიანი წარმოების პარალელურად: ნ ა -ლ ო ც ე ვ<sup>13</sup> || ს ა -ლ ო ც ე ვ -ელ 'რომელსაც უნდა ასწავლონ'; ნ ა -თ მ ა შ || ს ა -თ მ ა შ -ელ 'სათამაშო'; ლ ა -ნ ა -კ ა რ || ლ ა -ა -კ რ ო -ღ — ლ ა -ს ა -კ რ ვ -ელ 'დასაკრავი'; 'საკრავი'...

5. ნ ა - || ნ ა - — -ა რ: ნ ა -ტ ე ხ || ნ ა -ტ ე ხ -ა რ 'გატეხილი თიხის ქურქლის ფსკერი, რაშიც თითის ტარს ატრიალებენ' (მდრ. ლიტ. ნატეხარ-ი, გურ. ნატეხარ-ი, ნატეხარე); ა -ნ ა -ტ კ ი ე ვ || ნ ა -ტ კ ი ვ -ა რ<sup>14</sup> 'მტკივანი, ატკივებელი'; ლ ა -ნ ა -ტ ყ ე ვ || ნ ა -ტ ყ ე -ა რ 'ტყვიით მიყენებული კრილობა'

6. ყურადღებას იქცევს ნა- — -ურ აფიქსებით წარმოქმნილი ნა-მატ-ურ, რაც აღნიშნავს წინდის იმ ნაწილს, სადაც ქსოვისას თვლებს უმატებენ: „წინდი ნ ა მ ა ტ უ რ და მიგდი“. ალიაბათურში ეს სიტყვა ოდენპრეფიქსულია. ასეთივე წარმოებისაა ნ ა -წ ი ბ -ურ || ნ ა -წ ე ბ -ურ 'ნაწიბური'.

7. ნ ა - || ს ა - — -ო : ლ ა -ნ ა -ჭ ი რ ე ვ || ს ა -ჭ ი რ -ო -ჯ ...

8. ნ ა - || ს ა - — -ა რ : ა -ნ ა -ტ კ ი ე ვ || ს ა -ტ კ ი ვ -ა რ : შენ სატკივარ რაჯსა? 'რა ტკივა?'...

9. ნა- პრეფიქსიანი წარმოება დასტურდება -იღ და -ულ სუფიქსიანის გვერდით: ლ ა -ნ ა -წ ო ლ || ლ ა -წ ო ლ -ი ლ ; ჩ ა -ნ ა -წ ო ლ || ჩ ა -წ ო ლ -ი ლ ; ნ ა -წ ე რ || ლ ა -წ ე რ -ულ 'დაწერილი'...<sup>15</sup>

10. ნა- პრეფიქსს ენაცვლება -ობ სუფიქსი სიტყვაში ნ ა -ჭ ყ ა ნ ტ || ჭ ყ ა ნ ტ -ობ 'ჭაობიანი ადგოლი'.

<sup>8</sup> გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკეთები ქართულურ ენებში, იყ, V, 1953, გვ. 17—32.

<sup>9</sup> მ- — -ელ-ა წარმოება გვაქვს ალიაბათურ კილოებში. მაგალითები იხ. ქვემოთ, მ აფიქს-თან დაკავშირებით.

<sup>10</sup> შანასტომ — შანასთომ — შანასთომ — შანასტომ.

<sup>11</sup> შანაფხტომ შანაფხთომ შანაფხთხომ.

<sup>12</sup> ამ უკანასკნელ ფორმაში მ პრეფიქსი დაკარგულია.

<sup>13</sup> ლოცუაჲ — 1. საღვთაგვარდელის თქმა; 2. სწავლა.

<sup>14</sup> „ჩემ მამი ნატკივარ გინდა?“ ფ. გ. მამაჩების სატკივარი (ჭირი) განდა?

<sup>15</sup> ენებითი გვარის -იღ სუფიქსიანი მიმღეობა ჩვეულებრივ -ულ სუფიქსიანი წარმოებითაა შეცვალა. სოგჯერ პირველ ხდება: მოსწროვ-იღ 'მოსწრებელი', ქუ-იღ (გამოქუჭეაჲ 'ჭვის გამოღრუება') 'გამოქუაბული'. ამის შესახებ იხ. რ. დამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

11. ნა- || ნე- : ნა-პერ || ნე-პერ...<sup>16</sup>

12. ნა-ავ || ნე-ავ: ნა-მეტნ-ავ<sup>17</sup> || ნე-მეტნ-ავ... ნე-მეტნ-ავ... ნა-ავ აფიქსებით იწარმოება სიტყვა ნა-ყელ-ავ 'მოკლული ნადირის თავ-ყელ-კისერი, რომელსაც მკვლელს აძლევენ'.

13. ნა-—-ალ წარმოებით დასტურდება შემდეგი სიტყვები: ნა-ზირ-ალ 'ერბოს გადადნობისას ფსკერზე დაღეკილი მოხალული მარლი'; ნა-პირ-ალ 'საქალამნე ტყავის ნაპირი, თხელი ადგილი'; ნა-კონკ-ალ — \*ნა-კმონკ-ალ — \*ნა-კმენკ-ალ — ნა-კბენჩ-ალ-ი 'ეაშლისა და მსხლის შეკმის შემდეგ დარჩენილი ჩენჩო'; ნა-პურკუ-ალ 'შინაგანი, ნაწლავები ძალით გამოყრევიანებული'; ნა-კუნკ-ალ — \*ნა-კურკ-ალ — ნა-ჩურჩ-ალ 'ნაკუჭი'

ალიაბათურ კილოჯავში წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება ნა-ალ და ნა-არ აფიქსებით: ნა-სამ-ალ<sup>18</sup> 'სამ ნაწილად გაყოფილი მიწა'; ნა-ვოთხ-ალ<sup>19</sup> 'ორ ნაწილად გაყოფილი მიწა, თითო ნაწილს ორ-ორი ჯაცი უვლის'; ნა-ვოქს-არ 'სამად გაყოფილი მიწა, რომელსაც ექვსი კაცი უვლას'.

ნა-არ (დისიმილაციით ნა-ალ) აფიქსებით წარმოქმნილია ადკილის სახელები: ნა-ქერ-ალ 'სადაც ქერი ეთესა'; ნა-პურ-ალ 'სადაც პური ეთესა'; ნა-ფრტ-არ — ნა-ფეტვ-არ 'სადაც ფეტვი ეთესა'; ნასვენ მიწასაც ჰქვია ნაფრტარ<sup>20</sup>, თუმცა შიგ ფეტვი არ დათესილა; ნა-ფაყლ-არ 'სადაც ლობიო ეთესა'; ნა-სიმიინდ-რ-იან — ნა-სიმიინდ-არ-იან 'სადაც სიმიინდი ეთესა'.

ნა-არ აფიქსითაა წარმოქმნილი: ნა-ქნ-არ 'მქმნელი, ქმნილი; ნამყოფი, მყოფი; მოხარბული, რომელიც იხარშება; ნა-ზრლ-არ 'დაუთესავად წინა წელს მიწაში დაცენილი თესლიდან ამოსული ბოსტნეული (ლობიო, გოგრა, პამიდორი და ზისთ.)'; ნა-ლამუ-არ — ნა-ლამოვ-არ — ნა-ჯამევ-არ 'ლამენათევი საკმელი'

14. ნა-—-ან, ნა-—-ალ, -ან მაწარმოებლები გამოიყოფა სიტყვებში: ჩა-ნა-ტევ-ნ — ჩა-ნა-ტევ-ან<sup>21</sup> 'დამტევი, დატეული'; ნა-ტყუვ-ნ || ნა-ტყუვ-ლ || ტყუვ-ან...

ხშირად სუფიქსს -ან (ნ)-ს დაკარგული აქვს სიტყვაწარმოების ძალა და სათანადო სიტყვას დართული აქვს სხვა სუფიქსი იმავე ფუნქციით: ჩა-ნა-ტევ-ნ || ჩა-ტევ-ნ-ულ<sup>22</sup>; და-ნა-წევ-ნ || და-წევ-ნ-ულ...

15. ნა-—-ედ აფიქსებითაა წარმოქმნილი სიტყვა ნა-სულ-ედ 'სულზე შრომადლის მიხედვით გასანაწილებელი ხორბლეული საზრდო (შდრ. სულხან-საბა, სულადი-საზრდო)'.  
ამრიგად, ნა- პრეფიქსი ინგილოურში მეტად პროდუქტიული და მრავალგვარი ფუნქციის მქონე აფიქსია. ის უმეტესად მიმღებებს აწარმოებს (ყოველგვარი სახის მიმღებობას). ასეთი მიმღებობები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

16 იხ. მე-3 გვ.

17 ნა-მეტნ-ავ — ნა-მეტ-ან-ავ, სადაც ორმაგი წარმოების სუფიქსია -ან, -ავ; შდრ. ნა-მეტ-ან-ი.

18 იხ. ანალოგიური მაგალითები კახურში: არ. მარტიროსოვი და კ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 116.

19 ვ განვითარებულია.

20 სოფ. ალიაბათში ნაფუტარი || ფუნტარი იხმარება.

21 შდრ. მ-ტევ-ან-ი.

22 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1912, თბილისი, გვ. 68.

ფორმალურად არ განირჩევიან დროის, გვარისა და ასპექტის მიხედვით, რაც ამ წარმოების სიძველეზე უნდა მეტყველებდეს<sup>23</sup>, ხოლო ნა- პრეფიქსიანი წარმოების გვერდით სათანადო დროის, გვარის მიმღობათა პარალელური ფორმების არსებობა კი მათ მეორეულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ალიაბათურ კილოკავში ნა- პრეფიქსიანი ფორმების სიმცირე, რაც გამოწვეული ჩანს ქიზიყურთან მეზობლობით, და კაკურში მათი სიმრავლე ავრეთვე ამ წარმოების სი.ველეზე მიუთითებს. ნა- გვაქვს მ-, მ-—-არ, მ-არ-ე, მო-—-ე, მ-—-ელ, სა-—-ელ... აფიქსებიანი წარმოების გვერდით, ნა-—-ავ, ნა-—-ალ, ნა-—-არ აფიქსებთან კომბინაციებში და ცალკეც. დასტურდება ნა-—-ან და ნა-—-ელ ძველი წარმოების ორიოდ მაგალითი. ის ცელას -ილ და -ულ სუფიქსებს. ალიაბათურში კაკურის ნა- წარმოებიანი გავრცელებული ფორმები შეცვლილია მ-ელ-ა წარმოებით.

16. ნა- პრეფიქსთან შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია მ- აფიქსი. ის მიმღობებში იკავება, როცა ანლაუტშია, ხოლო როცა შუაში მოექცევა. ზმნისწინიან ფორმებში აღდგება. მას ცვლის ნა- პრეფიქსი, ან კიდევ ნა-სთან ერთად დასტურდება: ღიღარ 'მღიღარი'; კითხავ 'მკითხავი'; ყოფ || ნაყოფ 'ყოფი' კაცი-მ-კლრლ || კაც მა-ნა-კალ 'კაცის მკვლელი'; ნა-მ-ზინ 'მძინარი' (შღრ. წარმოება ნა-მ-წვევი); და-ნა-მ-ღულ-რ 'დამღულორული'; გა-ნა-მ-ღიდ-რ-ევ<sup>24</sup> 'გამღიდრებული'; და-ნა-მ-ზრრ 'მზვერავი'...

17. მ-ელ-ა წარმოება ახასიათებს ალიაბათურ კილოკავს აქტიური მიმღობისათვის. კაკურში გვხვდება ნა- წარმოებიანიც:

კაკური:	ალიაბათური:
გა-ნა-ბან	გა-მ-ბან-ელ-ა 'გამბანი'.
[და]-ნა-სხამ <sup>25</sup>	და-მ-სხმ-ელ-ა 'დამსხმელი'...

მ-ელ კაკურში, მ-ელ-ა ალიაბათურში გვაქვს მოსალოდნელი მ- აფიქსიანი წარმოების ნაცვლად: მა-მ-ტან-ელ/ა 'მომტანი'; გამ-მ-გევ-ელ/ა 'გამგები'; გა-მ-რეცხ-ელ/ა 'მრეცხავი'; და-მ-ხერხ-ელ/ა 'მხერხავი'...

მ-—-ელ პრეფიქს-სუფიქსის ნაცვლად ოდენ მ- პრეფიქსია გამოყენებული სიტყვაში: მ-ასწავლ 'მასწავლებელი'...

18. მ-—-ო აფიქსითაა ნაწარმოები და-მ-ყერ-ო<sup>26</sup> 'დამყერებელი, გამგონე'...

19. მო- პრეფიქსი გამოიყოფა ალიაბათურ სიტყვაში მო-ხეც-ი 'ცელქი'

20. ხელობის ან პროტესიის აღმნიშვნელი მე-—-ე მაწარმოებლის ნაცვლად ალიაბათურში დასტურდება მა-—-ე: მა-ციცქილ-ე 'მეწისქვილე'

სალიტერატურო ქართულის მო-ე-ს ნაცვლად გავრცელებულია მე-—-ე: მე-სისხლ-ე/ა 'მოსისხლე'; მე-ნადირ-ე/ა 'მონადირე'...<sup>27</sup>

21. მონაცვალეობას ეწევიან ნა-—-ავ და მო-—-ავ აფიქსები: ნა-კნ-ავ || მო-კნ-ავ 'ნახნავი, სნული'...

23 ე. ო ს ი ძ ე, მიმღობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, 67, 1957, გვ. 187—217.  
 24 ამ ორ მაგალითშია ნა- პრეფიქსი -ულ სუფიქსის მაგიერ დართვია.  
 25 უზნისწინო ვარიანტი ნიშნავს მსხმოიარეს.  
 26 გვხვდება ნა- პრეფიქსიანი ვარიანტიც: და-ნა-ყერევე; შღრ. ხევსურული „დამყერო“.  
 27 მსგავსი წარმოება დამახასიათებელია ხევსურულისთვისაც: აღ. ჭ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თაეისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 71.

22. მეტად გავრცელებულია მყოფადის მიმღეობის წარმოება სა-—-ელ სა- წარმოებლებით, ოღონდ თავისებურად არის წარმოდგენილი ზოგჯერ ფუძე, ზოგჯერ კიდევ პრეფიქს-სუფიქსი. მაგ., საწარმოებელი სა- პრეფიქსი ზმნის- წინიან ფორმებში (უზმნისწინო ფორმები იშვიათია) ფონეტიკურად გამარტი- ვებული -ა'ს სახით გვხვდება, ხოლო -ელ სუფიქსი კი ხშირად წარმოდგენილია ლ-ს სახით ე ხმოვნის წინამდებელ ვ'სთან შერწყმის გამო<sup>28</sup>: წა-ა-სლო-ლ — წა- სა-სლო-ელ; მა-ა-სლო-ლ — მა-სა-სლო-ელ; მა-ას-სულ-ლ-ა — მა-სა-სულ-ელ-ა... შდრ. გა-ა-თიბ-ელ — გა-სა-თიბ-ელ 'სათიბი'; და-ა-წერ-ელ — და-სა-წერ-ელ 'საწერი'; და-ა-ლევ-ელ — და-სა-ლევ-ელ 'დასალევი'...

სა-—-ელ აფიქსებით ნაწარმოები თავისებური მნიშვნელობის მიმღეობაა სა-ქნ-ელ 'გასაკეთებელი'; 'მოსახდენი'; 'მოსახარში': ჩემ საქნელ ჰქონ 'ჩემი გა- საკეთებელი ვქენი': მაგირე საქნელ ქნილ 'მაგისტრის მოსახდენი მომხდარა'; ფლავ საქნელ დროზე ცეცხლ ჩაქრა 'ფლავის მოხარშვის დროს ცეცხლი ჩაქრა'.

ამავე საწარმოებლებითა და თავისებური ფუძით გვხვდება სა-კმ-ელ (შდრ. სა-კმევ-ელ).

სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი სა-—-ო, მე-—-ელ, სა-—-ალ აფიქსების ნაცვლად სიტყვაწარმოებისას ზოგჯერ გამოყენებულია სა-—-ელ: სა-ქეიფ-ელ 'საქეიფო'; სა-წოლ — სა-წვ-ელ 'მეწველი'; სა-ტირ-ელ 'სატირალი' (შდრ. სა-კმარევ-ელ 'სახმარი')...

საინტერესოა ზმნისგან მიმღეობის, ხოლო ამ უკანასკნელისაგან სხვა ში- ნაარსის ზმნის წარმოება: ამავეს (= აბამს), სა-მბ-ელ 'რეზინის ძაფი'... სამბლავს 'ერთ მხარეს გადაწონის'.

23. ოდენ სა- პრეფიქსიანი წარმოება მიღებულია -ელ სუფიქსის მოკვეციტ, რომელიც ეთიარებითი ბრუნვის ნიშნის წინ აღდგება ხოლმე: სა-ლოკ 'ნაღირთ სალოკავი ადგილი წყალთან': შდრ. სალოკელა; სა-მარბ ძვ. სასათლაო, 'აქა- იქლა რომ ეტყობა საფლავის ქეები'; შდრ. დასამარხელა; სა-გლეყ 'წინა ხარ- ულელი გუთანში'; შდრ. საგლეყელა; სა-რცხ<sup>29</sup> — სა-რეცხ 'ქვევრის საბეხი, ბლის ქერქისაგან გაკეთებული'; შდრ. სარეცხელა (ალიაბ)...

ოდენ სა- პრეფიქსითაა წარმოდგენილი შემდეგი ფორმები: სა-ყუარ 'საყ- ვარელი': ჩემ საყუარ ყმაწული 'ჩემი საყვარელი ბავშვია'; სა-ზულავ 'საქულ- ელი'; საზულავ მაკლომელი! სა-გულავ 'საეცი'...

24. სა-ელ-ა აფიქსებითაა ნაწარმოები შემდეგი ფორმები: სა-თხელეზ-ელ-ა 'ცომის გასათხელეზელი მრგვალი ჯოხი' (ეს სიტყვა იხმარება ალიბეგლოსა და ალიბათში, კახში მას ცვლის აზერბაიჯანულიდან ნასესხები „ოსლულ“ სიტყვა); სა-ჩხრეკ-ელ-ა-ა 'თონეში ცეცხლის მოსაჩხრეკი გრძელი ჯოხი'

25. ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად სა-—-ო აფიქსები დასტურდება ისეთ სიტყვებში, სადაც ის არაა მოსალოდნელი: სა-თეთრ-ო-ა 'ბაწარი, რომელსაც თეთრად ინახავენ, არ ღებავენ'; სა-ფერ-ო-ა 'შესაფერისი'; სა-ვზავ-ო-ა<sup>30</sup> || სა-გზა-ო-ა 'საიქიოს ვზაზე გასასტუმრებელი საკმელი' („საგზაოა კამ“ -- იტყვიან წყევლისას): გა-ა-კურ-ო-ა — გა-სა-კურ-ო-ა 'გასაკვირი'; სა-

<sup>28</sup> მყოფადის მიმღეობის ფორმები კვევლინება როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, ისე მყოფადი დროის საწარმოებელი საშუალება: რ. დამბაში ძველ, მყოფადის წრის მწკრივითა წარმოება ინგილოურში, თსუ შრომები, 67, თბილისი, 1957, გვ. 249—265

<sup>29</sup> იხ. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 160.

<sup>30</sup> აქ სიტყვა სახითაა წარმოდგენილი ფუძის საწარმოებელი -ავ სუფიქსი. იხ. არნ. ნ. ა- ჭობაძე, დასახ. შრ., გვ. 15.

ვაზირ-ო-ე 'დასასაქმებელი პატარა ბავშვი, რომელსაც წვრილმანებზე აგზავნიან ხოლმე' (ვაზიროვს — საქმავს, დავაზირევა — დასაქმება); სა-ლირ-ო-ე 'ლირსი'...

სა-—-ო აფიქსი ენაცვლება სა-—-ე აფიქსს: სა-პერანგ-ო-ე || სა-პერანგ-ე-ე; სა-კაბ-ო-ე || სა-კაბ-ე-ე; სა-ზაღლ-ო-ე; || სა-ზაღლ-ე-ე...

26. სა-—-ე აფიქსებით წარმოქმნილ სიტყვათაგან აღსანიშნავია: სა-ჭე-ე-ე — სა-ჭე-ე-ე — სა-ჭე-ე 'რძის შესანახი ადგილი ზაფხულობით'; სა-ტუნ-ე-ე 'მსხვილი, ტვინიანი ძვალი'; სა-დიდ-ე-ე 'მაწვნის შესაყენებლად შენახული დო' (ჩადიდევა — შეყენება, ადიდევს — აყენებს); სა-ჩონ-ე-ე 'სააქაო': „სა-ჩონეში არა“ — ფიგ. გამოთქმა „ამ ქვეყანაზე არაა“; სა-ქართულ-ე-ე 'საქართველო'...

27. დანიშნულების სა-—-არ აფიქსებით წარმოქმნილია ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში სხვა წარმოებას ამკლავებენ: სა-ცხოვ-არ 'საცხოვრებელი, საზრდო, ცხოვრების საშუალება' (შდრ. ძვ. ქართ. (მწყემსმან) დაუტევნის საცხოვარნი<sup>31</sup> და ივლტინ, ი. 10,12C; მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დადვის საცხოვართა თვსთა ზედა, ი. 10,11C)... სა-სივ-არ: გულისასივარ 'გულის გამასივებელი': გულისასივარ ყმაწული 'გულის გამასივებელი ბავშვია'..

28. წედარებით ნაკლებპროდუქტიულია სა-—-ურ და სა-—-ულ აფიქსები. მათი საშუალებით ნაწარმოებია: სა-ქებ-ურ 'საქები' (ა-ქებ-ევ-ს — აქებს, და-ქებ-ევ-ა-ე — შექება; ი-ქებ-ევ-ი-ს — იკვების, და-ქებ-ნ-ა-ე — კვებნა); სა-ფეთ-ურ 'საფეთებელი': ერ საფეთურ რაჲმი 'ერთი საშინელი ვინმეა'; სა-კუნზ-ურ || სა-კუნზ-ულ 'შამფურის დასადები სასთაულია, თიხისაგან გაკეთებული'

ძველი წარმოებითაა შემონახული სა-სტ-ულ — \*სა-სთ-ულ — სა-სთა-ულ<sup>32</sup> (სასთაული — ბამბის ბალიში, საბა).

29. სა-—-ავ აფიქსებით წარმოქმნილი ჩანს სა-სელ-ა-ე — \*სა-სელ-ავ 'სახლის სახურავიდან ჩამოსული წვიმის სადინარი პატარა არხი სახლის ირგვლივ'; შდრ. სელ-ავ — მთაში ნიაღვრის მიერ შექმნილი გზა, საიდანაც შეშას, ფიხს თრევით ეზიდებიან ძირს საურმე გზაზე (სელ — აზერბ. ნიაღვარი).

30. სა-—-იან: სა-ფან-იან-ი 'საფანელის, თონებზე უქკილის მისატანი ჯამი' (ალიაბათური).

31. სი-—-ე აფიქსებით იწარმოება აბსტრაქტული სახელები: სი-მთელ-ე-ე 'ჯანმრთელობა'; სი-კაბ-ე-ე 'სიკეთე'; სი-უქკოვ-ე-ე 'სისულელე, უქკუობა'...

32. სი-—-ე აფიქსს ცვლის, ან მასვე ერთვის, ან კიდევ მისი შემადგენელი -ე სუფიქსი იცვლება -ოვა || ობა<sup>33</sup> სუფიქსით: სი-ფინთ-ე-ე || სი-ფინთ-ე-ოვა-ე || სი-ფინთ-ოვა-ე || ფინთ-ოვა-ე (ფინთოვს); სი-მრუდ-ე-ე || სი-მრუდ-ე-ოვა-ე || სი-მრუდ-ოვა-ე || მრუდ-ოვა-ე; სი-წითლ-ე-ე || სი-წითლ-ე-ოვა-ე || სი-წითლ-ოვა-ე || წითლ-ოვა-ე; სი-არვარგ-ე-ე || სი-არვარგ-ე-ოვა-ე || სი-არვარგ-ოვა-ე || არვარგ-ოვა-ე; სი-მთროლ-ე-ე || მთროლ-ოვა-ე...

33. სი-იან-ოვა აფიქსებს დაირთავს სი-წმინდ-იან-ოვა-ე 'სისუფთავე'; შდრ. სალიტ. ქართულის მიმშილიანობა.

<sup>31</sup> ცხვარნი.

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 68.

<sup>33</sup> -ობა მაწარმოებლიან მაგალითებს ალიაბათურიდან და ალიბეგლოს მეტყველებიდან არ ემორწმებთ ამოსავალ ფორმად კაკურის მიჩნევის გამო.

როგორც ცნობილია, ძველი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება ახალ ქართულში ხშირად შეცვლილია ოდენსუფიქსური წარმოებით: სიბოროტმ — ბოროტება, სიყრმეა — ყრმობა, სივერაგე — ვერაგობა და სხვ.

საზოგადოდ, შეინიშნება, რომ ახალთან შედარებით ძველ ქართულში უფრო მეტი სასიცოცხლო ძალა ჰქონდა სი—-ე ტიპის წარმოებას; ახალში კი იგრძნობა -ობა სუფიქსის გაბატონების ტენდენცია<sup>34</sup>.

რაც შეეხება ინგილოურის სი-ე-ოვა და სი—-ოვა აფიქსებით აბსტრაქტული სახელების წარმოებას, იგი სი—-ე წარმოებიდან -ოვა-ზე გარდამავალი საფეხური ჩანს.

34. -ოვა || -ობა სუფიქსით იწარმოება ისეთი აბსტრაქტული სახელები, როგორცაა: ბერ-ოვა-ა 'სიბერე, მოხუცებულობა', ლამაზ-ოვა-ა 'სილამაზე', კაა-ოვა-ა 'სიკეთე, სიკარგე'... ასეულ-ოვა-ა 'სენი, გადამდები ავადმყოფობა' (შდრ. ესევის — ეხვევა, ასევაა — დახვევა ბევრისა ერთად)...

35. -ება || ოვა: ღრო-ოვა-ა, თქმულ-ოვა-ა, ცხოვრ-ოვა-ა...

36. ოვა-ნ გვაქვს მიმართულებისა<sup>35</sup> და დანიშნულების აღმნიშვნელ ასეთ ფორმებში: ნადირ-ოვა-ნ 'სანადიროდ'; ლანჯილ-ოვა-ნ 'ლანძილის საკრეფად'; მეზროხე-ოვა-ნ 'მენახირედ'...

37. ობა-ნ მაწარმოებელი გამოიყოფა ზმნისართებში: აგრ-ობ-ნ 'აქეთ'. მოქმ. ბრუნვა: აგრ-ობნ-ით; შდრ. აქეთ-ობა-ს; იგრ-ობა-ნ 'იქეთ', მოქმ. ბრუნვა: იგრობნით; შდრ. იქეთობას...

38. ყორადღებას იქცევს სი—-ივ მაწარმოებლებით წარმოქმნილი სიტყვები: სი-სწრჭთ — სი-სწვრ-ივ-ით 'გასწვრივ'; ი-მგჭრგლ-ივ — სი-მგჭრ-გალ-ივ 'ირგვლივ'<sup>36</sup>.

39. სი—-ინ აღრინდელი წარმოებითაა წარმოდგენილი სი-რბ-ინ 'სირბილი'; სუსტუნ — სი-სტვ-ინ 'სტვენა'...

40. ოდენ სი- პრეფიქსითაა დატული: სი-ყუარათ რაა საქნელ არ იცის 'სიყვარულისაგან რა გააკეთოს, არ იცის'; სი-ცოდვით (|| სი-სა-ცოდვ-ით) დოაწ 'საცოდობით დაეიწვი'...

ორმაგი სი- პრეფიქსი დასტურდება სიტყვაში სისჭრცხულუთ — სი-სი-რცხულ-ით.

41. ინგილოურის სიტყვაწარმოებაში დიდ როლს ასრულებს -იან სუფიქსი. იგი ცვლის მრავალ აფიქსს: მო—-ე'ს (ენ-იან — ენაა-იან 'მოენე, მკერ-მეტყველი'); მ—-არე'ს (ზილ-იან 'მძინარე, ჭერ გამოუტახილებელი'); -ი-ერ'ს<sup>37</sup> (ზალ-იან 'ძლიერი', აქედან: გაზალ-იან-დ-ა 'გაძლიერდა'; ღონ-იან 'ღონიერი'; კანონ-იან 'კანონიერი'); -ოვან'ს (სახელ-იან 'სახელოვანი'); -ოსან'ს (ორდელ-იან 'ორდენოსანი')...

34 არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., § 77, გვ. 208, § 100, გვ. 239; არ. მარტიროსოვი, ანსტრაქტულ სახელთა წარმოება და აფიქსთა შეღგენილობა ძველ ქართულში, იყ, IX—X, გვ. 126.

35 რ. ლამბაშიძე, დასახ. შრ., გვ. 124.

36 ე. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, ხმოვანთავსართოვანი სახელები: თუ შრომება, XXV/1b, 1947, გვ. 457; შდრ. გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის რნგილოური დიალექტის თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 146.

37 „-ი-ერ სუფიქსს დღეს აღარ შესწევს ძალა, რომ ახალ-ახალი ფუძეებისაგან აწარმოოს სახელები, მისი ადკალი ამ მხრივ, სრულიად კანონზომიერად, იან-მა დაიჭირა“: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 125.

-იან სუფიქსი -ა სუფიქსის პარალელურად აწარმოებს სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე თვისებას, რისამე ქონას: ყუც-იან (← ყუთ-იან ← ყუთლ-იან ← ყვითლ-იან) 'ყვითელი ფერის მქონე ადამიანზე ოტყვიან'... ყუთ-აჲ — ავადმყოფობისაგან გაყვითლებული აბრეშუმის ქია; ყუთლ-ა-ჲ — ყვითელი ფერის ქლიაევი; თეთრ-იან 'თეთრი ფერის ჩითი'; წითლ-იან 'წითელი ფერის ჩითი'... წითლ-ა-ჲ 'წითელი ფერის ქლიაევის ჩიში'; ყუთელგულ-ა-ჲ || ყუთელგულ-იან 'მკერდყვითელა ჩიტი ან ქათამი; თავსახურაჲ კვერცხის გულის მსგავსი ნახატებით'...

-იან აფიქსით გეხვდება შემდეგი სიტყვებიც: პირ-იან 'ურცხვი, გამბედავი'; ქერქ-იან 'მოხერხებული'...

-იან გვევლინება ადგილის აღნიშვნელი ზმნიზედების მაწარმოებლად. იგი ცვლის სალიტერატურო ქართულის -იერ სუფიქსს: ამ-იან<sup>28</sup> 'აქეთ'. შდრ. ამ-იერ; აქათ-იან || აქთ-იან || ექათ-იან || ექთ-იან 'აქეთ'; იმ-იან<sup>29</sup> 'იქეთ'. შდრ. იმ-იერ; იქით-იან || იქთ-იან 'იქეთ'; ამ-იან — იმ-იან 'აქეთ-იქეთ'; ზეჲთ-იან 'ზევით'; ქრშ-იან 'ქვევით'; ორღბის-იან 'ორღობის მხარეს'; მეზობლის-იან 'მეზობლის მხარეს'...

ფართოდაა გამოყენებული -იან სუფიქსი წარმომავლობისა და შტო-გვარების სახელთა საწარმოებლად<sup>30</sup>. ქალის-იან-ევ 'ქალის, პატარალის მხრისანი, პატარაღლისეულნი'; გაღის-იან-ევ 'ვაჟის, სიძის მხრისანი, მისი წარმომადგენლები' (გაღაჲ აზერბ. 'ვაჟი'); ბაბალ-იან-ევ 'ბაბალის შტოს წარმომადგენლები'; მეჭტ-იან-ევ 'მეჭტის შტოს შთამომავალი'; როსტ-იან-ევ 'ბაბალიანევასა და მეჭტიანევის საერთო გვარია'.

გათხოვილი ქალი თავისი მშობლების ოჯახს დედანეე-ს (← დედა-იან-ევ) ეძახის, ხოლო მისი ბავშვი კი პაპანეე-ს (← პაპა-იან-ევ).

-იან სუფიქსი ადგილის სახელების მაწარმოებელიცაა. იგი მიუთითებს საგანთა სიმრავლეზე და ზნირად -ნარ სუფიქსის შემცველია: თხილ-იან 'ძველად თხილის ბაღები ყოფილა, ახლა სასაფლაოა. აქა-იქ თხილის ბუჩქებიცაა შემორჩენილი'; იფნ-იან (← იფან-იან) 'სადაც ბევრი იყო იფნის ხე. ახლა მინდვრის სახელია'; ვერზ-იან (← ვერზე-იან) 'სოფელია, ძველად ინგილოები საზღობდნენ. ახლა აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. წარსულში ეს ადგილი ვერხვებით ყოფილა დაფარული'; ჭუვრ-იან 'ქეებიანი, ქვიშიანი მიწა'...

საყურადღებოა მოსალოდნელი -იან სუფიქსის გარეშე ხმარებული ფორმები: ხუთიან 'ხუთიანი', სამიან 'სამიანი' (შდრ. ხუთ, სამ)...

ეს ფორმები ალბათ მიღებული ჩანს -იან სუფიქსის ვაცეეთის შედეგად: ხუთიან → ხუთ-ი-ან.

ასევე შესაძლოა -იან სუფიქსის ვაცეეთის შედეგად იყოს მიღებული: წუნიან (← წუნიაჲ ← წუნიაან) 'რომელიც წუნობს'; ცეცაჲ (← ცეციაჲ-ცეციაან) 'რომელიც ცეცობს'; ბრეჯიან (← ბრეჯიაჲ) 'ვინც ფეხსაცმელს უშნოდ ცრეხავს. ატარებს', ჩეჩნიან (← ჩეჩნიაჲ) 'ვინც უშნოდ დადის'; ბრეჯიან (← ბრეჯიაჲ) 'ვინც იჭიმება'...

42. ზედსართავეების საწარმოებლად -იერ სუფიქსის ნაცვლად გამოყენებულია -იარ (დისიმილაციით -იალ); შჷნ-იარ 'მშვენიერი. საკუთარი სახელიცაა

<sup>28</sup> ამ-იან-ით აქეთ მხრიდან. შდრ. ამ-იერ-ი-დან.

<sup>29</sup> იმ-იან-ით იქეთ მხრიდან. შდრ. იმ-იერ-ი-დან. გვაქვს ეს-იან და ის-იან ფორმებიც.

<sup>30</sup> ამგვარი წარმოება, როგორც ცნობილია, გავრცელებულია სვანეთში, მთიულეთში, რაჭაში.

ქალისა'; ბედნ-იარ 'ბედნიერი'; გონ-იარ 'გონიერი'; დაოლ-იარ-ევ-ა-ა || და-თორ-იარ-ევ-ა-ა 'დათვლიერება'; თავრ-იარ<sup>41</sup> 'საქონლის თავის ქალას ტყავი; ეახად ქცეული ვაზის თავი'...

43. -იერ სუფიქსი გამარტივებული სახით წარმოდგენილია სიტყვაში შერ — შ-იერ 'მშიერი'...

44. უარყოფითი ფორმების წარმოება ხდება სხვადასხვა ფუძეებისაგან უ-ან -ურ, უ-—-ურ, უ-—-ო.

ოდენ უ-ან -ურ აფიქსებით წარმოქმნილი უარყოფითი ფორმები: უ-ზლომ 'გაუმადლარი'; უ-ნლომ 'მოუნდომებელი'; უ-თენ || უ-თენია 'გაუთენებელი'; უ-თქმელევ<sup>42</sup> (უთქმელ) 'რისი თქმაც არ შეიძლება'; უ-ქნელევ<sup>43</sup> (უქნელ) 'რისი გაკეთებაც არ შეიძლება'... (უქანასქნელ ორ მაგალითში უ- პრეფიქსთან ერთად გამოიყოფა -ელ სუფიქსიც); კუდ-ურ 'უკუდო'...

უ-—-ურ: უ-ზლომ-ურ<sup>44</sup> 'გაუმადლარი'; უ-ნლომ-ურ<sup>45</sup> 'მოუნდომებელი'; უ-ჩუმ-რ-ა<sup>46</sup> — უ-ჩუმ-ურ-ა 'ჩუმად'; უ-გონ-ურ 'უგნური' და სხვ.

უ-—-ო აფიქსებით წარმოქმნილ სიტყვათაგან აღსანიშნავია: უ-პირბან-ო-ა 'პირდაუბანელი'; უ-პატივ-ო-ა 'ტყვილა, ტყუილუბრალოდ'; უ-ნაწილ-ო-ა 'უქმელი' (ნაწილ 'ნამცეცი, ლუკმა'); უ-ფერ-ო-ა 'უფერული'...

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ზმნისწინიანი უარყოფითი მიმღობის წარმოებისას გავრცელებულია უ- თავსართის ორგანის გამოყენება<sup>47</sup>: უ-დო-ჭ-წერელ 'დაუწერელი'; უ-გო-ჭ-რეცხელ 'გაურეცხელი'; უ-გო-ჭ-გველ 'გაუგებელი'...<sup>48</sup>

ამგვარი ორმაგი წარმოება უარყოფის გაძლიერების შედეგია<sup>49</sup>. არაა გამორიცხული აზერბაიჯანული ენისათვის დამახასიათებელი ორმაგი წარმოების უარყოფითი მიმღობის (მაგ.: ЯЗМАИЩИОЗ — დაუწერავი, ШИИМӘИЩИОЗ — მოუხარშავი) ფორმათა გავლენაც.

ფართოდაა გავრცელებული უარყოფითი ფორმების წარმოება არ და ვერ ნაწილაკებით (იხ. ქვემოთ)

45. სიტყვაწარმოების აქტიურ ელემენტს წარმოადგენს -ურ (დისიმილაციით -ულ) სუფიქსი, რომელიც პრეფიქს-სუფიქსური წარმოებას კომპონენტისაა (იხ. ზეით: ხა-—-ურ, ნა-—-ურ, უ-—-ურ აფიქსები).

-ურ (-ულ) სუფიქსი აწარმოებს როგორც ადამიანის, ისე ნივთის კატეგორიის სახელებს სადაურობის მიხედვით: ტყი-ურ 'ტყის, ველური. გარეული რო-

41 აღ. ენის წარმოება, დასახ. შრ., გვ. 73.

42 იხმარება „არსათქმელევ“ ფორმაც.

43 დასტურდება „არსაქნელევ“ ფორმაც.

44 „უზლომურ“ წარმოებასთან ერთად ჩვეულებრივია „უზლომ“ წარმოებაც.

45 „უნდომურ“ წარმოების გვერდით გვაქვს „უნდომ“ წარმოებაც.

46 შდრ. უჩუმრა — უჩუმარა: გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

47 შდრ. ეთოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, -ელ, -ურ, რ- აფიქსებისათვის, ენიშკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 537.

48 ანალოგიური წარმოება დამახასიათებელია ზოგი სხვა დიალექტისთვისაც; შ. ნიქა-რაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 105; შ. ძიძიგური, იმერული დიალექტი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 149-150; შ. ცინცაძე, კირნათმარადიდის მეტყველების თავისებურებანი, რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, 1954, გვ. 10.

49 ე. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, „წელიწდელი“, I—II, 1922—23, გვ. 105.

გორც ნივთი, ისე ადამიანი' (ტყიურ თხილ; ტყიურ ღორ); ბალ-ურ 'ბალის (ბალურ ატამ', 'ბალის ატამი, მსხვილი'; ბალურ გუგრაჲ 'ბალის გოგრა'); ქართ-ულ 'ქართული და ქართველი' (ქართულ დეკაც; ქართულეც მოსულან თიფლიზით: ქართულ ჟუღაბ)... ჩონა-ვრ-ი — ჩონა-ურ-ი (ალიაბ.) 'ჩვენებური, ჩვენი მხრის'... ბაქა-ვრ (— საქა-ურ); სადა-ვრ (— სადა-ურ) 'სადაური' (შდრ. საქა-მდინ, საქ-რამდინ, 'სადამდე')<sup>50</sup>.

დასტურდება სად, აქ, იქ, მანდ ზმნისართებისა და ჩონ ნაცვალსახელისაგან ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ორმაგი წარმოება -ურ და -ელ აფიქსებით, რაც მეორეულია<sup>51</sup>: სადა-ვრ-ელ — სადა-ურ-ელ — სადა-ურ-ელ: აქა-ვრ-ელ — აქა-ურ-ელ — აქა-ურ-ელ; იქა-ვრ-ელ — იქა-ურ-ელ — იქა-ურ-ელ: ჩონა-ვრ-ელ — ჩონა-ურ-ელ-ი — ჩონა-ურ-ელ-ი; მანდა-ვრ-ელ — მანდა-ურ-ელ — მანდა-ურ-ელ; საქა-ვრ-ელ — საქა-ურ-ელ — საქა-ურ-ელ<sup>52</sup>...

ასეთივე ორმაგი წარმოებისაა ქართულ-ულ-ელ<sup>53</sup> 'ქართველი'.

-ურ სუფიქსი დასტურდება ადგილის აღმნიშვნელ სახელებში: აზნა-ურ 'ძველად სოფელს ერქვა, ამჟამად ტყეა': ფანცა-ურ 'უბნის სახელია'.

იგი თვისების აღმნიშვნელიცაა: ჟირინგ-ულ — ჟირინგ-ურ — ჟირიმგურ (ჟირიგ აზერბ. ნაპერი) 'დახეული'; დიდ-ურ 'დიდივით, დიდის მსგავსად': სხოფრ-ულ (— სხოფერურ) 'სხვანაირად, სხვანაირი'...

ამავე ფუნქციისაა -ურ-ა || -ულ-ა: ზამთრ-ულ-ა-ჲ 'მსხლის ჯიშია, ზამთარში მწიფდება'; ზაფხ-ულ-ა-ჲ 'მსხლის ჯიშია, ზაფხულში მწიფდება'; მირაზ-ულ-ა-ჲ 'მსხლის ჯიშია, მწიფდება შემოდგომის მიწურულს'; სხოფრ-ულ-ა-ჲ 'სხვანაირი. სხვაფერი'; ადრე-ვლ-ა-ჲ — ადრე-ულ-ა-ჲ — ადრე-ურ-ა-ჲ 'ადრე დასამწიფებელი'; კეცეველა<sup>54</sup> — კეცე-ულ-ა-ჲ — კეცე-ურ-ა-ჲ — კერცხე-ულ-ა-ჲ — კერცხე-ურ-ა-ჲ<sup>55</sup> 'ერბოკვერცხი'; კუჭ-ულ-ა-ჲ 'ყურიანი პატარა კოკა'; წით-ურ-ა-ჲ 'წითელლოყება ადამიანი'; ტყი-ურ-ა-ჲ 'ტყის'; ბალ-ურ-ა-ჲ 'ბალის'.

-ურ სუფიქსი გამოიყოფა ებ-ურ-ში, რომელიც პარალელურად -ევურ (დისიმილაციით -ებულ || -ევულ)<sup>56</sup> ფორმითაც დასტურდება: ჩონ-ებ-რა- — ჩონ-ებ-ურ-ა 'ჩვენსავით'; წაღანდ-ებ-რა- || წაღანდ-ებ-ლ-ა || წაღანდ-ებ-ულ-ა 'წეღან რომ იყო ისე'; იმაშინდ-ებ-ლ-ა || იმაშინდ-ებ-ულ-ა || იმაშინდ-ევ-ლ-ა; შარ-შანდ-ებ-ლ-ა || შარშანდ-ებ-ულ-ა || შარშანდ-ევ-ლ-ა || შარშანდ-ევ-ულ-ა; პირ-ვანდ-ევ-ლ-ა || პირვანდ-ევ-ულ-ა || პირვანდ-ებ-ულ-ა.

46. -ელ სუფიქსი ალიაბათურ კილოკაეში გავრცელებულია ადამიანის სადაურობის მაწარმოებლად. მისი ლ თანხმომვანი ხშირად იკარგება -ენ აფიქსის წინ: ქართულ-ე-ენ-ი — ქართულ-ელ-ენ-ი 'ქართველები'; ქურალ-ე-ენ-ი — ქურალ-ელ-ენ-ი 'ქურალ-ელ-ები'; მოსულ-ე-ენ-ი — მოსულ-ელ-ენ-ი 'მოსულ-ელ-ები'

50 არ არის გარჩეული „მეავს“ და „მაქვს“. ეს უკანასკნელი ითქმის როგორც ადამიანზე, ისე ნივთზე.

51 არნ. ჩიქობავა, დასახ შრ., გვ. 34.

52 ამგვარი ორმაგი წარმოება ენობილია სხვა დიალექტებშიც: არ. მარტიროსოვ და გრ. იმნაიშელი, ქართული ენის კახურა დიალექტი, გვ. 114; ქ. ძიწენიძე, ზემო-იმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იყვ. ტ. IX-X, 1953, 23 189; შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოქართული დიალექტი, გვ. 107.

53 გვაქვს აგრეთვე ქართულ ეარიანტიც.

54 კეცეველა ალიაბათურად კეცხე გამომცხვარ გოგრისგულიან ნამცხვარს ჰქვია.

55 კვერცხი ინგილოურში წარმოდგენილია კერცხი || კერცხა-ს სახით.

56 -ებურ || -ებულ გვაქვს ხეუსურულშიც: აღ. კინკარაული, დაახ. ნაშრ., გვ. 59.

ფუძის საწარმოებელი -ელ დატულია სიტყვაში ცვრემ-ელ<sup>57</sup> (შდრ. მეგრ. ჩილამ-ურ).

47. -ელ-ა სუფიქსით წარმოქმნილი სახელებია: კუღბეწ-ელ-ა-ა 'მწერია, კუღად ორი გრძელი ბეწვი აქვს, მწარედ იკბინება'; ფაფაჰყ-ელ-ა-ა 'ფლავის ქვაბის ძირში მიმწვარი თხელი ფენა'; ბურბ-ელ-ა-ა — ბურყ-ელ-ა-ა 'ობობა'; ხაჰეკ-ელ-ა-ა 'თონეში ნაკვერჩხლების მოსაჩხრეკი გრძელი ჯოხი'...

48. -ევ აფიქსი გვხვდება ადგილის სახელების მაწარმოებლად: ქა-ქოთ-ევ 'ტყის სახელია'; კალუ-ევ 'უწინ კალოები სადაც იყო'; საყდრ-ევ 'საფიცარი ადგილი'. ასეთია, მაგ., ყალღან საყდრე... შრალ-ევ 'მშრალი ადგილი, მშრალი ამინდი'; ქმელ-ევ იგივეა რაც 'შრალე'; წუმრიან-ევ 'წვიმიანები, ცუდი ამინდები, აედრები'; მის საწინააღმდეგოდ გვაქვს ზიან-ევ.

საინტერესოა -ევ სუფიქსი საკუთარ სახელებში: ბალ-ევ და შაშ-ევ (ორივე ქალის სახელია).

49. -ათ მაწარმოებელი გვაქვს -ეთ-ის ნაცვლად სიტყვაში „უკუკუმათ“ 'უკუნეთი'.

50. -ინ სუფიქსი ცვლის -ილ-ს: სირბ-ინ 'სირბილი'.

51. არქაული -ივ სუფიქსი შემონახული ჩანს ზმნისართებში, რომელთაც დამატებით დართვით -ით<sup>1</sup> მაწარმოებელი: მალ-ივ-ით (მალავს — დამალავ) 'მალულად, ჩუმად'; ფარ-ივ-ით (ფარავს — დაფარავ) 'ფარულად'...

ეს სუფიქსი დასტურდება სხვა ზმნისართებშიც: იმგურგლ-ივ 'ირგვლივ'; ხუსწრუჲ (— სისწერ-ივ) 'გასწვრივ'; უკანობლ-ივ 'ისევე უკანვე'; ზლ-ივ-ზულუმ-ით და სხვ.

52. -ირ მაწარმოებელი ჩანს სიტყვაში „ხაპ-ირ“ 'ქვევრიდან წყლის ამოსაღები ხაპის ქურქელი'. ამ აფიქსის ფუნქცია, ჩანს, მასალის აღნიშვნაა.

53. არქაული -ელ სუფიქსი დატულია შემდეგ სიტყვებში: გულ-ელ 'გაბედული, უშიშარი'; ზიმ-ელ 'ორსული'; ნასულ-ელ 'სახარო ხორბლეულისა'; ლოდ — ლე-ელ — \*ლე-ელ — \*ხე-ელ 'ლველი' (დახევაა ნიშნავს ლვედის გაკეთებას, დახევა — დაქრას დაფებად).

54. ქონების მაწარმოებელი სუფიქსი -ა გამოყენებულია მსგავსებისა და თვისების აღსანიშნავადაც. იგი ამ შემთხვევაში ცვლის -იან სუფიქსს; ორგულ-ა-ა 'ორკოფი, ორ აზრზე მყოფი'; წითლ-ა- 'წითელი ფერის ქლიავის ჭიშია'; ვაშლ-ა-ა 'ქლიავის ჭიშია. წვრილი ვაშლის ოდენაა'; ტყიმლ-ა-ა 'ქლიავის ჭიშია, ტყემლის ოდენაა'; ჩურჩ-ა-ა 'ქლიავი, რომელიც იჩურჩება, ყვითელი ფერისაა'; ბებერ-ა-ა 'მშიშარა'...

-ა სუფიქსი გვხვდება შინაარსით უარყოფით ფორმებში: ღუმბ-ა-ა 'უკუდო ქათმის ჭიშია'; გოდ-ა (აღიბ.) 'უკუდო, კუდმოკლე საქონელი'...

იგი წარმოდგენილია ასეთ ფორმებშიც: იქითიან-ა-ა 'იქით მყოფი'; ჩემსიან-ა-ა 'ჩემს მხარეს მყოფი'; მეზობლისიან-ა-ა 'მეზობლის მხარეს მყოფი'...

55. -ო მაწარმოებელი გამოიყოფა შემდეგ სიტყვებში: თეთრ-ო-ა 'თვალის კაკალზე გადაფარებული თეთრი ზედმეტი სორცივით' (თოლში თეთროა ჩააყარდნი); გრილ-ო-ა 'ჩრდილი'; ცალაპერაგ-ო-ა 'პერანგის ამაჩა, მარტო პერანგისაა'; ტანტალიკ-ო-ა<sup>58</sup> 'ტანშიშველი, უნიფხო'...

<sup>57</sup> არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 73; მ ი ს ი ე ე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, გვ. 50.

<sup>58</sup> დასტურდება ტ ა ლ ი კ-ო-ც: „ტალიკო, ტალიკო ტანტალიკო“; ტალიკანა ხევსურულში ნიშნავს შიშველ კაცს.

56. კნინობითობისა და ალერსის გამომხატველი სიტყვების საწარმოებელი: აფიქსებია: -ნა; -ნა-ცა, -ცა, -უცა: გოგო-ნა — გოგ-ნა-ცა — გონგოცა; კუდრ-უც-ა-ა 'თხის, ცხერის კუდი'; ბაკრ-უცა-ა 'თიკანს მიმართავენ მოფერები'; ბებრ-უცა-ა 'მოხუცი'...

57. მასდარის საწარმოებელ აფიქსთაგან ინგილოურშიც გავრცელებულია -ა სუფიქსი. ასეთი მასდარი, როგორც ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, კაკურში დაირთავს სახელობითის ნიშანს (როგორც ეს ძველ ქართულში გვექონდა)<sup>59</sup> და ჩვეულებრივ იხმარება ზმნისწინით (იშვიათია უზმნისწინო მასდარი): გა-კეთევ-ა-ა 'კეთება, გაკეთება'; გა-კითხ-ა-ა 'გამოკითხვა, კითხვა, წაკითხვა'; გა-სხორტ-ა-ა 'სხვერტა'; შა-კერ-ა-ა 'კერვა, შეკერვა'; გა-ზომ-ა-ა 'ზომვა, გა-ზომვა'.

ტირილი, ყვირილი, ქუხილი, წუხილი და ამ ტიპის სხვა მასდარები გვხვდება ამგვარადაც: ტირ-ჟ-ა-ა, ყურ-ჟ-ა-ა, ქუხ-ჟ-ა-ა, წუხ-ჟ-ა-ა, და სხვ.

58. პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მასდარი გასუბსტანტივების გამო შეცვლილია სხვა წარმოებით: სი-ხარ-ულ-ი — გა-ხარ-ევ-ა-ა; სი-ძულვ-ილ-ი — მო-ზულ-ევ-ა-ა...

59. სი-მღერ-ა-ს გვერდით დასტურდება სი-მღერ-ე-ა<sup>60</sup> წარმოება (მღრ. ძველი ქართულის სი-ორძილ-ე).

60. როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ქართულში ერთი კატეგორია მასდარებისა ზმნის ფორმისაგან არ იწარმოება. ინგილოურში კი ადგილი აქვს ამგვარ წარმოებასაც: ღრიალ-ღრიალოვს — ღრიალოვაა; ფრიალ — ფრიალოვს — ფრიალოვაა; ლაწლაწ — ლაწლაწოვს — ლაწლაწოვაა...

61. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ეზა, -ოზა სუფიქსები და სი-—-ე პრეფიქს-სუფიქსი საერთო მაწარმოებელი აფიქსებია მასდარისა და აბსტრაქტული სახელებისა<sup>61</sup>. ამ მხრივ უცნაურ წარმოებად არ გვეჩვენება ინგილოურის ტიროვაა, ჩიოვაა, ყუროვაა და სხვ., სადაც სუფიქსად -ოვა (← ოზა) გვაქვს.

საერთოდ ეს აფიქსები მასდარიდან მომდინარეობენ აბსტრაქტულ სახელში და, ამდენად, ეს უკანასკნელი უფრო გვიანდელი წარმონაქმნია, ვიდრე მასდარი<sup>62</sup>.

62. -ნ დაჩნდება მასდარის წარმოებაში და ზმნის პირიან ფორმებშიც, აგრეთვე მათგან ნაწარმოები ნამყოს მიმღეობაში: მო-თხოვ-ნ-ა-ა — თხოვ-ნ-ოვ-ს; მოწოვ-ნ-ა-ა — სწოვ-ნ-ი-ს; მო-ზოვ-ნ-ა-ა — ჰზოვ-ნ-ი-ს; შაქიდ-ნ-ა-ა — იქიდ-ნ-ევ-ის — შაქიდ-ნ-ულ; წაკიდ-ნ-ა-ა — იკიდ-ნ-ევ-ის — წაკიდ-ნ-ულ; დატევ-ნ-ა-ა — ეტევ-ი-ს — დატევ-ნ-ულ<sup>63</sup>... თოვ-ლ-ოვ-ა-ა — თოვ-ლ-ოვ-ს; პოვ-ლ-ოვ-ა-ა — პოვ-ლ-ოვ-ს (|| პოვნოვაა — პოვნოვს).

II. წარმოქმნა ზმნისწინების, ნაწილაკებისა და თანდებულების საშუალებით. ინგილოურში ფართოდაა გავრცელებული ახალ-ახალი ზმნების წარმოქმნა ზმნისწინის საშუალებით. ერთისა და იმავე ძირისაგან სხვადასხვა ზმნისწინის დართვით მიიღება ნაირ-ნაირი მნიშვნელობის მქონე ზმნა. ამგვარი წარმოების

<sup>59</sup> ხილ-ვ-ა-ა, მი-გებ-ებ-ა-ა, ცემ-ა-ა, მოღრე-ა-ა...

<sup>60</sup> გვაქვს „ღერ-ოვ-ა-ა“ წარმოებაც (ღერ-ოვ-ს ზმნიდან).

<sup>61</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 166, გვ. 131; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, § 99, გვ. 235—236.

<sup>62</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., § 100, გვ. 238.

<sup>63</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., გვ. 67.

მაგალითებია: წა-კიდ-ევ-ა-ა 'გაბრაზება, გაჯავრება'; და-კიდ-ევ-ა-ა 'რამეზე დაკიდება'; მო-კიდ-ევ-ა-ა 'დახყება'; ჩა-კიდ-ევ-ა-ა 'შიგ ჩაკიდება, დაკიდება'; ომო-კიდ-ევ-ა-ა 'წყალში ფქვილის გათქვეფა'; გა-გროშ-ა-ა 'ტყუილის თქმა; გაკვრით თქმა'; და-გროშ-ა-ა 'მსხვილად ფქვა'...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძასდარი ჩვეულებრივ ზმნისწინს დაირთავს. ამიტომ გვაქვს: გა-კეთ-ევ-ა-ა 'კეთება'; წა-კითხ-ა-ა 'კითხვა'; მო-კნ-ა-ა 'ხენა'; და-გლეე-ა-ა 'გლეჯა'<sup>64</sup>...

ზმნისწინები ასევე ჩვეულებრივია მთელ რიგ მიმღებობებში: გა-ნა-კეთევ (და არა ნა-კეთევ) 'გაკეთებული, გამკეთებელი, გასაკეთებელი'; წა-ნა-კითხ (და არა ნა-კითხ) 'მკითხველი; წაკითხული; წასაკითხი'; მა-ნა-კან (და არა ნაკან, თუმცა გვაქვს ნაკნავ) 'მხენელი; ხნული; სახენელი'; მა-ნა-კდომ (და არა ნაკდომ) 'მკვდარი; მოსაკვდომი'; წა-ნა-ქცევ (და არა ნა-ქცევ) 'წაქცეული; ვინც წაიქცევა, ვინც იქცევა, წასაქცევი, წამქცევი'...

ზმნისართზე ზმნისწინის დართვით წარმოიქმნება ახალი ლექსიკური ერთეული: შორს — გა-შორს-ევ-ა-ა 'დაშორება' და გა-შორშორ-ევ-ა-ა 'დანთებული ცეცხლის გაშლა ჩასაჭრობად'; გორც — და-გორც-ევ-ა-ა 'დაახლოება'...

გავრცელებულია არ და ვერ ნაწილაკებით უარყოფითი ფორმების წარმოება. არნაჰამ 'უქმელი'; არვარგ 'უვარგისი'; არნაქნარ || უქნელ 'გაუკეთებელი'... ვერსწავლაჲ 'სწავლის შეუძლებლობა'; ვერნაჰამ 'ვისაც ჰამა არ შეუძლია'; ვერგანაჲევ 'გაუგებელი, შეუგნებელი'...

არა ნაწილაკით უარყოფითი ფორმების წარმოება ცნობილია ძველ ქართულში; გავრცელებულია ე. წ. სამუალ ქართულში. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“, სადაც არ ნაწილაკის გარდა ვერ ნაწილაკიც იხმარება.

ამგვარი წარმოების ასე ფართოდ გავრცელებას ინგილოურში უთუოდ ხელს უწყობს ანერბაიჯანულის ანალოგიური წარმოებაც.

ინგილოური ზმნისწინების საწარმოებლად მიმართავს -ზე, -ვით, -ყენ, -გან, -ში თანდებულებს: დილლა-ზე 'დილას'; უკანაყიფითი (← უკანა-ყენ-იე-ით)<sup>65</sup>; წინა-ყ (← წინა-ყენ) 'წინ'; უკანა-ყ 'უკან'; ერ-გან 'ერთ ადგილას'; კარ-ში 'გარეთ'

აქამთ და იქამთ ზმნისართები წარმოდგენილია ორმაგი მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით: იქა-ამ-ით 'იქიდან'; აქა-ამ-ით 'აქედან'

-თანა-ს, -წორა-სა და -ოდენა-ს დართვით წარმოიქმნება ასეთი ფორმები: შავ — შავის-თანა-ა 'შავისნაირი, უფრო შავი'; დიდ — დიდის-თანა-ა || დიდის-ტანა-ა 'უდიდესი'... ჩემს-წორა-ა 'ჩემსელა'; რაჰ-წორა-ა ← რაგ-წორა-ა 'რამხელა'... ჩემს-ოდენა-ა 'ჩემოდენა'...

საინტერესოა -თან თანდებულისაგან წარმოქმნილი ზმნა შა-თან-იე-ევ-ა-ა (ა-თან-ი-ევ-ს ზმნიდან): ყმაწულევთან შათანავდა წავდა 'ბავშვებთან ერთად წაეილა'; შდრ. სულხან-საბა: „ეთანაებვიან“ 'თანა ედასებიან' ან „ითანიი“ 'თანა გაუყარ ყო'.

ეს შეიძლება გავიხსენოთ ხევსურული სტანავ — ახლავს.

<sup>64</sup> ზმნისწინადა წარმოდგენილი: ვა-კან-იე-ა-ა 'სიცილი'; ვა-უჭ-იე-ა-ა 'უყილი'; ვა-ყელ-ევ-ა-ა 'ყილი'; მო-წყურ-ევ-ა-ა 'წყურული'...

<sup>65</sup> შდრ. გრ. იმნაიშეილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118: უკანაყიფი — უკანაყ + იევი — უკანაყენ + იყავი.

**III. კომპოზიცია.** ინგილოურის ლექსიკურ შემადგენლობას მრავალფეროვანს ხდის სიტყვაწარმოების უძველესი საშუალება, რომელსაც კომპოზიცია ეწოდება. აფიქსაციის შემდეგ იგი მეტად გავრცელებული საშუალებაა ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად<sup>66</sup>.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთი წყების კომპოზიტებს, რომელთა ორივე წევრი არსებითია: პირველი ფუძითაა წარმოდგენილი და არავითარ ცვლილებას არ განიცდის. მეორე კი სახელობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდობით რიცხვშია. ასეთი კომპოზიტების უმრავლესობა კრებითობის შინაარსს ატარებს; მაგ.: **კურტ-ჭუჭულ** 'კრუხ-წიწილა, შინაური ფრინველები'; **ზაღღორ** 'ცუდი ხალხი, ვილაცეები'; **ცხორ-ბატკან** 'ცხვრება და ბატკნები'...

კომპოზიტის ორივე წევრი არსებითია: პირველი ნათესაობით ბრუნვაშია, მეორე კი სახელობითში: **თიზირ** 'მთის ძირი, სოფ. კაკის ნაწილია'; **კაკიბოლო** 'სოფ. კაკის ბოლო მხარე'; **ახლიწილ** 'დანიშნული ქალის მოსაკითხი საჩუქარი'; **ურუსიყაღა** 'რუსის ციხე, ასე ეწოდება სოფ. კაკში არსებულ ციხე-სიმაგრის ნაშთს'; **ქათმიყაღ** აკაცია 'ქათმის (მამლის) დეზებს მოგვაგონებს მისი ეკლები'...

კომპოზიტის პირველი წევრი ნათესაობითის ფორმითაა, ხოლო მეორე წევრი „მადლი“ შეკვეცილი სახითაა მოთხრობით ბრუნვაში. ასეთი ფორმები ფიცის ფორმულებია: **ღმერთისმა** (— ღმერთის მადლმა) || **ღმერთიმა**; **ოყალისმა** (— ოჯახის მადლმა) || **ოყალიმა**; **ზისმა** (— მზის მადლმა) || **ზიმა**; **პურისმა** || **პურიმა**; **სულიმა** (— სულის მადლმა)... **ლოკმამსმა** (— ლუკმის მადლმა)...

კომპოზიტის პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაშია, მეორე კი ფუძის სახითაა და ორივე ერთად წარმოქმნილია თვისების მაწარმოებელი -ა სუფიქსით: **ტყიპირ-ა-ა** 'ტყის ნაპირას რომ არის'; **წყლიპირ-ა-ა** 'წყლის ნაპირას რომ არის'; **ჩიტყორცხ-ა-ა** 'ჩიტის კვერცხის ნაირი ლობიო'... **თავიკბილ-ა-ა** 'ძირმაგარა'...

კომპოზიტი ზმნიზედა მაზეგ წარმოდგენილია იმალზეით (— იმას ზემო) ფორმით, სადაც ლ შესაძლოა ხუალზეით (— ხვალზევით)-ის ანალოგიითაა გაჩენილი.

კომპოზიტის ორივე წევრი ან ფუძითაა წარმოდგენილი ან მეორე წევრი სახელობითშია და ორივე ერთად წარმოქმნილია -ა სუფიქსით: **ყბაჩუ-ა-ა** 'ნიკაპის ძვლებგამოწეული ადამიანი'; **ბებერკუნტ-ა-ა** 'მოხუცი, მოკუნტული, მოხრილი'; **დაბაჟღან-ა-ა** 'დაბალი კაცი'; **თუთაბაღი-ა-ა** 'თუთობისა და ბალის სიმწიფის დროს მოფრენილი ფრინველი 'ყვითელი ფერისაა. ბიჭოგოგია'

კომპოზიტის პირველი წევრი -ა სუფიქსითაა წარმოებული: **ცაღ-ა-პერანგო-ა** 'პერანგის ამირა, მხოლოდ პერანგიაანი'; **კუნტ-ა-ბებერ** 'მოკუნტული მოხუცი'; **ჟუნტ-ა-კოლა** 'ელვინტიანი ზეღა, ე. ი. სურდო'; **კე-ღა-ზორ** 'ხელის ძალით'; **გოღ-ა-ბრიმა** 'ანკარა'; **თავ-ა-სარ** 'სპილენძის ღრმა ტაფა' (აზერბ. *inabacır*).

კომპოზიტის პირველი წევრი დაცულია ფუძის სახით, მაგრამ ნათესაობითის შინაარსი აქვს, მეორე წევრიც ფუძის წარმოდგენს: **პარსაღმო** 'ადრე საღამო'. „საღამოს პირი“; **სულპურ** 'ორმოცის ალაპი მკვდარზედ'. **ქელმანდილ** 'ხელის მანდილი, ე. ი. ხელსახოცი'; **ტამსმოზ** || **ტანსმოზ** 'ტანისამოსი'...

<sup>66</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 150—154; ე. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, 1959, გვ. 282.

კომპოზიტის პირველი წევრი -ს მოკვეცილი ნათესაობითის ფორმითაა, მეორე კი წარმოქმნილია: ბამბი-სა-წურავ ძალიან ნაცემი (ბამბისაწურავ გააქეთა); გული-სა-სივ-არ 'გულის გამასივებელი, დაუჯერებელი ადამიანი'...

კომპოზიტის პირველი წევრი არსებითი სახელია ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო მეორე — ზედსართავი ან მიმღეობა: სახლიდიდ 'უფროსი ოჯახისა'; ღმერთიდაკრულ 'დაწყვეტილი'; კაცმანაკალ 'კაცის მკვლელი'; პურგანალეწ 'სალეწი მანქანა; მლეწავი'...

ფუძით შეერთებული კომპოზიტის პირველი წევრი ზედსართავია, მეორე კი არსებითი: ტკბილზილ 'სალამოს ღრმა ძილი'; პატრაშინაჲ 'პატარა სახლი, საცხოვრებელი'; პატრაბინაჲ 'სოფელს ჰქვია'...

კომპოზიტის პირველი წევრი რიცხვითი სახელია, მეორე კი არსებითი სახელი -ა სუფიქსით წარმოქმნილი: ორყუ-რ-ა-ჲ 'ქილა ორყურნიანი'; ორგულ-ა-ჲ 'ორგული'; შუღფერ-ა-ჲ 'შვიდფერი'...

კომპოზიტის პირველი წევრი რიცხვითი სახელია, მეორე — მიმღეობა: ორშამბული 'ორი წლის შებმული მუშა საქონელი'; შუღშამბულ 'შვიდი წლის შებმული მუშა საქონელი'; ჩარგულ 'ოთხმხრივ მრგვალი' (აზერბ. чаркыл).

კომპოზიტი „ავადყოფობა“ გვხვდება „ავადყოფაჲ“ სახით, ხოლო „ავადყოფი“ — „ავადყოფიან“-ის სახით.

სხვადასხვა ზმნური ძირებისაგან წარმოქმნილია კომპოზიტის უფნაყ (ეიე — დაეეეე! ნაყ — დანაყეა) 'მოუმწიფებელი ქლიაეი დანაყული და შეზავებული მარლით და ნიორ-მწვანლით, ჰამენ ხოლმე დილას უზმოზედ, ციების წამალია, ამავე დროს გემრიელიცაა'.

საინტერესოა „კმაჲქნაჲ“, „თოლქნაჲ“ ტიპის წარმოება. ერთი შეხედვით, ეს თითქოს აზერბაიჯანულის კალკი ჩანს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ელი ქართულის „კმის-ყოფა“-ს და „წამის-ყოფა“-ს, მაშინ იგი ძველი წარმოებისად მიიჩნევა. თუმც ინგილოურში მის ასე ფართოდ გავრცელებას შესაქლოა აზერბაიჯანულის მსგავსმა წარმოებამაც ხელი შეუწყო: ფიქირქნაჲ 'ფიქრობა'; ქორწილქნაჲ 'ქორწინება'; ზარალქნაჲ 'დაზარალება'; კაჲქნაჲ 'კარგად გახლომა'; წილყრაჲ (შდრ. ძვ. ქართულის წილის ყრა)...

კომპოზიტის პირველი წევრი არსებითი სახელია, მეორე კი მასდარი: წელდაკრაჲ 'ვაზის წელის შეკვრა სარზე'; თოლახედნაჲ 'გახარება, გამოჯანმრთელება'; ჰკოადასხრიალევაჲ 'თავბრუდახვევა'...

პირველი წევრი ნაცვალსახელია, მეორე — არსებითი: ჩემუფალ 'ჩემი ნებისა, დამოუკიდებელი, თავისუფალი'; შენუფალ 'შენი ნებისა, დამოუკიდებელი'; თაფიუფალ 'თავისუფალი'; ამთავიჲ 'სალამო შეალამამდე'; იმთავიჲ 'შუალამის შემდეგი დრო დილამდე'...

კომპოზიტის პირველ წევრად შეიძლება მოგვევლინოს აგრეთვე ფორმა-უცვლელი სიტყვა. მაგალითად, კომპოზიტის პირველი წევრი ზმნისართია, მეორე კი მასდარი ან მიმღეობა: ზედმოსულაჲ 'პირდაპირ მოსვლა; მიმატება'; ზედწასულაჲ 'პირდაპირ მისვლა, მოულოდნელად მისვლა'; ზედმისევაჲ<sup>67</sup> 'სხვების წაქეზება საჩხუბრად'; ზედმანადგომ 'ზედმოდგარი'; ზედმომბულ

<sup>67</sup> ასეთი ფორმები ხშირია ილ. ჰაქვაძის ნაწერებში: „ზედმოსევა ჩემზე გლიხისა არ ნოხერხდა“ (IX, გვ. 201); „კაცობრიობა ჰთაქილობს ქლიერისაგან უძღურზე ზედმისევას, თაქ-დასხმას“ (VI, გვ. 6); თვითულის ინტერესები საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მომბული (VII, გვ. 295)...

'მობშული'... კარშიტარევა 'კუქის აშლილობა'; წინგასულა 'შეგებება, დაქვედრა'; წინმოდევა 'შირთმევა'; უკანნარჩომ 'ჩამორჩენილი'...

კომპოზიტებია შემდეგი ზმნისართებიც: წინაყ-უკანაყ 'წინ და უკან'; თავქე || თავქყე 'ქვემოთ, თავქვე'; თავქრშ 'თავქვეშ'; თავქრშყენ 'თავით ქვემოთკენ'; უბათავქე 'პირით ქვემოთ'; უბაპირანყ 'პირით ზემოთკენ'; თავთავქყენ 'თავით ქვემოთკენ', ფექქრ 'ფეხქვეშ', ქელქრ 'ხელში'; თავანთავზე 'თავისთავად', ზამთარ-ზაფხულ 'მუდამ'; ერიგე (← ერთ იგე) 'ისეთა, არც ისეთი'; ერცხო (← ერთ სხო) 'კიდევ', აქ-იქ 'აქა-იქ'; აქთი-იქთი 'აქედან-იქიდან'; აგრ-იგრ 'აქეთ-იკეთ'; ზედა-ქრშ 'ხან ზევით, ხან ქვევით'; კაგორა 'კარგად, ბლომად'.

ინგილოური ლექსიკის თავისებურებას ქმნის მეშველზმნიანი ან ერთი ფორმების სისშირეც: ჰტურ || ჰტურივარ 'ეტერი', ტირისარ 'ტარი', სატარევარ 'ვიტირებ', სატირეხარ (← სატირელხარ) 'იტირებ', ჩუვივარ 'ეჩივი'. ჩივიხარ 'ჩივი', საჩივლევარ 'ვიჩივლებ', საჩივლევარ 'იჩივლებ'; ვაზლევარ 'ვაძლევ', აზლევხარ 'აძლევ', მიაცემევარ 'მივცემ', მიაცემევხარ 'მისცემ', ვკომვარ 'ვჭამ', ჭამხარ 'სჭამ', შიჭმევარ 'შევჭამ', შიჭმევხარ ← შიჭმელხარ 'შეჭამ'...

კომპოზიტების ერთი რიგი ფუძის რედუქციაციითაა მიღებული

ფუძეგარკეცებული კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი წევრებიცალკე აღებული, თავისთავადი სიტყვებია: ტურ-ტურ 'კოყრებიანი' (ტურ-მაგარი კოყრი ხორცზე); ყაბარ-ყაბარ 'ხელის გულეში დაკოყრებული'; ადგილ-ადგილზე 'თავის ადგილას'; უთენ-უთენ 'გაუთენებლად'; კაქა-კაქა 'ნაერ-ნაქერ'; ზოლად-ზოლად 'ზოლიანი'; თოლ-თოლ 'კოპლებიანი'; ჩილ-ჩილ 'ღაჩილული'; გორც-გორც 'ახლოს'; შორს-შორს 'შორიშორ'; წორ-წორ 'წვერობებზე'; პირ-პირ 'ნაპირში, ნაპირ-ნაპირ'; ზედა-ზედა 'სულ ზევით'; თავთავ 'სულ თავში'; თავთავი; პუ-პუა 'პური ბავშვის ენაზე'; (პუა-პური ბავშვის ენაზე); პაკ-პაკ 'ფეხმაცემელი ბავშვის ენაზე'.

ასეთი კომპოზიტებია აგრეთვე: მალ-მა (← მალ-მალე) 'სწრაფად'; ლოკმა-ლოკმა 'ლუკმებად, ლუკმა-ლუკმა'; წიუხ-წიუხ 'ნამცეცებად', წიუხ --- ნამცეცი; ცოცოტა 'ცოტ-ცოტა'...

ბევრია კომპოზიტები საწყისების გარკეცებით: სიცილ-სიცილ 'სიცილით'; ტირილ-ტირილ 'ტირილით'; ედომი-ედომი 'ჭდომით'; კდომი-კდომი 'კდომ-კდომ' 'დაზარებით' სრნოვ-სრნოვ 'მოსვენებით'; ხტომ-ხტომ 'ხტომი-ხტომი' 'ხტუნვა-ხტუნვით'; ტლინკოვ-ტლინკოვ 'სიხარულით'; კმი-კმი 'კამა-კამით'; ფანტი-ფანტი 'ფანტეა-ფანტეით'; ბოტი-ბოტი || ბოტევ-ბოტევ 'აქეთ-იქეთ მიყუდებით სიარული'...

ფუძეგარკეცებული ზმნისართების მეორე კომპონენტი ვითარბითში ბრუნვის ნიშნად ა-ს დაირთავს: უნდომურ-უნდომურა 'მოუნდომებლად'; ბილ-ბილა 'სულ რბილად'; ჩიგ-ჩიგა 'მოუხარშავად'...

აქაც ფუძის რედუქციაციით მიღებული ბევრი კომპოზიტის შემადგენელი ელემენტი ცალკე აღებული ან არაფერს ნიშნავს (იგი ხმაბა ვითაცა გა-მოსატავს რისამე მოქმედების გამოცემულ ხმას) ან კიდევ ზმნური 'ირია. გურგურ 'ჭუხილი'; შუაშუა 'საქანელა'; კუჭკუა 'გუვული'; პოპპო 'ოლოფი'; ღრინჭ-ღრინჭ 'კარების ქრიალი'; ყაქყაჭ 'კაქყაჭი'; ყაყყა 'ყაყაყი'; ჭაჭაჭ 'ბანაობა ბავშვის ენაზე'; ხარხარ 'წყლის ჩხრიალი'; ჭაცჭაც 'ღონეგამოღებული სიარული'... სიფხივ (← დასიევად) 'თვალის დარჩენა რამეზე'; ჭყაჭ-ჭყაჭ (← აჭყაუხნევს) 'ჭამის დროს გამოცემული ხმაური'.

ფრინველთა და ცხოველთა მოხმობა-გადენის აღმნიშვნელი კომპოზიტე-  
ბია: ტიკიტყი 'ქათმის მოხმობა (ტიკი — ქათამი ბავშვის ენაზე)'; ბული-  
ბული 'ინდაურის მოხმობა (ბული, ბიბი, ბიბა — ინდაური ბავშვის ენაზე)';  
ბაკიბაკი 'ცხერის მოხმობა'; ფშოუფშოუ 'ბროხის მოხმობა'; ქურქურჩი 'ძალ-  
ლის გადენა და სხვა მრავალი'.

კომპოზიტები, რომლებიც წარმოქმნილია რიცხვითი სახელების გაორკე-  
ცებით და -ა სუფიქსის დართვით, სიმრავლეს აღნიშნავენ: სამ-სამ-ა-ა 'სამნი';  
ოთხ-ოთხ-ა-ა 'ოთხნი'; ოროლ-ა-ა — ორ-ორ-ა-ა 'ორნი'...

ზედსართავის გაორკეცებით მიიღება ხარისხის გამომხატველი კომპოზი-  
ტები: წრულ-წრულ 'ძალიან წერილი'; წითელ-წითელ 'ძალიან წითელი'; ლა-  
მაზ-ლამაზ 'ძალიან ლამაზი'...

ინგილოურს ახასიათებს აგრეთვე გაორკეცება ფუძისეული ბგერების  
ცვლილებით.

რედუპლიცირებული ძირის ა- ხმოვანი მეორე კომპონენტში უ ხმოვნით  
არის შეცვლილი: ყმაწულყმწულ 'ბავშვები, ბიჭბუჭები' || გადაგუდაა 'ბავშვე-  
ბი'; (გადაა აზერბ.-ბიჭი); ტანატუნაა 'წვრილფეხა საქონელი, ხბორები';  
შაგავშუგავ 'ხილი, ხილეული'; კაქეკუპუკ 'კოტა ფული'; ტრატრუტ  
'ხმაური'; ტრატრუტ 'ძველი ნივთები'; ტრატრუტ 'წვიმის ხმაური'; თანყთუნყ  
'ცულის დაკვრის ხმაური'; ფაშფუშ 'ფაშვი და მისთანები'; კართყურთ 'ძველ-  
მანები, ცონალები'; ტაპარტუპურ 'თამაშის სახელწოდებაა, დანაობა'... პრაწა-  
პრუწ 'ჩქარი სიარული'; რაყარუყ 'ხმაური, ალიაქოთი'...

ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთაგან ფართოდაა გავრცელებული ისეთე-  
ბიც, რომელთა ფუძეში თავიკიდური რომელიმე თანხმოვანი მ-თია შენაცვლე-  
ბული; რამმამ (შდრ. რამერუმე); პურმურ 'პური და მისთანები'; ფერმერ (შდრ.  
ფერფერი); ქოხმომ (შდრ. ქოხმანი); კამმეჩმამეჩ (კამბეჩიმამბეჩი); ბერმერ  
(შდრ. ბერბურ); ზრლმრლ (შდრ. ზრლზულ) 'ძველმანი'; კაქეკმაქე 'წერილი  
ფული'; კაბამაბაა 'კაბა და მისთანები'; ფურტმურტ 'ფილტვი და მისთანები';  
დახეულმახეულ 'დახეულ-დაფხრეწილი'; ცოტმოტაა. (— ცოტამოტაა) || ცოტ-  
მატა (— ცოტამატა) 'ცოტაოდენი'; გაკეთევაამაკეთევაა 'გაკეთება და მის-  
თანა'...

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტის მეორე ფუძეში ზოგჯერ კი პირველში  
შეცვლილია თანხმოვანი და ახალი სიტყვა წარმოქმნილა -ა სუფიქსის დართვით:  
კირკიმ-ა-ა (— კირკირ-ა-ა?) 'გარეული, ტყის'; გორგოლ-ა-ა (— გორგორ-ა-ა)  
'მრგვალი ხე'; ცუნცურ-ა-ა 'ცან(კარა)'; წუნწურ-ა-ა (— წურწურ-ა-ა, ი-წურ-  
ეე-ი-ს ზმნისაგან) 'რაც ეონავს' კირკალ (— კირკარ — კირკირ) შდრ. გა-  
კირ-ეე-ა-ა 'გაჩხირვა, გაჩრა'...

ფუძეგაორკეცების მაგალითები რომელიმე ბგერის ან მარცვლის ჩავარდ-  
ნით ასეთია: ცოტ-ცოტა || ცოცოტა (— ცოტაცოტა); პიწწა || პიწიწა (— პიწა-  
პიწა); პატპატა (— პატარპატარა); წანწყაღაა (— წყანწყაღაა — წყალწყა-  
ღაა) 'ბოლოქანქარა'; ბებაა || ბებრაა (— ბებერაა — ბერბერა) 'ბებია'; დეკაც  
(— დედეკაც — დედაკაც)...

ა მ ი რ ა ნ ლ ო მ თ ა ძ ე

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ე ის მ ო რ ფ ე მ ის ა თ ვ ის მ ე ბ რ უ ლ შ ი

მიცემით ბრუნეას ზანური (ანუ კოლხური) ენის მეგრულ დიალექტში ორა მორფემა აქვს: -ს და -ც. აქედან მეგრულის ს ე ნ ა კ უ რ კ ი ლ ო კ ა ვ შ ი მიცემითის ნიშნად, როგორც ბოლოხმოენიან, ისე ბოლოთანხმოენიან სახელებთან, მხოლოდ -ს მორფემა გვაქვს:

სახ. დიხა „მიწა“	მიც. დიხა-ს
მეშარე „მგზავრი“	მეშარე-ს
ქორთუ „ქართელი“	ქორთუ-ს
თხოლო „თხლე“	თხოლო-ს
დაჩხირ-ი „ცეცხლი“	დაჩხირ-ს
მარგალ-ი „მეგრელი“	მარგალ-ს
ეკოხონ-ი „ალქართი“	ეკოხონ-ს
წქართუნ-ი „საბანი“	წქართუნ-ს
ქოთომ-ი „ქათაჰი“	ქოთომ-ს

ბოლოხმოენიანებში. ქოხონუნა დიხას: ხუბ. 56,22 «ქე ხნაენ მიწას». ეირი ჭიმა მუშენდუ ქვანას: ხუბ. 64,4 «ორი ძმა მუშაობდა ყანაში». — სი სო მეურქია, — კითხუ მეშარეს ქვანაშ მიწეჲ: ხუბ. 23,25 «შენ სად მიდიხარო, — კეთხა მგზავრს ყანის პატრონმა». ცუ დეს დუჰყეს ბოშის ოსურიწი რიგება: ხუბ. 63,11 «სახლში პაკს დაუწყეს ქალის გარიგება». ამბეში გიშანწყულო იჰუ ხენწყეჲში დოხორეს სხუნუაჲ: ხუბ. 54,31 «ამის გამოსასწორებლად ხელმწიფის სასახლეში შეიქნა სჯა (რჩევა)».

მუშას ქუწუათ დო უირხოლოს ოკომუნანია: ხუბ. 61,22 «მამას ეუთხრათ და ორივეს შეკამენო». მა სადილს ოკკომუნქ ოროს: ხუბ. 52,30 «მე სადილს შევეკამ ჩრდილში».

ორე თე კოჩი ონადირუს: ხუბ. 64,5 «არის ეს კაცი სანადიროდ».

ბოლოთანხმოენიანებში. თე საკვარს ხოლო თინა გინმოტენა: ხუბ. 55,26 «ამ საქმეს კიდევ ის გადაგეარჩენს». თიმ სერს ომბოლია დო მუშ ოსურსქეა დაგვირგვინ: ხუბ. 58,25 «იმ სადამოს ომბოლია და თავისი ქალიშვილი დააქორწინა». ინტუ უკული დო ჩილი დო სქუა კუნდუ გურს: ხუბ. 46,5 «გაიქუა შემდეგ და ცოლშვილი წვაედა გულს». სი დეკეირი ჩქიმი ქურს: ხუბ. 61,10 «შენ დაუკვირდი ჩემ ქუსლს».

ათე ეკოხონს, ვარა სი გეკომიციონი დო ვარა მა გეკოიციონანქია: ხუბ. 19,20 «ამ აღმართზე ან შენ ამიყვანე და ან მე აგიყვანო». თე კეტი მიდელი დო ლეხი ძღაბიში შქართუნს ეირიშა ქიგიაშქია: ხუბ. 24,27 «ეს ჭოხი წაილე და ავადმყოფ გოგოს საბანზე ორჯერ დაარტყიო». ათეს ნოდუე თი ეირი ბოშენს ულუდუნი ეირ თისხი დონე «მას ქკონია ორი იმოდენა დონე, რამდენიცი იმ ორ ბიჰს»

დიაჩქიმ ქოთომს მიცვილუნდ ირ დღას. «დედაჩემი ქათამს მიკლავდა ყოველდღე». მირდუ ძალამს «გაიზარდა ძალიან».

მარა თე მოხუცებულს ქუჩქ, მუს დოლანან: ხუბ. 21,27 «მავრამ ამ მოხუცებულმა იცის, რას უზამენ». ყეილუა ოკონა ხენწიფე დო მუში ჩილს ჩქიმი ოსტატეფიშია: ხუბ. 22,15 «მოკელა უნდათო ხელწიფესა და მის ცოლს ჩემი ოსტატებას». ეჩდოვით ჭორიში ხარგა ორქო დო ვარჩხილს ქიმერჩანქ დო მიდგოეუნუა სამანგიეროთია: ხუბ. 25,4 «სამაგიეროდ ოცდაათ ჭორის ტვირთ ვერცხლს მოგეგმ და გაგატანო».

ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკაეში, როგორც წესი, -ს ყოველთვის შენარჩუნებულია მხოლოდ ბოლო ხმოვნი ან სახელებში:

სახ. ცირა „ქალიშვილი“	მიც. ცირა-ს
ცუდე „სახლი“	„ ცუდე-ს
ოზე „ეზო“	ოზე-ს
ონდლე „შუადლე“	ონდლე-ს
ტე „ცური“	ტე-ს
ბაბუ „ბაბუა“	ბაბუ-ს
კოტო „ქოთანი“	კოტო-ს

უწუ მუშ მუშას: ხუბ. 220,35 „უთხრა თავის მამას“. მი მომიჯონანა თი ცირას?: ხუბ. 68,12 „ეინ მოგვიყვანს იმ ქალიშვილს?“ ქემორთე იმ ონქუას: ხუბ. 68,7 „მოვდა იმ სალა-მოს“. ჭიხას ქენოდოხოლღ: ხუბ. 210,7 „ციხე-კოშკში ჩაქდა“.

ქაშ ოროს გიმელე თექ: ხუბ. 275,20 „ხის ჩრდილში ჩამოვიდა ის“. რენა თაქი ართი ვირი მარუოს: ხუბ. 182,16 „არიან აქ ერთი-ორი კვირა“. ლებია ქინარღეს კოტოს: ხუბ. 192,7 „ლობიო ჩაყარეს ქოთანში“.

თუ ანგელოზენქ მუთ უწუნ თეს გინანქიდღ ასე, ართის: ხუბ. 136,15 „ამ ანგელოზებმა რაც უთხრეს, იმას ერთს გადაურჩა ახლა“. თინეფიში ოღიარეს ათეოლურანთენი თის ვა უჭგუნო. რამეფი ქუორაქათ ტყაშა: ხუბ. 177,19 „მათ ბალახს რომ შევაკედეთ, იმას არ სჯობია, რაშები გაერეკოთ ტყეში“.

ალიშქერქქქ ხეკულეს ქკვადოხოლღ ხუჭის: ხუბ. 186,25 „ალიშქერქოუ უხელის შემოაქდა მხრებზე“.

ქალეს მეთი ვა ბძირია: ხუბ. 194,35 „ქალაში მეთი ვერ ენახეო“. ხეს ქედეკენე: ხუბ. 187,23 „ხელზე დაიკირა“. ქემორთე ართიქ პირეელო დო ქაშადოხოლღ ოყებურეს: ხუბ. 226,32 „მოვიდა პირეელად ერთი და დაქდა კერიასთან“.

ქოზეკე ჰენ ჩხოუს: ხუბ. 192,25 „დაარტყა წნელი ძროხას“. რობუს ქილარაგემს ვიშო: ხუბ. 261,29 „ხრამში გადააგდეს“. ართი კუთხუს ქკენანთხე: ხუბ. 187,27 „ერთ უთხეში დაეარდა“. ქკადუს ქოუწუ: ცხენი შერო ვეპალენა. „მქედელს უთხრა: ცხენი სულ არ ჩახსო“.

ბოლოთან ხმოვნი ანებთან კი ზუგდიდურ-სამურზაყანულში -ს მორფემა ც ვაქქეს და -ც-ც. -ს დასტურდება სოფლების: ნაას, ფახულანის, აჩიგვარას, კოჩარას, წარჩეს, მერხეულის, დრანდას, აგუბედიას, I ბედიას, ოჯი-ბინეს და სხე. მეტყველებებაში:

შეაფის ლიეერს მუქო ვოჯოთანქია: ხუბ. 227,14 „კარადას რევოლევრს როგორ ვეს-ერიო“. ართის ოქგმარეს პქემუნდი, მაჟიას — სადილს: ხუბ. 67,7 „ერთს დილას ვქამდი, მეორეს — სადილზე“. თხუ ადამურქ თე მოხუცებულს: ხუბ. 275,22 „თხოვა ადამურმა ამ მოხუცებულს“. ადამურქ ქეგედოხოლღ ცხენს: ხუბ. 275,1 „ადამური შეაქდა ცხენს“. იმ სერს კამპანია ულუდეს: ხუბ. 207,33 „იმ ღამეს კამპანია ქკონდათ“. ქემოუსქუ წკგარს: ხუბ. 258,26 „მიაბა ბარდს“. ონქუას უწუ ქიმალენს: ხუბ. 160,14 „სალამოს უთხრა ძმებს“. ასე ტყობიშე ქინახუნუ ლაგეანს ბოში: ხუბ. 259,13—14 „ახლა მალულად ჩასეა ბიჭი ქევერში“. ასე პაპაქ უწუ თი სუმარს: ხუბ. 260,12 „ახლა მღვდელმა უთხრა იმ სტუმარს“. მილუ გურსია: ხუბ. 220,15 „მქონდაო გულში“. ქანარაგუ წყარს: ხუბ. 227,32 „ჩაავლო წყალში“. ჯა. იარმა-კობა რე ასე სოფელს: ხუბ. 129,12 „ჯა, ბაზრობა არის ახლა სოფელში“. ქეკოხე ყებურს: ხუბ. 182,8 „კერიასთან ქე ზას“.

ბოლოთან ხმოვნი ან სახელებში მიცემითის ნიშნად -ც მორფემა დამახასიათებელია როგორც ზუგდიდური, ისე სამურზაყანული მეტყველებისთვის:

სახ. გურ-ი „გული“	მიც. გურ-ც
სოფელ-ი „სოფელი“	„ სოფელ-ც
ღერ-ი „ღევი“	„ ღემ-ც
ირემ-ი „ირეი“	„ ირემ-ც
თოლ-ი „თვალი“	თოლ-ც
წყურგილ-ი „წყარო“	წყურგილ-ც
მუ'ულ-ი „მამალი“	მუ'ულ-ც
ოსურ-ი „ქალი“	ოსურ-ც
ქომონჯ-ი „ქარი“	ქონ-ც
ჯინჯ-ი „ძირი“	ჯინ-ც
ხან-ი „ხანი“	ხან-ც
ჩხოპ-ი „თევზი“	ჩხოპ-ც
ლორონთ-ი „ლქერთი“	ლორონ-ც
ჩხოულ-ეფ-ი „ძროხები“	ჩხოულ-ეფ-ც
ცირ-ეფ-ი „ქალიშვილები“	ცირ-ეფ-ც
სოფელ-ეფ-ი „სოფლები“	„ სოფელ-ეფ-ც
კოჩ-ეფ-ი „კაცები“	„ კოჩ-ემ-ც
„ ძღაბ-ეფ-ი „გოგობი“	„ ძღაბ-ენ-ც

უწუ მუში ცხენც: ხუბ. 218,33 „უთხრა თავის ცხენს“. გასხუპეს ართიანც: ხუბ. 189,14 „გადაკონეს ერთმანეთი“. ჭიმაღღფიში იმენდი მუთუნც ვაზარუნი: ხუბ. 184,23 „ძმების იმედი რომ არაფერს შეელის“. ჩილაძურიში თულო ღორონცე ჭაახვეჭღღ: ყიფ. 61,9 „ცრემლებით შესთხოვდა ღმერთს“.

ღედღების ეი კისერც ჭიგიოსხაპე: ხუბ. 187,26 „მოხუცი ქალის კისერზე იცეკვა“. ართ ღლა-ონღღეში გურც: ხუბ. 121,24 „ერთ ღღეს — შუადღეს“. დაჩხირც ქელანჯირუ: ხუბ. 187,33 „ცეცხლთან ჩამოწვა“. გოთი წმკინდგ მუში ოსურც გატყურაჲ: ხუბ. 193,14 „ჭე წაეკილა თავის ცოლს გატყურია“.

ჭინაბათქუ გვარგვალანდგნი ეთი წყურგილც: ხუბ. 181,25 „ჩააგლო, რომ ღღღღა ისეთ წყაროში“. ქოჩანეგ მუმულც: ხუბ. 220,6 „ჩაუნისკარტა მამალს“. ითამ კოჩი მითო-ჩან თე ნორჩალც: ხუბ. 217,26 „ვეითომ კაცი ჩაწოლილა ამ ქვეშაგებელში“. რგილ ოკ-კოშალც მუ ფჩანცია: ხუბ. 178,12 „სიე საკმელს რა მაკმევსო“.

კოჩი ჭემეხოზგ ირემც, პალურც ქუჩანთუნც: ხუბ. 185,36 „კაცი მისღეს ირემს და პანღურს ურტყამს“. გენძე სქამც ქევიოკრგ: ხუბ. 187,29 „გრძელ სკამზე ზედ დააბა“.

ხენწფექ უზოგე ვეზგრენც: ხუბ. 216,27 „ხელმწიფემ უბრძანა ეეზირებან“. ჭიმაღ-ღენც მუ ხეადგნია? ხუბ. 189,21 „ძმებს რა ხედებაო?“

თაყალი ჭიმიოკჯინგ, ნამუღა მურიცხეფცე ქღღქანცალუე: ყიფ. 60,7 „ისეთი მი-აყვირა, რომ ვარსკეღაეები შეანძრია“. ვაყოღ მუში სქუაქგ ნღემეფცე ჭიმაღურუონა: ყიფ. 60,4 „არ უნდოდა, რომ თავისი შეილი ღეეებს შეეკლომოღა“. გეწოფუნცუ ლქვატანგ-ოქოთანცე ღო ჩიტეფცე ღუცუ სოფუნცუ: ყიფ. 56,34 „აიღებს სასროლს ჭოხს, ესერი-ღა ჩიტებს თავს უხეთქავს“.

ღაბეჭღილი მევრული ტექსტების მიხედვით, მიცემითში -ხ-სა და -ც-ს ხშირად პარალელურად ვხედებით ერთგვარ კომპლექსებში: რს, ლს, ნს, მს, ფს, ღს, თს, ჭს... და სხვათა შორის. ერთისა და იმავე პირის მეტყველე-ბაშიც კი<sup>1</sup>:

ჭანფეზიაში<sup>2</sup> წყარს ჭიქე ჭაყა-გუღათ კისერს ქაძტოკგრანქია ღო გურს. ნიბუნანქია: ხუბ. 193,10 „ანწლის წყალს პატარა გუღათ კისერზე შემოგაბამ და გულს ნო-ვიყუანო“.

<sup>1</sup> შღრ. Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-исто-рическом аспекте, М., 1962, გვ. 76.

<sup>2</sup> ჩაწერილია ელ. თანჩვიძის მიერ ს. კოჩარაში სოლომონ გვარის ძე შენგელიასაგან.

შდრ. გუესუ კისერც სუმი-ოთხიმა დო მიუქიკუ ოსურცუ კიქე: ხუბ. 193,25 „გადაუსვა კისერზე ორ-სამჯერ და ოდნავ უჭიკავა ცოლს“.

მაეა<sup>3</sup> თენა ოსური მათუდუკონი თეში მილუდუ გურსია: ხუბ. 220,15 „მე ეს ჩემს გულში ისე მიმაჩნდა, როგორც ცოლი“.

შდრ. ყუდე ართი სერც ოკო გამყართინუევე: ხუბ. 216,1 „სახლი ერთ ღამეს უნდა შეაბრუნო“. შქა-სერც გინაჩგრთენი თი დროს... ხუბ. 220,4 „შეაღამეს რომ გადასცილდა, იმ დროს...“

ვირხოლო<sup>4</sup> სტოლს ქიგლახუნუ: ხუბ. 189,18 „ორივე მაგიდაზე დასეა“.

შდრ. რაშიმ კუდეღე ქეკაირეს: ხუბ. 189,27 „რაშის კუღზე მიაბეს“. რგილ ოქკო-მალც მუ ფჩანცა: ხუბ. 178,12 „ციე საქმელს რა მაქმევესო“

ქეკობე ყებურს<sup>5</sup>: ხუბ. 182,8 „კერიასთან ქე ზის“. აკურქიუ მუშ რაშის, ოტაყინუ თი უზარმაზარ ზაბორს... ხუბ. 183,5—6 „მოუქნია თავის რაშს, დაატაყა იმ უზარმაზარ ყორეს...“

შდრ. ათე მინდორც გილეურცე ართი ჭაკი ცხენი: ხუბ. 179,31 „ამ მინდორში დადის ერთი ჭაკი ცხენი“. ალიშქერქოუქ ონაგერც ხე მოკიდგ: ხუბ. 184,31 „ალიშქერქოუმ უნა-ვირს ხელი მოკიდა“. დედების კისერც ქიგიოსხაპე: ხუბ. 187,26 „მოხუე ქალს კისერზე დაახტა“.

მუთუნ ვა ძირეს დო მუნენს ხოლო ხუჭიქ იართეს: ხუბ. 177,23 „ვერაფერი ნახეს და მათაც მხარი ექცათ“.

შდრ. თქეა ხოლო თინენც ქეკადგნთ: ხუბ. 177,12 „თქვენც იმათ შეეწირებით“. უწუ მუში ბოშენც: ხუბ. 177,5 „უთხრა თავის ბაქებს“. ათე ბოში გეთოხე ხოლოში კიქე დუ-ქანც: ხუბ. 177,33 „ეს ბიჭი ზის ახლობელ პატარა დუქანში“.

ქუწის<sup>6</sup> ართიანს: ხუბ. 212,30 „უთხრეს ერთმანეთს“. ნამეტანს ქოშქგრენს: ხუბ. 212,26 „ძალიან შია“.

შდრ. სალამი ქუწის ართიანც: ხუბ. 214,25 „გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს“. დერაგა-დი ნამთინც: ხუბ. 214,7 „დაელაპარაკე რომელიმეს“. სუფთა წყარც ტანც იბონა: ხუბ. 214,6 „სუფთა წყალში ტანს იბანენ“.

გუუკვათგნქ ქორას ათე ჩხომსგ: ყიფ. 48,2 „გაეუქრი ამ თევზს მუცელსა“.

შდრ. სადილო ქოდაახუნეს ეფერი ეამც ხენწიფეში მოთას კულათ ღვინი ქემეჩესგ: ყიფ. 54,27—29 „სადილად რომ დასევს, ხელმწიფის შეილიშვილს კულით ღვინო მისცეს“.

სი ჭგირი ოსური ქორდიკონი, სქანი ქოშონს დეჩენს ვარჯთი ოთხილაფუნდა: ყიფ. 52,7 „შენ კარგი ქალი რომ ყოფილიყავი, შენს ქმარს ღორებს არ აწყუესინებდო“.

შდრ. ე ცირაში ქოშონც მუთუნი ვა აქამინედგ: ყიფ. 50,2—3 „ამ გოგოს ქმარს არაფ-რის გაკეთება არ შეეძლო“.

მუში მუმაში ცხენს ნობირო ქავედოხოლუ: ყიფ. 51,21 „თავის მამის ცხენს ქერდულად (მალულად) შეაჭდა“.

შდრ. თიმუ ეანც ართი ჭიმაქ, უნჩაშიქ, დოლურუ: ყიფ. 52,22 „იმ დროს ერთი ძმა, უფროსი, გარდაიცვალა“.

ქოძირგ<sup>7</sup> მუდგარენი წყარსგ ქინიისოფუნი: ყიფ. 82,11 „ნახა, რაღაც წყალში რომ იბრქვის“. გიოჩინგ წყარსგნი, ზისხირიში წიკეილო ქოძირგ: ყიფ. 82,13 „წყალს რომ და-ხედა, სისბლით დასვრილი ნახა“.

შდრ. ბაღანაქ მინდორც ლაჭათი ქვლიიყუ: ყიფ. 83,33 „ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო“. წყარქ ოსურცე ეიში ქაგნააწუუ ტანსგ: ყიფ. 84,26 „ქალს წყალი ქე გადაეხსა ტანზე“. იმგ სერც ქვლიინჯირგ გური შეწუხებულო: ყიფ. 84,32 „იმ ღამეს გულშეწუხებუ-ლო დაწვა“. ათე დო ათე მუხურცია, — კითითგ ქააწურუ: ყიფ. 85,9 „ამა და ამ კუთხე-შიო, — თითით უჩენა (მიანიწნა)“.

<sup>3</sup> ჩაწერილია ელ. ფანსეიძის მიერ ს. კოჩარაში (ლაბრა) სპირაღონ მაქსიმეს ძე გულუასაგან.

<sup>4</sup> ჩაწერილია მ. ხუბეუასა და ელ. ფანსეიძის მიერ ს. ოჯიბინევი კოლია მაქსიმეს ძე ღვიჯილიასგან.

<sup>5</sup> ჩაწერილია ს. კოჩარაში ელ. ფანსეიძის მიერ გიორგი გოგუასაგან.

<sup>6</sup> ქვემოთ წარმოდგენილი მასალა ჩაწერილია ი. ყიფშიძის მიერ ს. ცაიშვი დიაკვან ზე-სარიონ მაჭაყარიასაგან.

თეში მამანგარა ბოში დიორდე მითინს ეო უძირგ: ყიფ. 84,20 „ამის სიმაგრე ბაჟი ჟერ არავის უნახავს“.

შღრ. ქობირგ ნდემეფი, ეირი, ზრთიანცგ ქაარკინგნანი: ყიფ. 82,17 „ნახა დეეებო. ორი, ერთმანეთს ევიღებთან“. ქიშეკინდგ ხე შქვილი დო საგანცგ: ყიფ. 84,7 „მოკიდა ხელი შვილდსა და ისარს“.

ეს ფაქტები შემთხვევითი არ ჩანს!

მიცემითის -ს მორფემა მეგრულს საერთო აქვს ზანურის მეორე დიალექტთან, ჰანურთან, ასევე ქართულსა და სვანურთან. ქართველოლოგიაში ამჟამად საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი, რომ ეს ნიშანი ქართველურ ენათა მიცემითის ურველესი, დიფერენციაციამდელი მორფემაა. ამდენად, არაა სადავო, რომ მეგრულში -ც ახალია, მეორეული.

რა იწვევს -ს-ს შეცვლას -ც-თი? ი. ყიფშიძეს აღნიშნული აქვს, რომ „подлежащее окончание с путём подъёма даёт ц“: კო-ს (სენაკ.)→კო-ც (ზუგდიდ-საქარზ.); ოსურ-ს (სენაკ.)→ოსურ-ც (ზუგდიდ-სამ.)<sup>7</sup>. ამგვარად, ი. ყიფშიძის მიხედვით, ს→ც პროცესი ხმოვნისა და თანხმოვნის შეზღვევ ერთნაირად კანონზომიერია ზუგდიდურ-სამურზაყანულში.

ს. ჟღენტი, ემყარება რა ი. ყიფშიძის შრომას, წერს, რომ აფრიკატიზაციის შედეგად „სამურზაყანულსა და ზუგდიდურ კილოკავში მიცემითი ბრუნვის -ს წარმოიქმნის როგორც ც“<sup>8</sup>: ს-ს აფრიკატიზაცია მას ერთნაირად შესაძლებლად მიაჩნია როგორც თანხმოვნის შემდეგ, ისე ხმოვნის შემდეგ (კო-ც ← კო-ს). ამ დებულებათა დასაბუთება ავტორს მოცემული არა აქვს.

მიცემითის (ავრეთვე მოქმ. გვარის ზმნის მხოლოდობითი რიცხვის III სუბიექტური პირის) -ს ნიშნის ც-ში გადასეღას მ. ციკოლია მიიჩნევს ბგერათა მონაცვლეობად (შენაცვლებად. სუბსტიტუციად), რაც, მისი აზრით, ამ ბგერათა წარმოების ადგილითაა განსაზღვრული<sup>9</sup>.

-ც-ს წარმოქმნის პოზიციის განსაზღვრას შეეცადა გ. კლიმოვი თავის წიგნში— „Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте“:

„Вариант с встречается лишь в самурзакано-зугдидском говоре менгрельского диалекта и сбычно лишь при основах с ауслаутом на сонорный“... დასადასტურებლად მას მოჰყავს მაგალითები: ქობალ-ც ო ქობარ-ც („პურს“)... ვარჩხილ-ც („ვერცხლს“), მინდორ-ც („მინდორს“). ავტორი განაგრძობს: „Налицо он здесь и при основах множественного числа“. მითითებულია მაგალითებზე: ოსურ-ენ-ც „ქალებს“, ჩხოულ-ეფ-ც „ძროხებს“<sup>10</sup>.

ეს უკანასკნელი მაგალითი (ჩხოულ-ეფ-ც) გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ს → ც პროცესი მეგრულში სონორთა მეზობლობით არაა შეპირობებული: ფ თანხმოვანი ხომ სონორი ბგერა არაა?

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ აქ საქმე გვაქვს ს სპირანტის აფრიკატიზაციასთან (ს. ჟღენტი), მხოლოდ გასარკვევია, როდის ხდება ის და რა იწვევს მას?

<sup>7</sup> И. К и ш и д з е, Грамматика..., გვ. 024.

<sup>8</sup> ს. ჟღენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953, გვ. 156.

<sup>9</sup> მ. ციკოლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა, 1954, გვ. 335.

<sup>10</sup> Г. А. К л и м о в, Склонение в картвельских языках..., გვ. 70.

ს-ს აფრიკატიზაცია ბოლოკიდურ სონორებთანაც გვხვდება და არასონორებთანაც: კერძოდ, მას ადგილი აქვს როგორც მ, ნ, რ, ლ, ისე ფ, დ, თ, ტ, ჯ, ჩ... ხშულ თანხმოვნებთანაც.

აქ ორგვარი შემთხვევა უნდა გაირჩეს:

1. ფუძის ბოლოკიდური სონორები და ხშული ფ ჩქამიერი თანხმოვანი ს-ს აფრიკატიზაციისას ცვლილებას არ განიცდის:

სახ. ოსურ-ი „ქალი“	მიც. ოსურ-ც←    ოსურ-ს
ჩხომ-ი „თევზი“	„ ჩხომ-ც←    ჩხომ-ს
ხან-ი „ხანი“	ხან-ც←    ხან-ს
ჩილ-ი „ცოლი“	ჩილ-ც←    ჩილ-ს
ცირეფ-ი „ქალიშვილები“	ცირეფ-ც←    ცირეფ-ს
ჩხოულეფ-ი „ძროხები“	ჩხოულეფ-ც←    ჩხოულეფ-ს

2. ხშულები: დ, თ, ტ, ჯ, ჩ კი, ჩვეულებრივ, რედუცირებულნი არიან მის შემდეგ, რაც ს-ს აფრიკატიზაცია უკვე მომხდარია. შედეგად ც (← ს) ხან სონორებს მოსდევს, რადგან დაკარგული ხშულების წინ სონორებია წარმოდგენილი, ხან — ხმოვნებს, რადგან დაკარგული ხშულების წინ ხმოვნებია წარმოდგენილი (სხვა შემთხვევაში აღნიშნული თანხმოვნები არ შეიძლება დაიკარგოს):

ა) სახ. მარდ-ი „მადლი“	მიც. მარ-ც←*მარდ-ც←მარდ-ს
ჩხვინდ-ი „ცხვირი“	ჩხვინ-ც←*ჩხვინდ-ც←ჩხვინდ-ს
ღორონთ-ი „ღმერთი“	ღორინ-ც←*ღორონთ-ც←ღორონთ-ს
ზოთონჯ-ი „ზამთარი“	ზოთონ-ც←*ზოთონჯ-ც←ზოთონჯ-ს
ქომონჯ-ი „ქმარი“	ქომონ-ც(გ)←*ქომონჯ-ც(გ)← ქომონჯ-ს(გ)
„ ჯინჯ-ი „ძირი“	„ ჯინ-ც←*ჯინჯ-ც←ჯინჯ-ს
ბ) სახ. ღუდ-ი „თავი“	მიც. ღუ-ც(გ)←*ღუდ-ც(გ)←ღუდ-ს(გ)
ბედ-ი „ბედი“	„ ბე-ც←*ბედ-ც←ბედ-ს
კოჩ-ი „კაცი“	კო-ც←*კოჩ-ც←კოჩ-ს
ხოჯ-ი „ხარი“	ხო-ც←*ხოჯ-ც←ხოჯ-ს
მეტ-ი „მეტი“	მე-ც←*მეტ-ც←მეტ-ს <sup>11</sup>

მუზარბიში ღურაქ ახიოლგ იში ოსურ ცუ: ყიფ. 55,18 „მუზარბის საეცლალი გაუხარდა მის ცოლს“. იში სერცე ნდემფი ვა მშაათინანდეს: ყიფ. 55,11 „იპ ღამეს ღეეებმა ეერ შემობედეს“.

ოკო დედები ქვიტიყინტუასი, ფერი ეამცე ე ბოშიქე გომქვილუუ საკანი, ზღეინდგ ნდემცე დო დიხაშა ქდლუღღურიხუუ ღუდი: ყიფ. 58,16—18 „უნდა მოხეცი ქალი ვადაყლა-პოს. ამ დროს ამ ბიჭმა ესროლა ისარი, მორატყა დევს და მიწაზე დააგდებინა თავი“.

ეზგმა ხანცე მუზარბიის ქემპქიმუუ ღურადლაქე: ყიფ. 55,17 „ამდენ ხანს მუზარბის მოუსწრო სიყვდილმა“. მუასქანცე ჭუნდუ რაშია: ყიფ. 61,29 „მამაშენს ჰყავდარ რაში“.

ათენეერო ოქკუმაღცე ვა არკენცე და დო დიდასგ. დიდას ენა ბრელცე ვა ახიოლგ: ყიფ. 57,6 „ამგვარად საქმელს არ აკლებს დასა და დედას. დედას ეს ძალიან არ უხარია“.

გეკოფუნცე ლაქვატასგ, ოქოთანცე დო ჩიტეფცე დუცუ სოფუნცე: ყიფ. 56,34 „აიღებს სასროლ ქოხს, ისჯრის და ჩიტებს თავს უხეტქავს“. ათაქანე დუცუ ქაწკოცვილა ამუდლა: ყიფ. 56,8 „აქ შენს წინ თავს მოვიკლავ დღეს“. ზუგიცე თქვა ქიმერთითგ უჩარდიამა: ყიფ. 2,30 „ზუგდილში თქვენ მიდით უჩარდიასთან“.

<sup>11</sup> ამ უკანასკნელ მაგალითზე მიუთითებს ი. ყიფშიძე. იხ. „Грамматиკა...“ გვ. 023, 027, აგრეთვე, იხ. ლექსიკონი, გვ. 280.

ათე ამბე ირიფელი ქუჩუუ ლორონცე: ყიფ. 86,18 „ეს ამბავი, ყველაფერი, უთხრა ლმერთს“.

გუჯევირდგ კოცე: ყიფ. 53,4 „გაუკვირდა კაცს“.

უწუ თე ხენწიფეში ჩირქ მუში ქომონცე: ყიფ. 47,6—7 „უთხრა ამ ხელმწიფის ცოლმა თავის ქმარს“. ტორონც დუუძახგ დო უზოჯგ: ყიფ. 06,10 „მტრედს დაუძახა და უბრძანა“. შარაკიკ გილახედგ: 48,11 „გზის პირას იჭდა“. პლატოკი ქიგიოლოთგ ჩხვინდი დო პიეცე: ყიფ. 86,24 „ცხვირსახოცი დააგდო ცხვირ-პირზე („ცხვირსა და პირზე“)“ ოსურცე ხუცე ფოხალი წყაროში ეფშა ქიკლაადგე: ყიფ. 84,23—24 „ქალს მხარზე წელით საესე კოკა წამოუდგამს“.

იქნებ ს-ს აფრიკატიზაციამდე მოხდა აღნიშნულ ხშულთა დაკარგვა? არა! ამაზე, პირველად ყოვლისა, მრავლობითის სუფიქსისეული ბოლოკიდური ფ მიუთითებს: ის არასდროს იკარგება, ს-ს აფრიკატიზაცია კი ხდება: ცირ-ეფ-ი „ქალიშვილები“ — ცირ-ეფ-ც. ჩხოულ-ეფ-ი „ძროხები“ — „ჩხოულ-ეფ-ც, ხუ-ჯ-ეფ-ი „ყურები“ — ხუჯ-ეფ-ც...<sup>12</sup> მერეა და ამაზე მეტყველებს ზოგი ისეთი პარალელური ფორმაც, სადაც აღნიშნული თანხმოვნები შემონახულია და ს-ს აფრიკატიზაციაც მომხდარია: სახ. დუდ-ი „თავი“ — მიც. დუდ-ცე (|| დუდ-სე), სახ. ლორონთ-ი „ღმერთი“ — მიც. ლორონთ-ც (|| ლორონთ-ს).

რაკი გაირკვა ს-ს აფრიკატიზაციის პოზიცია, ასახსნელად რჩება: რა თვისება აქვთ საერთო სონორებსა (მ, ნ, ლ, რ) და აღნიშნულ ხშულ თანხმოვნებს (ფ, ღ, თ, ტ, ჯ, ჩ...). რაც ორსავე შემთხვევაში იწვევს ს-ს აფრიკატიზაციას? ხშულობა. ხშვა დამახასიათებელია როგორც წმინდა ხშულებისათვის (ფ, ღ, თ, ტ) და აფრიკატებისათვის (ჯ, ჩ), ისე ყველა სახის სონორებისათვის (მ, ნ, ლ, რ). სონორები, როგორც ცნობილია, ხშულ-ნაპრალოვანი, ანუ ნარვერ ბგერებია<sup>13</sup>.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს → ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თანხმოვნებს ხვდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა რაგვარობისაა თანხმოვანი: სონორია ის, თუ მჟღერი, ფშვინვიერია თუ მკვეთრი. მთავარია ხშვის პროცესი ახასიათებდეს მას. ამიტომაც, რომ ს ც-ში გადადის არა მარტო სუფთა ხშულებთან (ფ, ღ, თ...) და აფრიკატებთან (ჯ, ჩ), არამედ ისეთ სონორებთანაც კი, როგორიცაა რ, ლ. ხშვის ელემენტის შეერთება (შერწყმა) სპირანტულობასთან resp. ნაპრალთან იძლევა ც აფრიკატს (და არა ბგერათა შერწყმა: თს → ც, თშ → ჩ. შღრ. ქართ. ათსამმეტი → ცამეტი... ათშვიდმეტი → ჩვიდმეტი), რაც თავისთავად ბუნებრივია: ც ხომ ხშვისა და ნაპრალის შემცველი ბგერაა, აფრიკატი<sup>14</sup>.

ასეთივე მდგომარეობაა მესამე სუბიექტური პირის მოჩვენისეული ს-ს აფრიკატიზაციის შემთხვევაშიც<sup>15</sup>.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ხშული ბგერები იკარგებოდა, მაგრამ არა უკვალოდ: ისინი კვალს ტოვებენ ც-ში ხშვის სახით. რაც შეეხება სონორებსა და ფ-ს, მათ წილი უდევთ ც-ს წარმოქმნაში და თვითონაც არსებობენ.

რად არ იკარგება ხშული ფ? უთუოდ იმიტომ, რომ ის მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია (მრავლობითობის აღნიშვნას ემსახურება!).

<sup>12</sup> შღრ. Г. А. Климов, Скитские..., გვ. 70.

<sup>13</sup> ვ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 39-44.

<sup>14</sup> ასე რომ, ყოველ ხშულთან და აფრიკატთან შეხვედრას შეეძლო მოეცა ს-ს აფრიკატიზაცია და, თუ ეს ალბათობა არაა რეალიზებული, ეს ფუძის სტრუქტურითა და პარადიგმატული თავისებურებებით უნდა იყოს გამოწვეული.

<sup>15</sup> ამის შესახებ სპეციალურად სხვა დროს.

მეგრულში ს-ს აფრიკატიზაცია არ ხდება წინმავალ არახშულ თანხმოვნებთან (სპირანტებთან) და ხმოვნებთან მეზობლობაში (სპირანტი + ს, ხმოვანი + ს). მართალია -ს მორფემის ადგილას -ც გვხვდება ხმოვნების შემდეგაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ფუძის ბოლოს უნდა გვქონოდა რომელიმე ზემოდასახელებული ხშული თანხმოვანთაგანი: ღ, თ, ტ, ჭ, ჩ... ისინი რედუცირებულნი არიან.

მ. ხ უ ბ უ ა ს ტექსტებში არის რამდენიმე მაგალითი, სადაც ბოლოხმოვნიან ფუძეებში მიცემითის -ს-ს ადგილას -ც ზის. მაგალითად: ალიშქერქოუ-ც (საკ. სახელია), დრო-ც („დროს“), ხე-ც („ხელს“), ღლა-ც („ღლეს“), ხოლო-ც („ახლოს“).

რით უნდა აიხსნას ასეთი ფაქტები?

პირველ მაგალითს იქვე ეძებნება პარალელური ფორმა: ალიშქერქოუ-ს, რაც უფრო ხშირად იხმარება. სხვა მაგალითები ტექსტებში იშვიათად შეინიშნება. ყველა ეს შემთხვევა ანალოგიას უნდა მიეწეროს.

ს. ე ღ ე ნ ტ ი ს მიხედვით, ს-ს აფრიკატიზაცია ხმოვნების შემდეგაც შესაძლებელია არა მარტო აუსლაუტში, არამედ ანლაუტშიც. მისი შეხედულებით: მეგრ. ანკეცი (შღრ. ბანძ. ანტკეცი) — ქართ. ანკესი. მეგრ. ცურუ — ქართ. სურო. გარკვევით არაფერია თქმული, მაგრამ ივარაუდება, რომ მეგრ. საკვეცი — საკვესი (ქართ.)<sup>16</sup>.

სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, პროცესი ასეთია: კოც — კოჩ-ს. ამგვარად, ს სპირანტის აფრიკატიზაცია აქ ხშულ ჩ-სთან შეხვედრის შედეგია. რაც შეეხება სხვა მაგალითებს, რომლებშიც ხმოვნების შემდეგ ს — ც გვაქვს: ანკეცი || ანტკეცი, საკვეცი, ცურუ (ეს უკანასკნელი საექვო მაგალითია!) აქ ს და ც თანხმოვნების მონაცვლეობასთან (სუბსტიტუცია) უნდა გვქონდეს საქმე და არა აფრიკატიზაციის პროცესთან, რამდენადაც ყველა ამ შემთხვევაში ქართულიდან ნასესხებ სიტყვებთან გვაქვს საქმე.

ზემოთ აღინიშნა, რომ მეგრულის სენაკურ კილოკავში მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია (ს — ც) არ დასტურდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ს-ს აფრიკატიზაციას ამ კილოკავში საერთოდ ადგილი არ ჰქონდეს.

სენაკურ კილოკავში ს სპირანტის აფრიკატიზაცია გვხვდება ფუძისეულ მასალაში, მეგრულისთვის ბუნებრივ რს კომპლექსში და, სხვათა შორის, არა მარტო აუსლაუტში, არამედ ანლაუტსა და ინლაუტშიც. გვაქვს: ქურს-ი — || ქურც-ი „ქუსლი“... რსქინი — || რცქინი „ქაღალი“ (მუს ირცქინაფ თი კოჩ? „რას იჭადნება ის კაცი?“)... ფარსაგი — || ფარცავი „საკვირველი“. ერსქემი — || ერცქემი „ჩიხვი“...

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს პროცესი ზემოჩამოთვლილ სხვა თანხმოვნებთანაც დადასტურდეს.

მიცემითის მორფემისეული ს-ს აფრიკატიზაცია (ს — ც) არა გვაქვს სალიტერატურო ქართულში, მაგრამ დასტურდება ქართულის გურულ დიალექტში<sup>17</sup>. ზოგჯერ შეინიშნება აქართლშიც: ბლავილ-ც...<sup>18</sup> ორსავე შემთხვევაში, მსგავსად მეგრულისა, მოვლენა ლაბილური ხასიათისაა.

16 ს. ე ღ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა, გვ. 156.

17 იხ. ი. მეგრულიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და შესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში. თსუ შრომები, ტ. VI, 1933.

18 შ. ნიქარაძე, ზემოაქართლის თავისებურებანი. ბათუმი, 1957, გვ. 31.

ი. მეგრელიძის გამოკვლევის მიხედვით, გურულში ს გვაძლევს ც-ს განსაზღვრულ კომპლექსში: ლ თანხმოვანთან მეზობლობაში, ასევე, დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების შემდეგ. მაგრამ უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა ამ თანხმოვნების წინ მოცემულია რომელიმე ნარნარა ბგერა: ლ, რ, ნ<sup>19</sup>: წაღღ-ს → წალ-ც... ვარღღ-ს → ვარ-ც... სტუდენტ-ს → სტუდენ-ც...

ავტორს ეს სონორები მიაჩნია ს-ს ც-თა შეცვლის მიზეზად: ლს → ლც (ქაღღ-ს → ქაღღ-ც, სანთელღღ-ს → სანთელღღ-ც...)...

იმ შემთხვევაში, როცა კომპლექსში სონორსა და მიცემითის ნიშანს შორის მოცემულია რომელიმე ზემოძიითიებული არასონორი თანხმოვანთაგანი (დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ), ისინი იკარგებიან და ამის შემდეგ სონორები იწვევენ ს-ს ც-თი შეცვლის პროცესს: წაღღღ-ს → წაღღღ-ც, ვარღღღ-ს → ვარღღღ-ც, სტუდენტღღღ-ს → სტუდენტღღღ-ც...

ამდენად, ამ ტიპის კომპლექსიან ფუძეებს აუსლაუტში ც არ შეიძლება გააჩნდეს აღნიშნულ თანხმოვანთა მოკვეცამდე, მაგაჲ „თანხმოვან შეკვეცილში [მიცემითი] ბრუნვის ნიშნად -ც გვაქვს და არა -ს“<sup>20</sup>.

ასევეა განსაზღვრული ზმნათა III სუბიექტური პირის -ს სუფიქსის შეცვლა ც-თი<sup>21</sup>.

ავტორს არა აქვს მოცემული ახსნა, თუ რატომ უნდა გამოეწვია სონორებს ს-ს შეცვლა ც აფრიკატივით. საკითხის ახსნას შეეცადა შ. გაფრინდაშვილი თავის საყურადღებო შრომაში: „სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“<sup>22</sup>.

ფაქტიური მასალის ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი არკვევს, რომ გურული დიალექტი ძირითადად იმავე სურათს გვიჩვენებს, რასაც მეგრული:

1. არაა არც ერთი შემთხვევა, რომ აუსლაუტში ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს → ც) ხდებოდეს ისე, რომ მას წინ ხშული თანხმოვანი (მელერი, ყრუ, სონორი) არ უძლოდეს და, თუ არ უძღვის, დაკარგული არ იყოს.

2. აქაც საკმაოდ ხშირია ისეთი მაგალითები, რომელიც სულ არ შეიცავს სონორებს, მაგრამ მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია ახასიათებს: დიდ-ი — დიდ-ც, დათვ-ი — დათ-ც (← დათვ-ც), თით-ი — თი-ც, ათ-ი — ა-ც... ჩიტ-ი — ჩი-ც, კეტ-ი — კე-ც... თუჯ-ი — თუჩ-ჩ (← თუჯ-ც) ტყეჩ-ი — ტყეჩ-ც... ბიჭ-ი — ბიჩ (← ბიჩ-ც)... კვიც-ი — კვი-ც || კვიც-ც, კაც-ი — კაც-ც<sup>23</sup>.

3. მიცემითის მორფემისეული ს-ს აფრიკატიზაცია გურულშიც ფუძის ბოლოკიდურ ხშულ თანხმოვანთა (დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ) მოკვეცამდე ხდება. ამას ადასტურებს თვით ხსენებული ავტორის ისეთი მაგალითები, სადაც ბოლოკიდური ხშულიცაა წარმოდგენილი და -ც მორფემაც: მქაღღ-ი — მქაღღ-ც... დათვ-ი — დათ-ც (← დათვ-ს)... ლურჯ-ი — ლურჯ-ც... კუნძ-ი — კუნძ-ც (|| კუნ-ც), ქინძ-ი — ქინძ-ც...

19 ი. მეგრელიძე, დასახ. შრომა, გვ. 354.

20 იქვე, გვ. 355.

21 იქვე, გვ. 352.

22 შ. გაფრინდაშვილი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 29-31.

23 ზმნათა ფორმებიც: უყიდ-ს — უყი-ც, უწყვეტ-ს — უწყვე-ც, მხატ-ს — მხა-ც, კეტ-ს — კე-ც...

აქედან აშკარაა, რომ გურულშიც ისე, როგორც მეგრულში, ს სპირანტის აფრიკატიზაციას იწვევს არა მხოლოდ სონორი ბგერა, არამედ ყოველი ზემოჩამოთვლილი ხშული ბგერა (ღ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჰ). მიზეზიც იგივეა: ხშვის კომპონენტის ნაწილობრივი შეერთება (შერწყმა) ს-ს სპირანტულობასთან (ნაპრალთან).

უკანასკნელად წარმოდგენილი მაგალითები არღვევენ ი. ქობალავას მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით გურულის საანალიზო მასალაში მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია შედეგია ხშულ და სპირანტ თანხმოვანთა შერწყმისა<sup>24</sup>: თ + ს → ც (ღი-ც ← ღით-ს ← ღიდ-ს; ღმერ-ც ← ღმერო-ს; ჩი-ც ← ჩით-ს ← ჩიტ-ს).

თუ აქ თანხმოვანთა შერწყმაა, ც აფრიკატის გვერდით შერწყმაში მონაწილე ღ, თ... კომპონენტები არ უნდა გვექონოდა შემორჩენილი. ფაქტიურად კი გვაქვს: ღიდ-ც, დათ-ც... მერეა და, შერწყმის შესაძლებლობას გამორიცხავს ჯ და ძ-ზე დამთავრებული ფუძეები: ლ უ რ ჯ-ც... კ უ ნ ძ-ც, ქ ი ნ ძ-ც. აქ ბოლო-კიდური ჯ, ძ არაა დაკარგული, სონორებთან უშუალო მეზობლობა არაა მიღწეული, ს-ს აფრიკატიზაცია კი ფაქტია! რამ გამოიწვია ის? ჯ და ს, ძ და ს თანხმოვნების შერწყმამ? ასეთი კომპონენტების შერწყმა, როგორც ცნობილია, ც აფრიკატს არ იძლევა. ყოველ შემთხვევაში, ამას გურულს მასალაზე დადასტურება დასჭირდება, რაც ძნელი საფიქრებელია მოხერხდეს.

როგორც ვხედავთ, მიცემითის მორფემისეული ს სპირანტის აფრიკატიზაცია მეგრულსა და გურულ-აქარულში პოზიციურ-კომბინატორული ხასიათისაა: ის ხდება ხშულთა მომდევნოდ, უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, და ხშულის გავლენით. არაა აუცილებელი ხშულის სონორობა. მას ჩქამიერი ხშულებიც ისევე იწვევენ, როგორც სონორები.

აქვე მიზეზითაა გამოწვეული გურულში ს სპირანტის აფრიკატიზაცია, ი ნ ლ ა უ ტ შ ი ც: ხელსახოცი → ხელცახოცი, ელსაბედი (← ელისაბედი) → ელცაბედი, ალსანდრე (← \*ალქსანდრე ← ალექსანდრე) → ალცანდრე... პარსვა → პარცვა, ვიპარსები → ვიპარცები, ფარსაგი → ფარცაგი... პენსია → პენცია, შანსი ← შანცი<sup>25</sup>.

ამ მასალაში ლ, რ, ნ თანხმოვნები ს სპირანტის აფრიკატიზაციას იმიტომ კი არ იწვევენ, რომ ისინი სონორები არიან, ან თავისებური განხშვა ახასიათებთ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ხშვის კომპონენტის შემცველი ბგერებია.

ასეთივე ახსნა უნდა მიეცეს ქართული ენის სხვა დააღეჭტების მსგავს მასალას, რომელიც, ჩვეულებრივ, ს-ც თანხმოვანთა სუბსტიტუციადაა მიჩნეული: ი მ ე რ უ ლ შ ი: პარსვა → პარცვა, მამპარსე → მამპარცე, გეიპარსა → გეიპარცა, პენსია → პენცია, ფარსაგი → ფარცაგი, შანსიანი → შანციანი...<sup>26</sup> ქ ა რ თ ლ უ რ შ ი: გაიპარსება → გაიპარცება...<sup>27</sup>

24 ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყ. IX—X. (1958), გვ. 66.

25 მაგალითები ამოღებულია ი. მეგრულიძის ზემოხსენებული შრომიდან, გვ. 354.

26 პ. ვახეიშვილი, იმერული დიალექტის ხანურ-ზევნიური მეტყველება, იყ. VIII, (1956), გვ. 120; ლ. ლევაკვა, ზემოიპერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იყ. IX—X. (1959), გვ. 178.

27 ვრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართულის თეა-ებებრებანი, იყ. VIII, (1956), გვ. 86.

იქნებ მსგავსადვე აიხსნას ს-ს შეცვლა ც-თი სვანურშიც ხშულების (ყ, წ...) მომდევნოდ (ყს → ყც, წს → წც): ხატსი (ხატყცი) ცხვის „სცემს ისარს“; გეზალ დემ ხეწციხ (ხეწსიხ) „შვილი არ ებადებათ“<sup>28</sup>.

ასევე უნდა იხსნებოდეს ს სპირანტის აფრიკატიზაცია არაერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაშიც: ჩაჩნურში: ურს → ურც „დანა“...<sup>29</sup> ხუნძურში: ემსულ → ემცულ „მამამ“, ჰუნსა → ჰუნცა „მანდედან“...<sup>30</sup> უდიურში: ბაფსუნ → ბაფცუნ<sup>31</sup>.

როგორც ჩანს, ხშულის მომდევნოდ ს სპირანტის აფრიკატიზაციის ტენდენცია მოქმედებს არა მარტო ზანური ენის მეგრულ დიალექტში, არამედ საერთოდ ქართველურ ენებსა (ქართული, სვანური) და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც კი<sup>32</sup>. ქართულის გურულ დიალექტში ამ პროცესის განსაკუთრებული გავრცელებულობა შესაძლებელია მეგრული სუბსტრატის გავლენით იყოს გამოწვეული.

#### А. Э. ЛОМТАДЗЕ

### К ВОПРОСУ О МОРФЕМЕ ДАТЕЛЬНОГО ПАДЕЖА В МЕГРЕЛЬСКОМ ДИАЛЕКТЕ ЗАНСКОГО (КОЛХСКОГО) ЯЗЫКА

#### Резюме

1. В сенакском говоре мегрельского диалекта, также как и в литературном грузинском языке, морфемой дательного падежа является -S ('u d e-s „дому“, b o š i-s „мальчику“, č x o m-s „рыбу“, k o-s „человеку“...), а в зугдидско-самурзаканском говоре морфема -\*S сохраняется только в именах, основа которых оканчивается на гласные ('u d e-s „дому“, b o š i-s „мальчику“...). В именах с исходом на согласные морфема дательного падежа S в результате аффрикатизации часто представлена в виде C (č x o m-s „рыбу“, k o-s ← \*k o č-s „человеку“...).

2. Аффрикатизация спиранта S вызвана его встречей со смычными согласными звуками, т. е. частичным слиянием смычки со спирантом S.

28 თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იქე, IX—X, (1958), გვ. 238.

29 ი. ქობალაძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები..., გვ. 77.

30 ი. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იქე, II, (1948), გვ. 153—154.

31 ი. ქობალაძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები..., გვ. 83.

32 მსგავს პოზიციაში ხშულთან შეხედრით ჩანს გამოწვეული სხვა სპირანტების: შ, ზ, ყ-ს აფრიკატიზაციაც ქართულ-ქართველურ ენებში (და იქნებ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც: აფხაზურში, ჩაჩნურში, დარგულში...):

შ — ჩ: ქართ. (გურ.-აქარ.) ხარშვა — ხარჩვა, მოხარშული — მოხარჩული, ხარშო — ხარჩო (მღრ. მეგრ. ხარშო; ხაშვა „ხარშვა“).

ზ — ძ: ქართ. საბზელი — საბძელი...

ყ — ჭ: მეგრ. ბეა, ქან. მჟორა — მჭორა „მზე“, მეგრ. ჟეაბუ — ქან. მჭეაბუ „ბაყაყი“... ქართ. (დიალექტ.) ბურჟუაზია — ბურჭუაზია(!). ამაზე ცალკე.

ТИНА АГЛАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВЛИЯНИЯ МОРФОЛОГИЧЕСКОЙ ФОРМЫ ГЛАГОЛА НА ЕГО СОЧЕТАЕМОСТЬ

Сочетаемость слова — его способность сочетаться в речи с другими словами — является одним из важнейших его свойств. Рядом исследований доказано, что сочетаемость, в частности, синтаксическая сочетаемость слова регулируется его значением. Однако сочетаемость слова не свободна от влияния других факторов, например, воздействие на нее морфологической формы слова очень ощутимо и требует особого изучения.

Влияние морфологической структуры глагола на его сочетаемость можно проследить на примере сопоставления возвратных и невозвратных лексико-семантических вариантов. Оно проявляется в изменении валентности, в передаче одних и тех же смысловых отношений различными падежами и пр. В обследуемой нами словообразовательной группе «брать», включающей 99 невозвратных и 52 возвратных лексико-семантических варианта, выделены три сопоставимые по значению группы:

დაკიკი სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელია. პოეტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა X საუკუნეში. ეს ის ხანაა, როცა „მწერლობის განვითარებამ დიდ სიმაღლეს მიაღწია. ამ ხანაში შემუშავებულმა მხატვრულმა ფორმებმა და ენებმა საბოლოოდ განსაზღვრეს სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების გზები“<sup>1</sup>. სამანელები დიდად უწყობდნენ ხელს ეროვნული კულტურის აღდგენასა და განვითარებას. მათ სახელმწიფო ენად არაბულის ნაცვლად სპარსული (დარი) აღიარეს. სამანელთა მხრივ დიდ მხარდაჭერას პოულობდნენ ის პოეტები, რომლებიც მშობლიურ ენაზე წერდნენ. პოეტებმა მიმართეს ირანის ისტორიულ წარსულს. მათ შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საგმირო ეპოსი. იმ პოეტთა შორის, რომლებიც მშობლიური ხალხის წარსულით დაინტერესდნენ, ყველაზე მეტად გამოიჩინევა აბუ მანსურ მუჰამად იბნ აჰმად დაკიკი<sup>2</sup>.

პოეტი გაეცნო ძველ ირანულ თქმულებებს და ხელი მოჰკიდა „მეფეთა წიგნის“ დამუშავებას. დაკიკი ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომლებმაც „დიდი როლი ითამაშეს ირანის ისტორიული ლეგენდებისა და საგმირო თქმულებების აღდგენაში“<sup>3</sup>.

დაკიკიმ მხოლოდ 1000 ბეითის გალექსვა მოასწრო. ეს ლექსები ფირდოუსიმ უცვლელად შეიტანა თავის „შაჰ-ნამეში“. გარდა „მეფეთა წიგნის“ ნაწყევტისა, ჩვენამდე მოღწეულია მისი ლირიკული ხასიათის ლექსებიც.

დაკიკის ენის შესწავლისას დავინახავთ, რომ პოეტის ლექსიკა ძირითადად ირანული წარმომავლობის სიტყვებისაგან შედგება. პოეტის ენა არქაულია. იგი იყენებს ძველ სპარსულ სიტყვებს. ძველი ირანული ენებიდან ვხვდებით რამდენიმე სოლღურ სიტყვას: *ārdāz* „დასაწყისი“; *but* „კერპი“; *čarxust* „საწნახელი“; *tarēv* „ყვირილი“; *yāfā* „ფუჭი, დაკარგული“<sup>4</sup>.

პოეტის ენაში შეინიშნება არაირანულ სიტყვათა ხმარება. გვხვდება თურქული წარმოშობის სიტყვები: *tarso* „ქრისტიანი“; *timor* „მფარველობა, მოე-

<sup>1</sup> დ. კობიძე, რუდაქი (ცხოვრება და შემოქმედება), რუდაქი 1100, თბილისი, 1957, გვ. 26.

<sup>2</sup> მის შესახებ ვრცლად იხ. А. А. Семенов, Два великих поэта X в., Литература и искусство Узбекистана, Ташкент, 1939, кн. V, гл. 96—103; Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, гл. 128—147; 162—167.

<sup>3</sup> А. Мирзоев, Рудаки, М., 1968, гл. 56.

<sup>4</sup> სოლღური სიტყვების შესახებ იხ. W. B. Henning, Sogdian Loan-Words in New-Persian, BSOS, X, ნაწ. I; В. А. Лившиц, Согдийские слова в таджикском языке, Изв. отд. общ. наук, № 12, Сталинабад, 1957, гл. 31—43.

ლა“; toroğ „ძარცვა“<sup>5</sup>; xon „ხანი, მმართველი“. ინდური: nīl „ლურჯი“; šakar „შაქარი“. ბერძნული: kolebad „ფორმა, სხეული“; sim „ვერცხლი“<sup>6</sup>.

ნასესხები ლექსიკიდან ყველაზე მეტად გამოყენებულია არაბული სიტყვები. ეს ბუნებრივია, რადგან ისლამის დამკვიდრების შემდეგ არაბული ენა თანდათანობით შეიჭრა ირანელთა ცხოვრებაში და იგი ხალიფატის შემადგენლობაში შემაველი ქვეყნებისათვის სამეცნიერო და სალიტერატურო ენად იქცა. სპარსულმა ენამ ისესხა არაბული ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური სისტემა შედარებით მყარია, ლექსიკა კი განიცდის მუდმივ ცვლას, ჩნდება ახალი სიტყვები, სადაც დიდ როლს ასრულებს სხვა ენებიდან სიტყვათა სესხება<sup>7</sup>.

განვიხილოთ დაკიკის ნაწარმოებებში არაბული ლექსიკური ელემენტების ხმარების შემთხვევები. პოეტის ნაწარმოებთა 1203 ბეითმა მოგვცა 12 429 სიტყვა-ხმარება და 1546 განსხვავებული ლექსიკური ერთეული, რომელთა შორისაც 224 სიტყვა წარმოშობით არაბული და არაბიზებულია. დაკიკის ენის ლექსიკის ანალიზისას ესარგებლობდით მის ნაწარმოებთა როგორც ტაჯიკური, ისე სპარსული ტექსტით<sup>8</sup>.

აღსანიშნავია, რომ პოეტის მიერ გამოყენებული არაბული სიტყვები „შაჰ-ნამეში“ უფრო ნაკლებია, ვიდრე ლირიკული ხასიათის ლექსებში. დაკიკისეულ „შაჰ-ნამეში“ სულ 60-მდე არაბული და არაბიზებული სიტყვაა. მთელ „შაჰ-ნამეში“ კი 1000-ზე ნაკლები არაბული სიტყვაა აღნუსხული<sup>9</sup>.

დაკიკის ნაწარმოებებში გვხვდება შემდეგი არაბული სიტყვები:

abīr <sup>10</sup> (ო.) <sup>11</sup>	amīr (რ. ო.)	ašqar (ო.)
abhar (ო.)	amr (ო.)	aqīq (რ. ო.)
adn (რ. ო.)	anbar (რ. ო.)	aqrab
adū (რ. ო.)	andaleb (რ.)	ahmar (ო.)
aziz (რ. ო.)	asīr (რ. ო.)	ağam (ო.)
ayvon (ო.)	asfar	bayza (ო.)
ayor (რ. ო.)	axzar (რ. ო.)	balo (რ. ო.)

<sup>5</sup> G. Doerfer, Türkische und mongolische Elemente in Neupersischen, II, Wiesbaden, 1965.

<sup>6</sup> Ю. А. Рубинчик, Персидско-русский словарь, II, М., 1970, გვ. 809.

<sup>7</sup> Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 257.

<sup>8</sup> Ашъори Ҳамасроши Рӯдакӣ, Сталинобод, 1958, გვ. 205—301;

გვ. 1316—1364 حکیم ابوالقاسم فردوسی، شاهنامه، جلد سوم، تهران ۱۳۳۵ خورشیدی،  
دقیقی و اشعار او، گنج بازیافته، تهران، آبان ماه، ۱۳۳۶ خورشیدی

<sup>9</sup> Paul Humbert, Observations sur le vocabulaire arabe du Chahnameh, Neuchâtel, Secrétariat de l'Université, 1953; ლ. თუშიშვილი, არაბული ლექსიკური ელემენტები ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმ. ენათა სერია, I, თბილისი, 1954, გვ. 132—152.

<sup>10</sup> მოყვანილი მაგალითები წარმოადგენენ ტაჯიკური გახმოვანების ლათინურ ტრანსლიტერაციას.

<sup>11</sup> დაკიკისთან სმარებული არაბული სიტყვები შეუდარეთ რუდაქსა და ონსორის ნაწარმოებთა ლექსიკას: М.-Н.О. Османов, Частотный словарь Унсური, М., 1970, გვ. 105—325; რუდაქისეული მასალა ჩვენ მოგვანოდა მ. ნუტუბიძემ; რ. ნიშნავს: რუდაქსთან გვხვდება; ო. ონსორისთან გვხვდება.

barī (რ.)	libos (რ. რ.)	sayd (რ. რ.)
bob (რ. რ.)	mavğ (რ. რ.)	samsom (რ.)
bobulī (რ. რ.)	madeh (რ. რ.)	sanam (რ. რ.)
boz (რ. რ.)	mazhab (რ. რ.)	sanavbar (რ.)
vale (რ. რ.)	maydon (რ. რ.)	saf (რ. რ.)
valek (რ.)	makon (რ.)	safir
vasl (რ. რ.)	makrūh (რ.)	sahm (რ.)
vayla	malik (რ. რ.)	sahro (რ.)
vaqt (რ. რ.)	mamlakat (რ.)	sileh (რ.)
valim (რ.)	manzara	simo
vido'	manohī	sinon (რ. რ.)
vuslat (რ.)	ma'syat	sof (რ. რ.)
vugud (რ.)	mahşar (რ. რ.)	soqa
davlat (რ. რ.)	minbar (რ.)	sulton (რ.)
da'vo (რ.)	misl (რ. რ.)	sūrat (რ.)
dahr (რ. რ.)	miğmar (რ.)	tab' (რ. რ.)
dir' (რ.)	muaqrab	tavba (რ. რ.)
doim (რ. რ.)	muborak (რ. რ.)	tadbir (რ.)
yoqut (რ. რ.)	muzammar (რ.)	taylason (რ.)
za'f (რ. რ.)	mulk (რ. რ.)	takalluf (რ. რ.)
zalom (რ. რ.)	munavvar (რ.)	tamom (რ. რ.)
zamir (რ.)	munkar (რ. რ.)	ta'viz
zarra (რ. რ.)	murakkab (რ.)	ta'vil
za'faron (რ. რ.)	musattar	ta'm (რ.)
zinat (რ. რ.)	mustanir	ta'na (რ.)
iblis	muşagğar	taqdir (რ. რ.)
ilm (რ. რ.)	mūnis	timsol (რ.)
imom (რ. რ.)	nazar (რ. რ.)	lobut (რ.)
imon (რ. რ.)	na'ra (რ.)	ud (რ. რ.)
inhizom	naqs (რ. რ.)	ummat (რ.)
isyon (რ.)	nigol (რ.)	umr (რ. რ.)
işq (რ. რ.)	nişot (რ. რ.)	uryon
iqbol	nūr (რ. რ.)	uqob (რ. რ.)
kavkab (რ.)	ozar (რ.)	falak (რ. რ.)
kamīn	ol (რ. რ.)	fan
karīm (რ. რ.)	oraz (რ.)	faxr (რ.)
kaf (რ.)	orazin	fe'l
kitob (რ.)	osor (რ.)	firoq (რ. რ.)
kobūs	oxir (რ. რ.)	firqat (რ.)
komil	oşiq (რ. რ.)	litna (რ. რ.)
kofir (რ.)	oşiqona	xabar (რ. რ.)
kursī	oğ (რ.)	xayol (რ. რ.)
lavn (რ.)	rab (რ.)	xaybar (რ.)
lafz (რ. რ.)	roy (რ. რ.)	xayma (რ. რ.)
la'l (რ. რ.)	sabr (რ. რ.)	xalq (რ. რ.)
laqab	sabūrī (რ.)	xanğar (რ.)

xat (რ. ო.)	γul (ო.)	halqa (ო.)
xato (ო.)	γulom (რ. ო.)	hamla (ო.)
xil'at (რ. ო.)	qabo (რ. ო.)	harir (რ. ო.)
xislat	qadd (რ. ო.)	harf (ო.)
xolis	qadim	hasūd (რ. ო.)
xossa (რ. ო.)	qalb (რ. ო.)	hašmat
xuld (ო.)	qaror (რ. ო.)	hağar (რ. ო.)
xutba (ო.)	qasd (ო.)	hizahr
šadid	qafu (ო.)	hila (ო.)
šam' (ო.)	qibla (ო.)	hol (რ. ო.)
še'r (რ. ო.)	qir (რ. ო.)	hukm (რ. ო.)
šum	qiyos (ო.)	hūr (რ. ო.)
šugoat (რ. ო.)	qomat (რ. ო.)	husom (ო.)
ezor (ო.)	qutb (რ. ო.)	huqqa
yad	havo (რ. ო.)	ğavr (ო.)
γalizi	hadd (რ. ო.)	ğamol (რ. ო.)
γam (რ. ო.)	hadis (რ. ო.)	ğa'd (რ. ო.)
γamza (ო.)	haybat (რ. ო.)	ğahd (რ. ო.)
γarib (რ. ო.)	haykal (ო.)	ğūd (ო.)
γorat (ო.)	halol (რ. ო.)	ğumla (რ. ო.)
		ğurm

რუდაქისთან და ონსორისთან დადასტურებული არაბული სიტყვებიდან დაკიკის ნაწარმოებთა არაბიზმებს დაემთხვა რუდაქის 108, ხოლო ონსორის — 173 არაბული სიტყვა.

დაკიკის ნაწარმოებებში არის ისეთი სიტყვები, რომელთა წარმომავლობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. სიტყვა zaman „ჟამი, ეპოქა, დრო“ გვხვდება როგორც სემიტურ, ასევე ირანულ ენებში: აქად. *šimānu*, არამ. *zeman*, *zimmā*, სირ. *zafnā*, ებრ. *zamnā*, ძვ. ირან. *jamāna*, საშ. სპ. *zaman*<sup>12</sup>. *nabid* „ღვინო, სასმელი“ სიტყვას ბორჰანის ავტორი და პ. ჰუმბერტი თვლიან არაბულ სიტყვად<sup>13</sup>. ახლახან გამოსულ ტაჯიკური ენის ლექსიკონში იგი ირანული წარმომავლობის სიტყვადაა მიჩნეული<sup>14</sup>. *savsan* „სოსანი“ — ფ. ჯონსონისა და ა. ნათისის ლექსიკონებში არაბულადაა ჩათვლილი<sup>15</sup>, ხოლო ტაჯიკური ენის ლექსიკონში — სპარსულად<sup>16</sup>. *toğ* „გვირგვინი“ ფ. ჯონსონი სპარსულ-არაბულად თვლის<sup>17</sup>, ა. ნათისი მას არაბულად მიაჩნევს<sup>18</sup>; პ. ჰუმბერტს სიტყვა *toğ* არა აქვს შეტანილი თავის შრომაში<sup>19</sup>. ჰ. შანიძე აღნიშნავს:

<sup>12</sup> იხ. H. S. Nyberg, *Hilfsbuch*, II, Glossar, Uppsala, 1931, გვ. 252; H. Hübschmann, *Armenische Grammatik*, I, Darmstadt, 1962, გვ. 156; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 259—260.

<sup>13</sup> *Borhan-e Qate'*, IV, გვ. 2117; P. Humbert, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>14</sup> *Фарҳанги забони тоҷикӣ*, I, М., 1969, გვ. 817.

<sup>15</sup> F. Johnson, *Dictionary Persian, Arabic, and English*, London, 1852,

II, გვ. 723; გვ. 1959, ۱۳۶۳, طهران, جلد سوم، فرهنگ نفیسی، علی اکبر نفیسی،

<sup>16</sup> *Фарҳанги забони тоҷикӣ*, II, М., 1969, გვ. 172.

<sup>17</sup> ფ. ჯონსონი, დასახ. ლექსიკონი, გვ. 297.

<sup>18</sup> ა. ნათისი, დასახ. ლექსიკონი, I, გვ. 771.

<sup>19</sup> P. Humbert, *Observations sur la vocabulaire arabe du Chahnameh*, Neuchâtel, Secrétariat de l'Université, 1953.

„თაგ-ი სპარსულია წარმოშობით და ნიშნავს გვირგვინს. მაგრამ უფრო ცნობილია არამეულიდან, საიდანაც შემოსულია სომხურში. თვით სპარსულში მის ნაცვლად იხმარება იმავე სიტყვისაგან არაბული ფონეტიკის კვალობაზე გაკეთებული ფორმა თაჯ“<sup>20</sup>. xodja „ხანი, მთავარი“—ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებაც არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. იგი გვხვდება როგორც თურქულ, სპარსულსა და არაბულში, ასევე ჩინურ წყაროებშიც<sup>21</sup>.

პოეტი თავის ნაწერებში სპარსული სიტყვების პარალელურად ხმარობს არაბულ ეკვივალენტებს: adn „სამოთხე“, saf „რიგი“, umr „ცხვრება“. falak „ცა“, yad „ხელი“.

განვიხილოთ ის თავისებურებანი, რომლებიც ახლავს არაბულ სიტყვათა ხმარებას.

დაკიკის მიერ გამოყენებულ არაბულ სიტყვებში ორთოგრაფია თითქმის ზუსტადაა დაცული. „ამ მხრივ გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს ის, თუ რა გზითაა შესული ეს სიტყვები არაბულიდან: ლიტერატურული, თუ ზეპირი გზით“<sup>22</sup>. პოეტის ნაწარმოებების ენაში არაბული სიტყვები ძირითადად ლიტერატურული გზით უნდა იყოს შესული. ამას ადასტურებს არაბული ორთოგრაფიის ზუსტი დაცვა. შეინიშნება თავისებურებანი, რომელთაც საფუძველი არაბულშივე დაეძებნებათ.

არაბული ة (at) სუფიქსი გადმოცემულია ت (at) და • (a, ä)-თი: mamlatat ملكت „ქვეყანა, სამეფო“ (არაბ. مملكة); xayma — خيمة „კარავი“ (არაბ. خيمة); xislat خصلت „თვისება“ (არაბ. خصلة); halqa—حلقه „სალტე, რგოლი“ (არაბ. حلقة). დაკიკის ნაწარმოებებში, ისევე, როგორც ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ არავითარი კანონზომიერების დადგენა არ ხერხდება იმ მხრივ, თუ როდის იხმარება პირველი at (ت) და როდის მეორე a, ä (•) დაბოლოება<sup>23</sup>.

გვხვდებით ე. წ. იმალეს გამოყენებას. იგი გადმოცემულია ხან ალიფით (ا), ხან ოტიით (ى). Siloh || sileh „იარალი“ (سليح || سلاح). ზოგ სიტყვაში იმალე დამკვიდრებულია და ის სიტყვა სხვა ფორმით აღარ იხმარება: Valekīn, likan „მაგრამ, ხოლო“ (ولیکن، لیکن).

ალიფ მაკსურა გადმოიცემა ხან ალიფით, ხან ოტიით. გვაქვს da'vo—دعوى. არაბულიდან შესულ სიტყვებში ჰამზა იშვიათად გვხვდება: asīr „ტყვე“ (არაბ. أسير); doīm „მუღმივა, ხანგრძლივი“ (არაბ. دائم); roy „აზრი, შეხედულება“ (არაბ. رأي). ჰამზის დაკარგვა სპარსული (ტაჯიკური) ენის ფონეტიკის თავისებურებათა შედეგად უნდა იყოს მომხდარი<sup>24</sup>.

გვხვდება მსხვრეული მრავლობითის მაგალითები: aḡrom اجرام „დანაშაულებანი“ (მხ. ḡrum—جرم); af'ol—افال „საქმეები“ (მხ. fe'l—فعل), a'do—اعد „მტრები“ (მხ. adū—عدو); manohī—مناهی „ცოდვანი“ (მხ. manhi—منهى),

<sup>20</sup> ა. შანიძე, ბასილი ეზოსმოდერის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგარის გამართვისათვის, თსუ, პრობლემა, 99, აღმ. სერია, III, თბილისი, 1962, გვ. 248.

<sup>21</sup> იხ. E. Herzfeld, Paikuli, Glossary, p. 183.

<sup>22</sup> ლ. თუშიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>24</sup> იხ. А. Островар, Вопросы произношения и правописания хамза в персидском языке, Изв. АН УзССР, сер. общ. наук, № 2, 1958.

osor—اسر „ნიჲნები, ნაშთები“ (მხ. asar—اثر); funun—فنون „მეცნიერებანი“ (მხ. fan—فن). სიტყვას muluk—ملوك „მეფეები, ხელმწიფეები“ (მხ. malik—ملك) დართული აქვს სპარსული მრავლობითი სუფიქსი on—ن mulukon—ملوكان<sup>25</sup>.

პოეტის არაბულ ლექსიკაში ჭარბობს არსებითი სახელები. ეს სახელები ირთავენ იმავე სუფიქსებს, რომლებიც იხმარება სპარსულ (ტაჯიკურ) ენაში:

1) მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსები on—ن და ho—ه: ummaton „ხალხები“; xalqon „ხალხები“, ოსლონი „მსახურები“; safho „რიგები“; lobutho „ყუთები, კუბოები“; harfho „ასოები“.

2) აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი სუფიქსი ī—(ى): karīmī „დიდსულოვნება, კეთილშობილება“; saburī „მოთმინება, გამძლეობა“; ოალიზი „სიმკაცრე“; ოამი „მწუხარება“.

3) არაბული სახელები ირთავენ სპარსულისათვის დამახასიათებელ ნაცვალსახელოვან ენკლიტიკებს: am, at, aš (ا, ت, ش): išqam „ჩემი სიყვარული“; mūnisam „ჩემი მეგობარი, სატრფო“; adūt „შენი მტერი“; af’olat „შენი საქმეები“; a’dot „შენი მტრები“; mulkat „შენი სახელმწიფო“; hasudat „შენი მოშურნე“; išqāš „მისი სიყვარული“; firoqāš „მასთან განშორება“; qadaš „მისი ტანი“.

დაკიკისთან გვხვდება ისეთი რთული სიტყვები, დეტერმინატული კომპოზიტები, რომლებშიც ერთი შემადგენელი ნაწილი არაბულია, მეორე—სპარსული. ხშირად არაბული კომპონენტი არსებითი სახელია, სპარსული კი—ზმნის ფუძე: a’dokuš „მტრების შემშუსვრელი“ (არაბ. a’dio მტრები, სპარს. kuš ფუძე ზმნისა kuštan „მოკვლა“); balogustar „უბედურების მომტანი“ (არაბ. bali „უბედურება“, სპარს. gustar ფუძე ზმნისა gustardan „გაშლა“)<sup>26</sup>.

დეტერმინატულ კომპოზიტებში ერთ-ერთ კომპონენტად არაბულის გარდა გამოყენებულია სხვა ენებიდან შემოსული სიტყვებიც:

1) არსებითი სახელი+არსებითი სახელი: tūronzamin „თურანის მიწა“ (თურქული tūron „თურანი“, სპარსული zamin „მიწა“); tūronxudo „თურანის ღმერთი“ (თურქული tūron „თურანი“, სპარსული xudo „ღმერთი“); turkonxidev „თურქთა სარდალი“ (თურქული turkon „თურქები“, არაბული xidev „სარდალი“); šakarlab „ბაგეშაქრიანი“ (ინდური šakar „შაქარი“, სპარსული lab „ბაგე“).

2) არსებითი სახელი+ნამყო დროის მიმღეობა: nilanduda „ლურჯად შეღებილი“ (ინდ. nil „ლურჯი“, სპარსული anduda<andudan—„შეღებვა“).

გვხვდება აგრეთვე კუთვნილების გამომხატველი კომპოზიტები, სადაც ერთი კომპონენტი არაბულია, ხოლო მეორე—სპარსული: yoqutrang „იაგუნდის ფერი“ (არაბული yoqut „იაგუნდი“, სპარსული rang „ფერი“); sarvqadd „საროსტანა“ (არაბ. qadd „ტანი, სხეული“, სპარსული sarv „სარო“); tovus-

<sup>25</sup> ملك الشعرا بهار سبک شناسی. ملك الشعرا بهار سبک شناسی. جلد اول، ۱۳۲۱، ص. 251.

<sup>26</sup> ხალხი სიტყვასთან მეორე კომპონენტად ს'ვა ზმნის ფუძეთა ხმარება აღნიშნული აქვს ოსმანოვს თავის ნა რომში. სადაც გვ'ვდება balogustar „უბედურების მძებნელი“. balobor „უბედურების მფრქვეველი“, იხ. მ. ოსმანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—16.

guna „ფარშეევანგის მსგავსი“ (არაბ. tovus „ფარშეევანგი“, სპარს. guna „მსგავსი“).

ზოგიერთ კომპოზიტიში მეორე ელემენტი ფუნქციით უახლოვდება სიტყვათ-  
მაწარმოებელ სუფიქსს. მაგ.: goh „ადგილი“, დრო“<sup>27</sup>. saharogh „დილით,  
ალიონზე“ (არაბ. sahar „დილა, განთიადი“; სპარს. goh „დრო“). harbogh  
„ბრძოლის ველი“ (არაბ. harb „ბრძოლა“, სპარსული goh „ადგილი“).

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად პოეტი მიმართავს სინონიმურ წყვილს.  
ზოგჯერ ამ წყვილებიდან ერთი არაბული, მეორე კი—სპარსული სახელია:  
nišotušodī | šodiunišot „მხიარულება“; ზოგჯერ კი ორივე სინონიმი არაბულია.  
makrūhumunkar „ანტიპათიური, საზიზლარი“ || munkarumakrūh; qadduqomat  
„ტანი, სხეული“ || qomatuqadd. ხშირია lekin || valekin კავშირის ხმარების  
შემთხვევები.

ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ დაკიკის ნაწარმოებების ლექსიკის ფონდს  
ძირითადად შეადგენენ ირანული წარმომავლობის სიტყვები. იშვიათია თურქუ-  
ლი ლექსემების ხმარება. ცოტაა ინდური სიტყვების გამოყენების შემთხვევები.  
ყველაზე უფრო მეტად იხმარება არაბული სიტყვები. არაბულ სახელთა უმრავ-  
ლესობა იწარმოება სპარსული ენის ნორმების შესაბამისად. ისინი სპარსულ  
სიტყვათწარმოების წესს ემორჩილებიან, ირთავენ სპარსულ სუფიქსებს, ნაცვალ-  
სახელურ ენკლიტიკებს და სპარსულ სახელებთან ერთად ქმნიან კომპოზიტებს.  
არაბული სიტყვები ლიტერატურული გზით უნდა იყოს შესული. დაცულია  
არაბული ორთოგრაფია, თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია თავდაპირველი  
მნიშვნელობა. არაბული სიტყვები დაკიკისეულ „შაჰ-ნამეში“ უფრო ნაკლებია,  
ვიდრე მის ლირიკულ ლექსებში. რუდაქისა და ონსორის ნაწარმოებების ლექსი-  
კასთან შედარებისას დაკიკის ნაწარმოებთა არაბიზმებს დაემთხვა რუდაქის 108,  
ხოლო ონსორის 173 არაბული სიტყვა.

<sup>27</sup> იხ. Т. Д. Чхендзе, Именное словообразование в персидском языке, Тбили-  
си, 1969, გვ. 108.

## ნათელა ჟვანია

პირველ-მეორე და პირველ-მესამე იდენტურ თანხმოვნიათ  
ძირები გეეზში

ძირები, რომელთაც დასაწყისში ორი იდენტური თანხმოვანი აქვთ, გეეზში, სხვა სემიტურ ენათაგან განსხვავებით საკმაოდ ხშირია. ა. დილმანის აზრით, ამ ტიპის ძირების არსებობა შედეგია ასიმილაციისა, რაც უნდა განეცადა ორ-თანხმოვნიათ ძირეული ელემენტის გაორკეცებით მოცემულ ოთხთანხმოვნიან ძირს. რედუქლიცირებული ძირის მეორე თანხმოვნის მესამესთან ასიმილაციის გამო მეორე ძირეული მუდამ გაორკეცებულია და გარეგნულად ემსგავსება ინტენსივის ფორმას (sl : sls! : sssl : ssl)<sup>1</sup>. ასეთივე აზრის არაან მ. კოენი და ს. სტრელცინი<sup>2</sup>, რ. რუჟიჩკა ძირთა ფორმაციის ამ პროცესს ხსნის დისიმილაციით<sup>3</sup>.

გეეზში დასტურდება ისეთი სამთანხმოვნიათ ძირებიც, რომელთაც პირველი და მესამე თანხმოვანი იდენტური აქვთ. ა. დილმანი ამ ტიპის ძირების წარმოქმნას ხსნის რედუქლიცირებული ძირის თანხმოვანთა ტრანსპოზიციით და კონტრაქციით ('l'l → l''l → l'l; glgl → gl|g → glg), ანდა ბოლო თანხმოვნის დაკარგვით (klkl → klk)<sup>4</sup>.

გეეზში I—III იდენტურ თანხმოვნიათ ძირების საკითხი არაა ჩეროვნად შესწავლილი. საკითხის პოზიტიური მხარისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ს. სტრელცინის გამოკვლევას, რომელშიც წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი სია ამ ძირებისა როგორც გეეზის, ასევე სხვა ეთიოპური ენების მიხედვით<sup>5</sup>.

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს არა აღნიშნული ძირების დიაქრონულ ანალიზს, არამედ ძირეულ თანხმოვანთა ურთიერთობის გარკვევას.

პირველ-მეორე იდენტურ ძირეულებად გვხვდება შემდეგი თანხმოვნები:

1 ველარი q: qql 'ხელმომჭირნე', 'ძუნწი', qqb. 'ქარქაში', qql 'ზარი', qqr, 'ყვავი'

2 ლაბიო-ველარები: g<sup>w</sup>g<sup>w</sup> 'ბეჯითი', 'სწრაფი', k<sup>w</sup>k<sup>w</sup>h 'მტკიცე', 'კლდე', q<sup>w</sup>q<sup>w</sup> 'გამაგრება', 'გაქვაება'

<sup>1</sup> A. Dillmann, *Ethiopic Grammar*, translated by J. Crichton, London, 1907, გვ. 102, 132—133.

<sup>2</sup> GLECS IV, გვ. 88—89. S. Strelcyn, *Les racines trilitères à première et deuxième radicales identiques*.

<sup>3</sup> R. Růžička, *Konsonantische Dissimilation in den Semitischen Sprachen*, Leipzig, 1909.

<sup>4</sup> ა. დილმანი, დასახ. შრ., გვ. 133.

<sup>5</sup> S. Strelcyn, *Les racines trilitères à première et troisième radicales identiques dans les langues sémitiques de l'Éthiopie*, GLECS IV, გვ. 86—88.

3 დენტალი: ddq 'დაჯდომა', 'ძირს დაშვება'

4 სიბილანტები: ssi 'წასულა', ssi 'ქინი' ssw 'მართვა', 'მეთვალყურეობა', ss' 'ლორმუცელა', ssw 'კოლო'.

5 ლაბიალები: bbi 'წამოძახება', mmi 'მორცხვი', mmi 'გაკილვა', ww' 'ყვირილი', 'ბმამალალი საუბარი'.

ამ ტიპის ძირებში მესამე თანხმონიანად გვხვდება: ლარინგალი: Ⴑ ფარინგალები, Ⴑ, ველარები: k, q, ლაკვილები: r, l, n დენტალი: t, სიბილანტი: s, ლაბიალები: b, w, ნახევარხმოვანი: j.

პირველ-მესამე იდენტურ ძირეულებად გვაქვს შემდეგი თანხმონიები.

1 ლარინგალი Ⴑ: 'f' 'კარები', 'm' 'გამარჯვებული', 'b' 'დამტკიცება', 'გამოყენება'.

2. პოსტველარი Ⴑ: ႱwႱ 'კარები'

3 ველარი g:glg 'შეგროვება'.

4 ლიკვილები: l'l 'აწევა', მიღწევა', lwl დაბნელება, rmr 'ჩანთა' nln 'დაკეცული', nln 'მიცემა', nln ჩვენ.

5. დენტალები: t k t 'ეშმაკობა', tႱt 'მდაბალი'.

6. სიბილანტი s: sds 'ექვსი', sk'w's 'შეწყვეტა', 'შეჩერება',

7. ლაბიალი w:wrw 'გადაგდება', 'მიხვედრა'.

ამგვარ ძირებში მეორე თანხმონიანად გვხვდება: ფარინგალები: Ⴑ, Ⴑ, ველარი k, ლაბიოველარი k<sup>w</sup>, ლიკვილები: r, l, დენტალები: d, t, Ⴑ ლაბიალები: m, b f. განხილულ ძირებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება აღინიშნოს:

1 გვეზში პირველ-მეორე იდენტურ თანხმონიებს წარმოადგენენ ველარები: g, q, ლაბიო-ველარები: g<sup>w</sup>, k<sup>w</sup>, q<sup>w</sup>; დენტალი: d, სიბილანტები: s, s, s; ლაბიალები: m, b, m.

მესამე თანხმონიანად არის ველარებთან: r, l, n, s, b, j; ლაბიოველარებთან: Ⴑ, Ⴑ, Ⴑ; დენტალებთან: q, k, r; სიბილანტებთან: Ⴑ, l, n, t, w; ლაბიალებთან: Ⴑ, t, j.

2 პირველ-მესამე იდენტური თანხმონიებია: ლარინგალი: Ⴑ; პოსტველარი Ⴑ; ველარი: g; ლიკვილები: l, r, n; დენტალები: d, t; სიბილანტი: s; ლაბიალი: w.

მეორე თანხმონიანად გვხვდება: ლარინგალთან: m, b, f; ველართან: l; ლიკვილთან: Ⴑ, Ⴑ, t, Ⴑ, m; დენტალთან: Ⴑ, k, სიბილანტთან: k<sup>w</sup>, d; ლაბიალთან: r.

ორივე ტიპის ძირებში იდენტურ თანხმონიებად შეიძლება იყოს: ველარი: g; დენტალი: d; სიბილანტი: s; ლაბიალი: w. მეორე ან მესამე ძირეულად კი—შემდეგი თანხმონიები: Ⴑ, Ⴑ, k, l, r, t, b.

(წარმოადგანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

## ცნობები და შენიშვნები

Акад. Г. ЦЕРЕТЕЛИ

### ПО ПОВОДУ ЭТИМОЛОГИИ НЕКОТОРЫХ ТОПОНИМИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ

В журнале «Вестник общественных наук» Академии Наук Армянской ССР, № 4 (340), 1971 г., опубликована статья П. М. Мурадяна (*Винительные формы в именительном по данным топонимики Армении*), в которой на стр. 31 сказано:

«Акад. Г. В. Церетели склонен думать, что топонимические названия, оканчивающиеся<sup>1</sup> суффиксом „ისი“, должны были быть распространены на всю<sup>1</sup> территорию<sup>1</sup> Грузии из Картли; это подтверждается множеством названий местностей с окончанием „ისი“ в ущельях (ხეობა) Картли».

При этом делается ссылка на „ლიტ. საქ-ი“, 19 ივნ., 1969 г., где напечатана статья неизвестного мне автора, Георгия Церетели (იასვი-სი—საქალაქარი), не имеющая ко мне никакого отношения.

П. М. Мурадян допустил ошибку, приписав мне статью другого автора.

Такую же ошибку повторили Александр Ошанин и Зураб Сарджвеладзе в статье *Против извращения вопросов грузинской топонимики*, напечатанной в журнале *მაციე*, № 3, Тбилиси, 1971 г., стр. 176. А. Ошанин и З. Сарджвеладзе, возражая против ошибочных утверждений П. М. Мурадяна, пытаются «защитить» меня от критических замечаний П. М. Мурадяна по поводу статьи, автором которой является неизвестное мне лицо.

Таким образом, полемика П. М. Мурадяна и А. Ошанин-З. Сарджвеладзе вокруг меня является следствием чистейшего недоразумения.

К сожалению, в обеих этих статьях (и П. М. Мурадяна, и А. Ошанин-З. Сарджвеладзе) встречаются недоразумения и другого характера.

Так, например, П. М. Мурадян относит к топонимике Армении такие исконно грузинские топонимические термины, как მახვლისი manglisi, დებისი dmanisi и даже название древней столицы Грузии თბილისი Тбилиси (древне-груз. ტფილისი t'pilis). При этом чисто грузинские названия с грузинскими же падежными окончаниями (Тбилиси, Кутаиси—Кутатиси и т. д.) он объявляет словами армянского или греческого происхождения (!).

<sup>1</sup> Орфографию П. М. Мурадяна оставляю без изменения (Г. Ц.).

С другой стороны, А. Опиани и З. Сарджвеладзе в своей, в основном, правильной и обоснованной статье относят к грузинской модели образования топонимов с формами родительного падежа такие чисто турецкие образования, как ედიკილისი edikilisi (тур. yedikilisa «семь церквей», из тур. yedi «семь» и тур. kilisa < греч. ἐκκλησία «церковь»); ყარაკილისი qarakilisi (тур. «черная церковь»; из тур. kara «черный, черная» и kilisa «церковь»), представляющие собою турецкие переводы местных названий.

Недоразумения подобного рода встречаются и в других изданиях. Так, например, Н. А. Баскаков в своей недавно опубликованной работе (*Русские фамилии тюркского происхождения*)<sup>2</sup> название древнейшей столицы Западной Грузии Кутанси (древн. Кутатиси), с упомянутым грузинским суффиксом общекартвельского происхождения -ის, объявил... турецким (!). Если бы он помнил, что этот топонимический термин засвидетельствован за несколько веков до нашей эры, то ему было бы ясно, что о турецком происхождении этого имени не может быть и речи.

Этимология — одна из самых трудных отраслей языкознания, особенно если речь идет об этимологиях топонимических названий. Для того, чтобы заниматься этимологическими изысканиями, не достаточно знания одного-двух языков, а требуется знакомство со всем комплексом сложных вопросов исторических взаимоотношений языков данного (а может быть и не только данного) лингвистического ареала, при наличии соответствующей подготовки в области теоретического языкознания.

А что касается статьи неизвестного мне автора Г. Церетели („იოთხისი — ნაქალაქ რი“), опубликованной в „ლიტერატურული საქართველო“, то невольно возникает вопрос: почему бы редакции „ლიტერატურული საქართველო“, прежде чем опубликовывать весьма далекие от литературы и от науки подобного рода опусы, не спросить компетентных специалистов: сто их ли вообще печатать?

<sup>2</sup> Н. А. Баскаков, Русские фамилии тюркского происхождения, VII. В сборнике «Этнография имен», Институт этнографии имени Н. Н. Миклухо-Маклая, Издательство «Наука», Москва, 1971, стр. 97.

ზ ი ვ ი მ ი ძ ა ძ ე

ფ ი ლ ო ლ ო გ ი უ რ ი ძ ი ე ბ ა ნ ი

III\*

ბ ე ს ი კ ი ს ს ა დ ა ვ ო ლ ე ა ქ ა ბ ი ს ზ ა ნ ო

აღორძინების პერიოდის ქართველ პოეტთა შორის ყველაზე პოპულარობით სარგებლობდა ბესიკი. მას უამრავი მიმდევარი და მიმბაძველი გაუჩნდა. ამ პერიოდში ეპიგონობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეპიგონები უხვად იყენებდნენ ბესიკის ლექსიკას, მის პოეტურ სახეებს, ლექსთა ფორმებს და ა. შ. ამით არის გამოწვეული, რომ ბესიკის ლექსების ერთი ნაწილი სხვების ნაწერებში აღირია, ხოლო ბესიკს კი მიაწერეს სხვა ავტორების ნაწარმოებნი. ხშირ შემთხვევაში ისიც ხდებოდა, რომ ბესიკის მიბაძვით დაწერილ ლექსებს შეგნებულად თვით ბესიკის სახელს აწერდნენ ხოლმე.

ბესიკის თხზულებათა ავტოგრაფების სიმცირის გამო დღეს უკვე მნიშვნელოვნად ძნელდება მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაწმენდა ეპიგონთა ნახელაფისგან. ბესიკის თხზულებათა ძველი გამოცემები ძალზე სცოდავენ ამ მხრივ. მათგან გამოირჩევა ბოლო (1962 წ.) აკადემიური გამოცემა, რომელსაც წინ უძღოდა გამომცემელთა დიდი ხნის დაძაბული მეცნიერულ-კრიტიკული მუშაობა. ამიტომ დასახელებული გამოცემა თავისი შედგენილობით წარმოადგენს მაქსიმალურად სრულსა და სანდოს.

ბოლო დროს აღმოჩნდა ახალი საყურადღებო მასალები ბესიკის ცხოვრება-შემოქმედების კრიტიკულად შესასწავლად. რის შედეგადაც გაირკვა ბევრი საცილობელი ლექსის ნამდვილი ავტორი. ასე მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უმართებულოდ ბესიკს მიეწერებოდა ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის, გიორგი ბაგრატიონის, დიმიტრი ბაგრატიონის, დიმიტრი თუმანიშვილის, ალ. ჭავჭავაძის და სხვათა ლექსები. აკადემიურ გამოცემაში ეს ხარვეზი გამოსწორებულია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გაწმენდილი მწერლის შემოქმედება ეპიგონთა ლექსებისგან. ამიტომ სავსებით მართებულად მოქცეულან გამომცემლები, რომ პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას დაერთვის სპეციალური განყოფილება, რომელშიც შეტანილია ბესიკის ს ა დ ა ვ ო ლ ე ქ ს ე ბ ი.

ბესიკის სადავო ლექსების განყოფილებაში სულ შეტანილია 13 ლექსი. ეს მნიშვნელოვნად მცირეა წინა გამოცემებთან შედარებით. გარკვეული კვლევაძიებისა და არსებული ხელნაწერების შესწავლის შედეგად დროთა ვითარებაში ეს განყოფილება, რა თქმა უნდა, მთლიანად მოიხსნება. ამჟამად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბესიკის სახელით ცნობილ რამდენიმე სადავო ლექსზე.

\* დასაწყისი იხ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1963, № 4; „მაცნე“, 1964, № 6.

ამ ორი ათეული წლის წინათ დოც. ქ. სანიკიძემ გამოაქვეყნა ბესიკის სამი უცნობი ლექსი: „მზემ განრისხებით განმაშორა“, „არხევ ტანსა“ და „ქუფრ დრომონნი“<sup>1</sup>. დასახელებული ლექსები შემონახული ყოფილა ერთადერთ ნაგვიანებ ხელნაწერში. სწორედ ამ მიზეზით აკადემიურ გამოცემაში ეს ლექსები შეტანილ იქნა სადავო ლექსთა შორის. მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, ლექსები „არხევ ტანსა“ და „ქუფრ დრომონნი“ ეკუთვნის ცნობილ მწერალ-მწიგნობარს პეტრე ლარაძეს (გარდ. 1837 წ.). ისინი, ჭერ კიდევ ავტორის სიკოცხლეში, დავით რექტორს შეუტანია თავის ცნობილ ხელნაწერ ანთოლოგიაში<sup>2</sup>. სხვათა შორის, ორივე ლექსის ბოლო ტაეპებში იკითხება პ. ლარაძის ფსევდონიმი „ყარიბი“.

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერ Q 27-ში ბესიკის მიეწერება სამი ლექსი: „დახე, მაისის ბულბულო“, „...ეშხისა ზღვასა“ და „რა ქმნას გულმან“. ბესიკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის რედაქტორის მართებული მოსაზრებით, „ბესიკისეულად მითვლილი ეს სამი ლექსი ეჭვებს აღძრავს მხატვრული სრულყოფილობის თვალსაზრისით“. ამასთან, „ზოგჯერ ბესიკის პოეტური ფრაზეოლოგიის წაბაძულობაც იგრძნობა (შდრ. მაგალითად «სევდის წალკოტს შევალ» და «სევდის ბაღს შევალ»)<sup>3</sup>. აღნიშნულის გამო ბესიკის სახელით ცნობილი ეს ლექსები სავსებით მართებულად გამოცემის ძირითად ტექსტში ვერ მოხვდა.

შემოდასახელებული ლექსებიდან ორი ლექსი ეკუთვნის პოეტ-მწიგნობარს გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს (1774—1837). ისინი ჩვენ გამოვაქვეყნეთ კიდევაც<sup>4</sup>.

ცნობილია, რომ ბესიკის თხზულებათა პირველი კრებული ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა 1885 წელს. ბესიკის სახელთან დაკავშირებულ მთელი რიგი ლექსები მხოლოდ ამ გამოცემით იყო ცნობილი, მათი კვალი ხელნაწერებში ვერ დაიძებნა. რა თქმა უნდა, რაიმე მონაცემების გარეშე აღნიშნული ლექსების უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. ამიტომ აკადემიურ გამოცემაში ისინიც მართებულად სადავო ლექსებს შორის აღმოჩნდნენ. გამოცემლები აღნიშნავენ: „კვლავ სადავო რიგში ვტოვებთ ჭიჭინაძისეული გამოცემის იმ ლექსებსაც, რომელთა ნაკვალევი ჭერჯერობით ხელნაწერებში არ ჩანსო“<sup>5</sup>. ასეთია სულ ხუთი ლექსი: „პირ ზამბახნი“, „დილას მთიებს“, „შევკრთი, როს ენახე“, „უწყლავსა ქირსა“ და „რხევით ნაზო“.

ჭიჭინაძისეული გამოცემის ლექსებიდან „პირ ზამბახნის“ ავტორია ცნობილი პოეტი დიმიტრი თუმანიშვილი (გარდ. 1821), რომლის ლექსი „ახლო აღნაგ სულოდა“ თავის დროზე სიმღერად იყო ქცეული და ა. ს. პუშკინმა შეიტანა თავის „მოგზაურობა არზრუმში“. „პირ ზამბახნი“ გვჩვენება ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელნაწერში და ლექსს წარწერილი აქვს მისი ავტორის ვინაობა: „დიმიტრი დივინსაგან თქმული“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 125—126.

<sup>2</sup> S 1512, ფ. 285v—286v.

<sup>3</sup> ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედ., 1962, გვ. 223.

<sup>4</sup> გ. მიქაძე, გიორგი თუმანიშვილი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებ. I, 1962, გვ. 60 და 62.

<sup>5</sup> ბესიკი, თხზ. სრ. კრებული, 1962, გვ. 223.

<sup>6</sup> S 2519, ფ. 10v.

მეორე ლექსი — „დილას მთიებს“ ეკუთვნის პ. ლარაძეს. ეს ლექსიც შეტანილია დავით რექტორის ზემოთ დასახელებულ ანთოლოგიაში<sup>7</sup>.

დასასრულ, ლექსი „უწყლავსა ჳირსა“ ალექსანდრე ჳავჳავაძისაა და სპართლიანად დაბეჳდილია კიდევაც მის ლექსთა კრებულში<sup>8</sup>. სადავო განყოფილებაში გამოჳვეყნებული ტექსტი სხვა რედაქციას შეიცავს.

ამრიგად, ბესიკის 11 სადავო ლექსიდან 7 ლექსის ავტორი გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს და ამიერიდან ის ლექსები ამოღებულ უნდა იჳნეს სადავო განყოფილებიდან. გადასაწყვეტია ახლა დანარჩენი ოთხი ლექსის ბედი.

### ეგნატე თუმანიშვილი

თუმანიშვილების გამოჩენას საქართველოში XIV საუკუნიდან ვარაუდობენ, ხოლო მათ დაწინაურებას სამეფო კარზე მდივნებად მიიჩნევენ არა უგვიანეს XV საუკუნისა. ამის შემდგომ თუმანიშვილები ხანგრძლივად იყვნენ სამეფო კარის მდივნები, რამაც განაპირობა მათი საგვარეულო საქმიანობა — კალმოსნობა. ავთანდილ თუმანიშვილი ერთგან აღნიშნავს, რომ „მსახურებაჲ ჩუჳნნი შედგმულ იყო კალამსა შინაო“<sup>9</sup>. საბუთებთან, სიგელ-გუჳრებთან და წიგნებთან მუდმივმა ურთიერთობამ მათ გაუღვიძა ლიტერატურული მისწრაფებანი, რომლებსაც ისინი გამოხატავდნენ სხვადასხვა სახით. ყოველ თავისუფალ დროს ისინი ანდომებდნენ ლიტერატურულ საქმიანობას — უმეტესად და უფრო ხშირად თავის სულიერ მოთხოვნებს იკმაყოფილებდნენ ჳირადი წიგნთსაცავეების გასაქმდირებლად სხვადასხვა სახის თხზულების გადანუსხვა-გადანუსხვით და, უკეთეს შემთხვევაში, თუ დაჳილდობებული იყვნენ ნიჳით. წერდნენ ლექსებს და, საერთოდ, მხატვრულ ნაწარმოებებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ჳართულ მწერლობაში მრავლად ვხვდებით ამ საგვარეულოდან გამოსულ მწერალთა და მწიგნობარ-კალიგრაფთა სახელებს.

ეგნატე (ეგნატი) ბაინდურის ძე (ბაადურის ძე) თუმანიშვილი დაიბადა 1746 წლის 15 ივლისს<sup>10</sup>. თუმანიშვილების ოჯახი ალა-მაჳმად-ხანის 1795 წლის შემოსევის უშუალო მოწამე იყო. ჳართლის ამ აოხრების დროს აწიოკებული იჳნა ეგნატეს სახლკარიც — მტერმა გაიტაცა ეგნატეს ჳონება და მისი სასლიცეცხლს მისცა. სწორედ ამ დროს დაიღუჳა ეგნატეს მიერ წლების განმავლობაში შეგროვებული ძველი ჳართული ხელნაწერებისა და ნაბეჳდი წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი.

ეგნატე თუმანიშვილი ჳერ ერეკლე II-ის, ხოლო შემდეგ გაორგი XII-ის მდივანი და მდივანბეგი იყო<sup>11</sup>. ის ეწეოდა მრავალმხრივ სახელმწიფო მოღვაწეობას. ეგნატე უახლოეს კაცად ითვლებოდა საქართველოს მეფეების კარზე და, როგორც პროგრესულად მოაზროვნე და მოწინავე ადამიანი, დიდ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს. ერეკლეს კარზე ეგნატე თავიდანვე მომხრე იყო რუსეთის ორიენტაციისა. როგორც რუსეთის მომხ-

<sup>7</sup> S 1512, ფ. 284.

<sup>8</sup> აღ. ჳავჳავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედ., 1940, გვ. 26.

<sup>9</sup> H 217', ფ. 3

<sup>10</sup> H 395, ფ. 229r.

<sup>11</sup> АКТЫ, т. I, გვ. 101.

რე, სოლომონ ლიონიძეს ხმალზე უნდა აეგო ეგნატე<sup>12</sup>. ის მონაწილეობდა რუსეთიდან საქართველოს ელჩების გამოგზავნილი წერილების განხილვაში<sup>13</sup>.

ე. თუმანიშვილი დიდი გავლენითა და ძალაუფლებით სარგებლობდა. ვიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1800 წელს, გენერალ-მაიორი ლაზარევი იულონ, ვახტანგ, შირიან და ფარნაოზ ბატონიშვილებს სწერდა, რომ ამიერიდან „ყველა ბრძანება ხელმოწერილი და ბეჭედდასმული იქნება მისი უგანათლებულესობის იოანე ბატონიშვილის, ეგნატე მდივნისა და ჩემ მიერა“<sup>14</sup>.

1801 წ. ეგნატე შეიყვანეს საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში<sup>15</sup>; არჩეული იქნა სამოქალაქო მმართველობის წევრად<sup>16</sup>. ამ დროს შედგენილ სიაში ე. თუმანიშვილი დასახელებულია როგორც მეფის რუსეთის მთავრობის ერთგული პიროვნება<sup>17</sup>. ეგნატეს მეფის რუსეთის მთავრობისადმი თავდადებულად ასახელებს აგრეთვე გენერალ-მაიორი ლაზარევი კნორინგისადმი ამავე წელს გაგზავნილ ცნობაში<sup>18</sup>. დავით ბატონიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს ეგნატე თუმანიშვილის ამ პერიოდის მოღვაწეობას:

ეგნატე ქეშიში, ალა ხუტრისა,  
მინისტრია და ვეზირი ნუტრისა,  
ყამი არა აქეს ინისა და პუტრისა,  
ქაზრაილს რას უზამს ცაეი და ჩორი.  
რა იქნება ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,  
სტეჰკა ბეჟან თუ არის ორატორი<sup>19</sup>.

მეორე ლექსშიც „ქართველებზე მუხამბაზი“ დავითი ჰკიცხავს ეგნატეს (H 2130).

1802 წელს რუსეთის მეფის მთავრობამ ეგნატეს მიანიჭა კოლეჯსკი სოვეტნიკის ჩინი და პენსიად დაუნიშნა „სამოცდაათი თუმანი ვერცხლის ფული“<sup>20</sup>.

1812 წ. ე. თუმანიშვილს თხოვნა შეუტანია მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებისათვის მისი პენსიის დანიშვნის შესახებ, რაზეც უარი ეთქვა<sup>21</sup>.

ე. თუმანიშვილი დასნეულდა წყალმანკით, რის გამოც შვილებს თბილისიდან წაუყვანიათ მის სოფელში — ხევთუბანს (ახლანდელი ხელთუბანი, გორიდან 6 კილომეტრითაა დაშორებული). ამ სნეულებით მან იცოცხლა სამ წელიწადს და გარდაიცვალა 1820 წლის 21 მარტს გათენებისას<sup>22</sup>. დღემდე დაცულია ზეთის საღებავებით შესრულებული ეგნატეს დიდი პორტრეტი.

ეგნატეს ჰყავდა ხუთი შვილი: გიორგი, იესე, დავითი, ანა და ელისაბედი. თუმანიშვილთა დღემდე მოღწეული გენეალოგიური სქემებისა და სხვა ცნობების მიხედვით შესაძლებელი გახდა ზედმიწევნით დაგვედგინა ეგნატე თუმანიშვილისა და მისი მემკვიდრეების გენეალოგია, რომელიც შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

<sup>12</sup> Н. Дубровин, Георгий XII, 1897, გვ. 227.

<sup>13</sup> Акты, т. II.

<sup>14</sup> იქვე, ტ. I, გვ. 198.

<sup>15</sup> H 391, ფ. 55, v; Акт, т. I, გვ. 424, 425, 448.

<sup>16</sup> Акт, т. I, გვ. 13; Потто, Утверждение..., ტ. XII, გვ. 34; პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 233.

<sup>17</sup> S 1657, ფ. 2v.

<sup>18</sup> Акт, т. I, გვ. 324—325.

<sup>19</sup> ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II, 1928, გვ. 281.

<sup>20</sup> H 395, ფ. 6r.


<sup>21</sup> Акты, т. I, გვ. 13—14.

<sup>22</sup> H 395, ფ. 6r.

მამუკა მღივანი (XV საუკ. დასასრული)

ბაღურ (ბაინდურ)

ევნატე (1746—1820)



განათლებულსა და მწიგნობარ მამას შვილებიც შესაფერისად აღუზრდა: ელისაბედის გარდა ყველა კალიგრაფ-მწიგნობარი იყო. ელისაბედ თუმანი-შვილი, რომელიც 1789 წლის 11 მაისს დაბადებულა, ადრე გარდაიცვალა. ალბათ, ნაადრევმა სიკვდილმა შეუშალა ხელი ელისაბედს, რომ მასაც თავისი დამებსავეთ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებზე ემუშავა. 1808 წელს ელისაბედს შესძენია ქალიშვილი სოფიო და მის მშობიარობაზე ავად გამხდარა, ოთხი თვის შემდეგ კი, 1809 წ. 20 იანვარს, გარდაიცვალა<sup>23</sup>. ქართულ საბუთებს შემოუნახავს ელისაბედის მზითვის სია...<sup>24</sup>

კალიგრაფიულ მოღვაწეობას ეწეოდა ეგნატეს ვაჟი იესე. იესე ეგნატეს ძე თუმანიშვილი დაიბადა 1777 წლის 1 ივნისს<sup>25</sup>. ის მსახურობდა რუსეთის არმიაში პრაპორშჩიკის ჩინით<sup>26</sup>. შეურთავს ბარბარე ქრისტეფორეს ასული ანანიევი (დაიბ. 1812 წ.)<sup>27</sup>.

იესე თუმანიშვილს დიდხანს უცხოვრია, როგორც ირკვევა ერთი ხელნაწერის მინაწერიდან: „ეს (ამბავი ერეკლე მეფეზე. — გ. მ.) მიანბო ღრმადმოხუცებულმან იასე ეგნატი მდივნის ძემ, თ[ავადმ]ა თუმანოვმაო“<sup>28</sup>. იესეს უცხოვრია 80 წელიწადზე მეტ ხანს, რადგან მისი გაგონილი ამბები ერეკლე II-ის შესახებ XIX საუკ. 60-იან წლებში ჩაუწერია დიმიტრი მეღვინეთუხუცესს<sup>29</sup>.

1808 წლის შემდეგ, რადგან ქალაქის კვირნიშანი ამ წლათა დათარიღებული, იესეს გადაუწერია „ქილილა და დამანა“ (H 387). 1811 წ. მას გადაუნუსხავს „ვისრამიანი“<sup>30</sup>. 1812 წ. იესეს გადაუწერია იოანე ქართველიშვილის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი დელაპორტის „ქართლისა და იმერეთის აღწერა“ (H 400).

იესე თუმანიშვილს ჰყავდა სამი შვილი — ეგნატე<sup>31</sup>, დავითი და მარაამი<sup>32</sup>. დავით იესეს ძე თუმანიშვილს 1854 წელს გადაუნუსხავს ხელნაწერი კრებული (H 187). ამავე წელს გადაუწერია „ქალეაიანი“<sup>33</sup>. 1862 წ. ქ. ნუხაში გადაწერა „დაუჯდომელი — იბაკონი“<sup>34</sup>.

ეგნატეს დანარჩენი შვილები — გიორგი, დავით და ანა თუმანიშვილები საკმაოდ ცნობილი პირებია, ამიტომ მათზე სიტყვას აღარ გაეაგრძელებთ.

ისტორიკოს პლ. იოსელიანის თქმით, ეგნატე თუმანიშვილი იყო „კაცო გონიერი და მწერალი და მწიგნობარი“<sup>35</sup>. ჩვენამდე მოაღწია ეგნატეს მიერ

23 H 395, ფ. 229v.

24 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 396.

25 II 395, ფ. 229r.

26 H 400, ფ. 27r.

27 H 395, ფ. 229v.

28 II 2494, ფ. 11r.

29 A 1254, ფ. 9r.

30 მ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი [მხ. თუმანიშვილი], სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), 1938, გვ. 169, შენ. 3.

31 H 389, თავფურცლის წარწერა.

32 თავადის იესე ეგნატის ძე თუმანოვის ასულის მარაამის მზითვის წაგნი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 531.

33 მ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 171.

34 გორის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, № 853.

35 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 255.

1770 წელს გადაწერილმა ოთხთაემა (H 395). მისი ერთ-ერთი ლექსი შეტანილი ყოფილა ასლან ხურდაყულიშვილისეულ ლექსთა კრებულში<sup>36</sup>.

გრიგოლ ბაგრატიონის შედგენილ ხელნაწერ კრებულში შეტანილია უცნობი ავტორების ლექსები, რომელთა შესახებ გრიგოლი წერს: „სხუადასხუანი იამბიკონი, ვერ ვსცან ვისი თქმულიაო“. როგორც ირკვევა, აღნიშნული ლექსებიდან ორი იამბიკო ეგნატე თუმანიშვილს ეკუთვნის. პირველ იამბიკოში გვაქვს კიდურწერილობა: „მზესა ქეთევანს — ეგნატი“ ლექსი მიძღვნილია იოანე ბაგრატიონის მეუღლისადმი — ქეთევან ზურაბის ასულ წერეთლისადმი (1773—1823). აი ეს იამბიკო:

მზადმან არსთამან, თვით არეისგან ბაღულმან,  
ზესთაეე მყოფმან მყოფსა საუკუნოსა,  
ერთმან და მან ერთმან და ერთმან უიგიომან,  
სამება ღმერთმან, არსებ-ბუნებით ერთმან,  
აღგაღგანა შენ ჩემდამო განმანათად.

ქრისტეს სახეად პირველ ადამის საქმე,  
ენება რა მას თან მწედ შეწეენა მისი,  
თავთაგან არა, გვერდთაგან ღებით სწორებით,  
ეგრეთეე ქრისტეს გვერთთაგანეე შენებად,  
ვსცანთ ეკლესია სძალად ქრისტეს სიძისა.

ანუ მოსრულმან კანას სვიმონ მოშერნისს,  
სადა ეინ ღეინოდ წყალი შესცვალა ყოვლად,  
ეგრეთ კურთხევა მრჩობლი მასცა ქორწილსა,  
ნატრი სრულქმნილსა გეარსა შორის პირველსა,  
იღლებ გუარსა მზისგან მზედ ფუცებულსა<sup>37</sup>.

მეორე იამბიკოც მიძღვნილი უნდა იყოს ქეთევანისადმი. მესამე სტროფის კიდურწერილობაში იკითხება ავტორის სახელი:

აჰა, ადაესე სასძლო სრავი სამეთო.  
რომელ ელოდა მზისაგან განათლებასა,  
ეისა გასხეედენ ინდაღმაით სასძლოსა  
გონებანი და იდიანი კეთილნი  
და აღსრულდაცა იჯავით სახარება.

სული სიტყვითა გულისწყრომისა ძალით,  
მასთან ნებება გაგულისთქმებული,  
სილენასა უყინ გელოდენ ყოფად სეიანს  
და აწ განათლდა შეწყნარებით შენით,  
ესრეთ შეთსზული უკედავად არს ცნობილი.

ერთ კეთილობით მიზხედემან კეთალმან,  
განგუმინდა პირველ ყოველთა გამწმენდელმან,  
ნეთუ ახალ ყოფს იერემიას ზედას,  
არსებას სიტყვითს, განუკრელსა ბუნებას,  
ტვიფრო პირველო, ბაგრატიონთ შორის ის<sup>38</sup>.

<sup>36</sup> სასოებაძე [გ. სამაგლიშვილი], სახელგანთქმული ქართველთ მოძღვრალი — მეორე ასლან ხურდაყულიშვილი, „ივერია“, 1904, № 124.

<sup>37</sup> H 2130, ფ. 12v.

<sup>38</sup> H 2130, ფ. 13r.

ეგნატე თუმანიშვილის ახლად მიკვლეულ ლექსებში დაცულია იამბიკობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნაწინები: სტროფში ხუთი ტაეპი, ტაეპში 12 მარცვალი (ცეზურით ხუთი ან შეიდი მარცვლის შემდეგ) და ურით-მობა. ეგნატეს იამბიკობებში მოცემულია აგრეთვე ძველად გავრცელებული კიდურწერილობა. როგორც ჩანს, ის კარგად იცნობდა სასულიერო პოეზიას და ცდილობდა ვერსიფიკაციაში ძველი ტრადიციების დაცვას.

### პალინდრომი

აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომელთა წაკითხვა შეიძლება ორივე მხრიდან, ჩვეულებრივად, მარცხნიდან მარჯვნივ. და პირუკუ — მარჯვნიდან მარცხნივ. „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს თარიღიან ხელნაწერზე მიწერილია შემდეგი სახის ლექსი:

ისანათა საერაძას სამარეას ათანასი,  
ისანათა ნამან სამას მეფემ ნამან<sup>39</sup> ათანასი,  
ისანათა<sup>40</sup> ერამარე დასათასად ათანასი,  
ისანათა იშაპაწი ერამარე ათანასი<sup>41</sup>.

ასეთივე ლექსი დაუწერია სვიმონ კობაქეს:

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს, სრა აღიმწ, სრა აღიმწ, სრა აღიმწ,  
წმინდა არს ჩემი უფალი, ილაფუ იმეჩ სრა აღიმწ...<sup>42</sup>

მსგავსი ლექსი დაუწერია აგრეთვე იაკობ შემოქმედელს (ღუმბაძეს):

სამი ილოცე ოსანა ანასო ეცილი იმას,  
სამასი რამათ ეღემი იმეღე თამარ ისამას...<sup>43</sup>

ასეთივე ლექსი შეუთხზავს ონანა მდივანს (ქობულაშვილს):

ესერა მსურის სიმდაბლე ელბადმის სირუსმ არესე,  
ესერა ბარსა მომხადა აღახმომ ასრიბ არესე...<sup>44</sup>

მოყვანილი ლექსის სახეობისთვის მიუმართავს ვახტანგ VI-საც:

აბანა ერსა მოშიშთა, ათშიშომ ასრე ანაბა,  
აბანა დარად იღება, აბედი დარად ანაბა...<sup>45</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ მზეხათუნისეული ხელნაწერის თავისუფალ გვერდზე მიწერილია ერთი სტრიქონი, რომელიც წაღმა-უკუღმა იკითხება: „ატაკ ილე-თიწ. წითელი კატა“<sup>46</sup>.

39 ხელნაწ.: რაარ.

40 ხელნაწ.: ასინათა.

41 H 599, გვ. 29.

42 A 1735, ფ. 122r; H 153, გვ. 210—211.

43 A 1735, ფ. 122v.

44 დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართული მწერლები რუსეთში (XVII ს.), წ. I, თბილისი-ქუთაისი, 1958, გვ. 27.

45 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარაბქძის რედ. და შენიშვნებით, 1947, გვ. 65.

46 W 17, ფ. 72v.

XIX საუკუნის 40-იან წლებში თეიმურაზ აგიაშვილს გადაუწერია ხელნაწერი კრებული „მრავალმეტყველი“, რომელშიც შეტანილია უცნობი ავტორების პალინდრომები<sup>47</sup>: 1. ესე ვისი სანადირო ორი დანას ისივ ესე; 2. ესაია ანანია აი ნანა აი ასე<sup>48</sup>; 3. იმატა ასვათ ასეთი ითესა თავსა ატამი. სხვა ნიმუშები ძველი ქართული პოეზიიდან ჩვენთვის უცნობია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოყვანილი ლექსების ყოველი ტაეპის უკულმა წაკითხვით ისევ იმავე ტაეპს მივიღებთ, რაც წალმა წაკითხვის დროს. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ყოველი ტაეპი გაყოფილია შუაზე და მისი მეორე ნახევრის შებრუნებულად წაკითხვა გვაძლევს ისეთივე შინაარსის ფრაზას, როგორც პირველ ნახევარშია. ასეთ ლექსებს ძველ ქართულ ხელნაწერებში „წ ა ლ მ ა - უ კ უ ლ მ ა წ ა ს ა კ ი თ ხ ა ვ ი“ ლექსი ერქვა<sup>49</sup>. ონანა მღივანი კი მას შუამბრუნებულ ლექსს უწოდებს: „ერთი შუამბრუნებულ ლექსი იქით პირზედ დამიწერიაო“ და იქვე დასძენს: „ვითარმედ ჩაიკიჟხოთ, ესრეთ ამოიკითხეთო“<sup>50</sup>.

მოყვანილ ლექსებში მოცემულია სიტყვების უშინაარსო თამაში. მათში სიტყვები შერჩეულია არა რაიმე გარკვეული მხატვრული მიზნისთვის, არამედ წმინდა გარეგნული მონაცემებისთვის, რასაც მიეყვართ ლექსის ფორმალისტურ აგებულებასთან. ამ ლექსებში ჭირს რაიმე აზრის ამოკითხვა, ისინი ბუნდოვანია. ასეთი ლექსები წარმოადგენდა უფრო ახალ ფორმათა ძიებით გატაცებას. ამიტომ ისინი უმეტესად პოეტური ვარჯიშის შედეგად იყო მიღებული. რა თქმა უნდა, ასეთ ლექსებს ქეშმარიტ პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს. ისინი მოკლებულია ქეშმარიტი პოეზიის იდეურ მხატვრულობას. ამიტომ არის, რომ ასეთი სალექსო ფორმით რაიმე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები არ შექმნილა. აღნიშნული სახის ლექსები მოკლებულა იყო საზოგადოებრივ ღირებულებას. ამასთან, ასეთი ლექსებით გატაცებული იყო ლიტერატურული საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილი.

წალმა-უკულმა წასაკითხი ლექსები ცნობილია შორეული წარსულიდან. მართალია გავრცელებულია აღმოსავლურ სამყაროში, მაგრამ ის უცნობი არ იყო ძველბერძნული პოეზიისთვისაც. ასეთ ლექსებს პალინდრომი ეწოდება. პ ა ლ ი ნ დ რ ო მ ი ან პ ა ლ ი ნ დ რ ო მ ო ნ ი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან *palindrome*-მ, რაც ნიშნავს: უკან გავრბივარ. პალინდრომი ეწოდება ისეთ სიტყვას. ფრაზას ან ლექსს, რომელიც ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება და გვაძლევს ერთსა და იმავე აზრს. მაგალითად, ცნობილმა რუსმა პოეტმა გ. დერჟავინმა (1743—1816) დაწერა შემდეგი პალინდრომი: Я пишу с мечом судия. რომელშიც პოეტმა მოხდენილად გადმოგვცა მრისხანე მოსამართლის სახე: როგორც არ უნდა შევხედოთ მას, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან, ის ყოველთვის მახვილით მოდის.

პალინდრომი გვხვდება ძველ რუსულ მწერლობაშიც, სადაც მას ეწოდება „*пакн*“. „*перевертун*“. ლექსის ამ სახეობამ თავი იჩინა XIX და XX საუკუნეების რუსულ ლიტერატურაშიც (დერჟავინი, ხლებნიკოვი, ბრიუსოვი და სხვ.).

47 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 11, 1964, გვ. 210.

48 ხელნ.წერშია: აი ასე აი ნანა.

49 A 1735. ფ. 122v.

50 დ. ბ რ ე გ ა ძ ე. დასახ. წიგნი, გვ. 27; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 11, 1964, გვ. 210.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში მოყვანილი სახეობის ლექსი დაწერილი აქვს გალაკტიონ ტაბიძეს:

აი, რა მზის სიზმარია,  
აირევი, ივერია...  
აი დროშა, ამორდია,  
აერების სიბერეანი.

გ. ტაბიძის ლექსს დ. კობიძე „ჩარხებრ მბრუნავი ლექსის“ სახეობად თვლის. მკვლევრის სიტყვით, აღმოსავლურსა და კერძოდ სპარსულ პოეზიაში ჩარხებრ მბრუნავი ლექსები არსებობს. ქართველ პოეტებს სალექსო ფორმების ეს სახეობა სპარსულიდან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“. ამასთან, ამ ლექსებს „გარკვეული დანიშნულება ჰქონდა; იგი, როგორც ჩანს, გამოყენებულა იყო სალექსო საზომებისა და რიტმის შესასწავლად, აღებული საზომის ყველა ვარიანტის შესათვისებლად“.

მკვლევრის მოსაზრებით, „გ. ტაბიძის შემოქმედებაში აღმოსავლური ელემენტები შეჭრილია ძველი ქართული პოეზიიდან, რომელსაც ჩვენი სასიქადულო პოეტი კარგად იცნობდა. მის ლექსებს შორის «ჩარხებრ მბრუნავი ლექსის» არსებობა, შეიძლება ითქვას, რომ დიდი პოეტის მიერ ძველი, მივიწყებული სალექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენს“<sup>52</sup>.

მკვლევრის დასკვნებს ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი — მოყვანილი ნიმუშები არ არის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“. როგორც ვნახეთ, ის სულ სხვა ლექსის სახეობაა. ამიტომ ამ ლექსის ფუნქციებიც სულ სხვაა. ის არ არის დაკავშირებული ლექსის ზომების აღნიშვნასთან, მათი ვარიაციების ჩვენებასთან. გ. ტაბიძის შემოქმედებაშიც აღნიშნული ლექსი არ უნდა წარმოადგენდეს ძველი ქართული მწერლობის „მივიწყებული სალექსო ფორმის გახსენებას“. გალაკტიონის მიერ მოყვანილი ლექსის შეთხზვა სხვა ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული.

პალინდრომი გალაკტიონის შემოქმედებაში რუსული მწერლობიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს ლექსი ძველ ქართულ მწერლობაში არ იყო გავრცელებული. როგორც ზემოთ ვნახეთ, ცნობილია სულ რამდენიმე ნიმუში, თანაც ისინი ხელნაწერებშია დაცული. პალინდრომის ქართული ნიმუშები გალაკტიონის ლექსის დაბეჭდვამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და არც რაიმე საბუთი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მათ პოეტი ხელნაწერებში გაეცნო. ამიტომ, საეჭვოა, რომ გ. ტაბიძის შემოქმედებაში (1927 წელს) ამ ლექსის არსებობა ქართული პოეზიის „ძველი, მივიწყებული სალექსო ფორმის გახსენებას წარმოადგენდეს“. და თუ გალაკტიონმა მიმართა ამ სალექსო ფორმას, მხოლოდ როგორც სავარჯიშო და გასართობ საშუალებას<sup>53</sup>.


51 გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1966, გვ. 239.

52 დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, 1969, გვ. 273, შტრ. 277.

53 გ. მიქაძე, ერთი ლექსის სახეობისათვის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXX სამეცნ. სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1970, გვ. 7.

## მარიამ დედოფლისაული ოლარი

საქართველოს ტელევიზიის კინოექსპედიცია (კინორეჟისორი გ. პატარაია, კინოოპერატორი ირ. თნოფრიშვილი, ჟურნალისტი ლ. ბოკერია და ჯგუფის კონსულტანტი პ.ოფ. შ. თოდუა) 1969 წლის სექტემბერ-ნოემბერში გადაღებებზე გაემგზავრა ირანის ისტორიულ ადგილებში. სხვათა შორის, მათ გადაიღეს ჯულფის სომხურ ეკლესიაში განთავსებული მაღალი ხელოვნებით შესრულებული ოლარი<sup>54</sup>. აღნიშნული ოლარი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასზე ქართული მრგლოვანი ასოებით ამოქარგულია დღემდე უცნობი წარწერა. წარწერა შესრულებულია თხზული დამწერლობით. ამ წარწერის მიხედვით ეკეზიუტანლად დგინდება ოლარის წარმოშობა და მისი დამსაღების დრო.



ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: „ეჰა ყდ.: ძლიერო იჴ.: ქჴე ძეო.: ღთსაო.: მოიქსენე // ორსავე.: ცხორებასა შინა.: დედოფლი.: ბრამი აჴნ“. ქარავმის განსნას შემდეგ: „ეჰა, ყოვლად ძლიერო იესუ ქრისტე, ღეა ღვთისაო. მოიქსენე // ორსავე ცხორებასა შინა დედოფალი მარიამი, ამინ:“

წარწერაში მოხსენიებული მარიამ დედოფალი არის შანუჩარ დადიანის ასული, ლევან II დადიანის და. 1621 წელს ლევანმა ის მიათხოვა სვიმონ გურიელს. რონელსაც 1625 წ. უკანვე წაართვა, როგორც მისი მტრის, იმერეთის მეფის გიორგის, შომსრეს. ქართლში როსტომის გამეფების (1633--1658) შემდეგ, პოლიტიკური მოსაზრებით, 1634 წელს მარიამი ლევანმა იძულებით მოხუც როსტომს მიათხოვა როსტომ მეფის გარდაცვალებას (გარდ. 1658 წ.) შემდეგ კი სპარსეთის შაჰმა როსტომის მიერ ნაშვილებ ვახტანგ V შაჰნავაზს (1658--1675) უბრძანა, რომ მარიამი შეერთო. ვახტანგს ცოლად ჰყავდა ასული ყაფლანისა როდამ, მაგრამ „ვერღარა ური ექმნა ყაენსა და არღარა ღონე ჰქონ-

<sup>54</sup> ოლარი არის მღვდლისთვის ყელზე ჩამოსაცმელი ოჭრომკედით ნაჭარგი ქსოვილი.

და: შეირთო მარიამ დედოფალი... და ესუა ორივე ცოლად<sup>55</sup>. მარიამი გარდაიცვალა 1683 წელს<sup>56</sup>.

მარიამი მეტად ლამაზი ქალი იყო. მის სილამაზე-სამშვენიერეზე ერთხმად მიუთითებენ იმდროინდელი პოეტები. მაგალითად, ფეშანგი ხითარაშვილი „შაჰნავაზიანში“, ნოდარ ციციშვილი „ბარამგურიანში“, უცნობი პოეტი ერთ-ერთ სამდივნო წიგნში მოთავსებულ ლექსში და სხვ.

მარიამ დედოფალი დიდი სიყვარულითა და პატივით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. „ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოველთურთ შემკული კეთილითა...<sup>57</sup>.

ასეთი დიდი ყურადღება და პატივი მარიამმა დაიმსახურა იმიტომ, რომ ის იყო ქრისტიანობის მოყვარული. ეკლესია-მონასტრების განმაახლებელი და გამამდიდრებელი. განსაკუთრებით მხრუნველობას იჩენდა მარიამი გამაჰმადიანებული მეფეების დროს, რადგან სწორედ მისი შეუღლის როსტომის მეფობისას „შიღრცა ქუეყანა ქართლისა სწავლისაგან სამღთოთა წერილთასა“<sup>58</sup>.

მარიამი ეწეოდა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწიგნობრო საქმიანობას. მართო ის რად ღირს, რომ 1633—1646 წლებში მან დაამზადებინა „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხა (S 30), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მარიამ დედოფლისეულა ვარიანტის სახელწოდებით.

მარიამი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას და საეკლესიო ხელნაწერების გამოსყიდვასა და განახლებას. ასე მაგალითად, 1668 წელს მარიამმა განაახლა ურბნისის ტაძარი. მასვე განუახლებია და შეუმკვია რუისის ტაძარიც. მარიამ დედოფალმა ტყვეობიდან დაიხსნა მრავალი საყურადღებო ხელნაწერი, მათ შორის: ტბეთის სახარება (Q 929), პარხლის მრავალთავი (A 95), სვეტიცხოვლას ჟამნი (A 84) და სხვ.

ისტორიკოსის ცნობით, „დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჭურითა და წირვის იარაღითა. ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა“<sup>59</sup>. სწორედ ასევე ქართული ეკლესიისთვის უნდა შეეწირა მარიამს ის ოლარიც, რომელიც დროთა ვითარებაში, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, აღმოჩნდა ჯულფის სომხურ ეკლესიაში და ამშვენებს იქაური გამოფენის სტენდს.

#### ანაკრეონტიანური ლექსი

ძველ ბერძნულ პოეზიაში ცნობილი იყო VI საუკუნის პოეტი ანაკრეონტეოსელი. მისი სიმღერების ძირითადი თემაა ღვინო და სიყვარული. ანაკრეონტის ლექსების პარამონიულობა და მხატვრული სახეები ყოველთვის ხიბლავდა მკითხველს. ამიტომ ანაკრეონტს ადრევე გაუჩნდა მიმზაჰქელები, რომლებიც თხზავდნენ სანადიმო და სატრფიალო გასართობ ლექსებს და ანაკრეონტის სახელით ავრცელებდნენ. მათ „ანაკრეონტისეზურნი“ (Anacreontea)

55 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 435.

56 ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის რედ., 1935, გვ. LVII, შენ. 2.

57 ქართლის ცხოვრება, გვ. 441.

58 იქვე.

59 ქართლის ცხოვრება, გვ. 441.

ეწოდება. ჩვენამდე მოაღწია ასეთი ლექსების კრებულმა. დიდხანს აღნიშნულ ლექსებს ანაკრეონტის ნამდვილ თხზულებებად თვლიდნენ<sup>60</sup>.

ანაკრეონტისებური სიმღერების კრებულის ერთ-ერთი ლექსი შემდეგი შინაარსისაა: „ერთხელ ეროსმა, ვარდს (რომ სწყვეტდა), ვერ შენიშნა იქ ჩამალული ფუტკარი; ფუტკარმა მას თითში უკბინა და ეროსმა მორთო ბლავილი. ის სწრაფად გაფრინდა მშვენიერ კვთერესთან (აფროდიტესთან) და უთხრა: «ვაიმე, დედა, ვაიმე, ვკვდები; პატარა ფრთოსანმა გველმა, რომელსაც მიწის მუშები ფუტკარს ეძახიან, მიკბინა». დედამ უპასუხა: «თუ ფუტკრის ნესტარი ასე მწარეა, როგორიღაა, ეროს, ის ტკივილები, რომელთაც შენ [აღამიანებს] აყენებ?»<sup>61</sup>.

მოყვანილი ლექსი ფართოდ გავრცელდა ევროპელ და რუს მწერლებს შორის. ამ ლექსის თემა მრავალ მწერალს აქვს ნათარგმნი და დამუშავებული. ქართულ ხელნაწერებშიც აღმოჩნდა „ლექსნი ანაკრეონტისნი“<sup>62</sup>, რომელიც პირველად გამოაქვეყნა პ. მირიანაშვილმა<sup>63</sup>. ხელნაწერში მთარგმნელის ვინაობა აღნიშნული არ არის. იგივე ლექსი, სათაურით „ანაკრეონტისნი“ სხვა ხელნაწერის მიხედვით<sup>64</sup> მეორედ დაბეჭდა ი. გრიშაშვილმა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში<sup>65</sup>. მკვლევარი აღნიშნავდა: „ჩვენ ეს ლექსი გვინდოდა თარგმანებში გადაგვეტანა, როგორც ეს ხელნაწერში იყო აღნიშნული, მაგრამ ვერ გავბედეთ, თვით სათაური ამტკიცებს, რომ იგი «ანაკრეონტისნი» (ანაკრეონტის მსგავსად დაწერილი) და არა თარგმნილიო“<sup>66</sup>. მისთვის უცნობი იყო პ. მირიანაშვილის პუბლიკაცია, რადგან საგანგებოდ მიუთითებს: „იბეჭდება პირველად“.

სიმ. ყაუხჩიშვილმა დაადგინა, რომ პ. მირიანაშვილის მიკვლეული ხელნაწერი „ალ. ჭავჭავაძის ხელითაა გადაწერილი“<sup>67</sup>, ე. ი. ხელნაწერი S 2483 ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფია. მკვლევრის თხოვნით აღნიშნული ხელნაწერი შემდეგში შეამოწმა ი. გრიშაშვილმაც, რომლის დასკვნითაც ის „ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფია. ახალგაზრდობაში გადაწერილი“<sup>68</sup>. ასეთია ამ ლექსის აღმოჩენისა და პუბლიკაციის ისტორია<sup>69</sup>.

როგორც ვხედავთ, ანაკრეონტისებური ლექსით ახალგაზრდობაში მონიბლულა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. საიდან უნდა ეთარგმნა პოეტს აღნიშნული ლექსი?

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, ალ. ჭავჭავაძის თარგმანი განსხვავდება ანაკრეონტისებურ ლექსთა კრებულში მოთავსებული ლექსისაგან, რადგან

<sup>60</sup> გ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1927, გვ. 298—306.

<sup>61</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1946, გვ. 188.

<sup>62</sup> S 2483, ფ. 2v.

<sup>63</sup> პ. მირიანაშვილი, ლექსნი ანაკრეონტისნი, „ივერია“, 1901, № 109.

<sup>64</sup> II 1103, ფ. 15v.

<sup>65</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940, გვ. 132.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>67</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 188.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 188, შენ. 2.

<sup>69</sup> მოყვანილი ცნობები S 2483 ხელნაწერის შესახებ გაუთვალისწინებელი დარჩა სპეციალურ ლიტერატურაში (მჯრ. მ. ქაეთარია, ალ. ჭავჭავაძის უცნობი ავტოგრაფები, აკად. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963, გვ. 46 და 54; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. III, 1963, გვ. 279).

ალ. ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს ზოგიერთი ისეთი გამოთქმა, რომელიც მასში არ გვხვდება. იგივე თემა დამუშავებული აქვს თეოკრიტეს XIX იდილიაში („თაფლის ქურდი“)<sup>70</sup>. თეოკრიტეს ლექსში გვხვდება ისეთი გამოთქმები, რომლებიც ალ. ჭავჭავაძესთან არის, მაგრამ ანაკრეონტიანურ ლექსს აკლია. ამასთან, თეოკრიტეს ლექსსაც აკლია ზოგიერთი გამოთქმა, რომელიც ალ. ჭავჭავაძის თარგმანშიც არის და ანაკრეონტიანურ ლექსშიც. მაშასადამე, ალ. ჭავჭავაძის ლექსი არც ანაკრეონტიანურისა და არც თეოკრიტეს ლექსის თარგმანია. მას ხელთ უნდა ჰქონოდა ანაკრეონტიანური ლექსის რომელიღაცა მესამე ვარიანტი. ასეთად მკვლევარს მიაჩნია ანაკრეონტიანური ლექსის ფრანგული თარგმანი, საიდანაც უნდა გადმოეღო პოეტს ქართულად. ალ. ჭავჭავაძეს რომ ეს ლექსი ფრანგულიდან გადმოუთარგმნია, ამაზე მიუთითებს ავტოგრაფის პირველ გვერდზე პოეტ იბაკოსის შემოკმედებასთან დაკავშირებით მიწერილი ფრანგული სიტყვა („bucolique“)<sup>71</sup>.

დ. გამეზარდაშვილის მოსაზრებით, ალ. ჭავჭავაძეს „ხელთ ჰქონებია ბერძნული ანაკრეონტული ლექსის ერთ-ერთი ფრანგული თარგმანი, რომელიც რიგ შემთხვევებში დაცილებული ყოფილა დედანს, რამაც გამოიწვია ქართული თარგმანის მცირეოდენი დაშორება ბერძნულ ანაკრეონტულ ლექსთან, მაგრამ ეს დაშორება ატყვიან არა ლექსის შინაარსობლივ მხარეს, არამედ ლექსიკურ შესატყვისობას“<sup>72</sup>.

ალ. ჭავჭავაძეს ანაკრეონტიანური ლექსი გადმოუთარგმნია XIX საუკუნის 10-იან წლებში. ამ დროს კი რუსულად არსებობდა დასახელებული ლექსის რამდენიმე თარგმანი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ქართველმა მთარგმნელმა გამოიყენა ერთ-ერთი რუსული თარგმანი.

ანაკრეონტიანური ლექსი რუსულად თარგმნა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლეოვმა (1751—1803)<sup>73</sup>. მისი თარგმანი შესრულებულია არქიეპისკოპოს ევგენის (ბულგარისის) პწკარედის მიხედვით<sup>74</sup>. ნ. ა. ლეოვი იყო რუსული ხალხური ლექსების ერთ-ერთი პირველი შემკრებთაგანი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი და არქიტექტორი. იგი იყო მეგობარი გ. რ. დერჟაეინისა, რომელსაც წარწერით აჩუქა თავისი თარგმნილი ანაკრეონტიანური ლექსების კრებული<sup>75</sup>.

ერთი წლის შემდეგ აღნიშნული ლექსი რუსულად თარგმნა ნიკოლოზ თევდორეს ძე ემინმა (1767—1814)<sup>76</sup>. აღნიშნული თარგმანი შესრულებულია ფრანგული თარგმანის მიხედვით, რაზეც მიუთითებს თუნდაც „კუპიდონისა“ და „ვენერას“ დასახელება (უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარე თარგმანებში მათ ნაცვლად გვხვდება: „ეროტი“ და „კიფერა“ // „კიპრიდა“).

<sup>70</sup> А. Тамбовский. Анакреонт, Первое полное собрание его сочинений в переводах русских писателей, СПб., 1896, гл. 137, ст. 5.

<sup>71</sup> ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 189, მენ. 1.

<sup>72</sup> დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1918, გვ. 121; მისივე, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 109—109.

<sup>73</sup> Стихотворения Анакреонта Тийского, Перевел \*\*\*\* \* [Н. А. Львов], кн. II, СПб., 1794, гл. 151.

<sup>74</sup> История русской литературы XVIII века, Библиографический указатель, составили В. П. Степанов и Ю. В. Степаник, Под ред. П. Н. Беркова, Л., 1968, № 5773.

<sup>75</sup> Вл. Лилин, Друзья мой—книги, М., 1966, гл. 41.

<sup>76</sup> Н. Ф. Эмлин, Подражания древним, 1795, гл. 31—34.

1801 წ. ანაკრეონტისებური ლექსი ბერძნულიდან რუსულად გადათარგმნა ივანე მარტინოვიჩმა<sup>77</sup>, ხოლო 1804 წ. ეს ლექსი უთარგმნია გაბრიელ დერჟავინსაჲ<sup>78</sup>.

ჩამოთვლილი რუსული თარგმანებიდან ალ. ჰავჭავაძის თარგმანი ახლოს არის ნ. ემინის თარგმანთან. მათი მსგავსება იმდენად შესამჩნევია, რომ უნდა ვიფიქროთ: ალ. ჰავჭავაძემ ფრანგულიდან გადმოიღო ანაკრეონტისებური ლექსი, მაგრამ თარგმნის დროს მას ხელთ ჰქონდა ნ. ემინის რუსული თარგმანი. ნ. ემინისა და ალ. ჰავჭავაძის ნათარგმნი ტექსტების მსგავსება-განსხვავება სწორედ ამით არის გამოწვეული.

ორივე თარგმანი ოც-ოცთაეპიანია. ორივე ლექსში დასახელებულია „კუპიდონი“ და „ვენერა“ (სხვა რუსულ თარგმანებში გვხვდება: ეროტი, ამური, კიპრიდა, ციტერეი...). საილუსტრაციოდ აქვე მოვიყვანთ აღნიშნულ თარგმანებში მსგავს ადგილს:

### ნ. ემინის თარგმანი

Кр. лаша маленька змея,  
Что пахарь пчелкой называет,  
Меня неспосно уязвляет,  
Погиб!—и умираю я!

### ალ. ჰავჭავაძის თარგმანი

ერთმა მცირემან, გველმან მფრინემან,  
ვის შეგუთნენი უხმობენ ფუტკრად,  
განმგმირა თვისით მანების ისრით,  
ჩემის სიცოცხლის, გლახ, შესამუსრად!

როდის თარგმნა ალ. ჰავჭავაძემ ანაკრეონტისებური ლექსი, არ ვიცით. ხელნაწერის ქალაქი დამზადებული ყოფილა 1808 წელს. „ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ [ხელნაწერში მოთავსებული] თარგმანები შესრულებულია XIX საუკუნის პირველ ათეულში“<sup>79</sup>.

<sup>77</sup> Анакреон и стихотворения, с присовокуплением краткого описания его жизни, Перевод с греческого Ив. Мартынова, СПб., 1801, გვ. 39. ი. მარტინოვიჩი: Е. Колбасин, Литературные деятели прежнего времени, СПб., 1859, გვ. 7—168.

<sup>78</sup> Анакреонтические песни Державина, Петроград, 1804, გვ. 73.

<sup>79</sup> მ. ქავთარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 54. სხვათა შორის, ანაკრეონტისებური ლექსები თარგმნეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა: დავით კასრაძემ *Candide*-ს ფსევდონიმით (1915—1916 წლების „საქართველოს“ სურათებიანი დამატებები) და პაულ ინგოროვიჩ *Asmis*-ის ფსევდონიმით („კავკასიონი“, 1924, № 3—4, გვ. 55).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ)

## კონსტანტინე ბრელაშვილი

## ერთი ახალი მიმდინარეობის შესახებ ენათმეცნიერებაში

ჩვენი მიზანია, დავახასიათოთ ახალი ლინგვისტური თეორია, რომელსაც ამუშავენ ლენინგრადის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სტრუქტურული ტიპოლოგიის განყოფილება. ახალიო, რომ ვამბობთ, ამით სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ის ცარიელ ნიადაგზე იყოს შექმნილი და არ გამოდიოდეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ რომელიმე სხვა თეორიიდან. რადგანაც ეს განყოფილება ეხათა ტიპოლოგიურ შესწავლას და შედარებას სინტაქსის დონეზე აწარმოებს, ამიტომ ამ თეორიას სინტაქსურ ტიპოლოგიასაც უწოდებენ. ლინგვისტური ტიპოლოგიის (სინტაქსური ტიპოლოგიის) ობიექტია, აღრიცხოს და აღწეროს ის ფორმალური საშუალებანი, რომლებიც გამოიყენება ერთი და იმავე აზრის (სიტუაციის) რეალიზაციისათვის სხვადასხვა ენაში.

აღნიშნულმა განყოფილებამ თავისი შრომების პირველი კრებული „Типология каузативных конструкций“ გამოსცა 1969 წელს; ეს კრებული უძღვნეს აკად. ა. შ. ნიძეს ლათინური წარწერით: *Charisteria Acacio Sanidze octogenario oblata*“.

ეს ფრიად საგულისხმო ფაქტია.

ამ თეორიის ძირითადი დებულებები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საერთოდ, სინტაქსური კონსტრუქციები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ამოსავალ, პირველად კონსტრუქციებად და მათგან ნაწარმოებ, მეორეულ კონსტრუქციებად. ამ ორი რიგის სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის არსებობს ორი ტიპის მიმართება: [1.] ტრანსფორმაციული მიმართება და [2.] დერივაციული მიმართება.

ყოველი სინტაქსური კონსტრუქცია — პირველადი თუ ნაწარმოები — შეიცავს ორ მხარეს: აზრობრივსა და ფორმალურს. აზრობრივი მხარე შედგება ორი კომპონენტისაგან: შინაგანი აზრობრივი სტატუსისა და გარეგანი აზრობრივი სტატუსისაგან.

როგორ გავიგოთ სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის ტრანსფორმაციული და დერივაციული მიმართება?

ტ რ ა ნ ს ფ ო რ მ ა ც ი უ ლ მიმართებას საფუძვლად უდევს გარეგანი აზრობრივი სტატუსის შეცვლა, ე. ი. აქ ისეთსავე მიმართებასთან გვაქვს საქმე სინტაქსურ კონსტრუქციებს შორის, როგორც მორფოლოგიის დონეზე სიტყვათცვლილებაში (რელაციური მიმართება სიტყვებს შორის).

დ ე რ ი ვ ა ც ი უ ლ მიმართებას საფუძვლად უდევს შინაგანი აზრობრივი სტატუსის შეცვლა, ე. ი. ამ უკანასკნელის შეცვლა იწვევს დერივაციულ

პროცესს, რაც მორფოლოგიის დონეზე შეიძლება შევეუდართო სიტყვათწარმოებას.

დერივაციის პროცესში აზრობრივი ცვლილება უნივერსალური ნებისმიერ ენაში, ხოლო ამ უნივერსალურის ფორმალურ საშუალებათა რეალიზაცია განსხვავებულია ენების მიხედვით.

ამგვარად, სტრუქტურული ტიპოლოგიის საყრდენი, ამოსავალი წერტილი არის აზრი, სიტუაცია, ხოლო მიზანია ამ აზრის ფორმალური მანიფესტაციის სტრუქტურული აღწერა. აზრია ამოსავალი იმიტომ, რომ ის ცნობილია, უნივერსალურია, ე. ი. ის ერთია ყველა ენისათვის.

უცნობია აზრის ფორმალური მანიფესტაცია. უფრო მეტიც, ის განუმეორებელია ენების მიხედვით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ ენათა ზოგადი უნივერსალური ნიშან-თვისებების შესახებ.

სტრუქტურული ტიპოლოგიის ამოცანაა, ენის ზოგადი თეორიის შექმნა და ენობრივი უნივერსალების გამოვლენა.

როგორც აღვნიშნეთ, ლენინგრადელები ცდილობენ ამ მიმართულებით მუშაობის საკუთარი გზა გამონახონ სრულიად უპრეტენზიოდ. მათი ინიციატივით 1970 წლის 25—28 მაისს ლენინგრადში ჩატარდა ამ თეორიით დაინტერესებულ სპეციალისტთა კონფერენცია, გარდა ლენინგრადელებისა, მონაწილეობდნენ მოსკოვიდან, თბილისიდან, ვილნიუსიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ენათმეცნიერები. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ ბერლინიდან და ბუდაპეშტიდანაც (როლანდ ლეჩი და ლასლო დევი).

ამჯერად მსჯელობის პრობლემა იყო ზოგადი ანუ უნივერსალური თეორიის განხილვა გვარის კატეგორიის შესახებ. გვარი, როგორც გრამატიკული კატეგორია, წარმოადგენს ძნელს და ჭერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელ პრობლემას. გვარის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც აკად. ვ. ვინოგრადოვი წერს, ეს კატეგორია მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის მიჯნაზე მდებარეობს.

გვარის ახალი თეორიის ავტორებმა თავიანთი მუშაობის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნეს ბროშურაში „გვარის კატეგორია“ და კონფერენციამდე რამდენიმე თვით ადრე დაუგზავნეს კონფერენციაზე მოწვეულ ამხანაგებს, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ. კონფერენციაზე გამოეთქვათ თავიანთი შესხედულება ამ თეორიის შესახებ. კონფერენცია გახსნა და გვარის თეორიის ძირითადი დებულებები გააცნო მონაწილეებს პროფ. ა. ხოლოდოვიჩმა.

რადგანაც ამ კონფერენციის ანგარიში ჭერ არსად არ დაბეჭდილა და ბროშურაც, სადაც გვარის თეორიის ძირითადი დებულებებია გამოქვეყნებული შესაბამისი ემპირული მასალით, მცირე ტირაჟით გამოქვეყნდა, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაინტერესებულ სპეციალისტებს მოკლედ გავაცნოთ გვარის კატეგორიის აღწერის ეს ახალი თეორია.

ამ თეორიის ავტორების (ა. ხოლოდოვიჩი, ე. ხრაკოვსკა) მიზანია ააგონ გვარის უნივერსალური, არაწინააღმდეგობრივი თეორია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ადექვატურად აღვწეროთ სხვადასხვაგვარი ემპირიული მასალა.

პროფ. ა. ხოლოდოვიჩისათვის გვარის თეორიის ცენტრალური ცნება არის შესატყვისობა. მისი აზრით, შესატყვისობა დგინდება, ერთი მხრივ, სემანტიკური სტრუქტურის ელემენტებსა და, მეორე მხრივ, წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ელემენტებს შორის, ე. ი. შესატყვისობა ორ

სიმრავლეს შორის — სიტუაციის მონაწილე სიმრავლესა (სემანტიკურ აქტანტებს) და წინადადების წევრთა სიმრავლეს (სინტაქსურ აქტანტებს) შორის. სემანტიკურ აქტანტებს შორის გამოიყოფა სუბიექტი, ობიექტი, ინსტრუმენტი, ადრესატი და სხვა. სინტაქსური აქტანტებია: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და სხვა.

სემანტიკურ და სინტაქსურ ერთეულთა შორის შესატყვისობათა სქემას ეწოდება დიათეზა. მაგალითად:

სუბიექტი	ობიექტი
ქვემდებარე	დამატება

აქედან გამომდინარე, პროფ. ა. ხოლოდოვიჩი იძლევა გვარის ასეთ განსაზღვრებას: „გვარი არის სინტაქსური და სემანტიკური დონეების ერთეულთა შესატყვისობების რეგულარული აღნიშვნა ზმნაში. უფრო მოკლედ — გვარი არის ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“.

ა. ხოლოდოვიჩის აზრით, თუ მოცემულია სიტუაციისა და წინადადებების წევრთა რაოდენობა, მაშინ შეიძლება გამოთვლილ იქნეს შესატყვისობათა სქემების რაოდენობაც საერთოდ: კერძოდ, ორაქტანტიან ზმნას შეიძლება ჰქონდეს შეიდი დიათეზა. ყოველ კონკრეტულ ენაში გვარების რეალური რიცხვი ნაკლებია დედუქციურად გამოანგარიშებულ რიცხვზე — არც ერთ ენაში არ არის რეალიზებული ყველა შესაძლებელი ფორმა.

ა. ხოლოდოვიჩის თეორიის თანაავტორია ამ ჯგუფის ახალგაზრდა წარმომადგენელი ე. ხრაკოვსკი. ე. ხრაკოვსკის მიხედვით, გვარის თეორიის საფუძვლად გამოცხადებულია დერივაციისა და შესატყვისობის პრინციპი. ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს წინადადების გამოხატულებას (სინტაქსის) და შინაარსის (სემანტიკის) პლანს. ამ ორი პლანის კომპონენტთა შესატყვისობების სქემებს ისიც უწოდებს დიათეზებს.

ამოსავალ დიათეზად მიჩნეულია ისეთი შესატყვისობა, სადაც ქვემდებარე აღნიშნავს სუბიექტს, პირდაპირი დამატება — ობიექტს, ირიბი დამატება — ადრესატს, ინსტრუმენტს და ა. შ.

სუბიექტი	ობიექტი
ქვემდებარე	დამატება

მაგ., „ხელოსანი აშენებს სახლს“.

ისეთ სინტაქსურ სტრუქტურებს, სადაც სემანტიკური დონის კომპონენტები აღნიშნულია წინადადებების არა იმავე წევრებით, რითაც ამოსავალ კონსტრუქციაშია, ეწოდება ნაწარმოები კონსტრუქციები, სქემატურად:

სუბიექტი	ობიექტი
დამატება	ქვემდებარე

მაგ., „სახლი შენდება ხელოსნების მიერ“.

ამოსავალი და ნაწარმოები სტრუქტურები, რომლებიც ერთსა და იმავე სიტუაციას აღნიშნავენ, ერთმანეთის მიმართ დერევაციულ კავშირში იმყოფებიან. ასეთ მიმართებას ავტორი უწოდებს გეარს. ვ. ხრაკოვსკი ამოცანად ისახავს, აღწეროს ნაწარმოები გეარების სტრუქტურა და მათი მიმართება ამოსავალი (ძირითადი) გეარის სტრუქტურასთან.

ვნებითი გეარის სტრუქტურას ავტორი მიაკუთვნებს იმ ნაწარმოებ სტრუქტურებს, სადაც დარღვეულია შესატყვისობა „ქვემდებარე-სუბიექტი“. პასიურ სტრუქტურებში სუბიექტი ქვემდებარით კი არ აღინიშნება, არამედ წინადადების სხვა რომელიმე წევრით ან, საერთოდ, იგი შეიძლება არც იყოს აღნიშნული.

ავტორის აზრით, ვნებითი გეარის ნაწარმოებ სტრუქტურებში ზმნური შემასმენელი სიტუაციასთან (მდგომარეობასთან) ერთად აღნიშნავს სიტუაციის სუბიექტსაც, მაგრამ აღნიშნავს არა კონკრეტულ, ლექსიკურ დონეზე, არამედ აბსტრაქტულ, გრამატიკულ დონეზე.

ორწევროვან პასიურ კონსტრუქციებში სუბიექტი აღინიშნება მხოლოდ შემასმენელში, გრამატიკულ დონეზე, ხოლო სამწევროვან კონსტრუქციებში სუბიექტი ორჯერ აღინიშნება — ერთხელ აბსტრაქტულ, გრამატიკულ დონეზე, მეორედ კონკრეტულ, ლექსიკურ დონეზე. პასიურ წინადადებაში ქვემდებარის პოზიცია შეიძლება სიტუაციის ნებისმიერი მონაწილის მიერ იყოს დაკავებული, გარდა სუბიექტისა, ანდა შეიძლება თავისუფალი იყოს.

ამ მონაცემთა საფუძველზე ავტორი იძლევა ფორმულას, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვთვალოთ პასიური სტრუქტურების შესაძლო რაოდენობა ზმნის ვალენტურობაზე დამყარებით.

ხრაკოვსკის კონცეფციაში პასივის ცნება უფრო გაფართოებულია ტრადიციულ გაგებასთან შედარებით, ის ორი და სამწევროვანი პასიური კონსტრუქციების გვერდით იძლევა განუსაზღვრელ პიროვან კონსტრუქციებსაც.

ავტორი უარს ამბობს პასივის შესახებ ტრადიციულ შეხედულებაზე, რომლის მიხედვითაც პასივი მორფოლოგიური კატეგორიაა.

წარმოდგენილი თეორიის არსებითი თავისებურება ის არის, რომ მისი ავტორები მიისწრაფვიან შეიმუშაონ გეარის კატეგორიის აღწერის ისეთი მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სტრუქტურის ენების მასალაზე.

დასმული პრობლემების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა საბჭოთა ენათმეცნიერებმა. ს. კ. შაუმიანმა აღნიშნა, რომ ეს თეორია წარმოადგენს უნივერსალური გრამატიკის ფრაგმენტს, ხოლო უნივერსალური გრამატიკის აგება შეუძლებელია ამ მიზნისათვის სპეციალური მეტაენის შექმნის გარეშე; ამითაა შეპირობებული მრავალი სიძნელე, რომელიც დგას გეარის ახალი ზოგადი თეორიის ავტორების წინაშე. შაუმიანმა საილუსტრაციოდ მოიყვანა ქართული ენის სინტაქსური კონსტრუქციები, სადაც ქვემდებარის ბრუნვა იცვლება ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში სერიების მიხედვით, მაშინ, როდესაც ინდოევროპულ ენებში ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი.

ს. კ. შაუმიანმა, ს. დ. კაცნელსონმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ აქ წარმოდგენილი გეარის თეორიის განვითარებას განსაკუთრებით აბრკოლებს ის გარემოება, რომ ლინგვისტიკაში ჯერ კიდევ არაა დამუშავებული სინტაქსური

სტრუქტურის ელემენტების — წინადადებების წევრების გამოყოფის პრიციპები. აგრეთვე მთლად მიზანშეწონილად ვერ მიიჩნის სინტაქსური და სემანტიკური დონეების დაპირისპირება როგორც შინაარსის და გამოხატულების პლანისა. სიმპოზიუმზე გამოვიდნენ სხვა ლინგვისტებიც, რომელთაც საყურადღებო შენიშვნები მისცეს გვარის ამ ახალი თეორიის ავტორებს.

კონფერენციაზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი ამ ახალი თეორიის შუქზე დაწერილი მოხსენებები. ლიტვურის (ე. გენიუშენე), ინდონეზიურის (ა. ოგლობლინი), ესპანურის (რ. ზაუბერი) და ფინურის (ს. ხამია-ლაინენი) მასალის შესახებ. წაკითხულმა მოხსენებებმა აჩვენა ამ ახალი თეორიის საკმაო უნივერსალობა და მისი განვითარების შესაძლებელი გზები.

ლენინგრადის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სტრუქტურული ტიპოლოგიის ჯგუფმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსცა ერთი კრებული, ხოლო ახლა გამოსაცემად ამზადებს მეორე კრებულს „Категория залога“. ამ კრებულშიც, როგორც პირველში, წარმოდგენილი იქნება იბერიულ-კავკასიური ენების მასალაც.

დასასრულ, კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს დიდი სურვილი რეგულარული შეხვედრებისა, სადაც ერთმანეთს გაუზიარებენ ახალ-ახალ მიღწევებს სტრუქტურულ ტიპოლოგიაში. შემდგომი შეკრება ივარაუდება ბუდაპეშტში.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა)

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დავით კობიაძე

### კვლავ ვისრამიანის საკითხები და სხვა

(„ქართულ-სპარსული ეტიუდების“ გამო)

ქართულ-სპარსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის კვლევა მნიშვნელოვანი უბანია ქართული მეცნიერებისათვის. ირანისტიკის ზრდასთან ერთად ფართოვდება საკვლევაძიებო საკითხების წრეც. თუ აღრე, იშვიათი შემთხვევის წყალობით, შესაძლებელი ხდებოდა ირანელ პოეტთა ნაწერებში თითო-ორი ქართული სიტყვის მოპოვება, რაც თავისთავად ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევდა, ბოლო დროის ძიებამ ცხადყო, რომ სპარსული პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებაში ქართულებსაც საკმაო წვლილი მიუძღვით.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ წლებში ყურადღება გამახვილდა და საკმაო მასალაცაა მოპოვებული ირანის კულტურულ ასპარეზზე ქართველ მოღვაწეთა შემოქმედებითი მუშაობის შესწავლისა და გამოვლინების მიზნით. ირკვევა, რომ ირანში მოხედრილი ქართველები საუკუნეთა განმავლობაში დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. მათი ნამოღვაწარის შესწავლა ქართველი მეცნიერების დიდად საპატიო და კეთილშობილური საქმეა.

ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურის კლასიკური და აღორძინების პერიოდის ძეგლები, როგორცაა, მაგალითად, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“, „ბაამიანი“ და სხვ., რომლებიც სპარსული მწერლობის განვითარების სხვადასხვა საფეხურს უკავშირდება, ყოველმხრივ გამოკვლეულია. შესწავლილია მათი ტექსტობრივი და ენობრივი საკითხები და ამიტომ საჭიროა ქართულ-სპარსულ კულტურულ ურთიერთობათა ახალი სფეროების კვლევას გამოვუდგეთ. მართალია, ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი და გამოსაკვლევი ზემოაღნიშნული პერიოდების ლიტერატურულ ძეგლთა საკითხებიდან, მაგრამ მომდევნო საუკუნეების მასალების კვლევაც არ უნდა შენეულდეს!

მაგალი თოდუას წიგნი „ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (თბილისი, 1971) ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს. ნაშრომში ძირითადად საკითხების ორი წრეა გაერთიანებული. ერთია კლასიკური („ვისრამიანი“) და აღორძინების პერიოდის („ქილილა და დამანა“) ძეგლთა ლიტერატურული და ენობრივი საკითხების კვლევა-ძიება; მეორეა ირანის კულტურულ ასპარეზზე წარმოშობით ქართველ მოღვაწეთა შემოქმედებითი მუშაობის გამოვლენა. გარდა ამისა, წიგნში დაბეჭდილია ავტორის მიერ ირანში მოპოვებული ქართული მასალები (რელიგიური ხასიათის თხზულება, რომლის ავტორად ვინმე იასეა გამოცხადებული, ქართული ნეკროპოლის მონაცემები) და სხვა წერილები, რომლებიც სპარსულ ლიტერატურულ და ენობრივ საკითხებს ეხება.

აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებებიდან ზოგი უეჭველად საგულისხმოა და მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ზოგი სადავოა და ზოგიც უდავოდ დასაგმობი და მიუღებელი. ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

**უბედურების მზე.** „ეტიუდების“ ავტორი კვლავ „ვისრამიანის“ ქართულ ტექსტის საკითხებს მიუბრუნდა. ეს, რა თქმა უნდა, ურიგო საქმე არ არის, მაგრამ მეცნიერული და ლიტერატურული ეთიკა მოითხოვდა, რომ ასეთ ვითარებაში სადავო საკითხებზე, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევდა, რედაქციას უნდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება და არა მის ერთ-ერთ წევრს (ამ შემთხვევაში მ. თოდუას).

მკვლევარი ამჯერად შეეცადა უფრო ვრცელი ახსნა-განმარტება მოგვეცეს IV გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტის ზოგიერთი ადგილის შესახებ. ასე, მაგალითად, იგი ეხება აშქუფთიდევანის ციხეში, სადაც რამინი და ვისი ერთად შეყრილიყვნენ, შაჰინშაჰი მოაბადის მოსვლას.

ძიძასა მოაბადისა და ზარდის ლაპარაკი და კარისა რეხევა ესმა. იგი ქარივით მიიჭრა ვისისთან და შაჰინშაჰის მოსვლის ამბავი აცნობა. სპარსულში (მაჰჯუბის გამოცემა, გვ. 193) იკითხება:

بيش و يس بانو تاخت چون باد  
 ز شاهنشاه مرورا آگهی داد  
 بدو گفت اینک آمد شاه موبد  
 ز خاور سر بر آورد اختر بد  
 از ابرشم جهان شد برق آزار  
 ز کوه کین در آمد سيل تيمار

ბანოვან ვისისთან მიიჭრა ვითა ქარი  
 და მას შაჰინშაჰის ამბავი აცნობა.  
 მას უთხრა: აი, მოვიდა შაჰი მოაბადი,  
 აღმოსაველეთით უბედურების ვარსკვლავი აღმოხდა:  
 მწუხარების ღრუბლისაგან ქვეყანა შეწუხდა ელვა-ქუხილით.  
 ჰირისა მთისაგან ტანჯვა-მწუხარების ღვარმა დაიწყო დენა.

ქართულში ეს ადგილი ასე იკითხება (მეორე გამოცემა, გვ. 148, 1—3):

„აღმოსაველეთით ჩუენთუის უბედურებისა მზე აღმოჰკდა: — შაჰინშა მოვიდა შეათა ღრუბელთაებრ; ჩუენთუის ელვა-ქუხილი გამოჩნდა და ჰირისა მთისაგან ღუარი დაიწყებს დენასა“.

IV გამოცემის რედაქციას ტექსტი ასე გაუმართავს (155, 1—3): „აღმოსაველეთით ჩუენთუის უბედურებისა მზე აღმოჰკდა: — შაჰინშა მოვიდა. შეათა ღრუბელთაგან ჩუენთუის ელვა-ქუხილი გამოჩნდა და ჰირისა მთისაგან ღუარი დაიწყებს დენასა“.

როგორც ვხედავთ, აქ ორი ცვლილებაა: მეორე წინადადებიდან ცალკე გამოყოფილია ფრაზა „შაჰინშა მოვიდა“ და „ღრუბელთაებრ“ სიტყვა „ღრუბელთაგან“ სიტყვითაა შეცვლილი.

წარმოდგენილ ადგილს რეცენზიაში („მაცნე“, 1964, № 3, გვ. 164—165, შდრ. „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, V, 1971, გვ. 185—186) შეეხო სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ცნობილი

მკვლევარი, „ვისრამიანის“ ტექსტის მეორე გამოცემის თანაავტორი ალ. ბარამიძე. იგი შესწორებას არ დაეთანხმა. მის საფუძვლად ქართულის სპარსულ-აღნიშვნის სურვილი მიიჩნია.

„ეტიუდების“ ავტორი ამჯერად ჩაუფიქრებია მხატვრულ გამოთქმას: „უბედურების მზე აღმოჰკდა“. ჩვენი აზრით, აქ ჩასაფიქრებელი და გაუგებარი არაფერია. სპარსულსა და ქართულ პოეზიაშიც არსებობს „უბედურების ვარსკვლავი“. ეს გახლავთ ზუალი. სიტყვა არაბულია (ج-ز), ლათინურად, როგორც ეს ცნობილია, მას სატურნი ეწოდება, ბერძნულად კი კრონოსი. სპარსულად ზუალს ადრე ქეივანს (کیوان) ეძახდნენ. ადრინდელ პოეტთა ნაწერებში ეს სიტყვაა გაბატონებული, იგი „ვის ო რამინშიც“ არაიშვიათად გვხვდება. შემდეგ ხანებში მას არაბული ზუალი ცვლის, მაგრამ ქეივანის ხმარება მთლად არ გამქრალა. აქა-იქ იგი მაინც გვხვდება.

ასტროლოგების შეხედულებით ქეივანი ანუ ზუალი მეშვიდე ცაზე იმყოფება. ამიტომ სიტყვა ქეივანი მეშვიდე ცასაც ნიშნავს. ზოგჯერ იგი ღრუბლის მნიშვნელობითაც გვხვდება.

სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის პირველი დიდი წარმომადგენელი რუდაქი იცნობს ქეივანს, როგორც „უბედურების ვარსკვლავს“. მის ცნობაზე „სიბერის ელეგიაში“ (ზოგი მას „მოხუცებულობის ოდას“ უწოდებს), სადაც პოეტი მისტიკის მარგალიტის მსგავს კბილებს, ხუჭუჭ თმებს, სიყმაწვილის გაფრენილ დღეებს. დაკარგულ ბედნიერებას, მოიგონებს ქეივანს, როგორც უბედურების ვარსკვლავს, და ფიქრობს, რომ ყოველივე ეს მისით მოხდა (ს. ნაფისის გამოცემა: ტ. III, თეირანი, 1941. გვ. 977).

ცნობილ შვიდ მნათობთაგან (მზე, ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპიროზი, ოტარიდი, მთვარი), რომელთაც ცაზე თავთავისი გარკვეული ადგილი აქვთ მიჩნეული, ზოგი კეთილია და ზოგი ბოროტი, თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული თვისებები აქვს.

ზუალი, როგორც ითქვა, უბედურების ვარსკვლავია და ასეა ის ცნობილი ქართულ პოეზიაშიც. „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება (958):

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა,  
ჭირი ჭირსა,  
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მამეც ხშირსა,  
შემომყარე კაეშანი და სხე.

ზუალი აქ წარმოდგენილია ისეთ ცთომილად, რომელსაც შეუძლავს ადამიანს ცრემლი და ჭირი მიუმატოს, გული შავად შეუღებოს, ხშირ სიბნელეს მისცეს, კაეშანი შემოჰყაროს და სხე.

ნათქვამით, ვფიქრობთ, ცხადია, რომ სპარსულა და ქართული პოეზია უბედურების მოპასუშავებელ ვარსკვლავს იცნობს. ფრაზა „უბედურების მზე აღმოჰკდა“ „ვისრამიანიდან“ შემომოყვანილ ტექსტში თავის ადგილას დგას და გარკვეულ ფუნქციასაც ასრულებს. გასაკვირია, თუ „აღმოსავლურ და, გნებავთ, ქართულ ლიტერატურას გაცნობილ კაცს“ (გვ. 51) თვალში რატომ უნდა სცემოდეს იგი?

უბედურების ვარსკვლავის (მზის) აღმოჰკდომას უბედურება უნდა მოჰყვეს. „უბედურების მზე აღმოჰკდა“ ნიშნავს — დადგა უბედურების ქამი!

ბოსალოდნელია შეგვეკითხოვ: ტექსტში „მზე“ წერია და არა ვარსკვლავი. მართალი ბრძანებაა, მაგრამ კლასიკური პერიოდის ძეგლების („ვისრამი-

ნის“, „ვეფხისტყაოსნის“ და სხვ.) მკვლევართ უცნაურად არ უნდა ეჩვენოთ ის გარემოება, რომ ამ თხზულებებში ზოგჯერ მზეს ვარსკვლავი ეწოდება და ვარსკვლავს მზე.

მოვიგონოთ აეთანდილის გალობა (თუ გოდება), სადაც იგი შვიდ პლანეტას შესტირის. დასასრულს ვკითხულობთ (964):

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შუიღნივე მემოწმებიან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,  
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყევიბიან.

აქ მზე (და მთვარეც) ვარსკვლავადაა სახელდებული. ახლა ჩავიხედოთ „ეისრამიანის“ სპარსულ ტექსტში (მაჰჯუბის გამოცემა, გვ. 185). აქ ვკითხულობთ:

جو بردز رفت بام چنان بود  
که ماه و زهره را با هم قران بود

როცა ციხეზე გავიდა (რამინ), ციხისა ბანი ასრე გახდა, თითქოს მთვარისა და ასპიროზის ერთგან შეყრა მოხდა (თითქოს ასპიროზი და მთვარე ერთგან შეიყარნეს).

თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:

რა ციხესა გავიდა,

მზე და მთვარე ერთგან შეიყარნეს (გვ. 149, 11—12).

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ სპარსული ტექსტის ზოპრა (ვენერა, ასპიროზი) ქართულში მზე დააადგამოღებული. რაღა შორს წაეიდეთ, თვით საცილობლად ქცეული ფრაზის (უბედურებისა მზე აღმოჰკდა) საბადლოდ სპარსულში იკითხება არა მზე, არამედ ვარსკვლავი:

زخاور سربر آورد اختربد

აღმოსავლეთით თავი ამოჰყო უბედურების (ავმა) ვარსკვლავმა.

ქართულში ვარსკვლავი მზე დააადგამოღებული; ეს შესაძლებელი ყოფილა და მთარგმნელს სამდურავი არ ეთქმის.

ნათქვამით, ეფიქრობთ, ცხადია, რომ „უბედურების მზე“ (ვარსკვლავი) არავითარ უხერხულობას არ უნდა იწვევდეს.

„უბედურების მზე აღმოჰკდა“. რა მზეზეა ლაპარაკი? — კითხულობს „ეტიუდების“ ავტორი და თვითონვე იძლევა პასუხს: იგი მეტაფორაა. ეს მზე შაჰი მოაბადია (ძველ ხელოვნებაში მზე მეფისათვის ჩვეულებრივი ეპითეტი იყო). მეფეთა-მეფის მოულოდნელი მობრძანებით თავზარდაცემული ძიძა ამბობს: მზე აღმოხდაო, ე. ი. შაჰი მოაბადი მოვიდაო (გვ. 51).

მკვლევარი რატომღაც აქ ერთმანეთისაგან აღარ განასხვავებს „უბედურების მზეს“ ჩვეულებრივ მზისაგან, რომელსაც პოეტები ხშირად იყენებენ მეფეების, გმირების, ულამაზესი ასულების მეტაფორად.

ძიძა ამბობს „უბედურების მზე აღმოჰკდა“ და არა „მზე აღმოჰკდაო“. „უბედურების მზე“ კი არც ძველსა და არც ახალ ხელოვნებაში არ ყოფილა მეფისათვის ჩვეულებრივი ეპითეტი. იგი ერთი ცნებაა და არ შეიძლება ერთმანეთს დავაშოროთ! ამდენად ძიძის თვალში მეფე მზე კი არ არის, როგორც გვარწმუნებს ავტორი, არამედ უბედურების მზეა. უბედურების მზის აღმოჰკდომას კი უბედურება უნდა მოჰყვეს. ეს უბედურება კი ისაა, რომ შაჰი

მოაბადი მოვიდა შავთა ღრუბელთაებრ და მას ელვა-ქუხილი და ღვარის დენა უნდა მოჰყვეს.

მ. თოდუას ეუცხოვა მოაბადის შავ ღრუბელთან შედარება და ფიქრობს: რადგან პოეტმა მეფე უკვე მზეს შეუდარა, იქვე მას შავ ღრუბელს ვერ შეადარებდაო (გვ. 51). უნდა გავიგოთ, რომ პოეტმა მოაბადი „უბედურების მზეს“ შეუდარა და არა ჩვეულებრივ მზეს. „უბედურების მზე“ კი უბედურების, მწუხარების მომტანია და არა სიცოცხლისა და სიხარულის. ასეთ ვითარებაში რა შეუშლიდა ხელს პოეტს, რა დაბრკოლება შეექმნებოდა მას მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით. რომ უბედურების მომტანი მოაბადი შავ ღრუბელად დაეცა, რასაც ელვა-ქუხილი და ღვარის დენა მოსდევს! არაფერი.

ქართული ტექსტის ეს ადგილი შესანიშნავად, ნათლად გადმოსცემს სპარსული ტექსტის განწყობილებას, „მხატვრულად გაცილებით უფრო ძლიერი და მოხდენილია“ (ალ. ბარამიძე), ვიდრე სპარსული და, ჩვენი აზრითაც, იგი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ ტექსტში ჯერ მეტაფორული თქმაა წარმოდგენილი (უბედურების მზე აღმოჰყდა) და მას შემდეგ ახსნა მოსდევს. სპარსულში ჯერ ნათქვამია: შაჰი მოაბადი მოვიდაო და ამას მოსდევს მეტაფორულთქმა: აღმოსავლეთით უბედურების ვარსკვლავი აღმოჰყდაო.

არ ვიცი, როგორაა ის წარმოდგენილი ბოლო დროს გამოცემულ ტექსტში (თეირანი, 1970), ან საერთოდ როგორაა მასში გამოვლინებული ქართული ვერსიის მონაცემები, რაც აღნიშნული გამოცემის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს.

ამ კონკრეტულ მაგალითიდან თუ გამოვალთ, ქართული ტექსტის თანმიმდევრობა სჯობს, იგი უფრო ლოგიკურია, თუ ამას სპარსულისათვის სხვა დაბრკოლება არ გადაეღობება (არსებული ტექსტების მონაცემები, შესაფერი ვარიანტების უქონლობა და სხვ.).

ერთი შენიშვნაც. კომენტარებში (386) ვკითხულობთ: „თანაც ერთ ქართულ ხელნაწერში (Q 355) მოვიდა და იკითხება. ეს და ხელნაწერის მიხედვით იმაზე უთითებს, რომ აჟ აზრი გათავდაო“.

ეს და, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა. მან „მოვიდა“ სიტყვის უკანასკნელი ასოები (და) გაიმეორა, — რასაც ხელნაწერ ტექსტებში არც ისე იშვიათად ვხვდებით.

უგულობა. „ეტიუდების“ ავტორი (გვ. 62—64) მსჯელობს რუსთველას მიერ გამოყენებული „უგულო“, „უგულობა“ ტერმინების შესახებ. მისი აზრით, უგულო „ვეფხისტყაოსანშიც“ შეყვარებულის მნიშვნელობით იხმარება.

ჩვენ სადავოდ არ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ აღმოსავლურს, კერძოდ. სპარსულ ლიტერატურაში „უგულო“ შეყვარებულს, მიჯნურს ნიშნავს. ნიჰაძის გმირები მაჯნუნისა და ფარჰადის „უგულონი“ არიან. მაჯნუნის გული ლეილიმ მიიტაცა, ფარჰადისა კი — შირინმა.

XI—XII საუკუნეები აღმოსავლურ ლიტერატურაში ველთა გაქრილი მიჯნურების ეპოქაა. ამ სახისა და ბუნების მიჯნურები მანამდე უცნობია. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ონსორის (X—XI სს.) საგმირო-რომანტიკულ პოემებს და მათ გმირებზედაც ძნელია ლაპარაკი.

სპარსულ ლიტერატურაში მაჯნუნი, ფარჰადი, რამინი, სალამანი და სხვ. მიჯნურებად არიან აღიარებულნი, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება

უნდა შევძლოთ. რამინი და სალამანი მიზანმიღწეული, ლხინნახული მიჯნურებია; მათ ხორციელი სიყვარული, ვნება ამოძრავებთ და მიზანსაც ადვილად აღწევენ. თავიანთ სატრფოთა ხვევნა-კოცნით ტკბებიან და ნეტარებენ.

მაჯნუნისა და ფარჰადის მიჯნურობაში ვნებათა ღელვის ნიშანწყალიც არ შეინიშნება: მათ უყვართ, მაგრამ ეს სიყვარული არ არის რეალური სიყვარული. მათ სურთ შეყვარებულთან შეერთება, ამ გრძნობით იწვიან და იფერფლებიან. ნიშანის შემოქმედება ამ ნაწილში მქალაქად შებოჭა სუფიზმმა და მისმა იდეებმა, რის გამოც მისი მიჯნურები (გარდა ხოსროვისა და შირინისა) ძნელია რეალურ ცხოვრებას დავუკავშიროთ.

სადავოდ არც ის მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „უგულო“ სიტყვა მართლაც აღნიშნავს შეყვარებულს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მკვლევარს „უგულობა“ სიტყვაც მიჯნურობად ჩაუთვლია, იგი ტარიელისათვის მიუკერებია და „ვეფხისტყაოსნის“ ეს შესანიშნავი გმირი, რომელიც, ირაკლი აბაშიძის სიტყვებით რომ ეთქვათ, „მთელი კაცობრიობის მომავლის განსახიერებაა“, „დასვრილ კაცად“ წარმოუდგენია.

მ. თოდუა შეეცადა იმსჯელოს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილებზე, სადაც „უგულო“ და „უგულობა“ გვხვდება და საგანგებოდ ჩერდება სტრიქონზე — „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ — და ასე მსჯელობს: „რეცენზენტს (ალ. ბარამიძეს. — დ. კ.) მიაჩნია, რომ აქ უგულობა ყალბ სიყვარულს გულისხმობს. საეჭვოა. უნდა გავიხსენოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი რომანია. სადაც შეყვარებულნი მუდამ სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან. გავიხსენოთ მაჯნუნი. იგი იქამდე მიიყვანა სიყვარულმა, რომ ხალხის გასართობი გახდა. იგივე რამინი გავიხსენოთ. ეს ლამაზი, დარბაისელი უფლისწული, დიდი პოლიტიკური პერსონა (ირანის იმპერიის ტახტის მემკვიდრე) სიყვარულმა ხალხის ყბაში ჩააგდო. ბოლოსდაბოლოს, გავიხსენოთ თვითონ ტარიელი. ინდოეთის ამირბარი და მისი ტახტის ერთაი მემკვიდრე ველად გაიჭრა, მხეცებში გაერია, კლდე-ლრე დაძრწოდა, ტიროდა და მოთქვამდა. განა ეს საქციელი მაშინდელი არისტოკრატიული მორალის თვალსაზრისით მოსაწონი იყო? დაბოლოს, გავიხსენოთ ისიც, რომ შეყვარებულს მიჯნურს უწოდებენ, ხოლო „მიჯნური შმაგსა გვიქვია არაბულითა ენითა“. ს ი შ მ ა გ ე კ ი დ ი ა ლ ა ც ი ყ ო კ ა ც ი ს და ს ვ რ ა (დაყოფა ჩვენია, — დ. კ.), ისე როგორც ქალისათვის მეძაობა არაა სახელი“ (გვ. 63).

ამ მოსაზრებათა ავტორს, რომელმაც მაჯნუნი, რამინი და ტარიელიც გაიხსენა, მაშინდელი არისტოკრატიული მორალიც მოგვაგონა, სხვა რომ არა ეთქვათ, უცნაური დასკვნები გამოაქვს. ამის მიხედვით მიჯნურობა მეძაობასთანაა გაიგივებული და შმაგნი (ხელნი, მიჯნურნი) „დასვრილ კაცებად“ არიან გამოყვანილნი.

საკითხავია, თუ მაშინდელი არისტოკრატიული მორალის თვალსაზრისით ტარიელის საქციელი არ იყო მოსაწონი, როგორ მოხდა, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ საუკუნეებს გაუძლო და ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთაგან ბევრმა იგი ზეპირადაც იცოდა? ქალებს, როგორც საყვარელ და მაღალი ზნეობის განმასახიერებელ წიგნს, მზითვადაც ატანდნენ და იგი ქართული ეროვნული კულტურის გვირგვინად მიაჩნდათ?

საქმე ის არის, რომ ჩვენი მკვლევარი ვერ დაუკვირდა იმას, თუ რა კონტექსტშია სიტყვა „უგულობა“ ნახმარი. პოემის მიხედვით ფატმანი გაუმხელს. ავთანდილს მისი და ჭაშნაგირის მეძაობის ამბავს:

აწ უწინა ესე ვითხრა, რას მექადდა ისი კაცი:  
 მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.  
 კაცსა დასერის უგულობა და ღიაცა ბოზი ნაქი.  
 მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი.  
 ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი;  
 ჩვენ გეიყვარდა ერთმანეთი, არ მაცუია თუცა ფლსა,  
 ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი!

სიყვარული, რომელზედაც ამ სტრიქონებშია საუბარი, უგულო სიყვარულია, ჭაშნაგირისა და ფატმანის სიყვარული მრუშობაა, მეძაობაა. ამაზე ამბობს რუსთველი: მძულს უგულოდ სიყვარული, ხევენა, კოცნა. მტლაშა-მტლუშიო.

მკვლევრის ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ უკულოდ სიყვარული შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ იგი არ არის ნამდვილი სიყვარული, იგი მეძაობაა. რუსთველი გვასწავლის, რომ ერთმანეთისაგან განეასხევეთ მიჯნურობა და უგულოდ სიყვარული, სიძვა.

აეტორი, როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, ერთმანეთთან ათანაბრებს მაჯუნსა და ტარიელს, როგორც ველად გაქრილ მიჯნურებს, მაგრამ ავიწყდება, რომ ისინი სულ სხვადასხვა ტიპის მიჯნურებია და მათი ველად გაქრის მიზეზიც სხვადასხვაგვარია.

ტარიელი ველად გაიქრა არა იმისათვის, რომ კლდე-ლრეში ბინა დაემკვიდრებინა და მხეცებში გარეულიყო, არამედ მისი სათაყვანებელი არსების — ნესტან-დარეჯანის ძებნად:

გულსა ვეთხარ: ნუ მოჰყვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,  
 გიქობს გაქრა ძებნად მისად, გაეარდნა და ველთა სრბოლა.

მაჯუნს კი საძებარი არაფერი აქვს; მან კარგად იცის ლეილის სამყოფი ადგილი.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ რუსთველი, როცა გულის წაღებაზე ან მიცემაზე ლაპარაკობს, ყოველთვის გამიჯნურებული ქალ-ვაჟი როდი ჰყავს მხედველობაში. მისთვის მთავარი მეგობრობაა, გულისათვის გულის მიცემას გვასწავლის. ამიტომ პოემაში უგულო ყოველთვის გამიჯნურებულის, შეყვარებულის მნიშვნელობით კი არ იხმარება, არამედ დიდი, თავდადებული მეგობრობის გამოსახატავადაც.

ავთანდილი და ტარიელი დიდი მეგობრები იყვნენ და რა გასაკვირია, რომ მათ ერთმანეთისათვის გულიც მიეცათ, არა იმ გაგებით, როგორც ლეილიმ გული მოსტაცა მაჯუნს და შირინმა ფარჰადს, არამედ დიდი მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანში“ გულის მიტაცება, მისი სხვისთვის დათმობა მეგობრობის და ამით გამოწვეული დიდი სიყვარულის საფუძველზე ხდება და არა მხოლოდ სამიჯნურო გრძნობების გაღვივების შედეგად. დავაკვირდეთ, რას ეუბნება ავთანდილი თინათინს, როცა ტარიელის ამბავი შეატყობინა და მისი წასვლის აუცილებლობაც გაუმელავენა (703):

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,  
 გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად.

აქ ტარიელის მოყვარედ იგულისხმება ავთანდილი, რომელმაც მოყვრისათვის თავი ჰირს არ უნდა დარიდოს და გულისათვის გული მისცეს.

მოვისმინოთ ავთანდილის სიტყვები, რასაც იგი როსტევან მეფის ვაწირს ეუბნება (საუბარი ტარიელს შეეხება):

მისი ნახვა გულისა ჩემსა, ვითა ბადე, დაებადა,  
მუნვე დარჩა, დათმობაჲ მასთანავე დაება, და (731, 1—2).

აქ ავთანდილის გულის ტარიელთან დარჩენაზეა ლაპარაკი. იქვე ავთანდილი ამბობს (738, 3—4):

მაგრამ მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ელეისა სახემან,  
გული წამსავე წაძილო, — ვერათ ვერ შევიწახე, — მან.

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რომ მეგობარს მეგობრის გულის წაღება (მოტაცება) შეძლებია. მომდევნო სტროფში ნათქვამია:

აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების;  
გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მესდების?

შევნიშნავთ, რომ ეს ტაეპები ჩვენ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოვწერეთ (741). რედაქციამ, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად უარყო პოემის მთელი რიგი გამოცემებისა და ხელნაწერების წაკითხვა:

გული მას აქვს გულოვანსა, აქა ხელი რა მესდების?

რაც უხერხულობას იწვევს. რედაქციას გაუზიარებია იუსტინე აბულაძის წაკითხვა (ამის შესახებ იხილეთ: აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია IV, გვ. 33—35; აგრეთვე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, გვ. 184—187).

ვინ არის აქ უგულო? — ავთანდილი, რომელსაც ტარიელმა გული მოსტაცა. მას ტარიელი უყვარს, გული მისთვის მიუტია და თვითონ უგულოდ დარჩენილა. უგულო სიტყვა აქ არ ნიშნავს ისეთ მიჯნურს, როგორც მაჯნუნი ან ფარჰადია. რუსთველის გმირებს ერთმანეთი ძლიერი სიყვარულით უყვართ. ტერმინი „უგულო“ პოემაში მხოლოდ ისეთი გააზრებით კი არ არის გამოყენებული, როგორც სპარსულ თხზულებებში, სადაც უგულო (ბიდელ) მიჯნურს, სატრფოს მიერ გულმიტაცებულს ნიშნავს, არამედ საერთოდ შეყვარებულის, მეგობრის მნიშვნელობით. იგი დიდი სიყვარულის გამომხატველია, სულერთია, რა სახისა და ბუნებისაა ეს სიყვარული. „უგულო“ და „უგულობა“ კი სხვადასხვა აზრისა და შინაარსის მატარებელი სიტყვებია და მათი ერთმანეთთან გაერთიანება გაუგებრობის შედეგია.

ერთი შენიშვნაც. „ეტიუდების“ ავტორი „სიყვარულით ამალღების“ საკითხსაც შეეხო. ის წერს: „ავთანდილი შეგვახსენებს: მოციქულთ უთქვამთ, სიყვარული აღგვაამალღებსო, მაგრამ სიყვარულით ამალღება იერარქიულ აღზევებას ან ბიურგერულ ჰუმანიზმს როდი გულისხმობს. ნეზამინსათვის, როგორც ნეოპლატონიკოსისათვის, მაგალითად, სიყვარულით ამალღება ესაა იდეალი, რომელსაც ქმნილება ყოველგვარი ამქვეყნიურობისაგან თავის დახსნის, ოთხთა ნიეთთა უარყოფის, შედეგად აღწევს“ (გვ. 64).

მართალია, როგორც მ. თოდუა შენიშნავს, ნიჰამი ამბობს „მაჯნუნი სიყვარულის მაღალი სახელიაო“, მაგრამ აქ პოეტი სიყვარულში სიმტკიცეს, ხანძირობას გულისხმობს და არა ისეთ „ამალღებას“, როგორც ეს „ეტიუდების“

ავტორს გაუგია. ნიზამის აზრით, თუ სიყვარული ხანიერა არ არის, მაშინ იგი ახალგაზრდულ (ყმაწვილურ) ვნებათა გასართობია. მაჯნუნი კი სიყვარულში ურყევი უნდა იყოს და პთელი სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულის ტვირთი ზიდოს. ამიტომაც მაჯნუნი „სიყვარულის მალალი სახელი“.

ნიზამისა და რუსთველის „სიყვარულით ამალღების“ იდეალი ერთნაირად არ გაიგება. ნეოპლატონიკური იდეების ქროლვას მთელი აღმოსავლური ლიტერატურის წაომომადგენელთა და მოაზროვნეებთან ერთად რუსთველიც განიცდიდა. ამ იდეებიდან ზოგი რამ ჩვენი პოეტისათვისაც ძვირფასია და მისაღები. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსთველის დიდი შემოქმედება ვერ შებოჭა ნეოპლატონიკოსების აზრებმა და შეხედულებებმა. მან გაარღვია ნეოპლატონიზმის რკალი და თავის ეპოქაზე მალა დადგა, გასაოცარი ძალით უმღერა არა მისტიკურ, არამედ რეალურ სიყვარულსა და მეგობრობას, უმღერა ადამიანობის დიდ იდეას.

რუსთველის გმირები ეტრფიან არა ღმერთს, მსგავსად ნეოპლატონიკოსი პოეტების გმირებისა, რომლებიც სუფისტურ წარმოსახვათა ბურჟუსში არიან გახვეულნი, არამედ რეალურად არსებულ ადამიანებს, რომლებთან შეერთებისათვის მისტიკური ექსტაზი იმთავითვე გამორიცხულია. იმ შეერთებისათვის, რასაც ჰეშმარიტი, რეალური, ადამიანური სიყვარული უღევს საფუძვლად, ოთხთა ნივთთაგან თავის დახსნის იდეა თავისთავად იხსნება. ამით რუსთველი უარყოფს ნიზამის მისტიკურ მიჯნურობას და მარადიულობასთან (ღვთაებასთან) მისტიკური სიყვარულის გზით შეერთების ნეოპლატონიკოსების იდეას. რუსთველის „სიყვარულით ამალღებას“ რეალური საფუძველი აქვს და არა მისტიკური.

ავთანდილი ანდერძს უტოვებს როსტევან მეფეს და ტარიელის შეყრას ეშურება. გაპარვას იმით ამართლებს, რომ მას, ავთანდილს, არ სურს გასწიროს მოყვარე ტარიელი „ძმა უმტკიცესი ძმობისა“, ვინც მისთა „ცეცხლთა მომღებელია“. ვერ ეტრუება, საძაბუნო საქმეს ვერ უზამს, ფიცს ვერ გაუტეხს, ცრუ და ღალატთან საქმეს ვერ ჩაიდენს, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს.

შეპირვებაში მყოფი ავთანდილი ვაზირის პირით ეუბნება როსტევან მეფეს: „სიყვარული აღგვამალღებს, შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერნო“. „სიყვარულით ამალღება“ არა მარტო ავთანდილს, არამედ პოემის სხვა გმირებსაც ეხება. მეგობრობისა და სიყვარულის ძალაზე უძლიერესი ძალა არ არსებობს. ამიტომაც, რომ რუსთველის გმირები „სიყვარულით ამალღებულნი“ ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევენ.

რაც შეეხება ნესტან-დარეჯანის სიტყვებს: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა“, რომლებიც მ. თოდუას „სიყვარულით ამალღებასთან“ დაკავშირებით მოუყვანია (გვ. 64), იგი ამქვეყნიური სიცოცხლის დამთავრებასა და ცაზე დამკვიდრებას გულისხმობს, სადაც ნესტანი დაულამებელი ღლისა და მიწყვი „მზისა ელვათა კრთომის“ მკვრეტელი იქნება. ეს კი უკვე „ტკბილი სიკვდილია“: თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.

ნესტან-დარეჯანის ამ სიტყვებსა და „სიყვარულით ამალღებას“ შორის, რაზედაც ეს-ეს არის ვიმსჯელებ, არაერთი კავშირი არ არსებობს. „ეტიუდების“ ავტორს ეს მსჯელობა და ექსკურსი დასჭირდა უარსაყოფად ალ. ბარამიძის მართებული სიტყვებისა: „სიყვარული რუსთველის კონცეფციით, ადამიანს

კაცობას როდი უკარგავს, პირიქით, სიყვარული ამალღებს, ასალკლდეებს, გოლიათურ მორალურ ძალას მატებს და ქვეშარიტ გმირად ხდის მიჯნურს“ (რეცენზია, გვ. 167).

მ. თოდუა შენიშნავს: „ყოველთვის როდი გვახსოვს ტარიელი (თუნდაც იგივე ავთანდილი) გასალკლდეებული და გოლიათური ძალის მქონე. იგი ხშირად მოთქვამს და არცთუ იშვიათად მისდის გული“ (გვ. 64).

აი, როგორ მარტივად ესმის „ეტიუდების“ ავტორს ტარიელისა და ავთანდილის ბუნება!

სხვადასხვა. 1. მ. თოდუა კვლავ განიხილავს „თქმათა“ და „თმათა“ სიტყვების საკითხს. იგი გვარწმუნებს, რომ „სპარსულ პოეზიაში წყობილი მეტყველები, სასიამოვნო ლაპარაკის, წყლიანი საუბრის მეტაფორად ხშირად იხმარება მარგალიტო“ (გვ. 50): „ტკბილმოუბარ ვისს მარგალიტებს უგავს თქმა (ლაპარაკი, საუბარი), ხოლო ამავე მარგალიტებს უგავს ღრუბელს წვიმის წვეთები“.

საქმე ის არის, რომ ლაპარაკი ან საუბარი არასოდეს არ შეიძლება მარგალიტს ან მარგალიტებს შეეუღლოთ. აქ საჭიროა დიდი სიზუსტის დაცვა.

სპარსულ პოეზიაში ჩვენ გვხვდება არა საუბრისა და ლაპარაკის შედარება მარგალიტთან (ან მარგალიტებთან), არამედ სიტყვისა (ან სიტყვებისა). წარმოდგენილი სპარსული წინადადების (که چون گفتار و یـم در شانی) თარგმანი: „რომელიც ჩემი ვისის ლაპარაკის მსგავსად მარგალიტს აფრქვევ“ (ვისრამიანი, გვ. 393), „რომელიც ჩემი ვისის თქმასაებრ მარგალიტს აფრქვევ“ („ეტიუდები“, გვ. 50) — სწორი არ არის. იგი ასე უნდა ითარგმნოს: რომელიც ჩემი ვისის სიტყვის მსგავსად მარგალიტს აფრქვევ! გოქთნარ აქ სიტყვას ნიშნავს და არა ლაპარაკს, საუბარს. სიტყვების ფრქვევა, რაც შეიძლება მარგალიტების ფრქვევას შეუდარდეს, საუბარია.

ავტორს თვითონვე უგრძნია უხერხულობა და იქვე სწორად განმარტავს: შაჰროს უნდა უთხრას ღრუბელს: შენ ისე აფრქვევ წვეთების მარგალიტს, როგორც ვისი — სასიამოვნო სიტყვებსო.

„სასიამოვნო“ და „წვეთები“ სპარსულში არ იკითხება. მეტაფორა გასაგებია. მართალია, ქართულ ტექსტში არის შემთხვევები გოქთნარის საუბრად გადმოთარგმნისა, მაგრამ საკითხავია, მოცემულ კონტექსტში მთარგმნელი მას „თქმად“ ან „თქმათად“ გადმოთარგმნიდა, რომ შემდეგ გადაშწერს სიტყვაში ქანი ამოეგდო და ამის ნიადაგზე გაჩენილიყო თმათა: შენ იგი ხარ, რომელ ჩემის ვისისა თმათა ჰსახობდი.

ადრინდელი მსჯელობისას მ. თოდუას ეუცხოებოდა ღრუბლის თმასთან შედარება, „იგი მეტისმეტად ნაძალადევად“ მიაჩნდა (ვისრამიანი, გვ. 392), ახლა კი, როცა „ეტიუდების“ გამოსვლამდე ექვსი წლით ადრე ჩვენ გამოკვლევაში (ვისრამიანის საკითხები, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116. აღმოსაქლეთ-მცოდნეობის სერია, V, გვ. 29, აგრეთვე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, 1969, გვ. 24—25) „ვისრამიანის“ სპარსული და ქართული ტექსტებიდან წარმოვადგინეთ თმის ღრუბელთან შედარების მაგალითები, თვითონვე გვარწმუნებს ასეთი მეტაფორის (თმა — ღრუბელი) არსებობაში. იქვე დასძენს, ამით ჩვენი ვარაუდი ვერ მოიხსნებაო.

ვინც ამ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს გაეცნობა. მისთვის, ვფიქრობთ, ნათელი გახდება ის გარემოება, რომ მ. თოდუას ვარაუდი ნაძალადევი

და, როგორც ალ. ბარამიძემ აღნიშნა, „გასწორება შეუწყნარებელი“. მთარგმნელის ტექსტი, უეჭველია, ქართულთან შესადარი წაკითხვის შემცველი უნდა ყოფილიყო. აზრი ნათელია და გასაგები. იგი შესწორებას არ საჭიროებს.

2. ქართულ ტექსტში „მაბადას“ შემოტანა რომ გააჩართლოს, ის იმავე არგუმენტებს იმეორებს, რაც ალ. გვახარიასთან ერთად ჰქონდა დაძებნილი. უკვირს, თუ რატომ ეჩოთირებათ ალ. ბარამიძეს და დ. კობიძეს ეს ერთი სპარსული სიტყვა XII საუკუნის ქართულ ძეგლშიო. გვასწავლის, რომ „ვისრამიანში“ მრავალი სპარსული სიტყვაა და „ამირანდარეჯანიანში“ მთელი სპარსული წინადადება ი ე ქ ჩ ე შ მ ე მ ნ ე ს თ („ცალი თვალი არა მაქვს“) იკითხებაო.

„ეტიუდების“ ავტორმა თუ გულდასმით წაიკითხა ჩვენი გამოკვლევის („ვისრამიანის საკითხები“) ის გვერდები, სადაც ამ საკითხის შესახებ ვმსჯელობთ, იგი იქ „ახალსა და მნიშვნელოვან“ მოსაზრებებსაც იპოვნიდა. მკითხველის გასაგებად ვიტყვი: სპარსულ ტექსტში „მაბადა“ (ნუ იქნეს) რამდენჯერმე გვხვდება და ქართულად ყველგან სათანადოდ არის გადმოთარგმნილი. ერთ შემთხვევაში ქართულ ტექსტში სპარსულის „მაბადას“ შესატყვისად „მოაბად“ გვხვდება, რაც გაუგებრობას ქმნის. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, თვით სპარსულ ტექსტში გადამწერის მიერ უნდა ყოფილიყო დაშვებული შეცდომა და მთარგმნელმა იგი არ გაასწორა, პირდაპირ გადმოიღო.

თუ ეს ადგილი გასწორდება (ამის საჭიროებაც არის), მოაბადის ნაცვლად უნდა ჩავსვათ თვით მთარგმნელის მიერ ამ სიტყვის თარგმანის რომელიმე ვარიანტი, რაც ტექსტს მიუდგება და არა სპარსული „მაბადა“.

ქართულ ძეგლებში სპარსული სიტყვებისა და ფრაზების არსებობა, რაზედაც მ. თოდუა მიგვიითბებს, თარგმანში ახალი სპარსული სიტყვების შეტანის ურყევ საფუძველს არ წარმოადგენს.

3. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია და ამის აუცილებლობაც არ არის, გავიმეოროთ ყველაფერი ის, რაც ალ. ბარამიძისა და ჩვენს გამოკვლევებშია ნათქვამი. დაინტერესებული მკითხველი მათ ადვილად გაეცნობა, მაგრამ არ შეიძლება იმ ახალი გასწორებების შესახებ არაფერი ითქვას, რასაც ალ. გვახარიასაგან დამოუკიდებლად გვთავაზობს „ეტიუდების“ ავტორი (გვ. 73—79).

ზოგჯერ გაუგებარია მისი მოსაზრება, არაა ნათელი რას ასწორებს და როგორ. მაგალითად, მოაქვს მოაბადისადმი მიმართული ვისის სიტყვები: „ამა საწუთროსა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ და ვერცა რასა მისებრსა მე ვჰნახავ, მის უკეთესი სხუა ვინ გამოვირჩიო? დღეთა შენთა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ, თუ უკუნისამდისცა აქა დასდგებო“ (ვისრ., 1962, გვ. 53, 30), წარმოგვიდგენს შესატყვისი სპარსული ტექსტის თარგმანს, მართებულად შენიშნავს, რომ თხზულებაში ორჯერაა განმეორებულა „შენ ჩემგან ეერას გაიხარებ“, აღნიშნავს იმასაც, რომ ხელნაწერებში H—1211, S—96 იგი მეორეჯერ აღარ გვხვდებაო, მაგრამ აღარაფერს ამბობს, თუ როგორ უნდა გასწორდეს ტექსტი.

თუ მეორეჯერ აღარ გვხვდება, მაშინ პირველს უნდა დავუჭიროთ მხარი, რასაც სპარსული არ ეთანხმება და აზრიც ბუნდოვანი რჩება. წარმოდგენილი ადგილის ასეთი წაკითხვა აჯობებს: „ამა საწუთროსა შიგან ვერცა რასა მისებრსა მე ვჰნახავ, მის უკეთესი სხუა ვინ გამოვირჩიო? დღეთა შენთა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ, თუ უკუნისამდისცა აქა დასდგებო“.

ზოგჯერ წერს: ორიგინალის მიხედვით ტექსტი ასე უნდა გაიმართოსო, წარმოადგენს სპარსულ ტექსტს თარგმანის გარეშე (გვ. 73—79), არ მოპყავს

თუ მისი შესატყვისი როგორცაა ქართულში გადმოცემული და გასწორებულ ტექსტს გვთავაზობს.

ერთგან (გვ. 79) ქართული და სპარსული ტექსტებია წარმოდგენილი და ნათქვამია „ტექსტს აკლია რაღაცო“. საქმე ისაა, გამოვიცნოთ, თუ რა აკლია ტექსტს, ან წამოვაცენოთ ვარაუდი და შემდეგ ვესაუბროთ მკითხველს.

4. მ. თოდუა აღნიშნავს: „მეცნიერული სინიღისი გვიკარნახებდა, ყოველთვის აღგვენიშნა სხვისი ღვაწლიც, მიგვეთითებინა, რომ ესა თუ ის ადგილი ჩვენამდე სხვებსაც ესმოდათ სწორად ... რაც სხვისი იყო და მართებულად მიგვაჩნდა, იმაზე ვამბობდით, ამა და ამ მკვლევარის აზრია და ამიტომ ვიზიარებთო, ხოლო რაც სხვისი იყო და არ მოგვწონდა, იმასაც სათანადოდ აღვნიშნავდით“ (გვ. 67).

სამწუხაროდ, ეს წესი ყოველთვის არაა დაცული. ასე. მაგალითად, IV გამოცემაზე თანდართულ გამოკვლევაში (გვ. 512) ლაპარაკია დინდარ — დინდარ სიტყვების შესახებ (№ 31). ნ. მარს მათ შესახებ ზუსტად ისეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული (Из грузинско-персидских литературных связей, ЗКВ, I, 1925, გვ. 135), როგორც რედაქციას, მაგრამ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

აღნიშნულით, რა თქმა უნდა, საყვედურს არ გამოვხატავთ. დაკვირვება ისეთი არაა, რომ მისი დანახვა სხვებს არ შეძლებოდათ, მაგრამ თუ საქმე სიზუსტეზე მიდგება და თან ხმამაღალი ლაპარაკი იქნება სხვათა ღვაწლის აღნიშვნაზე, მაშინ აქ ნ. მარსის გახსენებაც საჭირო იქნებოდა, და სხვა და სხვა.

5. საკვირველია, მ. თოდუას როგორ გამორჩა მხედველობიდან ის გარემოება, რომ 1959 წელს დაბეჭდილი წინადადებები (შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 255), სადაც საუბარია „ვისრამიანზე“, აღნიშნულია ქართული ტექსტის მნიშვნელობის შესახებ სპარსულის შესწავლის თვალსაზრისით, სათანადო მითითებითა და აღნიშვნით („ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვწერდით“) განმეორებული გვაქვს გამოკვლევაში (ვისრამიანის საკითხები, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116, აღმ. სერია, V, 1965, გვ. 23). მან იგი „ვისრამიანის“ გამოცემის (1962) შემდეგ დაწერილად წარმოიდგინა და გვისაყვედურა: დ. კობიძეს მოსალოდნელი იყო სცოდნოდა ვინ გაარკვია ეს მნიშვნელობაო, ასეთი შედარება და ანალიზი მანამდე სამი წლით ადრე უკვე გვქონდა გაკეთებულიო (გვ. 48).

აღ. გვახარიას და მ. თოდუას დამსახურებაზე იმავე გვერდზე გვაქვს საუბარი და მათი გამოკვლევაც იქვეა დამოწმებული. ყოველივე ეს არ შეგვეძლო „ვისრამიანის“ დაბეჭდვამდე სამი წლით ადრე გვეთქვა, როცა „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ გამოვაქვეყნეთ. ცხადია, მ. თოდუას საყვედურს არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

6. უყურადღებობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მომთაზის ერთ-ერთი ლექსის თარგმანს მე მომაწერს (გვ. 106) იმ შემთხვევაში, როცა წიგნში (აბდორ-რაჰმან ჯამი, 1966) მოთავსებული ყველა ლექსის თარგმანი ე. კოტეტიშვილს ეკუთვნის და ამის შესახებ აღნიშნულიცაა (გვ. 5).

სპარსელის ნათარგმნი ვისრამიანი. ასეთი „ვისრამიანი“ არ არსებობს და არც ოდესმე არსებულა იგი. საქმე ის არის, რომ სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების გამოჩენილმა მკვლევარმა პროფ. იუსტინე აბულაძემ, რომელიც „ვისრამიანზედაც“ მუშაობდა, ასეთი მოსაზრება გა-

მოთქვა: „თავდაპირველად ყოფილა გორგანის „ვის ო რამინის“ ქართული ზუსტი თარგმანი, სპარსულის ღრმა მცოდნე სპარსელი მუსულმანის, — თუ ქართველი მაჰმადიანის — მიერ შესრულებული“ (რეცენზია, გვ. 97).

მეორე გვერდზე ეკითხულობთ: „ეს ქართული ზუსტი სიტყვა-სიტყვითა თარგმანი შესრულებული ყოფილა ან ეინმე სპარსეთში ნამყოფი ქართველის მიერ, რომელიც ჰფლობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურას, ანდა, რაც უფრო მეტად საგულევებელია, ქართულის მცოდნე სპარსელის მიერ, ამ უკანასკნელს შეიძლება არც კი სცოდნოდა ქართული კარგად, მაგრამ ქართველის დახმარებით, მას შეეძლო ამა თუ იმ ძნელი ადგილის ზუსტი თარგმანის გაკეთება“.

იუსტინე აბულაძის მოსაზრებაში რაიმე გარკვეული ვარაუდი ან დებულება არ ჩანს. ერთ შემთხვევაში „ვისრამიანის“ ქართული ზუსტი თარგმანი შესრულებული ყოფილა სპარსელი მუსულმანის. ან ქართველი მაჰმადიანის მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში სპარსეთში ნამყოფი ქართველის მიერ. უფრო მეტად საგულევებელი, მკვლევრის აზრით, ის არის, რომ „ვისრამიანი“ შესრულებული იყოს ქართულის მცოდნე სპარსელის მიერ, რომელსაც შეიძლება არც კი სცოდნოდა კარგად ქართულიო.

რა მასალები არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ „ვისრამიანის“ შესანიშნავი პროზა სპარსელის ნახელავია და არა ქართველისა? ძნელად საფიქრებელია, რომ რომელიმე სპარსელი ისე დაუფლებოდა ქართულ ენას. რომ მას შეეძლებოდა ასე შესანიშნავი ქართულით ეთარგმნა სპარსული ტექსტი. ქართველს კი შეეძლო ღრმად დაუფლებოდა სპარსულს, საამისო პირობები არსებობდა.

პროფ. იუსტინე აბულაძის მოსაზრება ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ამის შესახებ კიდევაც დაეწერეთ (ფილოლოგიური შენიშვნები, 1949, „მნათობი“, № 3). აღნიშნული შეხედულება უარყო ალ. ბარამიძემაც (რეცენზია, გვ. 172).

სამწუხარო ის არის, რომ მ. თოდუამ ხელი ჩასჭიდა ყოველად მიუღებელ ვარაუდს, თითქოს „ვისრამიანი“ სპარსელის მიერ იყოს ნათარგმნი და ეს ვარაუდი მას „ადვილად ხელწამოსაკრავად“ არ მიაჩნია (გვ. 58).

რა არგუმენტები გააჩნია მ. თოდუას იმის ცხადსაყოფად, რომ „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი სპარსელის მიერაა შესრულებული? შორს რომ არ წავიდეთ, ამბობს ის. „ჭილილა და დამანას“ მიემართოთ: მისი ერთი (A) რედაქციის უმეტესი თარგმანი... არაქართველთ, სომეხ და სპარსელ ანონიმთ ეკუთვნითო.

„ჭილილა და დამანას“ მკვლევარს, ამ შემთხვევაში მ. თოდუას, ავიწყდება, რომ ერთი ძეგლის თარგმანის ისტორია არ გამოდგება, შუქს ვერ მოჰფენს მეორე ძეგლის წარმოშობის საკითხს. თუ მ. თოდუას მიერ შემოთავაზებულ გზას დავადექით, მაშინ სპარსულიდან ნათარგმნი ყველა ძეგლი. რომელთა მთარგმნელების ვინაობა არ ვიცით, არაქართველთა — სომეხთა და სპარსელთა შემოქმედების ნაყოფად უნდა გამოვაცხადოთ და ეს, თურმე, მეცნიერული ახსნა და საძიებელი საკითხისადმი შუქის მოფენა იქნება! არა, ასეთ მსჯელობას გზას ვერ დავულოცავთ. იგი ჩვენთვის მისაღები არ არის!

წყაროს საკითხი. „ეტიუდების“ ავტორი წინააღმდეგ დასათაურებისა, („პოემის სიუჟეტის შესახებ“) პოემის წყაროს საკითხს განიზილავს და არა სიუჟეტისა, მაგრამ ახალს ან რაიმე მნიშვნელოვანს, რაც ამ პრობლემის

ირგვლივ წინათ არ ყოფილიყო გამოთქმული სპარსული ლიტერატურის მკვლევართა მიერ, აქ ვერაფერს ვხედებით.

მკვლევრები გორგანის წყაროს შესახებ ორგვარი აზრისანი არიან: ერთნი ფიქრობენ, რომ პოეტის წყარო ფალაური ვერსიაა; მეორეთა აზრით, ფალაური ვერსია სპარსულად ყოფილა გადათარგმნილი და გორგანის იგი გაუ-  
ლექსავს.

ე. ბერტელსის აზრით, პოეტი უხეირო თარგმანით სარგებლობდა<sup>1</sup>. სხვათა შეხედულებით (ამ აზრს მ. თოდუაც ემხრობა) გორგანიმდე ფალაური ტექსტის სპარსული თარგმანი ლექსად ყოფილა შესრულებული და მას სხვადასხვა პოეტის ხელშიც გაუვლია. ამის უცილობელ საბუთად მიაჩნათ გორგანის გამოთქმა „სოხანდანანე ფიშინ“ (ძველი მესიტყვენი) და ფიქრობენ, რომ სიტყვა „სოხანდან“ პოეტის მნიშვნელობით აქვსო გორგანის ნახმარი. მაგრამ მათ მსედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ გორგანის იქვე, სადაც იგი მისი წყაროს თაობაზე საუბრობს, ნახმარი აქვს სიტყვა შაჟერ, რაც პოეტს ნიშნავს და იგი მას საჭირო შემთხვევაში გამოიყენებდა.

ისპაანის განმგებელ აბუ-ლ-ფათჰთან საუბრისას გორგანი ფალაური ვერსიის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს (არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ საუბრის ავტორი თვითონ გორგანია). შეკითხვაზე — თუ რას იტყვი ვისისა და რამინის ამბის შესახებ, ამბობენ ძალიან კარგი რამეა, ამ მხარეში<sup>2</sup> იგი ყველას მოსწონსო, პოეტი უპასუხებს: ვისისა და რამინის ამბავი ძალიან ჰამოა, ექვს სწავლულ კაცთაგან შეკრებილი, მასზე უკეთესი ამბავი არ მსმენიაო.

გორგანი ვისისა და რამინის ამბავს აყვავებულ წალკოტს აღარებს. იქვე დასძენს: მისი ენა ფალაურია და ყველა, ვინც მას წაიკითხავს, თსრობას (შინაარსს) ვერ გაიგებსო. მაგრამ თუკი ვინმე მის წაკითხვას მოახერხებს, აზრის გაგებასაც შეძლებსო.

გორგანი ფალაურ ვერსიას უწუნებს უხვად აღწერას. აქ პოეტი, ჩვენი აზრით, გულსხმობს ამა იუ იმ მოგლენის, ან საგნის დასახასიათებლად ჰარბად გამოყენებულ ფერებს, რასაც ფალაურ ვერსიაში, ჩანს, ადგილი ჰქონია.

პოეტის ცნობებით, როცა „ვის ო რამინის“ ამბავი შეიქმნა (იგულისხმება ფალაური ვერსია), მაშინ მოლექსეობა (პოეზია) არ არსებობდა, ანლა კი პოეტური ხელოვნება განვითარებულაო.

გორგანი აღნიშნავს „ვისრამინის“ წიგნის (დავთრის) არსებობას, რომელსაც ფალაური ენის შესასწავლად კითხულობენო. შენიშნავს იმასაც, რომ ამ მხარეში (იგულისხმება ისპაანი) ყოველთვის ყოფილა და იქნება იმ ტკბილი ენის მოტრფიალე და მოსიყვარულენიო.

უნდა ვითქვით, რომ ფალაური ვერსია, რომელიც, როგორც ჩანს, ენის ერთგვარ სახელმძღვანელოდაც ყოფილა გამოყენებული. ერთადერთ ცალად არ იქნებოდა გადაწერილი. საგულებელია, მისი ხელნაწერები საკმაო რაოდენობით ყოფილიყო გავრცელებული, რადგანაც ფალაური ენის შესწავლით დაინტერესებული პირები, ეტყობა, საკმაო რაოდენობით დააძებნებოდა.

<sup>1</sup> История персидско-таджикской литературы, М., 1960, გვ. 271.

<sup>2</sup> დედანში ნახმარია სიტყვა „ქეშვარ“. ვარიანტული წაკითხვები (გინთ და სხვ.) ვერ შეცულის მის მნიშვნელობას, რადგან მაშინაც ის მხარე (ისპაანი) უნდა ვიგულისხმოთ. სადაც მოსაუბრენი იმყოფებოან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ ვითარებაში აღნიშნული წიგნი არაბული ასოებით უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან ფალაურის მკითხველთა რიცხვი იმ დროისათვის მცირე რაოდენობით თუ იქნებოდა შემორჩენილი. ფალაური ვერსია, როგორც გორგანის საინტერესო ცნობებიდან ჩანს, არ ყოფილა სილამაზესა და სიმშვენიერეს მოკლებული, მაგრამ პროზა, რაც არ უნდა ტკბილი და ნარნარი იყოს, ამბობს პოეტი, საზომითა და რითმებით დამშვენებული ახალ ფორმად გადაიქცევა და მეტ სილამაზეს მიიღებს, როგორც ოქროში ჩასმული მარგალიტებია. სიტყვა, როცა პოეტის ენიდან გამოვა, ისეთი ღირსებისა უნდა იყოს, რომ ქვეყნად ვრცელდებოდეს და არა ისეთი, რომ მას მხოლოდ მისი შემთხვევლი კითხულობდესო.

გორგანი განაგრძობს: ეს ვისისა და რამინის ამბავი, რომელიც თქვეს წინანდელმა, ძველმა ენაწყლიანებმა (სოხანდნანე ფიშინ) და სპარსულად თქმაში უნარი გამოიჩინეს, რადგანაც სპარსულის ოსტატები იყვნენ, ერთი ამბავი შეკრეს (შეაკავშირეს), მასში უცხო სიტყვები ყოველი ენიდან იყო შესული, აზრისა და იგავებისათვის თავი არ შეუწუხებიათ, ამ ორი რამით არ დაუმშვენებიათ იგი. თუ მცოდნე მასზე ჯათას გაიღებს, იგი გახდება ლამაზი, როგორც განძი (საუნჯე) სავსე მარგალიტებითო.

გადაწყდა, რომ გორგანი შედგომოდა ამ საქმეს და მისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით ეთქვა იგი, მოერთო ვითა აპრილის წალკოტი და თანაც იმ სიტყვებისაგან გაეწმინდა, რომლებიც ხმარებიდან იყო გასულია.

აქვე შევნიშნავთ, რომ, როცა გორგანი გაუგებარი სიტყვების არსებობაზე ლაპარაკობს ორივე შემთხვევაში, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თვითონ მას არ ესმოდა ისინი. პოეტს მხედველობაში ჰყავს იმდროინდელი, გარკვეული დონის მკითხველი და არა თავისი თავი.

გამოჩენილი ირანელი მეცნიერის ფურუნზანფარის აზრით, რასაც მაჰუბი (გვ. 19) იშველიებს, გორგანის „ვის ო რამინი“ ერთი ფალაური წყაროდან უთარგმნია და ფალაური ენის ცოდნის გამო ზოგი სიტყვაც პოემაში თვითონვე შეუტანია.

მ. მაჰუბი გამოკვლევაში საგანგებოდ ჩერდება „ვის ო რამინის“ სიტყვათა სიკვლეზე და, თავის მხრივ, ავლენს მთელ რიგ ფალაურ სიტყვებს, რომლებიც დღესაც ტექსტში მოიპოვება. ასეთებად მას მიაჩნია, მაგალითად, სიტყვა **პ ბ პ** (ფალ. *apax*-თან), **გ ა ს ი** — **გ ო ს ი ლ** (ფალ. *vosi* — გაგზავნა; გასტუმროება), **დ ა შ ა ნ** (ფალ. *dah(i)shn* — საჩუქარი, ჯილდო, მუქათა) და სხვ.

ეს ექსკურსი, რომელიც მაჰუბს უწარმოებია, სრული არ არის; „ვის ო რამინის“ სპარსულ ტექსტში ბევრი სხვა ფალაური სიტყვაც გვხვდება; იგი სპეციალური გამოკვლევის საგანია.

ამ მხრივ წარმოებული ძიებანი იმას ადასტურებს, რომ გორგანის ხელთ ძველი (ფალაური) ტექსტი აქვს და მას, როგორც ფალაურის მცოდნეს, ამ სიტყვების ტექსტში დატოვებით, თუ შემოტანით, არავითარი დაბრკოლება არ უგრძენია.

ჩვენ დამან სიტყვით დაინტერესდით. კლასიკურ ტექსტებში იგი იშვიათად გვხვდება. ქართული ტექსტის მთარგმნელს ყველა შემთხვევაში შესანიშნავად გაუგია იგი (სპარსული ტექსტი, გვ. 113, ქართული 96): „თუ სულიცა ჩემი ნოგცე შენისა ჰირისა ნ ა ც უ ლ ა დ, არცა იგია, მაგრა ღმერთმან სამოთხით გ ა რ დ ა ი კ ა დ ო ს“. „ჩემთა თუალთა სინათლე ხარ, ჩემი თუალი და მარგალიტი შენი ნახეა: შენ მომინდები, არ ოქრო“ (ე. ი. ჯილდო).

ნაცვალის, გარდახდა. ჯილდო დანაშაულის სიტყვის ძირითადი მნიშვნელობანია, რაც მთარგმნელის მიერ კარგადაა გამოყენებული.

გამოჩენილ ირანელ მეცნიერებს მინოვისა და მაქჯუბს, „ვის ო რამინის“ ტექსტის გამომცემლებს, აგრეთვე ს. ნათისის, ერთნაირად ესმით გორგანის ცნობები. ისინი გამორიცხავენ გორგანის პოემამდე სპარსული რედაქციის არსებობას. მათი აზრით, სიტყვა „ფარსი“, რაც შესავალში გვხვდება, ამ შემთხვევაში პოეტს შეეძლო საშუალო სპარსულის მნიშვნელობითაც ეხმარა, ან ტექსტის გადამწერლების მიერ იგი შეიძლება „ფაქლავი“ სიტყვის მაგივრადაც იყოს შემოტანილი.

ვისისა და რამინის ამბავი გავრცელებული ყოფილა. არსებული მასალების მიხედვით ძნელია დღეს მისი გავრცელების არის შესახებ ვიმსჯელოთ. მაგრამ იგი, ცხადია, მარტო ისპაანის მხარის საზღვრებში ვერ ჩაიკეტებოდა. ამბავი გავრცელებული ყოფილა წერილობითი ძეგლებით და ზეპირი თქმულებების სახითაც. უძველესი ცნობების მიხედვით იგი ჯერ კიდევ სასანიანთა დინასტიის დიდი წარმომადგენლის ზოსროვ ანუ შირვანის (531—579) დროს შეუქრებიან, მაგრამ ჩაწერა და შეკრება როდია ხალხური შემოქმედების საზღვრების შემზღობრკავი. ვისისა და რამინის ამბები, უეჭველია, ვრცელდებოდა მისი ფალაური ვერსიის წარმოშობამდე და შემდეგაც. გორგანის ეპოქაშიც ამგვარივე სურათი გვაქვს. არსებობს ლიტერატურული ძეგლიცა და თქმულებაც. რომელიც ყველას სცოდნია და ყვარებია კიდევ.

დაეუშვათ, რომ ვისისა და რამინის ამბავი გორგანამდე სპარსულად თარგმნეს პოეტებმა, რაც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გორგანის ძირითად წყაროდაა აღიარებული, მაშინ ამ პოეტებს გორგანი არ მოიხსენიებდა როგორც ძეგლებს (ფრინ). მ. თოდუა ვარაუდობს, რომ ეს გალექსვა ფალაური ძეგლისა უნდა მომხდარიყო „ახალი სპარსული ლიტერატურის ფეხის ადგმის ხანაში, რომელიც გორგანის უსწრებდა და რომელსაც რუდაქის პლეადა ამშვენებდა“ (გვ. 86—87).

ნუთუ ახალ სპარსულზე გალექსილი ფალაური რომანის არსებობის შესახებ, იმ რომანისა, რომელიც ყველას უყვარდა და „ვის ო რამინის“ ავტორისათვისაც ძირითად წყაროს წარმოადგენდა, არავის არაფერი ესმა? აქი მას გორგანამდე მიუღწევია.

საკითხავია, როგორ გამორჩა მხედველობიდან ასეთი პოემის არსებობა ისეთ დაკვირვებულ ლექსიკოგრაფს, როგორიც XI საუკუნის მოღვაწე ასადი ტუსელი იყო, ავტორი ცნობილი „სპარსული ლექსიკონისა“. რომელსაც სავარაუდო პოემიდან არც ერთი სიტყვა და ბეითი არა აქვს სანიმუშოდ აღებული იმ შემთხვევაში, როცა ლექსიკონში წარმოდგენილია აბუ-შუქურის „აფერინ-ნამესა“, რუდაქის „ქილილა და დამანას“ და სხვა მასალები. როგორ გამორჩა მხედველობიდან ის თეზქერეების ავტორებს, რომლებიც არსად არ იხსენიებენ გორგანამდე სპარსულად გალექსილ „ვის ო რამინს“.

გორგანის პოემის შესახებ კი გვაქვს ცნობები XV საუკუნის თეზქერეებსა და ლიტერატურულ თხზულებებში. ჩვენ თავის დროზე საგანგებოდ შევამოწმეთ დოვლათშაჰის თეზქერეში „ვის ო რამინიდან“ სანიმუშოდ წარმოდგენილი ერთადერთი ბეითი და იგი გორგანის თხზულებიდან ამოღებული აღმოჩნდა

(ვისრამიანის საკითხები. გვ. 12—13). გორგანის პოემიდან ამოღებული აღმოჩნდა ის რვა ბეითი. რომელიც ჯამის მოუყვანია მის „ბეჭარესთანში“<sup>3</sup>.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ რუდაქის ხანაში გალექსილი „ვის ო რამინი“, „სახელოვანი ამბავი“, როგორც გორგანი უწოდებს მას, არსებობდა, მოელწია XI საუკუნის შუა წლებამდე (გორგანის ვერსიის შემუშავებამდე) და ისე გამჭრალიყო, რომ არსად, არც წინა და არც შემდგომი დროის წყაროებში, მისი ხსენება არ იყოს შემორჩენილი.

საკითხავი ისიც არის, რომ ის პოეტები, რომელთაც (თუ ასე ვიფიქრებთ) „ვის ო რამინის“ ამბავი გალექსეს, ვერ მოახერხებდნენ ტექსტის გაწმენდას დროშობული, უცხო და გაუგებარი სიტყვებისაგან, რომელთა არსებობას ტექსტში გორგანი ორივე შემთხვევაში მიუთითებს და რომელთაც იგი უაზროსა და გაუგებარ სიტყვებს უწოდებს? გაუგებარია აგრეთვე სპარსული ენის ოსტატებისა და სიტყვის მცოდნეთა (სოხანდნან) მიერ შესრულებული თარგმანი. როგორც ე. ბერტელსი ფიქრობს, რატომ უნდა ყოფილიყო ცუდი თარგმანი, თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი?

ჩვენი აზრით, გორგანი ორივე შემთხვევაში ფალაურ ვერსიაზე საუბრობს. იგი მას ძალიან საინტერესო თხზულებად, აყვავებულ წალკოტად, წარმტაც ამბად მიაჩნია, მაგრამ მრავალსიტყვაობას, უხვად აღწერილობას უწუნებს. პროზაზე ლექსის უპირატესობას ამჯობინებს, ამით თავის მოქმედებას — პროზის გალექსევას ამართლებს.

პოეტ გორგანის ხელთ წერილობითი ძეგლი ჰქონია. ამაზე მეტყველებს პოემის შესავალი და ამბის დასაწყისი ნაწილი. სადაც იკითხება ეს ამბავი „დაწერილი ვპოვეთ“ (ნავეშთე ხაქთამ). პოეტი არ მიუთითებს ვისისა და რამინის ამბის სხვადასხვა სიუჟეტისა და ვარიანტის არსებობას და არჩევანს კი არ ახდენს მათგან. თუ ასეთი მართლაც არსებობდა, არამედ ერთ წყაროზე მიგვიითითებს, რომელიც მის თხზულებას საფუძვლად დადებია.

„ეტიუდების“ ავტორის აზრით, „არაა გამორიცხული, რომ საქმე გვექონდეს ერთი ფაბულის გაელასთან სხვადასხვა პოეტის ხელში“ (გვ. 86). იქვე იმ მოსაზრებასაც გვთავაზობს, რომ გორგანის პოემა „რანდენიმე სხვადასხვა ვარიანტის სიუჟეტის კომპილაცია უნდა იყოს, შეიძლება ეს კომპილაცია მანამდე (ე. ი. გორგანამდე) მოხდაო“. ყოველივე ამის დასადასტურებლად იგი შეეცადა წარმოედგინა შინაარსობრივი თვალსაზრისით პოემაში არსებული ვიტყორი, უმნიშვნელო შეუსაბამობანი, როგორცაა, მაგალითად, მოაბადის წვეულებაზე რამინისა და ვიროს გამოცხადება და სხვა მისთანანი. შევნიშნავთ აქვე, რომ ეს შეუსაბამობანი, რაზედაც ავტორი მსჯელობს (გვ. 89), „ეტიუდების“ დაბეჭდვამდე ექვსი წლით ადრე იყო შენიშნული („ვისრამიანის“ საკითხები, გვ. 15—16), რასაც გვერდი აქვს ავლილი.

ასეთი სახის შეუსაბამობანი თუ უზუსტობანი სხვადასხვა ვარიანტისა და სიუჟეტის არსებობაზე კი არ მიგვიითითებს, არამედ გორგანის ხელიდან გამოსული ტექსტის დაზიანებაზე. ჩვენ თავის დროზე შევნიშნეთ ისიც, რომ ქართული ტექსტის მიხედვით წვეულებაში ვისი, ვირო და რამინი არ მონაწილეო-

<sup>3</sup> მ. თოდუას გულდასმით შეუძოწმებია ტექსტი მაჰჯუბის გამოცემის მიხედვით და გვერდებიც მიუთითებია (გვ. 49), სადაც ჯამის მიერ გამოყრებილი ბეითები უნდა გვექონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სწორი არ აღმოჩნდა: 129-ე გვერდზე აღნიშნულ ბეითთაგან არც ერთი არ იკითხება.

ბენ, რადგან იგი აღრინდელ, უფრო სანდო ტექსტზე ჩანს დამოკიდებულ. თუმცა ალაგ-ალაგ ქართულსაც ახასიათებს ზოგი შეუსაბამობა, მაგრამ ამით, ვიმეორებთ, გორგანის პოემაში სხვა პოეტებისა და მწერლების ნახელავთა თავმოყრასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ტექსტის დაზიანებასთან.

დიდი ლიტერატურული ძეგლების (შაჰ-ნამეს, ფაუსტის) შექმნის ისტორიიდან ვიცით, რომ ავტორი სხვადასხვა მასალას, წყაროს სწავლობს. გულდასმით აჯერებს მათ ერთმანეთს, აერთიანებს მათ და ერთ საერთო ჩარჩოში აქცევს, ერთი მთლიანი ჯაჭვის რგოლებად კინძავს და ერთ მთლიან აპზად წარმოგვიდგენს. ასეთი სახით შემუშავებული პოემა თუ პროზაული თხზულება ავტორის საკუთრებას წარმოადგენს, იგი მისი შექმნელების ნაყოფია; მასში სხვა ავტორების ძიება გაუმართლებელია.

რაც შეეხება „ვის ო რამინის“ წყაროს, არავითარი ცნობები, თუნდაც ყრუ, არ არსებობს იმის შესახებ, რომ პოეტ გორგანის სხვადასხვა სიუჟეტით ესარგებლოს და მათ საფუძველზე აეგოს მისი პოემა. ავტორი მხოლოდ ერთ წყაროს მიუთითებს.

დასასრულ, რატომ არ გავითვალისწინოთ, რატომ უარვყოთ ქართული ვერსიის ცნობა, რომელიც ყველანაგ ადრინდელ ტექსტს ემყარება?

ქართული ტექსტის მიხედვით გორგანელი ასეთ პასუხს აძლევს მბრძანებელს (საუბარია ვისისა და რამინის ამბის ცოდნაზე): „მე ყუელა ვიცი და მასშია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომელ კარგი ჰამო ამბავია ბრძენთა და მეცნიერთაგან თქმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა: და ფალაური თუ დიდად არავინ იცის, ვერავინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო ამბავი მათი და ვთარგმნო სპარსულად“ (გვ. 34, 19).

ქართულ ტექსტშიც ერთ წყაროზე — ფალაურ ვერსიაზეა ლაპარაკი, რომელიც გორგანის პოემას საფუძველად დადებია. რაც არ უნდა დეფორმირებულად მივიჩნიოთ ქართული ტექსტის შესავალი, წარმოდგენილი ადგილი ნათლად ასახავს საქმის ვითარებას.

პოემის ბოლო ნაწილებში გორგანი გარკვევით აღნიშნავს, რომ „ვის რამინი“ მან გალექსა. იგი არც პროზაულ და არც ლექსით ვერსიებს არ იხსენიებს, რომლებიც, მკვლევართა აზრით, თითქოს გორგანიმდე არსებობდა. ამკარაა, რომ შესავალში მეორეჯერ „ვის ო რამინზე“ საუბარი, სადაც ფალაურის ნაცვლად სპარსული (سپاسی) წერია, ინტერპოლაციაა, ან იგი ფალაურის მნიშვნელობითაა ნახმარი.

მ. თოდუა შენიშნავს, რომ „ვის ო რამინს“ პოეტური სახეების სიმრავლე ახასიათებს, რაც „ექვს გვიბადებს, მათი ავტორი შეიძლება მარტო გორგანი არ იყოსო“ (გვ. 86).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საექვო არაფერია. პოეტური სახეების სიმრავლისა და, თუ გნებავთ, სირთულის თვალსაზრისით გორგანი როდი აღწევს ნიზამის მხატვრულ აზროვნებას, მაგრამ ჭერ არავინ დაეკვებულა იმაში, რომ ნიზამის თანამონაწილეები ჰყავდეს და მარტო მას არ შეეთხზას გენიალური პოემები.

სპარსულენოვანი ქართველი პოეტები. წიგნში ყველაზე საინტერესოა ის მასალები, რაც სპარსულენოვან ქართველ პოეტებს შეეხება (გვ. 105—190).

ავტორს ამ მასალების შეგროვებისა და თარგმანისათვის დიდი დრო და ენერგია დაუხარჯავს. გაწეულ შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ქართველი მკითხველისათვის ცნობილი გახდა ბევრი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც სამშობლოს დასორებულნი კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ და თავიანთი წვლილი შექონდათ სპარსული მეცნიერების, კულტურისა და პოეზიის განვითარებაში.

დაბეჭდილ და დაუბეჭდავ თეზქერებისა და საცნობარო მასალების შესწავლით „ეტიუდების“ ავტორმა წარმატებით განაგრძო ნ. მარის, ი. მარის, ვ. ფუთურიძისა და სხვათა მიერ წამოწყებული მნიშვნელოვანი საქმე, რაც ქართული კულტურის სპარსულზე გავლენის ძიებას და მის გამოვლინებას გულისხმობს.

წივნში ამ მხრივ ძალიან საყურადღებო მასალებია წარმოდგენილი, მაგრამ ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ამით ყველაფერი გათავდა და საქმეებარი არაფერია. ჯერ კიდევ ბევრი წარმოშობით ქართველია ჩვენთვის უცნობი და გამოუვლენელი, რომლებიც არა მარტო ირანში. არამედ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც მოღვაწეობდნენ და მათი ნამოღვაწარი ჩვენი მეზობელი ხალხების კულტურის ისტორიას შეენივთა.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ სპარსულ-ქართული ისტორიული და კულტურული ურთიერთობის გამოჩენილი მკვლევარი ვ. ფუთურიძე, რომელმაც საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა ირანში მოღვაწე წარმოშობით ქართველი პოეტების შესახებ. წერდა: „ეს მასალა არ არის სრული, თუნდაც პოეტების რიცხვის მხრივ. სათანადო წყაროები რომ გულდასმით გადაისინჯოს, ალბათ მეტი ცნობა აღმოჩნდება ქართველების მოღვაწეობის შესახებ ერანის კულტურულ ასპარეზზე“ (ანალები, I, 1947, გვ. 294), და აი, ჩვენ ახალი მოვლენის წინაშე ვდგავართ. სათანადო წყაროების გულდასმით გადასინჯვისა და შესწავლის შედეგად გამოვლინებულია 16 პოეტი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც ქართველებად არიან ცნობილნი. აი, მათი სახელებიც: ახთარი, ნეშათი გორჯი, აუსეფ გორჯი, ხოსროვ გორჯი, ბეჰზად-ბეგი, ეშეთჰა, ვაფაი აშრაფი, ქაუქაბი გორჯი, ნეჟად გორჯი, ქამი გორჯესთანი, ჯამინი გორჯი, ვალა-ხან გორჯი, თალებ შირაზი გორჯი, შოლა, მაქნუნ გორჯი, როქნ-ე გორჯი. ავტორი ეხება ისეთ პოეტებს „რომელთაც ჩვენი საზოგადოება ჯერ არ იცნობს და რომელთა სახელები და ლექსები ირანელებს საუკეთესო პოეტთა ანთოლოგიებში აქვთ შეტანილი“ (გვ. 106—107).

წარმოშობით ქართველი პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეთა ძიებისას მრავალმხრივ დამაფიქრებელ შემდეგ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქმე ის არის. რომ საქართველოდან ირანში ბევრი არაქართველიც ჩადიოდა. სპარსული წყაროები კი საქართველოდან ჩასულელებს ყველას „გურჯებად“ ნათლავდნენ. სულ ერთია, იქნებოდნენ ისინი ქვეშაარითად ქართველები თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამიტომ საკმაო ხანის გასვლის შემდეგ ძნელდება გაირკვეს, თუ რა იგულისხმება, რომელი ეროვნების წარმომადგენელია ტერმინ „გურჯის“ ამოფარებული. ასე, მაგალითად, წივნში ახთარიზე მოცემული ცნობები ძალიან საეჭვოს ხდის მის ქართველობას. თვითონ პოეტი თავის თავზე ასე წერს: მამაჩემი თბილისელ აღადადთა ჩამომავალი გახლდათ, რომელიც ისლამით განდიდებულიყო, დედის მხრივ ჰასან-ფაშა თორქმანის ჩამომავალი ვარო (გვ. 37). ასეთი შთამომავლობის პირი საეჭვოა,

რომ ქართველი იყოს. ბუნებრივია, ეჭვის ქვეშ დადგება მისი ძმის ნეშათი გორჯის ქართველობაც.

ასეთ ვითარებაში გამოჩენილი ირანელი პოეტის ბაჰარის ქართველობაზე, რომლის შთამომავლობა სპარსული წყაროების მიხედვით (ფეიაჰე ნავინ, 1958, № 2) ირანში ტყვედჩაყარდნილ და იქ დამკვიდრებულ ქართველებს უკავშირდება, უფრო მეტად შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე ახთარის, მისი ძმის ნეშათის ან ქაუქაბის შესახებ. რომელსაც ზოგი წყარო თურქად თვლის. სამაგიეროდ წიგნში წარმოდგენილია მთელი რიგი პოეტები, როგორცაა, მაგალითად, იუსეფ გორჯი, ხოსროვ გორჯი, ეშეთჰა და სხვა მისთანანი, რომელთა ქართველობაზე არავითარი ეჭვი არ აღიძვრის.

მართალია, წარმოდგენილი მასალების მეცნიერული და ლიტერატურული ანალიზი არ არის სრულყოფილი, მაგრამ წიგნის ავტორის მიერ კვლევის ამ საფეხურზე რაცაა გაკეთებული, მოსაწონია და სხვებისთვის გამოსაღებია.

ვერ მოვეუწონებთ ავტორს წიგნის ამ განყოფილების დასათაურებას „ქართული წარმოშობის სპარსელი პოეტები“, ვერც გამოფ.ქმას „ქართული წარმოშობის პოეტი“, რასაც იგი ხშირად მიმართავს. ქართული შეიძლება იყოს ენა, პური, ღვინო და სხვა მისთანანი და არა პოეტი (ქართული პოეტი), ადამიანი, ხალხი. ქართული წარმოშობის პოეტი კი არა, წარმოშობით ქართველი პოეტი, სპარსულენოვანი ქართველი პოეტები და სხვა მისთანანი უფრო მიესადაგებოდა მოცემულ შინაარსს.

ვერ მოვეუწონებთ ავტორს აგრეთვე იმ დიდ აჩქარებას, რაც მას საერთოდ ამ წიგნში გამოუჩენია, რის შედეგადაც მკითხველი ზოგჯერ გაურკვეველ მდგომარეობაშია ჩაყენებული. ასე, მაგალითად, აჩქარებისა და ლიტერატურული ფაქტების არასათანადოდ შემოწმების შედეგია, რომ მას უცნობად გამოუცხადებია ომარ ხაფაჰის სახელით ცნობილი რობაი (زاهد نكند زهد سوادى ساقى), რომელსაც იგი ბეჰდაეს (გვ. 195) და შენიშნავს: „ამ ხელნაწერში გვხვდება 'ომარ ხაფაჰის (გარდ. 1123 წ.) ერთი რობაი, რომელიც მის კრებულებში აღარ იკითხებაო“. ნამდვილად კი აღნიშნული რობაი იკითხება ზოგ გამოცემაში. მაგალითად, იგი გვხვდება მოჰამედ ეფენდის მიერ 1326 წელს ქ. სტამბოლში გამოცემულ კრებულში (გვ. 93), რომელშიც, ხაფაჰის გარდა, დაბეჭდილია ნამუშები შაჰის დივანიდან, ლოყმანის რჩევა-დარიგებანი და ბაბა თაჰერის რობაიები.

ჩვენ ვამთავრებთ მ. თოდუას წიგნის „ქართულ-სპარსული ეტიუდების“ შესახებ საუბარს. აღნიშნულ ნაშრომში, როგორც ითქვა. ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა და ქართულ-სპარსული ძეგლებს ტექსტობრივი ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე არასწორი მოსაზრებანია გამოთქმული, მაგრამ მასში გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი მასალები, ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო მეცნიერული და ლიტერატურული ფაქტები, რაც ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ სათანადო დახმარებას გაუწევს.

## მეცნიერთა იუბილე

### ქსენია სიხარულიძე

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სასელოების ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ქსენია ალექსის ასულ სიხარულიძეს სამოცი წელი შეუსრულდა.

ქსენია სიხარულიძის, მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მთელი შეგნებული ცხოვრება ბრწყინვალე დადასტურებაა მისი სამშობლოსადმი უანგარო და თავდადებული სამსახურისა. ქსენია სიხარულიძის მდიდარმა სამეცნიერო პროდუქციამ უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მეცნიერებაში და ვასცდა კიდევ მის ფარგლებს, ზოგიერთი მათგანი დაბეჭდილია მოძმე ხალხთა და უცხოურ ენებზე.

ქსენია სიხარულიძემ დიდი ამაგი დასდო სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მათ შორის არიან ქართველები, მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოეთის წარმომადგენლები.

ქსენია სიხარულიძის ინტერესს ქართული ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლისადმი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერები კორნელი კეკელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვ.

1938—1939 წლებში ქს. სიხარულიძე მივლინებულ იქნა ლენინგრადში საკანდიდატო დისერტაციაზე სამუშაოდ. ლენინგრადში იგი მუშაობდა პროფესორების მარკ აზადოვსკისა და ნიკოლოზ ანდრეევის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდისათვის მეცნიერს უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომი. 1939 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ზღაპრის საკითხები“. 1940 წელს ქს. სიხარულიძე უკვე უნივერსიტეტის დოცენტია, სადაც დღემდე კითხულობს ქართული ფოლკლორის კურსს და სპეცკურსებს.

1948 წელს ქს. სიხარულიძემ უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. ამ შრომის ძირითადი ნაწილი ამავე სათაურით გამოქვეყნდა 1949 წელს. 1954 წელს ქს. სიხარულიძეს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1960 წელს კი — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა.

ქს. სიხარულიძე რამდენჯერმე იყო პარტიული ყრილობისა და კონფერენციების დელეგატი. არის ეურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო

კოლეგიის წევრი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის წევრი და ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე. წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გაჩვენების წევრი, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის წევრი და ა. შ.

ხალხური სიტყვიერების შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების წევრი ქსენია სიხარულიძე მონაწილეა ფოლკლორისტთა რესპუბლიკური, საკავშირო, საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესებისა, სადაც მისი გამოსვლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

მრავალფეროვანია ქს. სიხარულიძის სამეცნიერო შრომათა სია. მას გამოქვეყნებული აქვს 180-ზე მეტი სახელწოდების ნაშრომი. აქედან 23 ცალკე წიგნადაა გამოცემული. მათ შორის უნდა გამოიყოს: „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, „ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება“ ორ ტომად, „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“ სამ ტომად, „ნარკვევები“, „ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“ ორ წიგნად (მეორე გამოცემა განხორციელდა 1970 წელს), „საგმირო პოეზიის საკითხები“ და მრავალი სხვ.

მეცნიერის მუშაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშების საკუთარი ხელით მოპოვება. მას შემოეღილი აქვს მთელი საქართველო. საველე მუშაობის დიდმა გამოცდილებამ. ხალხის ცოცხალი ყოფის ღრმა შესწავლამ განაპირობა მკვლევარის მიერ ახალ პრობლემათა დასმა. საგულისხმოა, რომ მეცნიერს იზოლირებულად არც ერთი ქანრი არ შეუსწავლია. იგი თანაბარი ინტერესით ეკიდება პოეტური ფოლკლორის ყველა ქანრს. ზღაპარი იქნება იგი თუ საისტორიო სიტყვიერება, ელეგია თუ ბალადა, საგმირო ლექსი თუ ლეგენდა, გამოცანა თუ შიტი, ანდაზა თუ ანეგდოტი. მეცნიერს მიაჩნია, რომ ყველა პოეტურ ქანრს შორის არის გენეტიკური კავშირი, ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ კი ფარულად. სწორედ მის გამოვლინებას მიეძღვნა ქს. სიხარულიძის საინტერესო გამოკვლევა „ხალხურ პოეტურ ქანრთა გენეტიკური კავშირი“.

დიდი ეროვნული საქმე გააკეთა პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ „ქართული ხალხური პროზის“ (გამოკვლევა, ტექსტები, შენიშვნები) გერმანულ ენაზე გამოსაცემად მომზადებით. ამ წიგნის მომზადება მას დაუკვეთა ხალხური სიტყვიერების შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტმა. მასში შევიდა ქართული ხალხური პროზის 75 ნიმუში.

უკანასკნელ ხანს პროფ. ქს. სიხარულიძემ მიწვევები მიიღო იუგოსლავიისა და ჩიკაგოს საერთაშორისო კონგრესების საორგანიზაციო კომიტეტებისაგან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქს. სიხარულიძე აღიარებული მეცნიერია, რომ მისი მოხსენებები საკავშირო თუ საერთაშორისო კონგრესებზე ხასიათდება საკითხების ახლებურად დასმითა და გადაჭრით, რომ მის მოსაზრებებს ანგარიშს უწევენ გამოჩენილი მეცნიერები.

ქსენია სიხარულიძის წინ კვლავ მრავალი პრობლემა დგას. ამ პრობლემების გადაწყვეტა ხანგრძლივ დაძაბულ შრომას მოითხოვს მეცნიერისაგან. ვუსურვოთ მას დიდი ენერჯია და ცხოვრების გრძელი გზა, საესე შემოქმედებითი წვით.

## შოთა ძიძიგური

დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს, ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს — შოთა ვარლამის ძე ძიძიგურს.

1927 წელს შ. ძიძიგური შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო დარგზე, ამავე დროს აგროვებს დიალექტოლოგიურ მასალებს საქართველოს რაიონებში და მოხსენებებით გამოდის საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოებაში, რომელიც მაშინ რესპუბლიკაში ლინგვისტურ ცენტრს წარმოადგენდა.

1931 წ. შ. ძიძიგური შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში (ლენინგრადი). აქ მას ხელმძღვანელობდნენ სახელმძღვანელო მეცნიერები — აკადემიკოსები: ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი, ლ. შჩერბა, ვ. სტრუგე, პროფ. კ. დონდუა და სხვ. ასპირანტურაში სწავლის დროს შ. ძიძიგურმა რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა მოსკოვ-ლენინგრადის სამეცნიერო ორგანოებში.

1935 წელს შ. ძიძიგური ლენინგრადში იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“. 1936 წელს იგი ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს, როგორც დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. პარალელურად ლექციებს კითხულობს ბათუმის, ქუთაისისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1937 წელს ინიშნება რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ.

1947—1950 წწ. შ. ძიძიგური მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1953 წელს იგი შეთავსებით ხელმძღვანელობს თბილისის კონსერვატორიის ენების კათედრას, ხოლო 1962 წლიდან — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას.

1947 წელს შ. ძიძიგური მიიღეს სკკპ რიგებში.

1962 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავშირები ქართულ ენაში“ და ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1967 წელს პროფ. შ. ძიძიგურს ირჩევენ თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგედ. ამ კათედრას მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სახელოვანი ქართველი ენათმეცნიერი აკად. ვარლამ თოფურია, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის კარდინალური საკითხების შესწავლას. პროფ. შ. ძიძიგური ღირსეულად აგრძელებს აკად. ვარლამ თოფურიას მიერ დანერგილ სამეცნიერო და პედაგოგიურ ტრადიციებს. პროფ. შ. ძიძიგურის ხელმძღვანელობით ახალი ქართული ენის კათედრა

თედრასთან ჩამოყალიბდა ტოპონიმიკური ლაბორატორია, რომელიც ამჟამად მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. 1967 წელს პროფესორი შ. ძიძიგური აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1968 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროფ. შ. ძიძიგური ავტორია 150-მდე ნაშრომისა, მათ შორის 25 ცალკე წიგნად არის გამოცემული. მისი მეცნიერული გამოკვლევები შეეხება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას, დიალექტოლოგიას, მწერლის ენას, ლექსიკოლოგიას. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სახელმძღვანელოები.

პროფ. შ. ძიძიგურის ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნი „კავშირები ქართულ ენაში“ მიზნად ისახავს გაარკვიოს რთული წინადადების სინტაქსის საკითხები და გააშუქოს კავშირის კატეგორიის ბუნება ცველი, საშუალო და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ფაქტების გათვალისწინებით. ეს არის, საერთოდ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველი ნაშრომი, რომელიც მონოგრაფიული წესით წარმოგვიდგენს კავშირების სტრუქტურას. სხვათა შორის ავტორმა ექვემდებარება ცხადყო, რომ უკვე V—VI სს. ქართულ სალიტერატურო ენაში ჩამოყალიბებულია რთული წინადადების კონსტრუქციები კავშირების მრავალფეროვანი სისტემით, რაც დიდად მნიშვნელოვანია სალიტერატურო ქართულის ისტორიის თვალსაზრისით: ეს მყარი ლინგვისტური საბუთიანობა გვერდში ამოუდგება იმ პალეოგრაფიულ და ისტორიულ-კულტურულ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვით სავარაუდებელია სალიტერატურო ქართულის არსებობა მეხუთე საუკუნემდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. შ. ძიძიგურის ღვაწლი ქართულ დიალექტოლოგიაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან იგი ჩაბმული იყო სავსე დიალექტოლოგიურ მუშაობაში; მან შეაგროვა დიდძალი მასალა, ამსახველი ქართული ცოცხალი მეტყველების მრავალფეროვანი ბუნებისა. პროფ. შ. ძიძიგურს უნდა ვუმადლოდეთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ არის ცნობილი მთელი რიგი დიალექტების სტრუქტურა და ლექსიკური შედგენილობა. მისი დიალექტოლოგიური შტუდები შეჯამებულია წიგნში „ციებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, რომელიც ორჯერ გამოიცა (1954, 1971 წწ.).

1956 წელს პროფ. შ. ძიძიგურმა გამოაქვეყნა სქელტანიანი წიგნი „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, რომელიც პირველი ქრესტომათიული ნაშრომია ქართულ დიალექტოლოგიაში.

ლექსიკოგრაფიის დარგში პროფ. შ. ძიძიგურის ნაშრომთაგან აქ დავასახელებთ „ალ. ყაზბეგის ლექსიკონს“, რომელიც დაერთო ჩვენი დიდი კლასიკოსის თხზულებათა პირველ აკადემიურ გამოცემას.

პროფ. შ. ძიძიგურმა სცადა თანმიმდევრულად გაეშუქებინა ქართული ენის ისტორია და მიეწოდებინა იგი ფართო მკითხველისათვის მიმზიდველი ენით. ეს არის წიგნი „ქართული ენის თავგადასავალი“, რომელიც სათაურით — „ქართული ენა“ გამოქვეყნდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. იგი იბეჭდება და მალე გამოვა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ნაშრომში განხილულია ქართული ენის წარმოშობის, ნათესაობის, მსოფლიოს ენებთან კონტაქტების, ქართული დამწერლობის საკითხები. წიგნმა 1969 წ. მოსკოვში საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ პირველი პრემია დაიმსახურა. ასევე საინტერესოა პროფ. შ. ძიძიგურის ნაშრომი „ქართული საბ-

ქოთა კავშირის თავისებური ენაა“, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში.

პროფესორ შ. ძიძიგურის საკვლევადიებო თემატიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. ამ საგანზე ავტორმა გამოაქვეყნა შემდეგი წიგნები: „მწერლის ენა“ (1956), „ენა და ლიტერატურა“ (1963), „რუსთაველის ენის საკითხები“ (1966), „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“ (1971).

ნაწრომში „ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემა“ პროფ. შ. ძიძიგური მიზნად ისახავს ცხადყოფას, რომ ლიტერატურულ კრიტიკაში გამეფებული შეხედულება, თითქოს ვაჟას ლექსები და პოემები მთლიანად და სავსებით დაფუძნებულია ფეოდალური დიალექტზე, არ შეეფერება სინამდვილეს. ავტორი იძლევა ვაჟასეული ლექსების ენობრივ ანალიზს და ასაბუთებს, რომ დიალექტიზმები თავს იჩენს მხოლოდ ისეთ მიმართვით ლექსებში, სადაც ადრესატი, მწერლის ჩანაფიქრით, მთიელია. აქ დიალექტურ ფორმებს მხოლოდ სტილისტური ფუნქცია აქვთ დაკისრებული. სასურადადღებო შედეგებია აგრეთვე მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლის დარგში. პოემაში გამოვლენილი აღმოსავლური და დასავლური დიალექტური ფორმების შერწყმა პროფ. შ. ძიძიგურმა ახსნა იმ გარემოებით, რომ ქართული ენისორი დიალექტური ნაკადის შეზავება ქართულ კილოთა შორის დამახასიათებელია მხოლოდ მესხურისათვის. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პოემის ავტორის დედაკილო სწორედ მესხურია. ერთელი გამოკვლევა უძღვნა პროფ. შ. ძიძიგურმა ილია ჭავჭავაძის ენას. მან აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ილიას უცნობი სალექსიკონო მასალები. დაწვრილებით შეისწავლა ამ ძვირფასი ლექსიკოგრაფიული ფრაგმენტების შედგენილობა.

აღსანიშნავია პროფ. შ. ძიძიგურის ღვაწლი ნართოლოგიის დარგში. მან პირველმა გაარკვია, რომ ჩრდილო-კავკასიური სახელგანთქმული ნართული ეპოსის კვალი ქართულ ფოლკლორშიც ჩანს. ამ პრობლემას პროფ. შ. ძიძიგურმა სპეციალური წერილი უძღვნა მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში 1944 წელს. ახლანდელ გამოქვეყნდა რუსულ ენაზე მისივე წიგნი („ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები“).

თვალსაჩინოა პროფ. შ. ძიძიგურის დამსახურება საზოგადოებრივი მუშაობის დარგში. იგი არის „თბილისის უნივერსიტეტის შრომების“ (ჰუმანტარულ მეცნიერებათა სერია) მთავარი რედაქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქართული ენის სექციის თავმჯდომარე. ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ სალიტერატურო კონტროლის რედაქციის უფროსი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის რედაქტორის მოადგილე.

პროფ. შ. ძიძიგური დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. იგი ამჟამადაც წარმატებით განაგრძობს მეტად ნაყოფიერ კვლევა-ძიებასა და ფილოლოგთა მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას ჩვენი კულტურისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

აპაკი ურუშაძე, თამაზ ბაგყალიძე, დავით გუგუშვილი